

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ეკატერინე გოგალაძე

ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო ეტიკეტი

სპარსულსა და ქართულში

ფილოლოგიის დოქტორის(PHD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

მანანა კვაჭაძე

ფილოლოგიის დოქტორი

ასოციირებული პროფესორი

თბილისი

2019

შინაარსი

შესავალი	3
საკითხის ისტორიისათვის	21
1 თავი პირველი.....	26
1.1 ფატიკური კომუნიკაცია, როგორც ენის ერთ-ერთი ფუნქცია.....	26
1.2 ფატიკური კომუნიკაციის როლი ვერბალურ ურთიერთობებში	35
1.3 ფატიკური კომუნიკაცია და სპარსული თააროფი	38
1.4 ფატიკური კომუნიკაციის ნორმები	42
1.5 გულწრფელობის ხარისხი ფატიკური კომუნიკაციის კონტექსტში	52
2 თავი მეორე: ფატიკური კომუნიკაციის ტიპები	60
2.1 ფატიკური კომუნიკაციის ტიპების კლასიფიკაცია.....	60
2.2 ფატიკური კომუნიკაციის ტიპები ქართულში (ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით)	62
2.3 ფატიკური კომუნიკაციის ტიპები სპარსულში (ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით)	93
2.4 ეტიკეტურ სიტუაციათა შეპირისპირებითი ანალიზი (ქართული და სპარსული ენების მასალაზე დაყრდნობით)	147
3 თავი მესამე: თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული გზები და მიმართვის ფორმები ქართულ და სპარსულ სამეტყველო ეტიკეტში	161
3.1 პირის ნაცვალსახელები და თავაზიანი მეტყველება სპარსულსა და ქართულში	161
3.2 პრონომინალიზაცია სპარსულსა და ქართულში	171
3.3 მიმართვის ლექსიკური ფორმები ქართულსა და სპარსულში	177
3.4 ზმნის თავაზიანი ფორმები სპარსულსა და ქართულში	184
4 დასკვნა	188
გამოყენებული ლიტერატურა:.....	195
საილუსტრაციო მასალა:	203

შესავალი

თანამედროვე სამყაროში შეიცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი. ყოველდღიურობამ განსხვავებული სახე მიიღო. თანამედროვე სამყაროს ადამიანი განუწყვეტლივ იღებს ახალი ინფორმაციის ნაკადს, მას გამუდმებით უწევს კომუნიკაციის ველში ტრიალი, მიღებული ინფორმაციის გადააზრება, მისი ტვინი საოცარი სისწრაფით რეაგირებს მიმდინარე ცვლილებებზე, რომლებიც მყისიერად იცვლება და გარდაიქმნება. ყველაფერთან ერთად, შეიცვალა საკომუნიკაციო არეალი: იგი გაფართოვდა და გლობალური სახე მიიღო. ძალზე გამარტივდა და გამრავალფეროვნდა კომუნიკაციის დამყარების საშუალებები (მობილური კავშირი, ინტერნეტკავშირი). საკომუნიკაციო ინსტრუმენტთა უახლესმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა შესაძლებელი გახადა სწრაფი და ხარისხიანი კავშირის დამყარება დედამიწის ნებისმიერ წერტილთან, ადამიანებს მიეცათ საშუალება, დაუბრკოლებლად იკონტაქტონ სხვადასხვა ეთნო- და სოციოკულტურებთან.

ახალმა რეალობამ შეცვალა ადამიანთა ურთიერთობის სპექტრი. სხვადასხვა კულტურებთან საკომუნიკაციო საშუალებათა გაფართოებამ დიდი მნიშვნელობა შესძინა კულტურათაშორის კავშირთა პრინციპების შესწავლას, რაც გულისხმობს ურთიერთობების ახლებური მექანიზმების შემუშავებას და განსხვავებულ კულტურათა შორის კომუნიკაციის დამყარებას პატივისცემისა და ურთიერთგაგების პრინციპებზე. ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია, უპირველეს ყოვლისა, საკომუნიკაციოდ შერჩეულ საზოგადოებაში გავრცელებული ქცევისა და მეტყველების ნორმების გაცნობითა და დასწავლით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გამარტივებული კომუნიკაციის პირობებში მნიშვნელოვანი გახდა ამა თუ იმ ეთნოტიპთან ურთიერთობისას კომუნიკაციის შესაბამისი ფორმის მოძებნა - ის, რაც ერთი ენისა და კულტურის შიგნით ურთიერთობისას მისაღებია და ექვემდებარება გარკვეულ წესებსა და კანონებს, სხვა სოციუმთან მიმართებაში შესაძლოა, უცხო და მიუღებელი აღმოჩნდეს; ამის მიზეზად გვევლინება, ერთი შეხედვით, უნივერსალური, თუმცა სხვადასხვა კულტურებში რადიკალურად გამორჩეული სპეციფიკის მატარებელი ფენომენი, ფართო მნიშვნელობით - *ეტიკეტი*, და თუ

მნიშვნელობას დავავიწროებთ, ქცევისა და მეტყველების ნორმათა ერთობლიობა და დადგენილი სტანდარტები.

ეტიკეტის არსსა და მნიშვნელობას, როგორც შიდა, ასევე კროსკულტურული ურთიერთობებისათვის, დიდი ხნის წინ მიხვდნენ. პირველივე ეთნოგრაფიული და ისტორიული წყაროები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას ამა თუ იმ ქვეყნის შესახებ, უმეტესად აღწერენ ამ ქვეყნების საზოგადოებრივ ყოფას, გამოხატულს საუბარში, ჩაცმულობაში, სიტუაციურად გამოწვეულ გარკვეულ რიტუალიზებულ ქცევებში და ა.შ. ერთი სიტყვით, აღნიშნული სახის წყაროები დიდი დოზით შეიცავს მდიდარ მასალას *ეტიკეტის, როგორც კულტურული საზოგადოების ცხოვრების აღწერის საშუალების* შესახებ.

სხვადასხვა საზოგადოებაში გავრცელებული ქცევის ნორმათა ერთობლიობის გამომხატველ ტერმინად *ეტიკეტი* ისტორიული განვითარების შედეგებით გვიან პერიოდში გაჩნდა. ტერმინ *ეტიკეტის* (ქცევისა და საუბრის ნორმათა ერთობლიობა) გამოჩენა საფრანგეთის სამეფო კარს უკავშირდება. საფრანგეთის სამეფო კარზე მცხოვრებ და მოღვაწე დიდებულებს დაეგზავნათ მომცრო ზომის ბარათები. ამ ბარათებზე მითითებული იყო, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამა თუ იმ სიტუაციაში, როგორ უნდა მიემართათ მეფის, დედოფლისა და სხვა დიდებულთათვის. ამ პატარა ბარათებს *ეტიკეტი* უწოდეს.

ეტიკეტი ფრანგული სიტყვაა (Etiquette), თავდაპირველად, იგი გარკვეული სარეკლამო შინაარსის შემცველ, ზომით პატარა ბარათებს დაერქვა, მოგვიანებით კი ეს *სიტყვა* გამოიყენეს სამეფო *ცერემონიალის* მნიშვნელობით. მას შემდეგ, რაც საფრანგეთიდან სამეფო კარის ცერემონიალი ვენის სამეფო კარზეც მიიღეს, სიტყვა *ეტიკეტი* ევროპის სხვა ენებშიც გავრცელდა (Голдин 1983). *ეტიკეტი* მცირე ფონეტიკური სახესხვაობითაა დამკვიდრებული (Etiquette-ინგლ. ეტიკეტი - ქართ. *ეტიკეტ* - რუს. Etikette - გერმ. Etiqueta - ესპ.).

სპარსულ ენაში ამ ტერმინს რამდენიმე სიტყვა და ფრაზა შეესაბამება: axlaq, moaşerat, axlaq-e moaşerat, d b, d b -e axlaq -e moaşerat, rasm, d b o rasm. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში, იძებნება სიტყვა **etiket**.

პირველ მნიშვნელობად მითითებულია 1. იარლიყი (ტანსაცმლის იარლიყი, ეტიკეტი), ხოლო მეორე მნიშვნელობადაა გამოტანილი - ქცევა, აღზრდა, ცერემონიალი, წესი (axlaq, rasm, d b o rasm). მეტყველებაში უმეტესად ახალგაზრდა თაობა იყენებს სიტყვას - **etiket**, მსგავსად სხვა ანალოგიური ტერმინებისა (<http://www.vajehyab.com/?q=%D8%A7%D8%AA%DB%8C%DA%A9%D8%AA>).

დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებში, *ეტიკეტის* უამრავი განმარტებაა დაფიქსირებული (Соколова 1995, 13; Голдин 1983, 52; Longman 1982; Rossi 2011; Wordsense.eu: Толковый Словарь Русского Языка; Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English და სხვა მრავალი). ამ განმარტებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია ვთქვათ, რომ *ეტიკეტი* - ესაა მორალურ და ზნეობრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც ადამიანთა შორის მოწესრიგებული და კანონზომიერი ურთიერთობების შედეგად ჩამოყალიბდა. *ეტიკეტი* პოლიფუნქციური ტერმინია. იგი მოიცავს საკითხთა მთელ რიგს: ისტორიულ, სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და სხვა ასპექტებს. *ეტიკეტის*, როგორც დამოუკიდებელი მოვლენის შესწავლა, შედარებით გვიან დაიწყო. ისტორიულად მას, როგორც წესი, სხვადასხვა დისციპლინასთან ერთად განიხილავდნენ; ამ და სხვა მიზეზთა გამო, ეტიკეტის ცალკეული შემადგენელი ნაწილები, დროთა განმავლობაში - ზოგი მეტად, ზოგიც ნაკლებად - ხდებოდა, მეცნიერული კვლევის საგანი (Камычек 1974; Голдин 1983, Папп 1985; Holland&Quinn 1987; Формановская 1989; Goffman 2005; ჭუმბურიძე 1956, ჯორბენაძე 1997; ჯაში 1997; აფრიდონიძე 1986, 2003 და სხვა).

ეტიკეტი მრავალშრიანი ფენომენია. ეტიკეტში ვლინდება ენისა და კულტურის ურთიერთმიმართება, ერის ისტორიული და კულტურული ევოლუციის საფეხურები, კონკრეტულ ეთნოსში გავრცელებული რელიგიური შეხედულებანი, სამყაროს აღქმის თავისებურებანი ასახული მეტყველებასა და ქცევაში. ეტიკეტი გაჩნდა ადამიანთა ერთობლიობის, საზოგადოების ფორმირების ჩანასახშივე - ტომობრივი ცხოვრება, უფროს-უმცროსობა, გენდერული ნიშნით საქმიანობათა გამიჯვნა, სხვადასხვა მოვლენასთან დაკავშირებული რიტუალები და სხვა. ძველი ცივილიზაციის ქვეყნებში მრავალ ათას ცერემონიას ითვლიდნენ:

როგორ უნდა კარზე დაკაკუნება, მისალმება, სახლში შესვლა, სტუმრის მიღება, შეხვედრა, დაჯდომა, გამასპინძლება და სხვა მრავალი, რომელთა შესწავლასაც მაღალი წრის წარმომადგენლები დიდ დროსა და ენერგიას ახმარდნენ. საზოგადოების მაღალი თუ დაბალი ფენა ბავშვობიდანვე სწავლობდა, ითვისებდა და ითავისებდა ეტიკეტის დადგენილ წესებსა და ნორმებს. პირველი ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ტექსტები (სტრაბონი, ჰეროდოტე), მოგზაურთა ჩანახატები, ფაქტობრივად აღწერდნენ სხვადასხვა ეთნოსსა და კულტურაში გავრცელებულ ეტიკეტურ ნორმებს (Malinowski 1972; Edward... 1893; Beeman 2001; 1988; 2001).

თანამედროვე ეტიკეტი წარმოადგენს ამა თუ იმ ქვეყნის ძველი და ახალი ყოფის ურთიერთშეზავების შედეგს. თითოეული ერი საკუთარი კულტურით, სპეციფიკური ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით ამდიდრებს მას, სწორედ ამიტომ, *ეტიკეტი* არის უნივერსალური და ამავე დროს ძალიან ინდივიდუალური ბუნების მქონე მოვლენა (1990). მისი დახასიათება ერთი დადგენილი წესით შეუძლებელია.

ეტიკეტის, როგორც მოვლენის, შესწავლისა და კვლევის მანძილზე გამოიყო და ცალკეულ მიმართულებებად ჩამოყალიბდა მისი რამდენიმე განშტოება: კარის ეტიკეტი, საქმიანი ეტიკეტი, დიპლომატიური ეტიკეტი, პროფესიული ეტიკეტი, სუფრის ეტიკეტი და სხვა. აღნიშნულ საკითხთა კვლევა ფართოდაა წარმოდგენილი როგორც უცხოური, ასევე ქართული სამეცნიერო ნაშრომების სახით (ჯოლია 2006; კვაჭაძე 1998, 2008, 2010, 2011; ლევიძე 2017; ცაგურია 2018; Coleman... 1981; Karimnia 2011; 1986).

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითად საკითხს *სამეტყველო ეტიკეტი* წარმოადგენს. *სამეტყველო ეტიკეტი* ანუ თავაზიანი მეტყველება, გვხვდება ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში, განურჩევლად სოციალური ჩარჩოებისა: შინ და გარეთ, მაღაზიაში, ბაზარში, თეატრში, უმაღლეს სასწავლებელში, სკოლაში, ქუჩაში, ტრანსპორტში, უფროსი თუ უმცროსი თაობის მეტყველებაში და ა.შ.

სამეტყველო ეტიკეტი ვერბალური ურთიერთობის სახეა; იგი მოიცავს მეტყველებაში არსებულ მიმართვის „მყარ ფორმულებს“, რომლებიც მიღებულია საზოგადოებაში და ექვემდებარება ამ საზოგადოებაში არსებულ კანონებს. *სამეტყველო ეტიკეტი* არის იმ მოთხოვნების, წესებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც გვიკარნახებს, თუ რა ფორმით უნდა დავამყაროთ სიტყვიერი კონტაქტი სხვებთან, როგორ უნდა გავაგრძელოთ კომუნიკაციის პროცესი და, ბოლოს, როგორ უნდა დავასრულოთ საუბარი ისე, რომ დავიცვათ საზოგადოდ მიღებული ქცევისა და მეტყველების ნორმები (1989).

სამეტყველო ეტიკეტი, ენის შიგნით არსებული ფორმის, შინაარსისა და სიტუაციური შესაბამისობების ერთობლიობაა. ის განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში. თუ *სამეტყველო ეტიკეტს* განვიხილავთ ვიწრო გაგებით, მასში ძირითადად ერთიანდება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ: მისაღმების, დამშვიდობების, მიმართვის, თხოვნის, მობოდიშების, მადლობის გადახდის და უფრო ფართო გაგებით - *სამეტყველო ეტიკეტი* ნებისმიერი ვერბალური კომუნიკაციის ნაწილია და ძალიან დიდ როლს თამაშობს ურთიერთობის დაწყების, გაგრძელებისა და თანამოსაუბრეთა ურთიერთგანწყობის საერთო ფონის შექმნაში (1985). მეტიც, *სამეტყველო ეტიკეტი* განსაზღვრავს, რამდენად წარმატებული იქნება წამოწყებული ვერბალური კონტაქტი. ამ სახის ვერბალური კომუნიკაციის დროს რეალიზდება ენის ფატიკური ფუნქცია, რაც საბოლოოდ გვადლევს ფატიკური კომუნიკაციის ტიპს (იხ. Malinowski 1923, 1972, 2013; Jacobson 1985, 1987; Daneshgar 1962; Ogden 2013; 1961; 1978; 1983, 2009; 1985; 1991; 1989, 2005; 2004; 2005; 2005; 2014; 2018; 2018). სწორედ ამგვარი (ფატიკური) კომუნიკაციის ტიპი და მისი მიმართება ენის სამეტყველო ეტიკეტსა და თავაზიანობის კონცეპტთან, განსაზღვრავს ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ძირითად საგანს.

საკვლევ საკითხს განვიხილავთ არამონათესავე, თუმცა ერთმანეთთან ისტორიულად დაკავშირებული ენების - ქართულისა და სპარსულის მაგალითზე.

ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური ენების ჯგუფს განეკუთვნება, ხოლო სპარსული - ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ქვეჯგუფს. მიუხედავად ენობრივი კატეგორიზაციის დიფერენცირებისა, ქართულ და სპარსულ ენებს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორია აკავშირებს. ქართულ ენას დიდი ხნის მანძილზე ჰქონდა მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა ირანულ ენებთან (ანდრონიკაშვილი 1966). ეს ურთიერთობები განსაკუთრებით ახლო და სისტემური იყო სპარსულ ენასა და ლიტერატურასთან. „საუკუნეთა განმავლობაში სპარსული საერო მწერლობა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ყველაზე მომხიბლავი სამყარო იყო. შეიძლება ითქვას, არც ერთი სხვა ერის საერო ლიტერატურა ისე არ გადამუშავებულა ქართულ ფსიქოლოგიაში და ორგანული არ გამხდარა მისთვის, როგორც სპარსული“ (ბართაია 2014).

ქართული და სპარსული სამეტყველო ეტიკეტი, მთელი თავისი ენობრივი და არაენობრივი მასალის შეპირისპირებითი და ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო და საყურადღებო შედეგებს გვაძლევს მსგავსება-განსხვავებათა კონტექსტში.

საქართველოს ირანთან მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობები აკავშირებს.

ახალ ათასწლეულში მრავალი ქვეყანა, მათ შორის საქართველო და ირანი, ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. საქართველო, საერთაშორისო ასპარეზზე დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს; ცდილობს, საკუთარი მიზნების მიხედვით დაამყაროს კავშირები მსოფლიოს ხალხებთან. გაიხსნა საზღვრები. ის, რაც რამდენიმე წლის წინაც კი, შეუძლებლად გვეჩვენებოდა, დღეს უკვე ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი გახდა: ყოველდღე ათასობით ქართველი და არაქართველი მოგზაურობს საქართველოდან ევროპისა თუ აზიის ქვეყნების მიმართულებით და პირიქით, უამრავი უცხოელი მოემგზავრება საქართველოში ტურისტული, პირადი თუ საქმიანი ვიზიტებით. რაც შეეხება ირანს, თავისი

პოლიტიკური კურსის გამო, ნელა და დიდი სიფრთხილით, ავითარებს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ფიზიკური საზღვრების საკითხს დაემატა ვირტუალური საკომუნიკაციო არხების გაზრდაც, მაგალითად, ძალიან მარტივად და დროის მოკლე მონაკვეთში, შეგვიძლია ვეკონტაქტოთ სხვადასხვა ენაზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფ ადამიანებს, სხვადასხვა რელიგიური თუ კულტურული სამყაროს წარმომადგენლებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გახსნილმა საზღვრებმა ხელი შეუწყო ირანიდან საქართველოში და პირიქით ადამიანთა თავისუფალ მიმოსვლას, ცოცხალი კავშირების გაბმას. ყოველივე ამის გამო დადგა საჭიროება, ამ ორ, განსხვავებული კულტურული სამყაროს მქონე ქვეყანას შორის ურთიერთობების სწორად წარმართვისათვის საკომუნიკაციო მექანიზმთა შესწავლისა.

სპარსული ენის სწავლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პირველივე დღეებიდან დაიწყო. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სპარსული ენის შესწავლას ენობრივი, კულტურული და ისტორიული წყაროების დამუშავებისა და მეცნიერული კვლევებისათვის. თანამედროვე ეპოქაში, სპარსული ენის სწავლებაში აქტუალური გახდა საკომუნიკაციო კომპეტენციის გაღრმავება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპარსული ენის სწავლებისას ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა სპარსული სამეტყველო ეტიკეტის ვერბალურ და არავერბალურ ერთეულთა საგანგებოდ შესწავლას. მაგრამ, თუკი წლების წინ სპარსული ენის შემსწავლელებს არ ეძლეოდათ საშუალება პრაქტიკაში გამოეცადათ თეორიული ცოდნა, დღეს სპარსული ენით დაინტერესებულ ნებისმიერ ადამიანს აქვს ფუფუნება, ენის ცოდნა გაიღრმავოს ენის მატარებლებთან უშუალო კონტაქტის საშუალებით. ბუნებრივია, ცოცხალი ურთიერთობების დამყარების შედეგად გააქტიურდა სპარსული სამეტყველო ეტიკეტისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი ფრაზებისა და გამონათქვამების, ქცევის წესების, სპეციფიკური მნიშვნელობით გამოყენებული სიტყვაშენაერთების საგანგებოდ დასწავლა.

სპარსულ ენაში არსებული სამეტყველო ეტიკეტი, თავაზიანი მეტყველება და ქცევა, ქცევის წესები და ნორმები, რეგულირდება ნაირგვაროვანი მნიშვნელობის

მატარებელი ირანული კულტურისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მოვლენის *თააროფის* საშუალებით.

თააროფი მრავალფეროვანი, მრავალმნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მოვლენაა ირანულ კულტურაში. იგი მოიცავს, როგორც ენაში არსებულ თავაზიან სიტყვა-თქმათა ერთობლიობას, ასევე ენობრივ მასალაში ასახულ თავაზიანობის არავერბალურ დონეზე გამოხატვის ხერხებსა და საშუალებებს (იგულისხმება ტრადიცია, ადათი, წესი, ჩვეულება, ქცევა, ქცევის ნორმები, ჟესტიკულაცია).

სპარსული ენა თავაზიანობის გამოხატვის მდიდარ ენობრივ ფონდს ფლობს. აქ ენობრივ დონეზე მარკირებულია ზრდილობის გამოხატვის სხვადასხვა რეგისტრი, რაც განპირობებულია კომუნიკანტთა როლისმიერი ფუნქციებით. სპარსულ ენაზე მოლაპარაკეთათვის მარტივია რეგისტრთა მიხედვით მარკირებული სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება და შენაცვლება შესაბამის ეტიკეტურ სიტუაციებში, იმავე მასალის ანალიზი რთულია უცხო კულტურის წარმომადგენელთათვის. სპარსულ ენაზე საუბრისას, ამ ენაში არსებული წესების დაცვისათვის, საჭიროა სპარსული *თააროფის* საგანგებოდ შესწავლა. ამის გამო სპარსული ენის სასწავლო სახელმძღვანელოთა უმრავლესობა, გარკვეული დოზით, შეიცავს *თააროფის* შემადგენელ ენობრივ ელემენტებს. სპარსულ სამეტყველო ეტიკეტში გამოყენებული ბევრი ფრაზა უცხო თვალისათვის „უცნაურად“ გამოიყურება, რადგან მათი სიტყვასიტყვითი თარგმანი არ შეესაბამება მათივე გამოყენების არეალს.

ნაშრომში დასმული **საკითხებია:**

1. ფატიკური კომუნიკაცია, თავაზიანობა და სამეტყველო ეტიკეტი ზოგადსაკომუნიკაციო სივრცეში (სპარსული და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით).
2. ფატიკური კომუნიკაციისა და სპარსული *თააროფის* ურთიერთკვეთა სპარსულ სამეტყველო ეტიკეტში.
3. ფატიკური კომუნიკაციის ტიპები სპარსულ და ქართულ ენათა მასალების მიხედვით.

4. ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით სპარსული და ქართული ენობრივი მასალის კლასიფიცირება.
5. მიმართვისა და მოხსენიების ფორმათა ტიპოლოგია სპარსულ და ქართულ ენებში (თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული და ლექსიკური საშუალებები).
6. სპარსული *თააროფისა* და ფატიკური კომუნიკაციის ურთიერთმიმართება.

ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს:

1. ფატიკური კომუნიკაციის როლებრივი და ფუნქციური განსაზღვრა ირანულ და ქართველ ადამიანთა ურთიერთობებში.
2. სპარსულ და ქართულ ენებში არსებული ფატიკური გამონათქვამების განხილვა ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით.
3. აქტუალური საკითხების განხილვა ზოგადსაკომუნიკაციო და სამეტყველო აქტების თეორიის გათვალისწინებით.
4. სპარსულ ენაში ემპირიული მასალის კორპუსულ მასალაზე დაყრდნობით განხილვა.
5. პრონომინალიზაცია სპარსულში — თავაზიანობის ხარისხის მარკირების საშუალება სპარსულ მეტყველებაში.
6. ნაცვალსახელი და სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა როლის განსაზღვრა სპარსულ და ქართულ მეტყველებაში.

კვლევის მიზანია ფატიკური კომუნიკაციის, როგორც ადამიანურ ურთიერთობათა ერთ-ერთი სახის, მნიშვნელობის განსაზღვრა ირანულ და ქართულ ყოფით კულტურაში, ფატიკურ გამონათქვამთა აკუმულირება სპარსულ და ქართულ ენებში და მათი დახარისხება-დალაგება ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით, რაც მათ შემდგომ გამოყენებასა და მნიშვნელობათა დადგენას გაამარტივებს. ასევე, სპარსულში არსებული თავაზიანი გამონათქვამების ქართულ შესატყვისთა დამებნა და სპეციფიკური გამონათქვამების გამოყენების ექსტრალინგვისტური ფაქტორების

დადგენა. ფატიკური კომუნიკაციის თეორიული კვლევისათვის ფასეულია ცალკეულ ენებში დაძვინილი ემპირიული მასალა და მათი განზოგადება. სპარსულ ენაში ფატიკური კომუნიკაცია და თავაზიანი მეტყველება ფრაგმენტულადაა შესწავლილი.

ვფიქრობთ, ჩვენი ნაშრომი გარკვეულ წვლილს შეიტანს ფატიკური კომუნიკაციის შესწავლის საქმეში და სტიმულს მისცემს აღნიშნულ საკითხთა შემდგომ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით.

სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ემპირიული მასალა ეყრდნობა პირადად ჩვენ მიერ სხვადასხვა წლებში ირანში ვიზიტებისას საველე სამუშაოების ჩატარებით შეგროვებულ ინფორმაციას, მასალის ნაწილი ამოღებულია სხვადასხვა ტიპის სასწავლო სახელმძღვანელოებიდან, ტელე- და რადიოგადაცემებიდან, ე.წ. „ტივი-შოუებ“-იდან (TV Shows), რომლებიც შეიცავენ ცოცხალი მეტყველების ან ცოცხალ მეტყველებასთან ძალიან დაახლოებულ მაგალითებს, ასევე მასალის კლასიფიკაციისას ვეყრდნობით სპარსული და ქართული ენის კორპუსებს.

სპარსულ ენაზე არსებული მასალა მოვიძიეთ და გადავამოწმეთ რამდენიმე წყაროს დახმარებით:

1. უფსალის სპარსული ენის კორპუსიდან (UPC), ეს კორპუსი წარმოადგენს 2004 წელს შექმნილი ბეჟანხანის კორპუსის (Bejankhan 2004) მოდიფიცირებულ ვერსიას. იგი მოიცავს ანოტირებულ 2.704.028 ერთეულს.
2. სპარსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოები:
 - ა) აბულაძე ი. სპარსული ენის სახელმძღვანელო (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1953.
 - ბ) თუმიშვილი ლ. კლასიკური სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა, თბილისი: „უნივერსალი“, 2012.
 - გ) გიუნაშვილი ჯ. სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1987
 - დ) 1971/1390 حسن گيوي، حسن انوري، دستور زبان فارسي، فاطمی

يعت، دستور زبان فارسي، چاپ دوم، 1350/1932

3. სპარსული ენის ორენოვანი ლექსიკონები:

ა) Almaani dictionary, URL:

<https://www.almaany.com/fa/dict/faar/%D8%AA%D8%B9%D8%A7%D8%B1%D9%81/> (ნანახია 01/08/2019).

ბ) The free dictionary, URL: <https://www.thefreedictionary.com/phatic> (ნანახია 01/08/2019)

გ) Vajeiab Dictionary, URL:

<https://www.vajehyab.com/moein/%D8%AA%D8%B9%D8%A7%D8%B1%D9%81%20> (ნანახია 01.08.2019).

დ) Wordsense.eu – dictionary: Synonyms, word origin & meanings, URL:

<http://www.wordsense.eu> (ნანახია 01/08/2019).

ე) Рубинчик Ю. А. *Персидско-Русский Словарь (Том1-2)*, Москва: Издательство Советская Энциклопедия, 1970.

ვ) სპარსულ-ქართული ლექსიკონი, შეადგინა ალექსანდრე ელერდაშვილმა, თბილისი: უნივერსალი, 2012.

ზ) ქართულ-სპარსული ლექსიკონი, შემდგენელი - ნუგზარ ლაჩინანი, თბილისი, 2008.

სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონები:

ა) فرهنگ زبان آموز فارسی. سطح مقدماتی

ب) فرهنگ فارسی. 1-4. محمد معین. خانه سه پری. تهران. 1375

گ) فرهنگ روز سخن به سر رستی دکتر حسن انوری. خانه مهرات. 1373

4. სპარსული ენის სასაუბროები:
- ა) ფათემი მ., კალაძე ი. ვისაუბროთ სპარსულად: სპარსული ენის პრაქტიკულად შესწავლისათვის, თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1973.
- ბ) Радовильский М. Мы говорим по-персидски, Москва: Наука, 1972.
5. სპარსული ენის სასწავლო კურსები, რომლებიც განკუთვნილია სპარსულის, როგორც უცხო ენის სწავლებისათვის. გამოვიყენეთ, როგორც ირანელი ავტორების, ასევე არაირანელი ავტორების მიერ შედგენილი სასწავლო სახელმძღვანელოები:
- ა) ლ. გეგუჩაძის ავტორობით შედგენილი სახელმძღვანელო „ქართული ენა სპარსულენოვანთათვის“. (გეგუჩაძე, 2004).
- ბ) 1378. سيد حامد رضیئی. فارسی نوشتاری-گفتاری. ویژه دانشجویان فرانسہ زبان. چا پخانه ایران گرافیک.
- გ) 1379. آموزش زبان فارسی. کتاب 1-2. انتشارات بین المللی الهدی.
- დ) 1396. مینا 1-2. کانونچا.
- ე) 1397. /مجتمع چاپ رضوی.
- ვ) Purnamdariani T. Persian lessons for foreigners: an elementary course, Tehran: Institute for Humanities and cultural studies, 1999.
- ზ) Farzad N. Modern Persian, London, Hodder Education, 2004.
- თ) Иванов В.Б. Учебник современного персидского языка (фарси). 2000.
6. ჩვენ მიერ ირანში სხვადასხვა წლებში (2000, 2005, 2008, 2014, 2016, 2017, 2018) ვიზიტებისას შეგროვებული მასალა.
- საველე სამუშაოები ვაწარმოეთ შემდეგი მიმართულებით:
- ირანში ყოფნის მთელი დროის მანძილზე ვაკვირდებოდით სპარსულენოვან რესპონდენტთა ყოველდღიურ მეტყველებას.
 - სხვადასხვა ტიპის კითხვარების საშუალებით;
 - მოკლე ინტერვიუების გზით;

ქართული ენის მასალა მოძიებული და გადამოწმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსის (GNC) და ქართული ენის კორპუსის (GLC) მონაცემთა მიხედვით. დამუშავებულია ქართული ენის სასწავლო სახელმძღვანელოები, უმეტესად ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების სასწავლო კურსები (ქართული ენის სახელმძღვანელო ზრდასრულთათვის), ტელეგადაცემები და ტელესერიალები.

ქართული ენის ეროვნული კორპუსი წარმოადგენს არნოდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროექტს. იგი შედგება შემდეგი ქვეკორპუსებისაგან:

1. ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ძველი ქართული
2. ქართული ენის ეროვნული კორპუსი, საშუალო ქართული
3. ქართული ენის ეროვნული კორპუსი, ახალი ქართული
4. ქართული ენის რეფერენციალური კორპუსი
5. ქართული დიალექტური კორპუსი
6. სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში
7. ქართული ენის ეროვნული კორპუსი: პოლიტიკური ტექსტები
8. ქართული ენის ეროვნული კორპუსი, საშუალო ქართული: იურიდიული ტექსტები
9. ქართული ენის ეროვნული კორპუსი: მეგრული
10. ქართული ენის ეროვნული კორპუსი: სვანური

ჩვენი ნაშრომისათვის რელევანტურია ახალი ქართული ენის, დიალექტურ და სოციოლინგვისტურ კორპუსთა მონაცემები.

რაც შეეხება ქართული ენის კორპუსს, იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის პროექტია. მოცულობით შედარებით მცირე კორპუსია, მოიცავს 100.000.000-ზე მეტ ერთეულს და

მონოლინგვური და ბილინგვური ერთეულების სახით მოიცავს სამეტყველო ეტიკეტის თვალსაზრისით საინტერესო მასალას.

ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობას განაპირობებს ის, რომ მასში განხილულია თავაზიანობისა და სამეტყველო აქტების თეორია სპარსული და ქართული ენების მაგალითზე. ნაშრომი აფართოებს სპარსულ ენაში ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო ეტიკეტის კვლევითს არეალს ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, რაც კულტურათაშორის ურთიერთობათა სფეროში პრაქტიკული გამოყენების საშუალებასაც იძლევა.

პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით დამუშავებული მასალა და მიღებული დასკვნების გამოყენება შესაძლებელი და, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც სურს, უკეთ გაეცნოს სპარსულ და ქართულ სამეტყველო ეტიკეტს და მის ვერბალურ გამოხატულებას ირანული და ქართული ეტიკეტური სიტუაციების მაგალითზე. დამუშავებული მასალა შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს ქართული ენის სწავლების, სოციოლინგვისტიკის, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ზოგად კურსებში; დიპლომატიური ურთიერთობებისა და ბიზნესკომუნიკაციის წარმართვის სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტური ანალიზის შეპირისპირებითი და აღწერითი მეთოდები. გამოყენებულია მონაწილეთა მეტყველებაზე დაკვირვების მეთოდი.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდები (მოიცავს გამოკითხვას, ინტერვიუს, მასალის ანკეტირებას, შეგროვებული მასალის დახარისხებას, რომელიც გამოისახება რაოდენობრივად - ჩვენი თემის შემთხვევაში - მეტყველებაში დადასტურებული ემპირიული ერთეულის გამოყენების სიხშირე გამოსახული რიცხვებში). კვლევის რაოდენობრივი მეთოდები დამახასიათებელია სოციალური კვლევებისათვის, რომელთაც სოციოლინგვისტიკა სესხულობს და წარმატებით იყენებს სოციოლინგვისტურ კვლევებში.

შეპირისპირებით - ტიპოლოგიური ანალიზი.

ნაშრომი სტრუქტურულად შედგება **შესავალი ნაწილის**, **სამი თავისა და დასკვნებისაგან**. ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

პირველ თავში მიმოვიხილავთ *ენის რაობასა და მის ფუნქციებს* სხვადასხვა ავტორის ნაშრომთა მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენის **ფატიკურ ფუნქციას** და მისი გამოყენების **ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ** ფაქტორებს. დასმულია საკითხი **ფატიკური კომუნიკაციის არსის** შესახებ. ფატიკური კომუნიკაციის სტრუქტურულად განხილვა ხდება სპარსული და ქართული ენების მასალაზე დაყრდნობით. ფატიკური კომუნიკაცია განხილულია სამეტყველო ეტიკეტის ჩრილში და შედარებულია სპარსულ *თააროფთან*. შევეცადეთ გამოგვეყო საკუთრივ *თააროფის* ფუნქციები, განგვესაზღვრა მისი ფატიკური ასპექტები. ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო ეტიკეტის ნორმათა ჩრილში გაგვეანალიზებინა **გულწრფელობის** ხარისხი სოციალურ ურთიერთობებში.

ნაშრომის **მეორე თავი** მოიცავს **ფატიკური კომუნიკაციის ტიპების კლასიფიკაციას** ქართულ და სპარსულ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით. გამიჯნულია **ცამეტი** ეტიკეტური ჟანრი სპარსული და ქართული ენისა და მეტყველების თავისებურებათა გათვალისწინებით. დახასიათებულია თითოეული ტიპი, მისადაგებული აქვს სიტუაციურად განპირობებული თავაზიანი ფორმულები. ეტიკეტურ სიტუაციათა დახასიათებას, მოსდევს ქვეთავი, სადაც განვიხილავთ **სპარსულ და ქართულ ყოფით** სიტუაციებში **ტიპოლოგიურ მსგავსება-განსხვავებებს**.

მესამე თავი ეძღვნება თავაზიანობის გამოხატვის **გრამატიკულ და ლექსიკურ საშუალებებს**. საგანგებოდაა განხილული ქართულ და სპარსულ ენებში **ნაცვალსახელი** და მისი ფუნქციური დატვირთვა სამეტყველო ეტიკეტსა და ფატიკური კომუნიკაციის პრიზმაში. ამავე თავში საუბარია **პრონომინალიზაციის** ანუ **განაცვალსახელების** პროცესის შესახებ, რომელიც, როგორც კვლევამ აჩვენა, სპარსულ ენაში თავაზიანობის გამოხატვის მნიშვნელოვანი ხერხია. დაწვრილებითაა აღწერილი პრონომინალიზაციის პროცესის შედეგად ენაში მიღებული ერთეულების გამოყენების თანაფარდობა **პირველ, მეორე და მესამე** პირებთან მიმართებით სპარსულ ენაში.

რაც შეეხება ქართულ ენას და ქართულ სამეტყველო ეტიკეტს, პრონომინალიზაცია აქ სუსტადაა წარმოდგენილი. ვეყრდნობით შ. აფრიდონიძის კვლევას და ვიმეორებთ მის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ განაცვალსახელებული სხვა მეტყველების ნაწილებზე საუბრისას ქართულ ენაში შეიძლება ერთი მაგალითის მოყვანა, ესაა სიტყვა „თავი“. ნაცვალსახელთა და პრონომინალიზაციის პროცესის გვერდით, თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებებში მოქცეულია თავაზიან ზმნათა ჩამონათვალი, როგორც სპარსულ, ასევე ქართულ ენაში. დაჯგუფებულია თავაზიანობის გამოხატვის ლექსიკური ერთეულები, რაც გულისხმობს, ძირითადად, მიმართვის ფორმებს. *მიმართვის ფორმები კლასიფიცირებულია თავაზიანობის რეგისტრთა მიხედვით: ოფიციალური, ნეიტრალური და ფამილარული მიმართვის ფორმებად.*

ნაშრომს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია ქართულ, ევროპულ და სპარსულ ენებზე. ასევე საილუსტრაციო მასალა.

ნაშრომში სპარსულ ენაზე მოყვანილი საილუსტრაციო მასალა გადმოცემულია ლათინური ტრანსკრიფციით. ტრანსკრიბირების დროს ვეყრდნობით ქართველ ირანისტ-ენათმეცნიერთა მიერ შედგენილ „სპარსული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესებს“. ამ წესთა სახელმძღვანელო შესრულებულია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, და მისი ნახვა შესაძლებელია სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <http://enadep.gov.ge>.

„სპარსული ენის ბგერითი სისტემის ქართულად ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის სახელმძღვანელო წესების ადაპტირებული ვარიანტი:

ცხრილი 1

სპარსული	IPA საერთაშორისო ფონეტიკური ანბანი	საერთაშორისო ირანული ტრანსკრიფცია
	b	b
	p	p

	m	m
	v	v
	u:	û
	o	o
	ow	ou
	f	f
	d	d
/	t	t
	n	n
	z	z
	l	l
	r	r
	dʒ	j
	tʃ	č
	ʒ	ž
	ʃ	š
	g	g
ك	k	k

	γ̃G	q
	x	x
	G̃γ	q
	h	h
	ʔ	ʔ/-
	ɒ: æ	å ä
ی/ای	i:	ī
ی	j	y
	ej	ei
◌	o	o,

საკითხის ისტორიისათვის

სამეტყველო ეტიკეტისა და ფატიკური კომუნიკაციის შესწავლის ისტორია არც თუ დიდი ხნისაა. აღნიშნულ საკითხთა კვლევები მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ეტიკეტი, როგორც მოვლენა - პირველივე ეთნოგრაფიული ნაშრომების შესწავლის საკითხი იყო. გამორჩეული ჩაცმულობა, ქცევის ნორმები, სხვადასხვა ხალხებში გავრცელებული რიტუალები თუ წეს-ჩვეულებები ყოველთვის სათანადოდ იყო აღწერილი და გადმოცემული ისტორიულ, ეთნოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ნაშრომებში. სამეტყველო ეტიკეტის შესწავლა შედარებით გვიან დაიწყო – გასული საუკუნის მიწურულს, ხოლო ჩვენი საუკუნის დასაწყისში სამეტყველო ეტიკეტისა და მასთან დაკავშირებული კომუნიკაციის ფორმების კვლევა დიდი ინტენსივობით მიმდინარეობს. ფატიკური კომუნიკაციის შესწავლის ისტორიაც აქედან იწყება.

სამეტყველო ეტიკეტისა და საუბრის ფორმების შესახებ მრავალი სამეცნიერო კვლევა და ნაშრომია. მეტყველების სახეებსა და ფორმაზე საუბრისას ი.გოფმანი წერს, რომ *მისალმება* შეიძლება განიხილოს, როგორც *პატივისცემის* გამოხატვის რიტუალი, სცენა, რომლის მიზანიც არის *პიროვნული იმიჯის* შექმნა და ადრესატის *განწყობის ამალგა* (Goffman 1981). ჯ. ლიჩი საუბრობს სიმპათიისა და გულახდილობის პოსტულატებზე, რომელნიც დაკავშირებულია სამეტყველო ეტიკეტთან (Leech 1981). თავაზიანობის, თავაზიანი საუბრის და სამეტყველო ეტიკეტის შესახებ საფუძვლიანი კვლევაა ბრაუნისა და ლევინსონის ერთობლივი ნაშრომი: „Politeness: Some universals in Language usage“ (Brown, Levinson 1987), სადაც განხილულია *სახის (face)* კონცეპტი. თავაზიანობა და თავაზიანი საუბარი, აღნიშნული კვლევის მიხედვით, მიჩნეულია, როგორც *სახის შენარჩუნების* საშუალება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ *სახე*, როგორც სოციალური ღირებულება, პირველად ი.გოფმანმა შემოიტანა მეცნიერებაში. ბრაუნი და ლევინსონი *სახეს*, განიხილავენ, როგორც უნივერსალიას, რომელიც მოიცავს სოციალურ იმიჯს, და მის შენარჩუნებაზე ზრუნავს საუბრის მონაწილე ორივე მხარე: მსმენელი და მოუბარიც (ადრესატი-ადრესანტი). ვერბალური კომუნიკაციის დროს, ყოველი მხარე ცდილობს,

თავაზიანი საუბრის ხარჯზე, შეინარჩუნოს საკუთარი სახე და ხელი შეუწყოს, შეუნარჩუნოს ადრესანტს სოციალური იმიჯიც (სახე). ამასთანავე, სახის შენარჩუნება არაა კომუნიკაციის მიზანი, თუმცა ეს არის პირობა, რომლის დაცვის გარეშეც წარმატებული კომუნიკაცია ვერ შედგება. ბრაუნი და ლევინსონი გვთავაზობენ სახის ორ ტიპს: დადებითს (Positive Face) და უარყოფითს (Negative Face). ნეგატიური სახის ცნების ქვეშ ისინი განიხილავენ ზრდასრული ადამიანის უფლებას, თქვას და ისაუბროს შეზღუდვების გარეშე, სხვისი აზრის გაუთვალისწინებლად, ანუ: ადამიანი ასეთი ქცევის დროს ხაზს უსვამს საკუთარ დამოუკიდებლობას. დადებითი სახის გაგება მოიაზრებს ადამიანის სურვილს, იყოს თავაზიანი, პატივი სცეს მოსაუბრეს და პატივს სცემდნენ თავად მასაც. ბრაუნისა და ლევინსონის მიხედვით, თავაზიანობასაც ორი მხარე აქვს: დადებითი და უარყოფითი, და თავაზიანობის თითოეული გამოვლინება შეადგენს საკომუნიკაციო სისტემის სტრატეგიას, რომლის საშუალებითაც მიიღწევა მთავარი: მოუბართა შორის ყალიბდება თავაზიანი ურთიერთობა, კომუნიკაცია არის წარმატებული. ხსენებულ ნაშრომში ნათქვამია, რომ თავაზიანობას შესაძლოა ჰქონდეს კულტურათაშორისი განსხვავებები, მაგრამ ეს კვლევა განიხილავს თავაზიანობის გამოხატვის უნივერსალიებს (ეს აზრი გატარებულია ნაშრომის სათაურშივე) (Brown, Levinson 1987, 236).

სახის კონცეპტის განზოგადება, ჩვენი აზრით, შესაძლებელია, ძირითადად, ევროპული ეტიკეტის ფარგლებში. დასავლურ ეტიკეტში ამოსავალი წერტილია პიროვნება და შემდეგ — საზოგადოება, ხოლო აღმოსავლური ეტიკეტისათვის ბრაუნისა და ლევინსონისეული თავაზიანობისა და სახის იდეა რთულად მისაღებია: აღმოსავლურ ეტიკეტში ცენტრალური ადგილი უჭირავს კოლექტიურ ღირებულებებს. სწორედ ეს ძირითადი ნიშანი განასხვავებს ერთმანეთისაგან აღმოსავლურ და დასავლურ ეტიკეტს. სახის კონცეპტზე საუბარს აქ მხოლოდ ამ მცირე მიმოხილვით დავასრულებთ.

თავაზიანი მეტყველება, სამეტყველო ეტიკეტი და ქცევის ნორმები ფუნდამენტურადაა შესწავლილი რუსულ საენათმეცნიერო წრეებში. ამას მოწმობს აღნიშნული თემებისადმი მიძღვნილი უამრავი ნაშრომი, სტატია თუ წიგნი. (

1978, 1983, 2002;

1989, 2002, 2005;

,

1978;

1985; 2001; 2003 და სხვები). საყურადღებოა ა. ფორმანოვსკაიას შრომები, რომლებშიც *სამეტყველო ეტიკეტის ცნება* საკმაოდ დეტალურადაა შესწავლილი. იგი განიხილავს სამეტყველო ეტიკეტთან დაკავშირებულ ტიპურ სიტუაციებს. ა. ფორმანოვსკაია *მისაღმებას, დამშვიდობებას, ბოდიშის მოხდას, მაღლობებს (მრავლობითობით გამოვსახავთ მაღლობის თქმის სიტუაციურ მრავალრიცხოვნობას), თხოვნას, გაცნობას* და ა.შ. უწოდებს „სამეტყველო სიტუაციის თემატურ ერთეულებს“. იგი თვლის, რომ სამეტყველო ეტიკეტი წარმოადგენს ნაციონალურ-სპეციფიკურ ვერბალურ ერთეულთა მიკროსისტემას, რომელიც მიღებულია საზოგადოებაში, რათა სამეტყველო ქცევის წესების მიხედვით დარეგულირდეს კომუნიკაციის პროცესი და სათანადოდ გაგრძელდეს კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულება (1989).

სამეტყველო *აქტების* შესახებაა ა. ვეჟბიცკას ნაშრომი, რომელშიც განხილულია ენისა და მეტყველების მიმართება, დასმული და გაანალიზებულია *საკვანძო საკითხები სამეტყველო აქტების თეორიის* შესახებ (Вежбицка 1985).

ენათმეცნიერებაში ჩვენთვის საინტერესო საკითხების შესახებ მრავალი ფუნდამენტური შრომა არსებობს. შესაძლებელია შესწავლილ საკითხთა კლასიფიკაცია მიმართულებათა მიხედვით: თეორიული საკითხები (Brown, Levinson 1987; Bulher 2011; Carnie 2013; Fernandes 1999), საუბრის ფორმები, კომუნიკაციის რაობა და ტიპები (Goffman 1981), კომუნიკანტთა როლებრივი დანიშნულება (Gunter 2005), საუბარში ჯერობისა და ინტონაციის ფუნქცია (Beeman 2001), თავაზიანობა და მისი გამოხატვის ენობრივი მექანიზმები (Fraser 1990), სამეტყველო ეტიკეტი და ფატიკური კომუნიკაციის არსი (Gunter, 2019; Hebart), ენისა და მეტყველების ურთიერთმიმართება და პარალინგვისტური ფაქტორები (1983; Stanley, Lebaron 2001; 1985), ასევე ეტიკეტის ენციკლოპედიები (1990; 2001).

საქართველოში სამეტყველო ეტიკეტის ცალკეული მიმართულებით შესწავლა და ფატიკური კომუნიკაციის როლი ადამიანთა ურთიერთობებში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი. ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ძალზე საინტერესო ნაშრომები

გამოქვეყნდა: *კომუნიკაციური ლინგვისტიკა*, ეტიკეტის *პრაგმა-სემანტიკის* საკითხები, *ფატიკური კომუნიკაცია* და მისი გამოხატულება; *თავაზიანობის სტრატეგიები*; თავაზიანობის გამოხატვის *ენობრივი* მექანიზმები (დემეტრაძე, გოქსაძე 1996; კიკვიძე 1999; სარჯველაძე 1997; ყუფარაძე, ლორთქიფანიძე 2015), მიმართვის თეორიული საკითხები და მიმართვის თავაზიანი ფორმები (აფრიდონიძე 2003; ლევინიძე 2017; რუსიშვილი 2007); თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული კატეგორიები (კიკვიძე 1999; სარჯველაძე 1997). *სამეტყველო ეტიკეტი* და მისი *სოციოლინგვისტური* ასპექტები (აფაქიძე 2008; ლევინიძე 2017; ჯაში 1990), *დიალოგური მეტყველება* (ზექალაშვილი 2012), *სამეტყველო აქტების თეორია* (ცაგურია 2018). ფატიკური კომუნიკაციის *ყოფითი თავისებურებანი* დასავლეთ ევროპულ ენათა მასალაზე დაყრდნობით (გოქსაძე, დემეტრაძე 1996, ბოჭორიშვილი 2008; მჭედლიშვილი 2011;). ქართველ ირანისტთა შორის მრავალი ნაშრომია შემდეგი საკითხებით: *საკარო, სალიტერატურო, ყოფითი ეტიკეტის* საკითხები (კვაჭაძე 1998, 2008, 2010, 2011, 2019), *ენობრივი ურთიერთობების* საკითხების ზოგადი მიმოხილვა და *ნომინაციურ-კომუნიკაციური ნასესხობები* (ანთაძე-მალაშხია 2015-2018; შურღაია 2008, 2014), *კულტურულ და ენობრივ ურთიერთობათა* საკითხები (შურღაია 2007; ბართაია 2014, 2016).

სპარსული *თააროფი* სამეცნიერო კვლევებში სხვადასხვა კუთხითაა განხილული: *ემოციათა გულწრფელობა* თააროფში (Beeman 2001), *თააროფის ყოფითი და კულტურული გამოხატულება* (Edward, Brown 1893); *ეტიკეტური სიტუაციები* თააროფში (Karimnia, Afghari 2011; Kourish 2017; Koutlaki 1997-2017;); *მიმართვის ფორმები, ფორმალური და არაფორმალური* მიმართვის ფორმები (Nanbakhsh 2012).

საქართველოში თავაზიანობის, სამეტყველო ეტიკეტისა და ფატიკური კომუნიკაციის საკითხებით დაინტერესება დიდია. თავაზიანობის კონცეპტი სხვადასხვა მიმართულებით განხილულია როგორც საკუთრივ ქართულ ენაში, ასევე სხვა ენებთან მიმართებითაც. საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი და დამუშავებული სამეტყველო ეტიკეტი და ყოფითი თავისებურებანი ინგლისურ, ესპანურ, იტალიურსა და ფრანგულ ენებში, ქართულთან მიმართებით (დემეტრაძე

1996; ცერცვაძე 1999; ბოჭორიშვილი 2008; აფაქიძე 2008; მჭედლიშვილი 2011; ლევიძე 2017). საკუთრივ ქართულ ენაში ფუნდამენტურადაა შესწავლილი მიმართვის ფორმები, დიალოგური მეტყველება ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლების გათვალისწინებით, სამეტყველო აქტები და სამეტყველო სტრატეგიები, თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული და ლექსიკური საშუალებანი (აფრიდონიძე 2003; ზეჟალაშვილი 2012; სარჯველაძე 1997; ცაგურია 2018)

საგულისხმოა 1999 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი: „მრავლობითი თუ თავაზიანი ფორმა: გრამატიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა“ ენათმეცნიერ ზ. კიკვიძის ავტორობით. ავტორი ნაშრომში თავაზიანობის კონცეპტის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს ეხება, როგორცაა თავაზიანობის გამოხატვის გზები ენაში არსებული რესურსების გათვალისწინებით, მეცნიერი ფართოდ განიხილავს - *პრონომინალიზაციის* პროცესს სხვადასხვა ენის მაგალითზე და გვთავაზობს პირის ნაცვალსახელთა მიმართებით ტერმინის - *სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელის* გამოყენების ვარიაციებს. ამ ტერმინით განსაზღვრულ *პირის ნაცვალსახელებს* იგი განიხილავს სამეტყველო ეტიკეტისა და მეტყველების აქტების თეორიათა ჭრილში.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში ფაქტობრივად, პირველად განიხილება ზოგადად აღმოსავლური ეტიკეტის თავისებურებები და კონკრეტულად — სპარსული სამეტყველო ეტიკეტის საკითხები. ნაშრომი ეყრდნობა ისტორიულ-შედარებით და ტიპოლოგიური შესწავლის მეთოდებს. განვიხილავთ სპარსულ და ქართულ სამეტყველო ერთეულებს და მათი გამოყენების სფეროებს.

თავი პირველი

1.1 ფატიკური კომუნიკაცია, როგორც ენის ერთ-ერთი ფუნქცია

ენა კაცობრიობის ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მონაპოვარია. ენის, როგორც კომუნიკაციის ძირითადი წყაროს გარეშე წარმოდგენელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა, ფორმირება, განვითარება. ადამიანის ცხოვრების, ფაქტობრივად, ყველა ძირითადი დეტალი დამოკიდებულია ენაზე. ურთიერთობის სხვა საშუალებები - ჟესტები, მიმიკა, სურათები, ნიშნები და ა.შ. ვერ უზრუნველყოფენ კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლას სრულყოფილად; ყველა ეს საკომუნიკაციო საშუალება, გარკვეულწილად, დამოკიდებულია ბგერით ენაზე, თითოეული ნიშანი თუ სიმბოლო არის ბგერითი ენის გამოხატვის სახესხვაობა. ადამიანი ენის საშუალებით შეიმეცნებს გარესამყაროს, საკუთარ თავს, ეკონტაქტება სხვა ადამიანებს, ახდენს გავლენას მათზე და იქმნის საკუთარ *სახეს* (ნებიერიძე 1991; გამყრელიძე და სხვები. 2008).

ენის არსებობა ადამიანის ცხოვრებაში მეტად რთული და შეუფასებელი მოვლენაა. შეიძლება ითქვას, რომ „*ბუნებრივი ენა*“ განსაკუთრებული, უმნიშვნელოვანესი ფენომენია, რომელიც პიროვნების, ადამიანთა საზოგადოების, ერისა და თვით კაცობრიობის პირველადსა და სრულიად აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს“ (გამყრელიძე და სხვები. 2008). ენის როლსა და ფუნქციებზე ფიქრობდნენ და წერდნენ ფილოსოფოსები და ფილოლოგები - ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე.

ენათმეცნიერებისათვის ყოველთვის აქტუალური საკითხი იყო ენის, როგორც სისტემის და მეტყველების, როგორც ენობრივი კოდის რეალიზების ურთიერთობის შესწავლა. როდესაც საუბარია ენის ფუნქციათა შესახებ, რეალურად, იგულისხმება არა ენა, არამედ მეტყველება ან სამეტყველო ქმედება. ე. სეპირი წერდა, რომ ენით მოცულია ადამიანური ქმედების ყველა წვრილმანი, რაც ართულებს, დადგინდეს ენის ფუნქციათა ზუსტი რაოდენობა, გვარობა და მათ შორის გაივლოს ზღვარი


(1993). ენის რომელიმე ფუნქცია არ არსებობს დამოუკიდებლად, ისინი ურთიერთკავშირში არიან. მეცნიერები იკვლევენ ენას შემდეგი მიმართულებებით:

- ა. ენის სოციალური დანიშნულება, ანუ ენა საზოგადოებაში;
- ბ. ენისა და აზროვნების მიმართება, ანუ ენის მენტალური ფუნქციები;
- გ. ენის როლი მეტყველებასა და სამეტყველო ქმედებებში;

აქედან გამომდინარე, ენის ფუნქციათა ჩამონათვალი მრავალფეროვანი და არაერთგვაროვანია.

ენა კომუნიკაციის ჩარჩოს ცენტრალური ბირთვია, ენის პოლიფუნქციურობის გამო, ენობრივი სფერო მუდამ ცვლილებების პროცესშია, იგი ნაწვევრდება მარტივ ენობრივ ელემენტებად, რომელთა ურთიერთკავშირი გვამღევს ერთგვარი ქსელის ფორმატს, რაც საბოლოოდ გარდაიქმნება ვერბალური კომუნიკაციის წრედ:

კომუნიკაცია



ამ, ერთი შეხედვით, მარტივი სქემის მაგალითზე აშკარაა ენის ფუნქციათა მრავალფეროვნობა და მრავალგვარობა, ასევე ამ ფუნქციათა ურთიერთმიმართებები. ენის ფუნქციათა ურთიერთკავშირისა და კვეთის წყალობით ხერხდება ენის უმთავრესი ფუნქციის - საკომუნიკაციო ფუნქციის სრულყოფილი რეალიზება.

ზოგადად ენის ფუნქციათა ჩამონათვალი ასეთია:

საკომუნიკაციო - ენა არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება;

ექსპრესიული - ენის საშუალებით გამოიხატება ადამიანის ფიქრი და ნააზრევი;

მაკონსტრუირებელი - ენა არის აზრის ჩამოყალიბებისა და ხორცშესხმის საშუალება;

მააკუმულირებელი - ენაში ასახულია ეროვნული კულტურა და დაუნჯებულია კაცობრიობის ისტორიის მანძილზე შექმნილ ცივილიზაციათა ყველა მონაპოვარი (ჩიქობავა 1952);

ექსპრესიული - მოლაპარაკის განწყობის გამოხატვა;

აპელატიური - გულისხმობს მოსაუბრისადმი მიმართვას;

რეპრეზენტატიული - მოიცავს რაიმე ამბის მოყოლას, თხრობას (Bulher 2011; Leech 1981; 1968; Jacobson 1987; 1968; 1991; 2004);

აღწერილობითი - ენის საშუალებით განიმარტება მატერიალური და არამატერიალური სამყარო;

სოციალური - ენა არის საზოგადოებაში ურთიერთობის იარაღი;

ექსპრესიული - ენის საშუალებით გადმოიცემა მოსაუბრის განწყობა და სათქმელი (Lyons 1981);

ნომინატიური ანუ სახელდებითი - ენის საშუალებით შეიძლება მივანიჭოთ კონკრეტული სახელი საგანს და რეალურ მოვლენას;

ექსპრესიული ანუ გამოხატვის - გრძნობების, ემოციების, სურვილების გამოდმოცემა;

საკომუნიკაციო ანუ ურთიერთობის - სიტყვებითა და წინადადებების გზით კომუნიკაციის დამყარება;

დეიქტური ანუ ჩვენებითი - რაიმეზე მითითება, მინიშნება, ჩვენება (1996; 2005);

ექსპრესიული, საკომუნიკაციო, საარტიკულაციო (ნებიერიძე 1991);

როგორც ვხედავთ, მარტივი არ არის ენის ფუნქციათა შესახებ კვლევებისა და შეხედულებების ამომწურავად წარმოჩენა, მაგრამ ლინგვისტიკაში საგანგებოდაა გამოყოფილი ენის ორი მთავარი ფუნქცია, ეს არის საკომუნიკაციო და ექსპრესიული (გამომხატველობითი) ფუნქციები, რომელთა მიმართებაშიც ხდება ენის სხვა ფუნქციათა ჩამოთვლა და გაანალიზება. ენის, ამ ორი ფუნქციის მნიშვნელობის განსაზღვრაში ყველა ენათმეცნიერი თანხმდება, რომ საკომუნიკაციო და ექსპრესიული ფუნქცია არის ენის უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი ფუნქცია.

საკომუნიკაციო ფუნქცია ემსახურება ენის საშუალებით ინფორმაციის გადაცემას - „ენა პირობით ბგერით ნიშანთა სისტემაა, რომელიც გამოიყენება ადამიანთა საზოგადოებაში კომუნიკაციის, ინფორმაციისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალებად“ (გამყრელიძე და სხვები. 2008). ექსპრესიული ფუნქცია ემსახურება ინდივიდის მიერ საკუთარი ნააზრევის გამოხატვას ბგერითი ენის საშუალებით.

ენის შესწავლის თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიური ხანა იწყება ენათმეცნიერებაში. ამ პერიოდში ყალიბდება ლინგვისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება - სოციოლინგვისტიკა. თუკი ლინგვისტები და ენის ფილოსოფოსები მეოცე საუკუნის დასაწყისისათვის ენას შეისწავლიდნენ, როგორც ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემის ძირითად იარაღს, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, სოციოლინგვისტიკაში ენის შესწავლის მთავარი ასპექტი გახდა ენა, როგორც სოციალური მოვლენა, ენა, როგორც ადამიანური

ურთიერთობების დამყარებისა და წარმართვის საშუალება. ეს ნიშნავს იმას, რომ სოციოლინგვისტიკისათვის განსაკუთრებული შესწავლისა და კვლევის ობიექტი გახდა ენის საკომუნიკაციო ფუნქცია; აქვე განვითარდა ამ საკითხის შესახებ მრავალი ახალი თეორია და გაჩნდა შესაბამისი ტერმინოლოგიაც. ამ პერიოდს უკავშირდება კომუნიკაციის ერთ-ერთი სახეობის „ფატიკური კომუნიკაციის“ ინტენსიური შესწავლის დაწყებაც. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, რომან იაკობსონმა შექმნა კომუნიკაციური აქტის სქემა და ამ სქემის კომპონენტთა მიმართებაში განიხილა ენის ექვსი ძირითადი ფუნქცია, რომელთა შორის მოიძებნა ადგილი ენის ფატიკური ფუნქციისთვისაც. ითვლება, რომ სწორედ იაკობსონმა მიუჩინა ფატიკურ ფუნქციას ადგილი ენობრივ სისტემათა შორის და ჩაუყარა საფუძველი მის მეცნიერულ კვლევას. თანამედროვე ლინგვისტები რომან იაკობსონს თვლიან კომუნიკაციის შესწავლის თანამედროვე თეორიების არა მარტო წინამორბედად, არამედ - მის ფუძემდებლადაც.

რ. იაკობსონი ენის ექვს ძირითად ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას:

- რეფერენციული
- ემოციური
- კონოტიური
- პოეტური
- ფატიკური
- მეტაენობრივი (Jacobson 1987)

როგორც ვხედავთ, ექვსთაგან ერთ-ერთია ფატიკური ფუნქცია, რომელიც გულისხმობს შემდგარი/დამყარებული კომუნიკაციის შენარჩუნებას.

რ. იაკობსონმა ენის ფუნქციების გაანალიზებისას ააგო კომუნიკაციის სისტემური მოდელი, და ამ სისტემის თითოეული კომპონენტი დაუკავშირა ენის ფუნქციებს.

- ემოციური ფუნქცია - გამოხატავს მთქმელს.
- რეფერენციული ფუნქცია უკავშირდება კონტექსტს.
- პოეტური ფუნქცია მოიცავს გზავნილს/მესიჯს.
- ფატიკური ფუნქცია მიემართება კონტაქტს.
- მეტალინგვური ფუნქცია ეს არის კოდი.
- კონოტიური ფუნქცია უკავშირდება მსმენელს (Jacobson, 1985).

იაკობსონის თქმით, ჩამოთვლილი ფუნქციები ერთმანეთს არ გამორიცხავს, პირიქით - მათი თანაარსებობა კრავს მეტყველებას, და აქედან გამომდინარე მეტყველებისას ერთდროულად რამდენიმე ფუნქციის მნიშვნელობა იკვეთება. რთულია კომუნიკაციის დროს ენის ფუნქციათა შორის კონკრეტული საზღვრების გავლება.

ემოციური ანუ ექსპრესიული ფუნქცია მიემართება მოსაუბრეს. ამ ფუნქციის საშუალებით მოლაპარაკე მსმენელს აწვდის ინფორმაციას საკუთარი სათქმელის ან ნააზრევის შესახებ. მეტყველების პროცესში, ამ ფუნქციით იქმნება გარკვეული ემოციური წარმოდგენა მოსაუბრისა და საუბრის თემის ირგვლივ (2004).

რეფერენციული ფუნქცია გამოხატავს საუბრის კონტექსტს, გარემოს. კომუნიკაციის კონტექსტი შესაძლოა იყოს ოთახი, სადაც საუბარი მიმდინარეობს, იყოს კულტურა, რის ფარგლებშიც კომუნიკაცია წარმოებს ან თუნდაც, კონკრეტული ქვეყანა.

მეტყველების *პოეტური* ფუნქცია ორიენტირებულია სათქმელის ფორმაზე, სიტყვათა წყობასა და გზავნილის ესთეტიკაზე. ეს ფუნქცია ახასიათებს არა მხოლოდ პოეზიას, არამედ ყოველდღიურ მეტყველებას, იგი პასუხისმგებელია მთქმელის მიერ წარმოთქმული ფრაზის, როგორც ფორმოზრივ სრულყოფაზე, ასევე ენის დონისა და მეტყველების ტონზე.

ფატიკური ფუნქცია, იაკობსონის განმარტებით არის კონტაქტის დამყარების, ამ კონტაქტის გაგრძელებისა და შეწყვეტის ხერხი. ფატიკური ფუნქცია იძლევა საშუალებას კონტაქტის პროცესში გადამოწმდეს კონტაქტის არხი, გახადოს კომუნიკაცია ეფექტური მანამ, სანამ საუბარი გადავა ინფორმატიულობის ფაზაში (1985).

მეტალინგვური ფუნქცია აღწერს ენას, კოდს. წარმატებული კომუნიკაციისათვის საჭიროა მოუბართა შორის ერთი, საერთო კოდის გამოყენება.

კონატიური ფუნქცია ეს არის ზემოქმედების ფუნქცია, ანუ სიტყვის საშუალებით მოახდინო ზემოქმედება მსმენელზე, უბიძგებს მას რაიმე ქმედების ჩადენისაკენ. მსგავსი ფუნქცია, მაგალითად, გამოხატულია ზმნების სახეობებით: ბრძანების გამომხატველი ზმნები, თხოვნის გამომხატველი ზმნები, მტკიცების გამომხატველი ზმნები.

რომან იაკობსონმა, ენათა ფუნქციების მეტყველებასთან დაკავშირების გზით, შექმნა ვერბალური კომუნიკაციის მოდელი:

ადრესანტი	კონტექსტი	ადრესატი
	გზავნილი (მესიჯი)	
	კონტაქტი	
	კოდი	

მოცემულ მოდელში **ადრესანტი** არის მთქმელი (ვინც გზავნის გარკვეული შინაარსის მესიჯს).

ადრესატი არის ნათქვამის მიმღები (ვის მიმართაც არის ნათქვამი და ვინც იღებს გარკვეული შინაარსის მესიჯს).

გზავნილი ეს არის გარკვეული ინფორმაციის მატარებელი მესიჯი (ენობრივი ერთეული).

კონტაქტი არის ურთიერთობის გავრცელების გზა, არხი. **კონტაქტი** ეს არის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური არხი საკომუნიკაციო სივრცეში მონაწილეთა, ანუ ადრესატსა და ადრესანტს შორის, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნულ სივრცეში კომუნიკანტთა შესვლას და იქ ხანგრძლივად დარჩენის პროცესს (გარკვეული დროით დაწყებული ურთიერთობის შენარჩუნების პროცესს).

კოდი არის კონტაქტის დამყარების იარაღი, ანუ ენა (Jacobson 1985).

მოცემული სქემის მიხედვით ვითარდება კომუნიკაციის პროცედურა: გამგზავნი გზავნის შეტყობინებას, რომელსაც იღებს მსმენელი (მიმღები), მიმღები აბრუნებს საპასუხო მესიჯს. გზავნილი გადმოცემულია მოსაუბრეთა შორის არსებული საერთო კოდით, რომელიც საკომუნიკაციო არხის გზით მიდის და ბრუნდება ადრესატსა და ადრესანტს შორის. ფატიკური კომუნიკაციისათვის გამოიყენება მარტივი ენობრივი ფორმები, რომელთა ერთობლიობა ქმნის რთულ გამონათქვამებს. ამ გამონათქვამთა ინტერაქციას რ. იაკობსონი უწოდებს რიტუალიზებული ფორმულების გაცვლა-გამოცვლას (Jacobson 1985).

ფატიკური ფუნქციის შესახებ რომან იაკობსონი წერს: „საკომუნიკაციო სივრცეში ვხვდებით გზავნილთა (მესიჯი) გარკვეულ ტიპს, რომელიც ემსახურება საუბრის გახანგრძლივებას და კომუნიკანტთა საუბარში ჩართულობის უწყვეტლობის უზრუნველყოფას“ (Jacobson 1985). ეს არის ურთიერთობის დამყარების/სტაბილურობის ფუნქცია. ენის ფატიკური ფუნქცია, ენის ერთ-ერთი პირველი ფუნქციათაგანია, რომელსაც ადამიანი ითვისებს და იწყებს მის გამოყენებას დაბადებისთანავე, ამეტყველებამდე.

ტერმინი **ფატიკური**, ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ტიპის დასახასიათებლად, პირველად პოლონელმა მეცნიერმა ბრონისლავ მალინოვსკიმ გამოიყენა ნაშრომში “The Problem of Meaning in Primitive Languages”. მკვლევარმა, კუნძულ ტრობრიანის მცხოვრებთა ყოფისა და მეტყველების მრავალწლიანი დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ, ფატიკური კომუნიკაცია უწოდა აღნიშნულ კუნძულზე მცხოვრებ სოციალურ არსებულ ვერბალური კომუნიკაციის ერთგვარ ტიპს, რომელიც შედგებოდა არაფრისმთქმელი, მოკლე დიალოგისაგან

(გამოლაპარაკება) და ამგვარი კომუნიკაციის მთავარი დანიშნულება იყო არა ფაქტობრივი ინფორმაციის გადაცემა, არამედ სოციალური ურთიერთობების შენარჩუნება, სხვა სიტყვებით რომ დავახასიათოთ - ეს არის საუბარი საუბრისათვის (Malinowski 1923).

მალინოვსკისა და იაკობსონის დაწყებულმა კვლევებმა ენის ფატიკური ფუნქციისა და ფატიკური კომუნიკაციის შესწავლისათვის, საფუძველი ჩაუყარა აღნიშნულ საკითხთა წინ წამოწევისა და მათი შესწავლის გააქტიურებას შემდგომი პერიოდის ლინგვისტურ კვლევებში. ფატიკური კომუნიკაცია, როგორც ადამიანური ურთიერთობების საწყისი ბაზა დიდი ინტერესით განიხილება თანამედროვე ენათმეცნიერებაში; განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, სხვადასხვა მიმართულებით ბევრი მეცნიერის კვლევის ობიექტში მოექცა ფატიკური კომუნიკაცია ყოველდღიურ მეტყველებასა და მხატვრულ დისკურსში.

იაკობსონის თანამედროვეთაგან, უნდა აღინიშნოს ჯონ ოსტინი, რომელიც ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დაინტერესდა იაკობსონისეული თეორიით და საკუთარ კვლევებში დიდი ადგილი დაუთმო სიტყვის ძალისა და ზემოქმედების კვლევას ცოცხალ მეტყველებაში. ოსტინმა, ფატიკური ხასიათის ენობრივი ფორმები განიხილა სოციალურ და ლინგვისტურ ჭრილში. ჯონ ოსტინი აღნიშნულ თემებზე კითხულობდა ლექციებს, რომელთა წიგნად გამოცემაც სიცოცხლეში ვერ მოასწრო, თუმცა ოსტინის გარდაცვალების შემდეგ, მისი ლექციები შეაგროვა და წიგნად გამოსცა ჯ.სირლმა, იგი ოსტინის სტუდენტი იყო; წიგნს ეწოდა „ენა, როგორც ქმედება“. წიგნში თავმოყრილია ოსტინის მიერ სხვადასხვა დროს წაკითხული ლექციები, რომელთა მთავარი თემა იყო ვერბალურ საკომუნიკაციო სივრცეში სიტყვათა გამოყენების ძალა, შესაბამის საკომუნიკაციო ჟანრის მიხედვით შერჩეული სიტყვის ეფექტურობის ხარისხი და ფატიკური გამოთქმების ადეკვატურად გამოყენების როლი წარმატებული ურთიერთობების შესაქმნელად (1999).

1.2 ფატიკური კომუნიკაციის როლი ვერბალურ ურთიერთობებში

კომუნიკაცია რთული და საინტერესო პროცესია. იგი სხვადასხვა გზით, უწყვეტად მიმდინარეობს ადამიანთა შორის. ადამიანები კომუნიკაციის საშუალებით ურთიერთობენ გარესამყაროსთან და სხვა ადამიანებთან, ახდენენ ერთმანეთზე შთაბეჭდილებას და მათ უყალიბდებათ გარკვეული წარმოდგენები გარესამყაროსა და საკუთარ თავზე. კომუნიკაცია არის ხიდი, რომელიც ადამიანებს ერთმანეთთან აკავშირებს, უზრუნველყოფს ამ კავშირის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

განასხვავებენ კომუნიკაციის ორ სახეობას: *ვერბალურსა და არავერბალურს*. *ვერბალური* კომუნიკაცია არის ენობრივი მეტყველება. *არავერბალური* კომუნიკაცია მოიცავს ქესტურ ანუ კინეტიკურ მეტყველებას და სხეულის ენას (1976). არავერბალურ კომუნიკაციად მიიჩნევა ასევე, გარკვეული გრაფიკულ-მხატვრული სიმბოლოებით საუბარი, ამის მაგალითია სოციალურ ქსელებში ურთიერთობის გავრცელებული გრაფიკული სახე, სხვადასხვა ემოციის გამომხატველი ე. წ. „ღიმილები“ (smile). არავერბალური კომუნიკაციის ელემენტები, როგორც წესი, ავსებს სიტყვიერ კომუნიკაციას, ეხმარება *სათქმელს* გახდეს უფრო მარტივად გასაგები და აღსაქმელი.

კომუნიკაციური პროცესების სწორად განვითარება დამოკიდებულია სხვადასხვა ასპექტზე: საკომუნიკაციო კოდი, არხი, კონტექსტი, ხმის ტონი, ინტონაცია, პოზა, მიმიკა და სხვა (2001). საკომუნიკაციო სპექტრთა რეგულირება ხდება ფატიკური კომუნიკაციის ნორმებისა და წესების მიხედვით.

ადამიანთა შორის წამოწყებულ ურთიერთობას სხვადასხვა მიზანი და დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს:

- რაიმე სახის ინფორმაციის მიღება ან გაცემა;
- საკუთარი აზრებისა და შეხედულებების გაზიარება;
- სხვაზე შთაბეჭდილების მოხდენა;
- დასახული ამოცანის ამოხსნა;
- შეთანხმების მიღწევა, სარგებელი და ა.შ.

კომუნიკაციის ყოველი ფორმა, თავის თავში, მოიცავს და ემორჩილება ფატიკური კომუნიკაციის ელემენტებს, ფატიკური კომუნიკაცია ახასიათებს ნებისმიერი მიზნისათვის წამოწყებულ ვერბალურ კონტაქტს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფატიკური კომუნიკაციის ტიპი, როგორც ადამიანურ ურთიერთობათა ერთ-ერთი სახე, პოლონელმა მეცნიერმა ბრონისლავ მალინოვსკიმ აღწერა, აქედანვე ჩაეყარა საფუძველი ფატიკური კომუნიკაციის მეცნიერულ შესწავლასაც.

ფატიკური კომუნიკაციის დასახასიათებლად, ბრონისლავ მალინოვსკიმ გამოიყენა სიტყვები: ცარიელი, არაფრის მთქმელი საუბარი (Malinowski 1923). მისი მოდელის მიხედვით ფატიკური კომუნიკაცია სამ ძირითად ნაწილადაა დაყოფილი: „მისაღმება“, „დამშვიდობება“ და „საუბარი ამინდზე“ (Malinowski 1923). თითოეული ეს მარკერი პირობითია და მოიცავს ენის სამეტყველო ეტიკეტის მთლიან ენობრივ და არაენობრივ მასალას.

ფატიკური კომუნიკაციის, ერთი შეხედვით, მარტივი და თითქოს შინაარსს მოკლებული განმარტება, რასაც ბრონისლავ მალინოვსკი გვთავაზობს, უფრო მეტად უსვამს ხაზს ამგვარი კომუნიკაციის არსებობის მნიშვნელობას ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. ფატიკური კომუნიკაცია ხელს უწყობს მოუბართა შორის თბილი და ნდობით სავსე ურთიერთობის დამყარებას. ფატიკური კონტაქტის წყალობით, ორი უცხო ადამიანიც კი, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო გარკვეული დროის მონაკვეთის ერთად გატარება მოუხდათ, უცხოობით გამოწყვეული უხერხული სიჩუმისა და პაუზის შევსებას მარტივად ახერხებს. საკმარისია ერთმა მხარემ წარმოთქვას „უშინაარსო“ ფატიკური ფრაზა, მაგალითად - დღეს როგორ ცივა/ცხელა/უცნაური დღეა და ა.შ., მეორე მხარემ ასევე „ცარიელი“ საპასუხო ფრაზა მიაგებოს (მართალი ბრძანდებით, დღეს ცივა/ცხელა/უცნაური დღეა) და წუთის წინ კომუნიკანტთა შორის არსებული სიჩუმე და უხერხულობის განცდა მაშინვე გაიფანტება. მოუბარნი სასიამოვნოდ გაატარებენ ერთად ყოფნის რამდენიმე წუთს და ბოლოს, ერთმანეთს გამოემშვიდობებიან თბილად, დამშვიდობების შემცველი ფრაზებით. მსგავს სიტუაციებში სასიამოვნო და მეგობრული გარემოს შექმნა

ფატიკური კომუნიკაციის ნორმათა გათვალისწინებით ხერხდება (Coupland და სხვები.1992).

ფატიკური კომუნიკაცია შესაძლოა შედგეს:

1. კარგად ნაცნობთა შორის;
2. უბრალო ნაცნობებს შორის;
3. სრულიად უცნობებს შორის;

როდესაც ხვდებით ადამიანს, რომელთანაც მხოლოდ ნაცნობობა გაკავშირებთ, იმის საჩვენებლად, რომ თქვენ კარგად აღზრდილი და თავაზიანი ადამიანი ხართ, თბილ მისალმებას შეიძლება მოკლე ფატიკური გამოლაპარაკებაც დაურთოთ, რაც ხელს შეუწყობს თქვენ შორის არსებული ურთიერთობის (ანუ ნაცნობობის) შენარჩუნებას, და გაჩნდება შესაძლებლობა იმისა, რომ არსებული ურთიერთობა შემდეგ ეტაპზე გადავიდეს და გაღრმავდეს.

ფატიკური კომუნიკაციისას სასაუბრო თემებიც თავისებურია. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ მოითხოვს გამიზნულ და ინფორმაციულ გზავნილებს, რაც ხელს უწყობს სასაუბრო თემათა არჩევანში ინდივიდთა სრულ თავისუფლებას. ერთადერთი, რაც ფატიკური კომუნიკაციის წარმატებისათვის გასათვალისწინებელია, არის მოსაუბრეთა შორის არჩეული თემის რელევანტურობა ორივე მხარისათვის და საკომუნიკაციო კოდის (იგულისხმება ენა, ჟესტები, მიმიკები, გრაფიკული ნიშნები) გარკვეულ დონეზე, თანაბარი ცოდნა.

ფატიკური კონტაქტის დროს, ძირითადად, გავრცელებულია საუბარი ზოგად თემებზე: ამინდის (ფატიკურ საუბარს უწოდებენ - „საუბარი ამინდზე“), ბავშვების, სახლის ან სტუმრის მხრიდან მასპინძლის კულინარიული მიღწევების შესახებ. ხშირად იწყება საუბარი სახლის მორთულობის, ოთახში გამოფენილი სურათების, პატარ-პატარა საგნების ან ავეჯის თაობაზე და სხვა. თანამოსაუბრეებმა მსგავსი ტიპის კონტაქტის შემდეგ შესაძლებელია ერთმანეთზე გაცილებით მეტი გაიგონ, ვიდრე იცოდნენ (გამყრელიძე 2008).

1.3 ფატიკური კომუნიკაცია და სპარსული თააროფი

ჩვენი ნაშრომის ძირითადი თემაა ფატიკური კომუნიკაცია სპარსულში. ეტაპობრივად ვეცდებით, ავხსნათ და განვსაზღვროთ ფატიკური კომუნიკაციის არსი და მნიშვნელობა ირანულ ყოფაში. სპარსულში თავაზინობის, სამეტყველო ეტიკეტისა და ფატიკური კომუნიკაციის განხილვა შედის ირანული კულტურისათვის მეტად საინტერესო მოვლენის *თააროფის* შემადგენლობაში. თააროფის საგანგებოდ განხილვის გარეშე შეუძლებელია სრულყოფილი იყოს საუბარი ზემოთ ჩამოთვლილ საკითხთა შესახებ. თააროფი შინაარსობრივად შეგვიძლია სამეტყველო ეტიკეტის სინონიმად გამოვიყენოთ, ფუნქციურად კი - ზოგადსაკომუნიკაციო თეორიების მიხედვით, ფატიკურ კომუნიკაციას გავუთანაბროთ. ამასთანავე თააროფი არის კრებსითი სახელი, რომელიც მოიცავს ერის მსოფლმხედველობას, ამ ერში გავრცელებულ ყოფით ნორმებს, ყოველდღიური ცხოვრების დადგენილ წეს-ჩვეულებებს.

თააროფი, ირანის ყოფაში, რთული, მრავალშრიანი და ამოუწურავი მოვლენაა, რომელიც მოითხოვს რამდენიმე მიმართულებით განხილვას. თააროფის განმარტების უნიფიცირებული მოდელი რთული შესადგენია. მისი განმარტების მრავალი სახესხვაობა არსებობს: თააროფის შესახებ წერენ დასავლურ სამეცნიერო წრეებში, თააროფის ახსნას ცდილობს ირანელ მეცნიერთა ჯგუფები, თუმცა ჯერ-ჯერობით თააროფის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა ვერ გვაძლევს კონკრეტულ და ერთგვაროვან განმარტებებს. ბოლო პერიოდში, თააროფის შესახებ რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომია გამოქვეყნებული სპარსულ ენაზე. მეცნიერები თააროფის გააზრებას იწყებენ თააროფის კონცეპტის ცალკეულ ელემენტებად დაშლის საფუძველზე. თააროფის შემადგენლობაში შედის:

- *xoš āmad goftan* - თავაზიანი მისალმების გამოხატვა (ვინმეს მოსვლასთან დაკავშირებით)

საყრდენი სიტყვა:

xoš 'კარგი, სასიამოვნო'

āmadan 'მოსვლა'

xoš+āmadid 'კეთილი იყოს თქვენი მობრძანება'

- xoš āmad goftan dar avval-e molaqāt, pas āz dorūd - კეთილი სურვილების გამოხატვა შეხვედრისა და მისალმების შემდეგ
- hvalporsi kardan az yek digar - ერთმანეთის მოკითხვა
საყრდენი სიტყვა:
hval - მსხვერული მრავლობითი რიცხვის ფორმა სიტყვისა h 1 'მდგომარეობა, ვითარება'
porsidan 'კითხვა (შეკითხვა)'
hval+porsi 'ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკითხვა'
- ezhar-e šn kardan - გაცნობა
საყრდენი სიტყვა:
ezhar 'გამოხატვა'
š(e)n 'გაცნობა'
- da'vat kardan - დაპატიჟება
- piškeš d dan- საჩუქრის ბოძება, მირთმევა

(იხ.Sahragard 2003)

თავად სიტყვა **თააროფი** (ta'arof) არაბული წარმოშობისაა, მასდარია და ნიშნავს: გაცნობას, წარდგენას; სპარსულ ენაში შესულია მნიშვნელობებით: თავაზიანობა, პატივისცემა, მოკითხვა, ცერემონიალი, მიპატიჟება, შეთავაზება.

სიტყვა თააროფი (ta'arof) სპარსულ ენაში გვხვდება:

1. როგორც რთული ზმნის სახელადი ნაწილი:

ta'arof d dan 'თავაზიანობის გამოჩენა'

საყრდენი სიტყვა: ta'arof 'თავაზიანობა' — d dan 'მიცემა'

ta'arof d štan 'თავაზიანობა'

საყრდენი სიტყვა: ta'arof 'თავაზიანობა' — d štan 'ქონა, ყოლა'

ta'arof ferest dan 'თააროფის გაგზავნა'

ta'arof kardan 'თააროფის გაკეთება'

2. როგორც ზედსართავი სახელი:

ta'arof ti; ta'arof , რომელთა მნიშვნელობებია: 'ზრდილობიანი, თავაზიანი'.

(იხ. Daneshgar 1962)

საპრაგარდი გვთავაზობს სპარსული *თააროფის*, როგორც მოვლენის სტრუქტურულ ანალიზს. იგი *თააროფს* შლის რამდენიმე ძირითად კომპონენტად, რომლებიც ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან. ეს კომპონენტებია:

âd b 'ზრდილობა'

ehter m 'პატივისცემა'

rûdarb yesti 'თავმდაბლობა'

tav zo' 'თავაზიანობა'

mehm n-nav zi/mehm n-dûsti 'მასპინძლობა/სტუმართმოყვარეობა'

თითოეული კომპონენტი სპარსულ ყოფასა და მეტყველებაში თვითმყოფადი და პოლიფუნქციურია, რეალიზდება როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ დონეზე. მნელია *თააროფში* ამ კომპონენტთა დანიშნულების მკაფიოობისა და ზუსტი საზღვრების დადგენა (Sahragard 2003).

პირველი კომპონენტი âd b 'ზრდილობა', გულისხმობს ადამიანის ქცევას ირანული კულტურის მიხედვით განსაზღვრული წესების ფარგლებში;

ehter m 'პატივისცემა' მოიცავს ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების ფორმას, და იგი დამოკიდებულია კომუნიკანტთა ასაკსა და სოციალურ სტატუსზე.

rûdarb yesti 'თავმდაბლობა', ეს არის ირანელისათვის მეტად დამახასიათებელი თვისებების ჯგუფი, ერთობა, მასში მოიაზრება საკუთარი თავის დამდაბლება და თანამოუბარის შეფასების განდიდება, აღმატება.

რაც შეეხება tav zo' – 'თავაზიანობა', იგი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტის არსებობას არეგულირებს.

ბოლო კომპონენტი mehm n-nav zi/mehm n-dûsti 'მასპინძლობა, სტუმართმოყვარეობა', მოიცავს ირანში არსებულ სტუმარმასპინძლობის ტრადიციებს (Sahragard 2003).

თააროფი ვერბალურ დონეზე მოიცავს ენობრივ ფონდს, საიდანაც ირანელი ადამიანი, საკომუნიკაციო ფაქტორების გათვალისწინებით, ახდენს შესაფერისი ფრაზების შერჩევასა და გამოყენებას. სპარსული თააროფი სიტყვებით თამაშს ჰგავს, სადაც ერთმანეთს ჰარმონიულად ენაცვლება სიმართლე და სიცრუე; თააროფში წაშლილია ზღვარი რეალობასა და ილუზიას შორის, და ამ ზღვარის არსებობა თუ არარსებობა, არცაა მნიშვნელოვანი მოუბართათვის, ისინი ოსტატურად ახერხებენ თავაზიანობის ფარგლებში შესაბამისი ფორმულების საშუალებით ურთიერთობის გაგრძელებას (Beeman 2001, 31-57).

ბიძანის თქმით, *თააროფი*, ფაქტობრივად ამოუცნობი ფენომენია ირანულ კულტურაში. მისი საფუძვლიანი შესწავლა შეუძლებელია. "იგი გარკვეულწილად არის ქცევის წესი, ნორმა და თააროფს მთლიანად მოცული აქვს ირანელი ადამიანის ყოველდღიური ყოფა მიუხედავად ასაკისა, სქესისა, განათლების დონისა თუ სოციალური სტატუსისა"(Beeman 2001).

ენათმეცნიერი მოჰამად დანეშგარი წერს, რომ ირანში ყოველდღიური ყოფა და სასაუბრო ფრაზა განპირობებულია *თააროფით*. თააროფის კანონების მიხედვით საუბრობენ და იქცევიან: შინ - ოჯახის წევრები, გარეთ -ნაცნობები და უცნობები, მეგობრები, მაღაზიაში, ბაზარში, უნივერსიტეტსა თუ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოებში. თააროფი ირანის ყოველდღიურ რუტინაში აწესრიგებს ადამიანთა შორის სოციალურ ურთიერთობებს (Daneshgar 1962).

თააროფი განსაკუთრებული ფენომენია, რომელიც სპარსულ ყოფასა და მეტყველებაში გვხვდება. თააროფის გაგება და აღქმა ძალიან უჭირს უცხო თვალს. დასავლური კულტურის, თითქმის ყველა წარმომადგენელი, რომელიც რაიმე მიზეზით ირანში მოხვედრილა ან ირანელთან ჰქონია გარკვეული სახის ურთიერთობა, პირველი, რასაც ამ ურთიერთობის აღწერისას გამოყოფს, ეს არის მისთვის გაუგებარი საუბარი და ქცევა.

ირანელი ავტორები გულისტკივილით აღნიშნავენ უცხო თვალისა და ყურის მიერ, ზოგჯერ არაადეკვატურად აღქმულ აღმოსავლურ ეტიკეტს, სპარსულ თააროფს და დასძენენ, რომ თააროფი სპარსული მრავალსაუკუნოვანი კულტურის შემადგენელი ნაწილია და მისი სწორად გაგებისათვის სპარსული ენით და ირანის კულტურით დაინტერესებულმა ადამიანმა საჭიროა საგანგებოდ შეისწავლოს სპარსული თააროფი და მასთან დაკავშირებული ძირითადი ლექსიკა და ფრაზეოლოგია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თააროფის ჩვენეული განმარტება ასეთია: თააროფი ეს არის ადამიანთა ცხოვრებაში სოციალურ ელემენტთა კრებული, ირანული კულტურის განუყოფელი ნაწილი, რომელიც ემყარება თავაზიანობისა და ფატიკური კომუნიკაციის პრინციპებს.

1.4 ფატიკური კომუნიკაციის ნორმები

ფატიკური კომუნიკაცია ვერბალური კომუნიკაციის სახეობაა, რასაც თავისი მახასიათებლები, თავისებურებები და დადგენილი ნორმები აქვს. თავის მხრივ კი ყველა ნორმა და ნიშანი მოქცეულია ერთიანი საკომუნიკაციო სივრცის განმსაზღვრელ ნორმათა ჩარჩოებში. მოცემულ ქვეთავში, ფატიკური კომუნიკაციის ნორმათა გვერდით, მოყვანილია *თააროფის* ნორმები ირანულ ყოფით თავისებურებათა გათვალისწინებით.

ფატიკური კომუნიკაციის ძირითადი მახასიათებელია დიალოგურობა და ინტერაქციულობა. ფატიკური კომუნიკაცია აგებულია სიტყვა-პასუხის პრინციპზე. ამიტომაც, ენის ფონდში არსებული ვერბალური ფატიკური წყვილები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული (1985,251-274).

გარკვეული ფრაზა მოითხოვს საპასუხო ფრაზას და ასე შემდეგ. ფატიკური ხასიათის ფრაზების გამოყენება ნებისმიერი ადამიანის ცნობიერებაში დამოკიდებულია ეტიკეტურ სიტუაციაზე. ამა თუ იმ სიტუაციური საჭიროებისამებრ ადამიანი ახდენს ენაში არსებული მყარი ფორმულების ერთობლიობიდან, საუბრის

ხასიათისათვის შესაფერისი ფრაზების შერჩევასა და გამოყენებას. ნებისმიერ ენაში არსებობს ენობრივი ფონდი, რასაც ენის ფატიკურ რესურსს უწოდებენ. ამ ენაზე მეტყველი საზოგადოების ეტიკეტური ნორმებისა და თავისებურებათა გათვალისწინებით, სოციუმის წევრები არეგულირებენ ენის ფატიკური მარაგის გამოყენების სიხშირესა და რაოდენობას.

მოცემულ თავში მსჯელობაა ფატიკური კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი ეტიკეტური ნორმების შესახებ, რომლებიც ექვემდებარება ზოგადეტიკეტური წეს-კანონების დადგენილ საზღვრებს. მათ გვერდით დახასიათებულია ფატიკური კომუნიკაციის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრულია ქართული და ირანული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით.

იმისათვის, რომ კომუნიკანტთა შორის წარმართული საუბარი ჩაითვალოს ფატიკური კომუნიკაციის ფორმად, გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ფატიკური კომუნიკაციის ნორმების მიხედვით ურთიერთობის დამყარებისა და წარმართვისათვის საჭიროა კომუნიკაცია შეიცავდეს რამდენიმე ძირითად ნიშანს. მნიშვნელოვანი ფაქტორია კომუნიკანტთა ურთიერთდამოკიდებულების ფორმა. ფატიკური კონტაქტი შეიძლება შედგეს ადამიანთა შორის თუ:

1. კომუნიკანტები არიან ნაცნობები;
2. კომუნიკანტები არიან მეგობრები;
3. კომუნიკანტები ერთმანეთისათვის სრულიად უცხონი არიან.

ეს არის სამი ძირითადი მონაცემი საუბრის მონაწილეთა შესახებ, რომელთა შორისაც შესაძლებელია საუბრის და ურთიერთობის ფატიკურ ჭრილში წარმართვა (2011).

ფატიკური კომუნიკაციისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე - *საუბრის თემა*. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ფატიკური კომუნიკაციის დროს, განსაზღვრული საუბრის თემა არ არსებობს, შეიძლება კონტაქტის დაწყება ნებისმიერი თემის გარშემო, თუმცა არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელთა შესახებაც უმჯობესია არ წარიმართოს საუბარი. მაგალითად: ძალზე ძნელია ორი რელიგიის წარმომადგენლებს შორის

შედგეს ფატიკური კომუნიკაცია, თუკი რომელიმე მათგანი საუბარს საკუთარი რწმენისა და რელიგიის უპირატესობის შესახებ წამოიწყებს...ან ადამიანები საკუთარი რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების ფონზე შეეცდებიან საუბრის გაგრძელებას.

ფატიკურ საუბარს, “ამინდზე საუბარსაც” უწოდებენ, რაც შესანიშნავად გამოხატავს მის ბუნებას: ფატიკური საუბარი ანუ საუბარი არაფერზე; ფატიკური კონტაქტის დროს თანამოსაუბრეებმა არ უნდა გადასცენ ერთმანეთს რაიმე გარკვეული ინფორმაციულობის მატარებელი მესიჯი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს არსებული სოციალური ურთიერთობის დაძაბვა, გაწყვეტა, ან ურთიერთდაშორების დროს არასასიამოვნო შეგრძნების დატოვება რომელიმე კომუნიკანტისათვის. ფატიკური საუბარი უნდა ემსახურებოდეს ორ ადამიანს შორის თბილი ატმოსფეროს შექმნას, და იმ კონკრეტული დროის ჰარმონიულ და მშვიდ გარემოში გატარებას, რომლის განმავლობაშიც გარკვეული მიზეზების გამო ერთად მოუხდებათ ყოფნა (2013).

ფატიკური კომუნიკაცია უკავშირდება სამეტყველო ეტიკეტის საკითხს, რადგან იგი, თავისი ბუნებით, არის თავაზიანობის გამოხატველი და მოიცავს თავაზიან მეტყველებას ეტიკეტური ნორმების გათვალისწინებით.

სამეტყველო ეტიკეტი, მასში გაერთიანებული განსაზღვრული ნორმებითა და წესებით საინტერესო სურათს იძლევა მსგავსება-განსხვავებათა მიხედვით. იგი, ზოგადად, საერთოა ყოველი ერისათვის, მაგრამ ამასთანავე არაა ერთგვაროვანი და უნივერსალური, სხვადასხვა ერში დატვირთულია კონკრეტული ეთნოკულტურისა და სოციუმისათვის დამახასიათებელი ტრადიციებითა და ზნე-ჩვეულებებით, შესაბამისად, ეტიკეტური ნორმები და მათი დაცვის წესებიც განსხვავებულია, ის, რაც მიუღებელი და უცხოა ერთი კონკრეტული საზოგადოებისათვის, შეიძლება სავალდებულო აღმოჩნდეს მეორისათვის.

არსებობს სამეტყველო ეტიკეტის რამდენიმე ნორმა, რაც ქართული და ირანული ცოცხალი მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, თუმცა აღსანიშნავია, ირანულ ყოფაში კონკრეტულ ეტიკეტურ სიტუაციებთან

დაკავშირებული ფატიკური გამონათქვამების სიხშირე. ირანელის ასეთი სიტყვაჭარბობა უცხო თვალისათვის ხშირად გამაღიზიანებელია.

თავაზიანი საუბრის ერთ-ერთი ძირითადი ნორმაა “დათანხმება” (, 1988). ფატიკური კომუნიკაციის მიზანია დროის სასიამოვნოდ გაყვანა, მეგობრული ატმოსფეროს შექმნა და ადამიანზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა, შეიძლება სულაც არ ვეთანხმებოდეთ თანამოსაუბრის მიერ გამოთქმულ აზრს, მაგრამ პატივისცემის გამოხატვის მიზნით მის ნათქვამს უნდა დავეთანხმოთ. დათანხმების აღმნიშვნელი შორისდებულები, ასევე ასრულებენ ე.წ. კოდის ფუნქციას, რისი დანიშნულებაც კომუნიკანტთა საუბარში ჩართულობის ხარისხის განსაზღვრა და გადამოწმებაა.

ირანელი საუბრისას ხშირად ამბობს დასტურის გამომხატველ სიტყვებს: bale ‘დიახ’, albatte ‘რა თქმა უნდა’, ‘ნამდვილად’, v qe’an ‘ჭეშმარიტად’, ašm ‘ჰო, კარგი!’, b še ‘კარგი, იყოს ასე!’ და სხვა. ეს ყოველივე ემსახურება კომუნიკანტთა შორის არსებული საუბრის გაგრძელებას და გადამოწმებას, რამდენად მზადაა თანამოსაუბრე მსგავსი ურთიერთობისა და საუბრის გასაგრძელებად.

ყოველ კულტურულ საზოგადოებაში მისაღმებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მას მუსლიმური რელიგიის თანახმად, რანდენიმე სავალდებულო ნორმა აქვს. პირველ რიგში sal m-ის თქმა აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს ყველანაირი ტიპის საუბრის დაწყებას (ოფიციალურს თუ არაოფიციალურს), იგი უნდა წარმოითქვას ხმის აწევით, მკაფიოდ, რათა თანამოსაუბრემ გაიგონოს და ადამიანი თავისდა უნებურად უზრდელობაში არ დაადანაშაულოს, ამასთანავე შეძლოს და დაუბრუნოს მას შესაფერისი პასუხი (dab-e eslam 1387).

მისაღმება ევალება ყველას: დიდს, პატარას, მოხუცს, ახალგაზრდას, გამვლელს, გამომვლელს, ცხენოსანს, ქვეითს, ნაცნობს, უცნობს და სხვა (dab-e eslam 1387,32-34). ეს ტრადიცია ქართველისთვის უცხო არ არის. ქართველი კაცი, განსაკუთრებით სოფლად ესაღმება ყველა შემხვედრს და გულთბილ პასუხს აძლევს მისაღმებაზე, უცნობსაც კი (მისაღმების ეს ტრადიცია დღემდე არ კარგავს

აქტუალობას). ქართველთაგან *გამარჯობის* თქმის, მისალმებისადმი დამოკიდებულებას ასახავს გამოთქმა: *სალამი ღვთისაა*.

მორწმუნე მუსლიმი დღეში რამდენჯერაც შეხვდება ერთსა და იმავე ადამიანს, თავს მოვალედ თვლის, იმდენჯერვე მიესალმოს. ეს ერთგვარი გამოვლინებაა რწმენისა და, ამასთანავე, თავაზიანობისაც. მისალმების წესებს ირანში რელიგიური ნორმები არეგულირებს (dab-e islam 1387, 69-70).

გარდა იმისა, რომ *გამარჯობა*, *მისალმება* გამოხატავს სიტბოს, კეთილგანწყობას, პატივისცემას, იგი საუკეთესო საშუალებაა საუბრის წამოწყებისათვის, განსაკუთრებით ფატიკური საუბრისა, რომელიც მიზნად ისახავს, შექმნას ადამიანთა შორის სასიამოვნო და მეგობრული ატმოსფერო.

ფატიკური საუბრების ვერბალურ ნაწილს ერთვის არავერბალური საშუალებები (2002). მუსლიმური ადათით, მისალმების დროს მამაკაცებს შორის ხელის ჩამორთმევა და გადახვევა, *გამარჯობის* თქმის მსგავსად, ნიშანია თბილი დამოკიდებულების დაწყებისა, რომელსაც განსაზღვრული ქცევის ნორმები აქვს. ერთ-ერთი ასეთი სავალდებულო ნორმაა ხელის ჩამორთმევის პროცესის გახანგრძლივება: რაც უფრო მეტ ხანს გრძელდება იგი, მით მეტად გამოხატავ კარგ განწყობას. რაც შეეხება ქალებს, მათ შეხვედრაში ჭარბობს ემოცია, აქ თბილი, გულისამაჩუყებელი გადახვევა და გულში ჩაკვრის პროცესია გახანგრძლივებული. ხოლო მამაკაცისა და ქალის შეხვედრა მუსლიმური წესით მკაცრად განსაზღვრული, იკრძალება ხელის ჩამორთმევაც კი, მხოლოდ სიტყვიერი მისალმებაა დასაშვები (, 1988; dab-e islam 1387). ეს წესი თანამედროვე ირანში ხშირად ირღვევა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობაში. ქალისა და მამაკაცის შეხვედრის პროცესი კვლავ კანონიკურ ფარგლებს არ შორდება ოფიციალურ და დიპლომატიურ წრეებში.

ფატიკური კომუნიკაციის ნორმების მიხედვით, ირანში, თანამოსაუბრეზე თავაზიანი ადამიანის შთაბეჭდილების მოხდენას ემსახურება დამშვიდობების გახანგრძლივებაც. იგი ყოველთვის არასასურველად უნდა ჩანდეს (გამოიყურებოდეს), იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ერთ-ერთ თანამოუბარს აღარ

სურს საუბრის გაგრძელება, ან სურს, მაგრამ ეჩქარება, იძულებულია წავიდეს, მან ეს არ უნდა გამოამჟღავნოს, ან თუ წასვლა და საუბრის შეწყვეტა გარდაუვალია, ეს უნდა მოხდეს მაქსიმალურად წესების დაცვითა და სიფრთხილით, რათა არ გამოიწვიოს ურთიერთობის გაფუჭება, მოუბარის განაწყენება და არათავაზიანი პიროვნების შთაბეჭდილების დატოვება (Mohamadsji 1380).

სპარსელები თავად აღნიშნავენ, რომ დიდი უნარი აქვთ საუბრის გაგრძელებისა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სალაპარაკო უკვე აღარაფერია. ამისათვის ისინი ხმარობენ გამოთქმას: dig-e e xabar? 'სხვა, რა ამბავია?' და შეესატყვისება ქართული გამოთქმები: "კიდევ რას იტყვი ახალს", "კიდევ რა არის ახალი?", "რა ხდება შენკენ ახალი?".

ირანელთან საუბრის დროს, მსგავს შეკითხვაზე, პასუხს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, ანუ აუცილებელი არაა მაინცდამაინც რაიმე ახალი ამბავი აუწყოთ, მიუხედავად მიღებული პასუხისა, ირანელს შეუძლია დაუსრულებლად იმეოროს აღნიშნული ფრაზა, რაც ინტერაქციის გაგრძელებას იწვევს. საუბრის გაგრძელება კი - არსებული კონტაქტის შენარჩუნებას ემსახურება. ქართულ რეალობაში, ორი მეგობარი, როდესაც ვერ ახერხებს საუბრის გაგრძელებას, მოიშველიებს ხოლმე გამონათქვამებს: რა ხდება ახალი?/რას იტყვი სხვას?/ და ა.შ., ამასობაში კი ისევ გამოჩნდება თემა და ამ თემის გარშემო ისევ განახლდება საუბარი.

სპარსულ ენაში არსებობს ისეთი გამოთქმაც, რომელიც დელიკატურად მიანიშნებს, რომ დროა საუბარი შეწყდეს, დამთავრდეს:

amri (farm yeši) nist?! 'ზომ არაფერს მიბრძანებთ?!' მისი პასუხი აუცილებლად უნდა იყოს გამოთქმები:

qorb n-e šom '1. თქვენი მონა-მორჩილი. 2. გენაცვალეთ/შემოგვევლეთ'

ან

arzi nist, x heš mikonam 'ბრძანება არ არი', ბატონი ბრძანდებით', რომელთა წარმოთქმის შემდეგ უკვე ისმის კონკრეტულად დამშვიდობება - xod h fez 'ნახვამდის /ღმერთი გფარავდეს' და ამით სრულდება საუბარი.

ქართულ ენაში დამშვიდობების მიმანიშნებელი ე.წ. წინარე ფრაზები ან გამონათქვამთა "მდგრადი" წყვილები არ არის, თუმცა არსებობს გარკვეული ფრაზები, რომელიც დელიკატურად და ტაქტიანად აგვარებს საუბრის დამთავრების პროცესს. მაგალითად:

„დიდი ბოდიში, მაგრამ უნდა დაგტოვოთ!“,

„მომიტევით, უნდა წავიდე!“.

„თქვენთან საუბარს რა სჯობს, მაგრამ საქმე საქმეა!“ და სხვა.

ფატიკური კომუნიკაციის ნორმათა მიხედვით, საუბრის დროს საათის შემოწმება უარყოფითად შეიძლება აისახოს თანამოუბართა შორის საუბრის განმავლობაში შექმნილ ატმოსფეროზე. ეს მოქმედება შესაძლოა აღმოჩნდეს პირდაპირი სიგნალი იმის მიმანიშნებლად, რომ მოგბეზრდათ ამ ადამიანთან ურთიერთობა და გსურთ საუბრის დამთავრება. თუმცა, დროის ფაქტორის გამოყენებით, შესაძლებელია კორექტულად მიანიშნოთ, რომ საუბრის დამთავრების დროა:

„უჰ, რა დრო გასულა, მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ!“.

ფატიკური საუბრის, მასლაათის დროს, როდესაც ამოწურულია საუბრის თემა, ირანელი ადამიანი მაინც ამბობს:

xob, ta'rif kon - 'კარგი, კიდევ მიახმე, გააგრძელე', ანდა: bale 'დიახ', (, 1988,149). ქართული შესატყვისია "ჰო-ო-ო, დიახ", წარმოთქმული ბოლო ხმოვნის დაგრძელებით.

ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო ეტიკეტის ნორმების მიხედვით, მეტად მნიშვნელოვანია საუბრის ინტონაცია და საუბრის ჯერობა.

ინტონაციას უცხო სიტყვათა ლექსიკონი განმარტავს:

1. მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, ხმის აწევ-დაწევა წარმოთქმისას.

2. წარმოთქმის მანერა, რომელიც მთქმელის გრძნობას გამოხატავს.

ინტონაცია არის ვერბალური ურთიერთობების დასამყარებელი ერთ-ერთი იარაღი. მისი საშუალებით საუბარს შესაძლოა, განსხვავებული ემოციური დატვირთვა მივანიჭოთ. ინტონაციის საშუალებით, შესაძლებელია ცალკეულმა სიტყვებმა და წინადადებამაც კი შეცვალოს სათქმელის რეალური მნიშვნელობა და მიზანი. როგორც ქართულში, ასევე სპარსულ ენაში ინტონაციურად გამიჯნულია წინადადების სახეები: თხრობითი, კითხვითი (თუ კითხვით სიტყვას არ შეიცავს წინადადება) და ბრძანებითი.

სწორად შერჩეული ინტონაცია, კომუნიკანტებს ეხმარება წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებაში (Артемов 1961,10).

ვერბალურ კომუნიკაციაში ყურადღება ეთმობა საუბრის ჯერობას. საუბრის ჯერობაში, იგულისხმება თანამოუბართა მეტყველების მონაცვლეობა გადაკვეთის გარეშე. ჯერობის დაცვა სავალდებულოა დიალოგური მეტყველების დროს. დიალოგური ხასიათისაა საუბარი ეტიკეტურ სიტუაციებში: მისალმება გულისხმობს საპასუხო მისალმებას, მადლობა - მადლობას, დამშვიდობება-დამშვიდობებას, შეპატიჟება - მადლობას და ასე შემდეგ (ზექალაშვილი 2012). საუბრისას ჯერობის დაცვა სავალდებულოდაა მიჩნეული დასავლური ეტიკეტის თანახმად, თავაზიანობის ნორმათა მიხედვით, დაუშვებელია კომუნიკანტთა ერთდროული საუბარი, რაც გამოიწვევს საუბრის ჩაშლას, კომუნიკაციის მოშლას (Земская 1983).

ირანული რეალობა, საუბრის ჯერობის თვალსაზრისით, განსხვავებულ სურათს გვაძლევს. ირანის ცოცხალ მეტყველებაში, საუბრის დასაწყისში, მაშინ როცა ირანელი ადამიანი გულუხვად იმეორებს მისალმება-მოკითხვის ფრაზებს, გაუცნობიერებლად, მიჯრით წარმოსთქვამს ფრაზათა ერთობლიობას, ისე რომ არ ელოდება მოპასუხის რეაქციას და საპასუხო ფრაზებს. ასევე იქცევა კომუნიკაციის მეორე მონაწილე, ისიც ავტომატურად, ერთმანეთის მიყოლებით იმეორებს თითქმის

იმავე ფრაზებს. რამდენიმეწუთიანი მსგავსი გადაფარული ჯერობით წარმართული ვერბალური კონტაქტის შემდეგ, იწყება უკვე საუბრის ძირითადი ნაწილი. ირანელების ეს ქმედება არ უშლის ხელს, მათ შორის წარმართოს სრულფასოვანი თავაზიანი საუბარი, არც ერთი მხარე არ ღიზიანდება იმაზე, რომ მისი ნათქვამი არ მოისმინეს. ამ ტიპის მისალმება-მოკითხვის გათამაშება შესაძლოა სრულიად უცნობებს შორისაც კი განხორციელდეს. ჯერობის გადაფარვა ხდება ასევე, დამშვიდობებისა და მადლიერების გამოხატვის დროს. ირანელთა ამგვარი საუბრები როლურ თამაშს უფრო წააგავს, ვიდრე საუბარს, რადგან მოსაუბრეები ერთმანეთს თითქოს ეჯიბრებიან სიტყვაუხვობასა და ფრაზების წარმოთქმის ინტენსივობაში.

სპარსულ ფატიკურ მეტყველებაში ორი სხვადასხვა დონე გამოიყოფა: ოფიციალური და არაოფიციალური. თითოეულ მათგანს თავისებური კანონზომიერებები აქვს. ექსტრალინგვისტური სიტუაციის შესაბამისად, მშობლიურ ენაზე მოლაპარაკე ინდივიდი ავტომატურად გადაერთვება ერთი რეგისტრიდან მეორეზე, თავისთავად, წინასწარი განზრახვის გარეშე (Вежбицка 1985; Папп 1985). ხოლო იმისათვის, რომ უცხოელმა ადამიანმა მოახერხოს, პირველ ყოვლისა, ამა თუ იმ ერისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფატიკური კომუნიკაციების სწორად გაგება, და შემდეგ, მეტყველებაში ფატიკური ფორმულების გამოყენება, აუცილებელია უცხო ენის შესწავლისას, საგანგებოდ დაისწავლოს ამ ერის სამეტყველო ეტიკეტი მთელი თავისი თავისებურებებით.

ცალკე დგას ოფიციალური თავაზიანი მეტყველება და მასთან დაკავშირებული ქცევის ნორმები; ამ სახის კომუნიკაცია იმართება პოლიტიკურ სფეროში (ხელისუფლებაში, პარლამენტში), იურიდიულ და დიპლომატიურ წარმომადგენლობასთან, სამთავრო/არასამთავრო ორგანიზაციებთან, პარტიებთან, საზოგადოებრივ გაერთიანებებთან და ა.შ იქნება ეს, ოფიციალური შეხვედრა უმაღლეს დონეზე თუ მოლაპარაკება ქვეყნის ხელმძღვანელ პირებთან, საქმიანი წინადადებების განხილვა, კონტაქტი უცხოურ ფირმებთან, სხვადასხვა სახის დელეგაციის მიღება-გაცილება თუ საზეიმო, ოფიციალური ცერემონიალები, სასამართლო პროცესები და სხვა.

იურიდიულ და დიპლომატიურ წრეებში არსებობს სპეციალური წესების ნუსხა, რითაც რეგულირდება სხვადასხვა კულტურისა და რელიგიური მრწამსის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა ურთიერთობანი, ქცევის ნორმები: რა შეიძლება მათთვის და რა - არა, როგორ იმეტყველონ, რა თქვან, როგორ მიმართონ და მოიხსენიონ ერთმანეთი, როგორ მიიღონ ან გადასცენ საჩუქარი და ა.შ. (ზეკალაშვილი 2012).

1.5 გულწრფელობის ხარისხი ფატიკური კომუნიკაციის კონტექსტში

ადამიანები განუწყვეტლივ იმყოფებიან კომუნიკაციის პროცესში, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს საუბრისათვის კონკრეტული ადრესატი.

ადამიანურ ურთიერთობებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს გულწრფელობა და სიმართლის სიყვარული. სიმართლეზე და გულწრფელობაზე დაფუძნებული ურთიერთობები უფრო ხანგრძლივი და მყარია.

არსებობს სოციალური სიტუაციები, როდესაც სიმართლის თქმას მეტი უარყოფითი შედეგები მოჰყვება, ვიდრე — ტყუილს.

ტყუილის, როგორც მოვლენის, ფსიქოლოგიური და ლინგვისტური ანალიზი, არაერთი სამეცნიერო კვლევის საგანი გამხდარა. ძირითადად, ტყუილის ფენომენი სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების ინტერესის სფეროა. მეოცე საუკუნის ბოლოს, სოციოლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად ლინგვისტიკაც დაინტერესდნენ ტყუილის ცნების როლის განსაზღვრით ადამიანთა ვერბალურ ურთიერთობებში. ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც ტყუილისა და სიცრუის შინაარსობრივ და ფორმობრივ ანალიზს უკავშირდება ლინდა ქოულმანისა და პაულ ქეის პუბლიკაციაა. სტატიის მთავარი საკითხი არის „ტყუილის/სიცრუის“ პროტოტიპული სემანტიკის კუთხით განხილვა.

ქოულმანმა და ქეიმ მოგვცეს „ტყუილის“ არსებობის სამი პირობა:

1. P არის ტყუილი
2. S იჯერებს, რომ P არის ტყუილი
3. S მიზნად ისახავს P გამოიყენოს, რათა A მოატყუოს

P- არის განცხადება/წინადადება

S - სუბიექტი (მოუბარი)

A - ადრესატი (მსმენელი)

ამ სამი პირობის გათვალისწინებით, ქოულმანისა და ქეის აზრით, შესაძლებელია ტყუილის ხარისხის განსაზღვრა. თუ სამივე პირობა სრულდება, ეს ნიშნავს, რომ ტყუილი მიზანმიმართულია, ხოლო თუ მხოლოდ პირველი და მეორე პირობაა სახეზე, ეს ნიშნავს, რომ ტყუილი მოსაუბრის საკეთილდღეოდაა გამოყენებული.


ტყუილის სოციალური ბუნების შესწავლის დროს, გამოიყენება ტერმინები, რომლებიც გარკვეულწილად აღწერენ ორგვარ ტყუილს: ერთი მხრივ, მოცემულია მიზანმიმართული, ზიანის მომტანი ტყუილი და მეორე მხრივ, დგას ტერმინები, როგორცაა: „კარგი“ ტყუილი (Coleman, Kay 1981), თეთრი ტყუილი, სოციალური ტყუილი (Sweetser 1987, 43). ამ ტერმინებით ხასიათდება სიცრუის ტიპი, რომელიც გათვლილია კომუნიკანტთა განწყობის შესამსუბუქებლად და შესანარჩუნებლად და, არა პირიქით, მოუბართა ფსიქოლოგიური ზეწოლისა და ტრავმირებისათვის.

ე.წ. *სოციალური და თეთრი ტყუილი* უკავშირდება ფატიკურ კომუნიკაციას. ამგვარი ტყუილის გამოყენება გამართლებული და დასაშვებია სოციალურ კონტექსტში - ფატიკური კომუნიკაციის დროს. ფატიკური კომუნიკაციის პირველადი დანიშნულება ხომ მოუბართათვის სასიამოვნო გარემოს შექმნაა და ამ გარემოში ასევე სასიამოვნო და თბილი ურთიერთობის გაგრძელება, განვითარება და დასრულება. სოციალური ტყუილიც ამავე მიზანს ემსახურება, ამგვარი ტყუილი ითქმის მაშინ, როცა სიმართლის გამჟღავნება უარყოფითად მოქმედებს საუბრის მონაწილეთა გუნება-განწყობილებაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, თეთრი ტყუილის გამოყენებისას სრულდება ქოულმანისა და ქეის სამი პირობიდან პირველი პირობა: **განცხადება ტყუილია**, რაც ნიშნავს იმას, რომ კომუნიკაციის მონაწილეთათვის ცნობილია, რომ ნათქვამი სიცრუეა, თუმცა ამ სიცრუის მოსასმენად და მისაღებად მზად არიან ერთი მიზეზის გამო: ამგვარი განცხადება ხელს უწყობს კომუნიკაციურ ველში არსებული სოციალური ურთიერთობების შენარჩუნებას.

ფატიკურ კომუნიკაციაში, შეიძლება ითქვას, სიმართლისა და სიცრუის, თეთრი ტყუილის ხარისხი და დანიშნულება თანაბარ სიბრტყეზეა. ეს არის ორი

მოცემულობა, და ამ მოცემულობათაგან ორივე ემსახურება ერთ მიზანს: ხელი შეუწყოს წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებას.



ეთიკის ნორმების მიხედვით, სიმართლის თქმა ადამიანის ერთ-ერთი საუკეთესო თვისებაა, თუმცა არსებობს ცხოვრებისეული სიტუაციები, სადაც ტყუილი გაცილებით დადებითი შინაარსის მატარებელია და მის გამოყენებას უფრო მეტი გამბედაობა და სიმხნევე სჭირდება, ვიდრე პირდაპირობასა და სიმართლის გაცხადებას. მაგალითად: ავადმყოფის მონახულებისას, რა თქმა უნდა, მნახველი უმრავლეს შემთხვევაში იტყუება როცა ამბობს: *რა კარგად გამოიყურები, არაფერი გეტყობ ავადმყოფობის, მალე ჩიტვივით იქნები და ა.შ.* მაშინ როცა, შესაძლოა, ავადმყოფობის დიაგნოზი სულაც არაა იმედისმომცემი. ხშირად, მსგავსი ფრაზების არარეალობაში თავად ავადმყოფიც დარწმუნებულია, მაგრამ, მნახველი უბრალოდ ვალდებულია მიმართოს დადებითი კონოტაციის ტყუილს. ამ დროს, ხელშესახები ხდება სიტყვის ძალა, ადამიანის მიერ ნათქვამმა სიტყვამ შესაძლოა გაცილებით მეტი გააკეთოს, ვიდრე მედიკამენტმა და მკურნალობამ (2011).

თეთრი ტყულის კლასიკური მაგალითია ტრაფარეტული პასუხი შეკითხვაზე: *როგორ ბრძანდებით ან როგორ ხართ?* ადამიანი დაუფიქრებლად პასუხობს: *კარგად, მაგადავარ, თქვენ როგორ ბრძანდებით?* ან სხვა მსგავსი შინაარსის საპასუხო ფორმულას. ასეთ შემთხვევაში, არც მომკითხველს აქვს მიზნად გაიგოს რეალურად რას გრძნობს შემხვედრი იმ წუთებში, და არც შემხვედრს უჩნდება სურვილი დაწვრილებით მოყვეს საკუთარი გასაჭირისა თუ დალხენის შესახებ. უფრო მეტიც, ყველაზე ახლობელი ადამიანებიც კი, რომლებსაც მართლა აინტერესებთ ერთმანეთის მდგომარეობა, ხშირად, საუბარს იწყებენ შინაარსისაგან დაცლილი ფატიკური მისალმება-მოკითხვით და საუბრის შემდგომ ეტაპზე უზიარებენ ერთმანეთს რეალური მდგომარეობის შესახებ ამბის მოყოლა-მოსმენას. ეტიკეტური ნორმების მიხედვით მიზანშეწონილად არ ითვლება პრობლემებზე საუბარი, ის ამძიმებს კომუნიკაციის ხასიათს და კომუნიკანტთა განწყობას, შესაბამისად, ურთიერთობა კარგავს ფატიკურობის განცდას.

ქართულსა და სპარსულში გვაქვს მისალმება-მოკითხვაზე მეტ-ნაკლებად ფატიკური საპასუხო ფრაზა: ქართულში - *არა მიშავს/ ნელა-ნელა*, და სპარსული *bad nist-am* - *ცუდად არ ვარ*. მაგრამ ამ პასუხსაც, მიუხედავად მათი შინაარსობრივი არსისა, თანამოუბარნი ავტომატურ დონეზე იყენებენ, მასში არ დებენ რაიმე კონკრეტულ აზრს.

ტყულის თქმა სავალდებულოა გასაჭირში მყოფი ადამიანის გასამხნეველად. დაუშვებელია, მაგალითად, ავადმყოფის მონახულების დროს შევიმჩნიოთ და ვთქვათ მისი მდგომარეობის შესახებ სიმართლე. *თეთრი ტყუილი* ფატიკური ნორმაა, რომელიც ადამიანების განწყობის ამაღლებას ემსახურება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ტყულის თქმა ყველა ენაში დასაშვებია, თუმცა ეს ტყუილი განსხვავდება გამოყენების ხარისხისა და სიტუაციურად საჭიროებების მიხედვით. ტყუილისა და სიცრუის არსებობას ენაში აკონტროლებს ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური ნორმები (Coleman, Kay 1981).

ფატიკურ კომუნიკაციაში თეთრი ტყუილის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ნიმუშს წარმოადგენს “მადლობები”. ძალიან ხშირად, მოსაუბრე მადლიერების

ნიშნად, აზვიადებს ხოლმე მსმენლის მიერ გაწეულ სამსახურს და არ იშურებს საქებარ სიტყვებს. თანამოსაუბრე კი პირიქით, თავმდაბლობით მინიმუმამდე ამცირებს საკუთარ ნაღვაწს. ამ დროს ორივემ კარგად იცის, რომ სრულ სიმართლეს არ ამბობს, და არც ერთი არ არის ბოლომდე გულწრფელი, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს მათ ურთიერთობას, პირიქით - კიდევ უფრო გულითადს და სასიამოვნოს ხდის მას.

საჩუქრის მიღების დროს, ადამიანმა მადლობა უნდა გადაიხადოს. საგულისხმოა, რომ მაშინაც კი, როდესაც საჩუქარი დიდად არ მოგვწონს და ჩვენთვის გამოუსადეგარ ნივთს წარმოადგენს, თავაზიანობა მოითხოვს ისევ და ისევ არაგულწრფელ საქციელს. სტუმარი რომ ნასიამოვნები დარჩეს, აღფრთოვანებით წამოვიძახებთ: *რა მშვენიერია?! საიდან მიხვდი, რომ სწორედ ეს მჭირდებოდა?! და სხვა. . . .*

მსგავსი სიტუაციებია თანამედროვე ირანულ ყოფაში. ისედაც ემოციური ირანელი ასეთ შემთხვევებში გაასმაგებელი გამომსახველობით შესძახებს:

e xobi?! e ajab?! – ‘რა კარგია, რა საოცრებაა?!’

უფრო მეტიც, მადლობასთან ერთად, ფატიკური საყვედურებიც კი ისმის: *რად გინდოდათ! რატომ შეწუხდით?! ასე რატომ დაიხარჯეთ?! . . .* სპარსული:

er zahmat kešidin?

‘რატომ შეწუხდით?!’

საყრდენი სიტყვა: zahmat ‘გარჯა, ძალისხმევა’; kešidan ‘გაწევა, გაქაჩვა’ (რთული ზმნის ზმნური ნაწილი).

er xej lat-e-mun midehid?!

‘რატომ გვარცხვენთ?!’

er zahmat kešidi? šom xod-e-tun gol hastin

‘რატომ შეწუხდით, თავად ყვავილი ბრძანდებით!’ (ეს ფრაზა ისმის ყვავილების მირთმევისას).

მაგალითისათვის მოვიყვანთ პატარა ნაწყვეტს სატელევიზიო შოუდან, რომელიც ძალიან კარგად აღწერს ირანში საჩუქრის ბოძება-მიღების პროცესს.

კადრში ჩანს ოჯახში გაშლილი მოკრძალებული სუფრა, კარზე ისმის ზარი და ოთახში შემოდის მამაკაცი ხელში საჩუქრით. მას ეგებება მასპინძელი:

„ - befarm iid aqa jun, befarm iid, ašmam rowšan kardid, befarm iid... negah konid, er zahmat kešidin? er xej lat-e-mun midehid?! **ei vai** e xobie, e zib e?!

- xaheš mikonam, j nam, qorbunet beram, moxlese“

‘მობრძანდით ბატონო, შემობრძანდით, თვალში ნათელი ჩამიყენეთ! მობრძანდით ... ნახეთ! რატომ შეწუხდით?! რატომ გვარცხვენთ?! რა კარგია, რა ლამაზია?!

- რას ბრძანებთ! ჩემო ძვირფასო, თქვენ გენაცვალეთ, თქვენ შემოგვევლეთ!’

საყრდენი სიტყვები: ašm ‘თვალი’; rowšan ‘ნათელი’; xej lat ‘სირცხვილი’; xaheš ‘თხოვნა’; qorbun ‘მსხვერპლი’

ეს საუბარი სტუმრის მოსვლისა და საჩუქრის გადაცემის დროს ხდება. ასახულია საჩუქრის მირთმევის სიტუაცია, სადაც უხვადაა მადლიერების გამომხატველი თავაზიანი ფორმულები. საჩუქრის მიღები ახალგაზრდა გოგონა აღფრთოვანებულია სტუმრის მობრძანებით და საჩუქრის მიღებით, არ იშურებს სამადლობელ სიტყვებს, თუმცა შემდეგ ირკვევა, რომ მორთმეული საჩუქარი ოჯახის სხვა წევრისთვის (დეიდა) იყო განკუთვნილი, მაგრამ ამ ფაქტს ხელი არ შეუშლია ფატიკური მადლობებისა და საპასუხო ფრაზების უსასრულოდ გამეორების გაგრძელებისათვის.

მაშინ, როდესაც საჩუქრის მიღებით გახარებულები და კმაყოფილები ვართ, სიტუაციისათვის შესაფერისი ფრაზების საშუალებით დამსაჩუქრებელს გვინდა ვაგრძნობინოთ, რომ მის დანახარჯზე ვნერვიულობთ, განვიცდით, რომ ჩვენ გამო შეწუხდა, ამ ყველაფერს კი არაგულწრფელობის ელფერი დაჰკრავს, რადგან საჩუქრის მიღებმა და მომტანმაც ძალიან კარგად იცის, რომ ყველა იმ სამადლობელი ფრაზისა და აღფრთოვანების გამომხატველ შორისდებულთა მიღმა, არანაირი წუხილი თუ დარდი ვინმეს ფინანსური დანახარჯის გამო არ მოიაზრება.

არაგულწრფელობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა ფატიკური კომუნიკაციის ფარგლებში ნათქვამი მობოდიშების გამომხატველი ფრაზები და მასზე პასუხად გამოყენებული ფატიკური ფორმულები. როდესაც ერთი ადამიანი,

გაუცნობიერებლად აწუხებს ან უხერხულ მდგომარეობაში აგდებს მეორე ადამიანს, იგი ბოდვის მოხდით ცდილობს თავისი საქციელის „გამოსწორებას“. მეორე მხარე კი, რაც უნდა განაწყენებული იყოს, არ გამოხატავს, რომ გაჯავრებულია, პირიქით – თავაზიანობის და კეთილგანწყობის შენარჩუნების მიზნით, ღიმილით ამბობს: *არაფრის, რა შეწუხებაა; არა უშავს; საბოდიშო არაფერია. . .* თუმცა შესაძლოა ძალიანაც ბრაზობდეს.

arzeši nad rad

‘არ ღირს, არაფრის’

q bele nad rad (q beli nad rad; q bel nad re; q beli nad re)

‘არ ღირს/არაფრის’

xaheš mikonam

‘1. გეთავყვა; 2. ინებეთ; 3. მომიტევეთ; 4. თუ არ შეწუხდებით’

არაგულწრფელი, ფატიკური გამონათქვამების წყალობით ხერხდება, წარმატებული იყოს კომუნიკაცია და თანამოსაუბრენიც ერთმანეთს კეთილი განწყობილებითა და მეგობრული ღიმილით დაემშვიდობონ.

სტუმართმოყვარეობა, სტუმრის პატივისცემა საქართველოში რიტუალადაა ქცეული. ქართველს სისხლში გამჯდარი სტუმართმოყვარეობის გრძნობა აიძულებს, ხანდახან, სტუმრის მიპატიჟება-მიწვევის დროს, მიმართოს თეთრ ტყუილს. ეს მას ეხმარება საკუთარი პიროვნული იმიჯის შენარჩუნებაში. ფატიკური მიპატიჟებისათვის ქართულ ენაში შესანიშნავი გამოთქმა არსებობს – *ცალყბად პატიჟი*.

სტუმრის გამასპინძლება - საჭმლის, ხილის, ტკბილეულის შეთავაზება ერთ-ერთი ეტიკეტური სიტუაციაა, სადაც ასევე წარმატებით გამოიყენება სოციალური ტყუილი. სტუმარი ხშირად, მასპინძლის შეთავაზებაზე ფატიკურ უარს ამბობს, იმეორებს სამადლობელ ფრაზებს, და მასპინძლის მხრიდან რამდენიმეჯერ ნათქვამი შეთავაზების შემდეგ იღებს გამასპინძლებას: შედის სახლში, ჯდება მაგიდასთან, მიირთმევს ტკბილეულს, საჭმელს და სხვა.

ირანულ ყოფაში მიპატიჟება-შეთავაზება იმდენად სიტყვაუხვი და ინტენსიურად განმეორებადია, რომ არაირანელს, მათ შორის ქართველსაც, გადაჭარბებულად და მომაბეზრებლად შეიძლება მოეჩვენოს. ირანელი მასპინძელი დაუსრულებლად იმეორებს: benešinid ‘დაბრძანდით; მოისვენეთ’; nuš-e j n ‘ღმერთმა შეგარგოთ, გემრიელად მიირთვით’. . . მასპინძელი შეთავაზების გამომხატველი სიტყვების გამეორებას არ წყვეტს, მაშინაც კი, თუ სტუმარი უკვე მაგიდასთან ზის და მიირთმევს. თააროფის წესების მიხედვით მასპინძელმა სამჯერ უნდა შეიპატიჟოს სტუმარი, და სტუმარიც, რამდენიმე მოკრძალებული უარის თქმის შემდეგ, მხოლოდ მესამე შეთავაზებისას იღებს გამასპინძლებას. მიპატიჟებისადმი მსგავსი მიდგომა დამახასიათებელი დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერეთში მცხოვრებთათვის.

თუ დასავლურ ეტიკეტს გადავავლებთ თვალს, იგი ამ მხრივ, განსხვავებულია. მაგალითად, ინგლისში მასპინძელი თუ სტუმრისაგან შეთავაზებაზე უარს მიიღებს, მეტად აღარ აწუხებს მას, რადგან შეთავაზების გამეორება უკვე არათავაზიანობაა და სტუმრის შეწუხებას ნიშნავს (დემეტრაძე 1996). მსგავს სიტუაციას ვნახავთ აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ კახეთში. კახელი მასპინძელი შეთავაზებას არ გაიმეორებს. კახელები თვლიან, რომ ეს ზედმეტია და შემაწუხებელი.

ვატიკური კომუნიკაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია, ქათინაური, მამებელი ფრაზები. ცნობილია, რომ ყოველ ადამიანს დიდ სიამოვნებას ჰგვრის მისი ფიზიკური თუ სულიერი თვისებების, მისი ნამოქმედარის შექება (2007). ამდენად, როდესაც არავითარი ინფორმაციული შეტყობინება არა გვაქვს გადასაცემი, ყველაზე ეფექტური ხერხი მსმენლის გახალისებისა არის ქათინაური. შეიძლება შევაქოთ ადრესატის გონიერება, გარეგნობა, ოჯახის წევრები, ბინა, მანქანა. . . . ასევე, ძირითადად, ქალბატონებს ძალიან სიამოვნებთ მომზადებული კერძებისა და ტკბილეულის შექება. შესაძლოა, სტუმარს არც ეგემრიელა, მაგრამ აუცილებლად უნდა თქვას: e xošmaz(z)e ‘რა გემრიელია’, ეს თავაზიანობით განპირობებული ერთგვარი ვალდებულებაა. იმავე საქმეს ემსახურება მასპინძლის ფრაზები:

bebaxšid, age bad gozašt

‘მაპატიეთ, თუ კარგი დრო ვერ გაატარეთ.

bebaxšid dige, age, ghaza bad bud

‘მაპატიეთ, თუ საჭმელი გემრიელი არ იყო’

საყრდენი სიტყვები: baxšidan ‘ჩუქება, ბოძება, მიტევება’; gozaštan ‘გავლა, გატარება’; bad ‘ცუდი’.

ყველა მშობლის სუსტი წერტილია შვილები, მათი შექება კი მშობლების გაბედნიერების საშუალებაა: *če pesar/dotar – e bā huši, če qadr bozorg šode ... რა ჭკვიანი შვილი გყოლიათ, ნამდვილი ვაჟკაცია, როგორ დამშვენებულა, როგორ გაზრდილა. . .* ასეთი კომპლიმენტი დადებითად მოქმედებს მსმენელზე და ხელს უწყობს ურთიერთსიმპათიის გაღრმავებას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ტყუილი განსაკუთრებული დანიშნულებისაა სოციალურ ურთიერთობებში. ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან გამოიკვეთა რამდენიმე ეტიკეტური სიტუაცია, სადაც თეთრი ტყუილი არათუ მისაღები და დასაშვებია, არამედ - სავალდებულოც: *მისალმება-მოკითხვა, მადლობა, საჩუქრის ბოძება-მირთმევა, მობოდიშება, დაპატიება, გამასპინძლება, შეთავაზება, ქათინაური და მამებელი ფრაზები* - არის ძირითადი ეტიკეტური გარემო, სადაც თეთრ ტყუილს ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. სწორედ სოციალურად გამართლებული ტყუილის ხარჯზე ინარჩუნებს თითოეული ამ სიტუაციათაგანი საკუთარ სოციალურ ფორმას.

თავი მეორე: ფატიკური კომუნიკაციის ტიპები

2.1 ფატიკური კომუნიკაციის ტიპების კლასიფიკაცია

ფატიკური კომუნიკაცია ლინგვოკულტუროლოგიური არეალის ნაწილია, უფრო კონკრეტულად კი ეკუთვნის ამ არეალის ყოფითს დონეს. ყოფითს დონეში მოიაზრება ადამიანის ყოველდღიური რუტინა, სოციალური კავშირები, რიტუალები და პიროვნების ქცევის მიმართება საზოგადოების მიერ განსაზღვრული ეტიკეტური წესებისა და ნორმებისადმი. ადამიანის ყოველდღიური რუტინა გახდა საწინდარი ფატიკური კომუნიკაციის ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის. ამგვარი ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ერთეულებს *ეტიკეტურ სიტუაციებს ან ეტიკეტურ*

ჟანრს უწოდებენ. ამ ორი დასახელების ფარგლებში მოიაზრება ცხოვრებისეული სიტუაციები, კონტექსტები, რომლებიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა (Gunter 2009).

ქართულ სამეცნიერო წრეებში, ფატიკური კომუნიკაციის ანალიზი და კლასიფიკაციის მოდელი, პირველად მეცნიერებმა ლილი გოქსაძემ და ირინე დემეტრაძემ შემოგვთავაზეს. მათი კვლევის საგანს წარმოადგენდა ქართულ-ბრიტანული ყოფითი თავისებურებები. ი. დემეტრაძემ შექმნა ეტიკეტურ სიტუაციათა ჩამონათვალის ერთგვარი მოდელი (დემეტრაძე 1996).

ამ მოდელის მიხედვით, გამოიყოფა ცხრა საკომუნიკაციო ტიპი:

1. მისაღმება
2. დამშვიდობება
3. მადლობა
4. ბოდიში
5. დაპატიჟება
6. შეთავაზება
7. დალოცვა და მილოცვა
8. თანაგრძნობა
9. ქათინაური (დემეტრაძე 1996)

ჩვენს ნაშრომში მივყევით ამ ჩამონათვალის რიგს, თუმცა ირანული და ქართული ლინგვოკულტურული არეალის სპეციფიკიდან გამომდინარე მოცემულ, ცხრა ქვეტიპს დავუმატეთ კიდევ ოთხი ჟანრი - *საჩუქრის ბოძება-მიღება, საალერსო-კნინობითი ფორმულები, გაცნობა და შეთავაზება*. ამ უკანასკნელის შესახებ უნდა ვთქვათ, რომ ნაშრომში განვასხვავეთ შეთავაზების ორი ტიპი: 1. დახმარების შეთავაზება და 2. სტუმარმასპინძლობის რიტუალთან დაკავშირებული შეთავაზების წესები. ანუ, საერთო ჯამში გამოვიდა ეტიკეტურ სიტუაციათა 13 ქვეტიპი. ნაშრომში განხილულია თითოეულ ეტიკეტურ ჟანრთან დაკავშირებული ენობრივი მასალა ქართული და სპარსული ენების მონაცემთა ბაზაზე.

2.2 ფატიკური კომუნიკაციის ტიპები ქართულში (ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით)

ყოველდღიური ყოფითი სიტუაციები, სადაც ადამიანები იყენებენ ენის საკომუნიკაციო ფუნქციის ფატიკურ ვერსიას, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა; ასეთი საკომუნიკაციო ველია: მისალმება-მოკითხვა, დამშვიდობება, მადლობა, მობოდიშება, მილოცვა, დალოცვა და სხვა;

წინამდებარე თავში შევეცდებით, თავდაპირველად ქართული ენისა და ყოფის მაგალითზე განვიხილოთ თითოეული ეტიკეტური სიტუაცია და მისი დამახასიათებელი ძირითადი ფატიკური ლექსიკის ნიმუშები; აქვე უნდა ითქვას, რომ გამოყოფილი თითოეული ენობრივი ერთეული, მეტყველებაში განიცდის სიტუაციურად და კონტექსტურად შეპირობებულ ცვლილებებს, ამიტომ შევეცადეთ განგვეხილა ფატიკურობის გამომხატველი ყოველი ტიპი ან ქვეტიპი იმ სიტუაციურ ცვლილებათა გათვალისწინებით სპარსულ და ქართულ ლინგვოკულტურულ სივრცეში. თითოეული ეტიკეტური სიტუაციის დახასიათებას მოსდევს ენობრივი მასალა წარმოდგენილი ცხრილის ფორმატით. ჩამოთვლილ ფორმულებს მისადაგებული აქვს თავაზიანობის ხარისხი.

1. მისალმება

განურჩევლად სოციალური სტატუსისა, ასაკისა თუ მრწამსისა ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში უდიდესი როლი აქვს მისალმების რიტუალს; მისალმება, ესაა ნებისმიერი სახის ვერბალური კომუნიკაციის საწყისი;

ქართული ტრადიციის მიხედვით, მისალმება სავალდებულო წესია. საქართველოში მტერსაც კი ესალმებიან; მისალმების ჩვეულების დაცვა-დაუცველობისა და მისალმების ხასიათის მიხედვით შესაძლებელია მოსაუბრეთა შორის არსებული სოციალური და ყოფითი ურთიერთობების ხარისხის გამიჯვნა.

ქართულ ენაში ძირითადი მისასალმებელი სიტყვაა *გამარჯობა*, ეტიმოლოგიურად იგი უკავშირდება ზმნა გამარჯვებას (ამოსავალია მასდარი - გამარჯვება). მისი ეს მნიშვნელობა, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ცოცხალია ქართულ სოფლებში, რასაც მოწმობს საპასუხო სიტყვიერი რეაქცია მისალმების ამ ფორმაზე (იგულისხმება ამ სიტყვით მისალმების საპასუხოდ მაძლობის მიღება) (აფრიდონიძე 2003).

„საპასუხო მისალმებად ხმარებულ ამავე ფორმას (გამარჯობა!) თანამედროვე მეტყველებაში, არცთუ იშვიათად ჩაენაცვლება ობიექტური წყობის ზმნის, მეორე პირის კავშირებითის ფორმა - *გაგიმარჯოს!* თქვენობითი მიმართვისას: *გაგიმარჯოთ!*, ხოლო როდესაც ეს ზმნა საკუთარ სახელთან ერთადაა, მას ჩაენაცვლება მესამე პირის ფორმა: *გაუმარჯოს*“. (აფრიდონიძე 2003, 231-232)

ქართულ ენაში გამარჯობის სინონიმია არაბული წარმოშობის სიტყვა: სალამი (არაბული - სალამ).

ქართულ სიტყვაწარმოებაში „სალამ“ ძირის საშუალებითაა მიღებული: მისალმება, გამოსალმება (ეს უკანასკნელი ქართულ ენაში იხმარება გამომშვიდობების მნიშვნელობით).

ზმნა - გამოსაღმება ქართულში გარდაცვალებას, სიკვდილსაც გამოხატავს - ეტიმოლოგიურად დამშვიდობებას უკავშირდება - სიცოცხლისგან გამომშვიდობება/გამოსაღმება.

სიტყვათშენაერთებში: სალმის მიცემა, სალმის თქმა, უსალმო, (ითქმის ადამიანზე რომელსაც გამარჯობის თქმა არ უყვარს), სალმის გამძირება, ძვირი სალამი (გამოხატავს ადამიანის გამედიდურებას);

მისასაღმებლად შეიძლება წარმოვთქვათ მხოლოდ სიტყვა „სალამი“ ზმნის გარეშე, ან დავურთოთ საკუთარი სახელი:

სალამი - ცალკე მდგომი მისასაღმებელი სიტყვა

ქეთევანს სალამი - მისასაღმებელი სიტყვა საკუთარ სახელთან (PN¹+ მისაღმება)

სალამი გიორგის - მისასაღმებელი სიტყვა საკუთარ სახელთან ერთად (მისაღმება + PN)

ქართული ხატოვანი მეტყველებისთვის დამახასიათებელია სინტაგმური წყვილი: *სალამს გიძღვნით, სალამი მომირთმევია*. ამ ფრაზების გამოყენება დამახასიათებელია ლიტერატურული ტექსტებისათვის, ცოცხალ დისკურსში მას, დღეს უკვე, იშვიათად შევხვდებით. ახალგაზრდები მას ხუმრობისა და ირონიის გამოსახატავად იყენებენ (აფრიდონიძე 2003).

ქართულ თანამედროვე მეტყველებაში ძალიან ხშირად ისმის „მოგესალმებით“: (დილის გადაცემები, საინფორმაციო გამოშვებები და ა.შ. *მოგესალმებით ძვირფასო ტელემაცურებლებო; მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო...*)

სიტყვა „მშვიდობა“ გვხვდება ქართულ მისასაღმებელ ფორმულებში, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია დღის ამა თუ იმ მონაკვეთზე:

დილა მშვიდობისა

შუადღე მშვიდობისა

¹ PN - სათანადო არსებითი სახელი

საღამო მშვიდობისა (და არა ღამე მშვიდობისა, რაც დამშვიდობების სინონიმია, და, სამწუხაროდ, თანამედროვე ქართულ ტელე-სივრცეში ამ ფრაზას ძალიან ხშირად შეცდომით იყენებენ მისასალმებლად).

ნეიტრალური მნიშვნელობისაა გამოთქმა: *დღე მშვიდობისა*, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მთელი დღის განმავლობაში (ეს გამოთქმა შინაარსობრივად არ განასხვავებს დღის მონაკვეთებს: დილასა და შუადღეს);

ქართულ რეალობაში, ასევე, პოპულარული მისალმებებია: *აქა მშვიდობა* (ითქმის სტუმრად მისვლისას, და მისი დანიშნულებაა გარდა მისალმებისა, სტუმარმა გამოხატოს კეთილი სურვილები და განწყობა მასპინძლისა და მისი ოჯახის მიმართ);

მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა (დამახასიათებელია ასაკოვან ადამიანთა მეტყველებისათვის); ამ ტიპის მისალმების საპასუხოდ ისმის:

რა კარგია, რომ მოხვედი!

ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ეს ვინ მოსულა?! და ა.შ.

ეს ფრაზები გამოიყენება უმეტესად მეგობრულ სიტუაციაში, ისინი ფამილარული ხასიათისაა.

დიდი ხნის უნახავ ნაცნობ-მეგობრებს, ქართველი ესალმება ემოციური ფრაზებით:

ამას ვის ვხედავ?!

საუკუნეა, არ მინახავხარ!

სად ხარ დაკარგული?!... (ფამილარული საუბრის ფორმა).

უნდა ითქვას, რომ ქართველი არ ერიდება საკუთარი ემოციების გამოხატვას მეგობართა წრეში, თუმცა ოფიციალურ სიტუაციებში ეს ემოცია მართულია.

განსაკუთრებული მისალმების ფორმულებით ესალმებიან საქართველოში შრომაში გართულ ადამიანს. მოსავლის აღების დროს ერთმანეთს ეტყვიან: *ხვატი და*

ბარაქა/ბარაქა მოგცეს ღმერთმა! მისი საპასუხო ფრაზებია: *გაიხარე; იხარე; ღმერთმა გაგახაროს;*

მისაღმების ეტიკეტური სიტუაცია გულისხმობს საპასუხო რეაქციას ადრესატის მხრიდან, რაც ქართული ტრადიციისა და თავაზიანობის დაცვის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულებაა; მისაღმების უპასუხოდ დატოვება, ქართულ ყოფაში, გარდა იმისა, რომ არათავაზიანობის გამოხატველია, დიდ შეურაცხყოფადაც აღიქმება. ქართველი კაცი გამარჯობ-აზე გამარჯობ-ითვე პასუხობს ნაცნობს, უცნობს და მტერსაც კი. არსებობს ასეთი გამოთქმა: *სალამი ღვთისაა*. ამ ფრაზაში ჩადებულია ქართველი კაცის დამოკიდებულება ქართულ რეალობაში არსებული ეთიკისა და ეტიკეტის ნორმების მიმართ. ქართველისათვის საღმის უთქმელობა ეწინააღმდეგება მის შინაგან ბუნებას.

მისაღმების რიტუალთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე სავალდებულო წესი:

ა. *გამარჯობა* უნდა თქვა შედარებით მაღალი ხმით, გარკვევით, რათა მისაღმების ადრესატმა გაიგოს იგი და საპასუხოდ, შესაფერისი გამონათქვამებით სალამი დააბრუნოს.

ბ. *გამარჯობას* ამბობს ადამიანი უცხო გარემოში მოხვედრისას (აუდიტორია, დარბაზი, სახლი, ნებისმიერი სახის დაწესებულება, თავშეყრის ადგილი, ოფიციალური თუ არაოფიციალური შეკრებები), ასევე გარკვევით და ხმამაღლა, და ეს გამარჯობა ეკუთვნის შეკრებილთაგან ყველას. დასაშვებია, ამ შემთხვევაში, საპასუხო *გამარჯობა* ან საერთოდ არ ითქვას აუდიტორიის მხრიდან, ან ითქვას დაბალ ხმაზე, ან რეაქცია გამოიხატოს ჟესტიკულაციით: თავის დაკვრა, ფეხზე წამოდგომა, მზერიითი კონტაქტი, მეგობრულ გარემოში: ხელის აწევა, ხელის დაქნევა.

მისაღმების პროცესს უშუალოდ მოსდევს *მოკითხვა*. განსაკუთრებით არაოფიციალურ, მეგობრულ ურთიერთობებში წარმოუდგენელია მოვისმინოთ მხოლოდ მისასაღმებელი ფრაზები, ამ ფრაზებს აუცილებლად მოსდევს:

როგორ(ა) ხარ? რას შვრები/შვები? (თანამედროვე მეტყველებაში ეს ფორმა ხშირად ისმის).

შენი საქმეები/ამბები როგორაა?

სახლში როგორ(ა) ხართ?

შვილები როგორ(ა) გყავს?

შენები როგორ არიან? და სხვა მრავალი.

ეს ფრაზები თითქმის ყოველთვის, ფატიკური შინაარსისაა, მთქმელი ავტომატურად, გაუცნობიერებლად წარმოთქვამს მათ და ასევე გაუცნობიერებლად, შინაარსის გააზრების გარეშე ისმენს საპასუხო ფრაზებსაც:

კარგად, შენ როგორ(ა) ხარ?

არა მიშავს, ვცოცხლობ, ნელ-ნელა, შენკენ რა ხდება?

შენკენ რა ხდება ახალი? და ა.შ.

მისაღმებისა და მოკითხვის თავაზიანი ფორმები ისმის ოფიციალურ მეტყველებაში, თანამდებობრივად ან ასაკობრივად უფროს-უმცროსთა საუბარში:

გამარჯობა! როგორ ბრძანდებით?

გამარჯობა! როგორ გიკითხოთ?

მოგესალმებით! როგორ ბრძანდებით?

მოგესალმებით! მოხარული ვარ თქვენი ნახვით!

გამარჯობა! გამიხარდა, რომ შეგხვდით! და ა.შ.

ცხრილი 2

	ფორმულა	თავაზიანობის ხარისხი
	გამარჯობა!	ნეიტრალური/ოფიციალური

	სალამი!	ნეიტრალური/ოფიციალური
	გაუმარჯოს!	ფამილარული
	მოგესალმებით!	ოფიციალური
	აქა მშვიდობა!	ფამილარული
	დილა მშვიდობის!	ნეიტრალური/ოფიციალური
	შუადღე მშვიდობის!	ნეიტრალური/ოფიციალური
	სალამო მშვიდობის!	ნეიტრალური/ოფიციალური
	დღე მშვიდობისა!	ნეიტრალური/ოფიციალური
	გამარჯობა! როგორ ბრძანდებით?	ოფიციალური
	გამარჯობა! როგორ გიკითხვით?	ოფიციალური
	მოგესალმებით! როგორ ბრძანდებით?	ოფიციალური
	მოგესალმებით! მოხარული ვარ თქვენი ხილვით!	ოფიციალური
	გამარჯობა! გამიხარდა რომ შეგხვდით!	ოფიციალური

2. გაცნობა-წარდგენა

გაცნობისა და წარდგენის რიტუალის სწორად წარმართვა ადამიანთა შორის წარმატებული კომუნიკაციის დამყარების საწინდარია. გაცნობის პროცესს, საკმაოდ კანონიზებული წესები და ნორმები აქვს. გაცნობა შეიძლება მოხდეს მესამე პირის მეშვეობით ან თავად მოუბარს მოუწიოს საკუთარი თავის წარდგენა სიტუაციის მიხედვით.

როგორც წესი, საკუთარი თავის წარდგენის რამდენიმე ძირითადი სიტუაცია გამოიყოფა:

- ა. საჯარო გამოსვლა (მოხსენება, პრეზენტაცია)
- ბ. ინტერვიუ დამსაქმებელთან (გასაუბრება).

ეს ის ორი შემთხვევაა, როდესაც პირი ვალდებულია წარადგინოს საკუთარი თავი, და ამ პროცესის სწორად წარმართვაზე დამოკიდებულია მოვლენების

შემდგომი განვითარება. წარდგენა ხდება შემდეგი სიტყვებით: *მე გახლავართ/მე ვარ/გახლავართ* და სახელი, გვარი; შემდეგ იმ ინსტიტუციის დასახელება, რომელსაც წარმოადგენ: *თსუ უნივერსიტეტის პროფესორი, ადმინისტრაციის მოხელე* და ა.შ. ხოლო შემდეგ საუბარი გრძელდება წინასწარ მოფიქრებული სცენარით, დაწერილი სიტყვით, მომზადებული ტექსტით.

მესამე პირის დახმარებით, გაცნობისათვის იხმარება შემდეგი ძირითადი ფრაზები:

იცნობდეთ;

გაიცანით,

ეს გახლავთ...;

მინდა წარმოგიდგინოთ ...;

ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ;

მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ...;

წარდგენა-გაცნობის ფორმულებს, რა თქმა უნდა, მოსდევს წარსადგენი პიროვნების სახელი და გვარი, ან მხოლოდ სახელი, ან წოდება, შემდეგ კი სახელი და გვარი, რასაც არეგულირებს ეტიკეტური სიტუაცია. ხშირად, წარდგენის ფორმულისა და წარსადგენი ადამიანის სახელისა და გვარის წარმოთქმის შემდეგ, წარმდგენი მესამე პირი, ავრცობს სათქმელს, რათა შეძლოს უფრო მეტი ინფორმაცია მიაწოდოს წარსადგენის შესახებ.

გაცნობა-წარდგენას რამდენიმე საზოგადოდ მიღებული წესი აქვს:

1. ასაკით უმცროსს წარადგენენ ასაკით უფროსის წინაშე;
2. სოციალური სტატუსით უფროსის წინაშე წარადგენენ სტატუსით დაბლა მდგომს;
3. შეკრებილი საზოგადოების წინაშე წარადგენს ახლად მოსულ სტუმარს მასპინძელი;
4. მამაკაცს წარადგენენ ქალბატონის წინაშე;

თანამედროვე ცხოვრებაში, ხშირად, შევხვდებით საკუთარი თავის წარდგენის ერთ-ერთ საშუალებას, - სავიზიტო ბარათს. სავიზიტო ბარათი ცვლის წარმდგენ მესამე პირს და უხერხულობის განცდის გარეშე აძლევს ადამიანს საშუალებას,

გააცნოს თავი მოუსაუბრეს. სავიზიტო ბარათს შაბლონური ფორმა აქვს და შეიცავს ინფორმაციას: სახელი და გვარი, წოდება, თანამდებობა, ორგანიზაციის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია (მობილური ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი და ასე შემდეგ).

ცხრილი 3

	ფორმულა	თავაზიანობის ხარისხი
	მინდა წარმოგიდგინოთ პროფესორი ...!	ოფიციალური
	წარმოგიდგენთ ბატონ ...!	ოფიციალური
	იცნობდეთ ბატონი/პროფესორი...!	ოფიციალური
	ეს გახლავთ ბატონი/პროფესორი ...!	ოფიციალური
	მაქვს პატივი წარმოგიდგინოთ ...!	ოფიციალური/ნეიტრალური
	ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ...! ნება მიბოძეთ გაგაცნოთ...!	ოფიციალური/ნეიტრალური
	მინდა წარმოგიდგინოთ...!	ოფიციალური/ნეიტრალური
	წარმოგიდგენთ...!	ოფიციალური/ნეიტრალური
	იცნობდეთ...!	ოფიციალური/ნეიტრალური
	ეს გახლავთ ...!	ოფიციალური/ნეიტრალური

3. დამშვიდობება

ნებისმიერი ტიპის სიტყვიერი კომუნიკაცია, ძირითადად, დამშვიდობებით მთავრდება. ქართულში ყველაზე გავრცელებული დასამშვიდობებელი სიტყვებია ნახვამდის და მშვიდობით.

ნახვამდის გულისხმობს ერთმანეთთან შეხვედრის სურვილსა და იმედს, ხოლო *მშვიდობით*, უფრო მეტად, გამოიყენება დიდი ხნით ან სამუდამოდ დამშვიდობების შემთხვევაში.

საუბრის მსვლელობისას, ერთ-ერთი მხარე თუ გადაწყვეტს საუბრის დამთავრებას, დამშვიდობების თავაზიანი ფრაზები, თითქმის არასოდეს წარმოითქმის მოულოდნელად, შუა დისკურსის დროს, თუ ასე მოხდა, შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ თანამოუბარს რაიმე აწყენინა, ეს გამოიწვევს სიტუაციის ფატიკურობის დარღვევას. თავაზიანობის წესების დაცვისას, დამშვიდობების გამომხატველი ფორმულების წარმოთქმას, მუდამ წინ უსწრებს საუბრის დასრულების სურვილის გამომხატველი სხვადასხვა სიტყვებისა და ფრაზების ნაკადი, რომლებიც თავაზიან ფორმულათა მსგავსად, სტანდარტული არაა, მაგრამ მნიშვნელობით თითქმის უთანაბრდება მათ. ასე მაგალითად:

ვწუხვარ, მაგრამ მეჩქარება!

უნდა წავიდე!

ბოდიში, მაგრამ უნდა წავიდე,

მომიტევეთ, უნდა დაგტოვოთ!

იძულებული ვარ წავიდე! ა.შ.

ამის შემდეგ შეიძლება უკვე, უშუალოდ, დამშვიდობების გამომხატველი ფრაზების წარმოთქმა:

კარგად იყავი!

კარგად ბრძანდებოდეთ!

აბა, ჯერ-ჯერობით!

გნახავთ!

არ დაგვივიწყოთ!

მომავალ შეხვედრამდე!

ბედნიერად!

ღმერთი გფარავდეთ!

ახალგაზრდებში, ფამილარულ, მეგობრულ სიტუაციებში დამშვიდობებისათვის გამოიყენება უცხოური ფრაზები: პაკა; პაკა-პაკა, ბაი; ბაი-ბაი (ზექალაშვილი 2012);

საზოგადოდ, მიღებულია, გამომშვიდობების დროს, გამოვხატოთ შეხვედრით/საუბრით გამოწვეული სიხარული, მოკითხვა დავაბაროთ თანამოსაუბრეს ოჯახის წევრებთან, ახლობელ ადამიანთან, საერთო ნაცნობებთან. დავპირდეთ, რომ მომავალში აუცილებლად ვინახულებთ ან დავურეკავთ. შედარებით ოფიციალური საუბრის დროს, მოუბარს მადლობას გადავუხდით, რომ დრო დაგვითმო და ასევე მოვუბოდიშებთ შეწყუხებისათვის:

კარგად ბრძანდებოდეთ!

მომიკითხეთ ოჯახი/შვილები/მეუღლე/დედა/მამა/;

დამიკოცნეთ პატარები!

ნახვამდის,

აუცილებლად გამოგივლით!

კარგად; შეხვედრებით!

მომავალ შეხვედრამდე!

მალე შევხვდებით!

მალე გნახავ!

გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ!

ბოდიში შეწუხებისათვის,

კარგად ბრძანდებოდეთ!

ბოდიშს გიხდით მოცდენის გამო! და ა.შ.

ეტიკეტისა და ფატიკური კომუნიკაციის ნორმათა დაცვა მოითხოვს, რომ გამომშვიდობება ყოველთვის გამოხატავდეს სინანულს, მომავალი შეხვედრის იმედს და კეთილ სურვილებს:

იმედია, კიდევ გნახავთ;

მომავალ შეხვედრამდე;

კიდევ შევხვდებით;

მოგვიანებით შევხვდებით;

დამშვიდობების სწორად წარმართვაზე დიდადაა დამოკიდებული, როგორც არსებული კონკრეტული ვერბალური კონტაქტის წარმატებულობა, ასევე ნაცნობ-მეგობრობის შემდგომი გაგრძელებაც; დამშვიდობების პროცესი, ხშირად უფრო მეტად მეტყველია მოლაპარაკეთა ურთიერთდამოკიდებულებაზე, ვიდრე ხანგრძლივი, გაბმული საუბარი.

მოკითხვის გადაცემა, უფრო მეტად აღრმავებს ურთიერთობებს და ხაზს უსვამს თანამოუბართა კეთილგანწყობას მათი ახლობელი ადამიანების მიმართაც.

ოფიციალურ შეხვედრებზე, ან ოფიციალურად სიტყვის წარმოთქმისას დასამშვიდობებელი ფრაზაა: *მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის!* *გმადლობთ, რომ მობრძანდით!* *გმადლობთ ყურადღებისათვის!* და ა.შ. მსგავსი

ფრაზები მართალია, არ შეიცავს სიტყვებს: *ნახვამდის ან მშვიდობით*, თუმცა იმანენტურად დამშვიდობების ტოლფასია.

ცხრილი 4

	ფორმულა	ხარისხი
	ნახვამდის!	ნეიტრალური/ოფიციალური
	მშვიდობით!	ნეიტრალური/ოფიციალური
	კარგად ბრძანდებოდეთ!	ოფიციალური
	კარგად იყავი!	ფამილარული
	ჯერ-ჯერობით!	ფამილარული
	დროებით!	ფამილარული
	ბედნიერად!	ფამილარული
	მომავალ შეხვედრამდე!	ნეიტრალური/ოფიციალური
	გნახავ!	ფამილარული
	მოგვიანებით გნახავ!	ფამილარული
	გამოგივლი!	ფამილარული
	გამომიარე!	ფამილარული
	არ დაგვივიწყო!	ფამილარული
	ღმერთი გფარავდეს!	ნეიტრალური
	ღმერთი იყოს შენი შემწე/მფარველი!	ნეიტრალური
	დამიკოცნეთ პატარები!	ფამილარული
	ბოდიშს გიხდით მოცდენისათვის!	ოფიციალური
	ნახვამდის, აუცილებლად გამოგივლით!	ნეიტრალური/ოფიციალური
	კარგად, შევხვდებით!	ნეიტრალური/მეგობრული
	მომავალ შეხვედრამდე!	ნეიტრალური
	მალე შევხვდებით!	მეგობრული/ნეიტრალური
	მალე გნახავ!	ფამილარული
	გმადლობ(თ), რომ დრო დამითმეთ!	ოფიციალური
	ბოდიში შეწუხებისათვის, კარგად	ოფიციალური

	ბრძანდებოდეთ!	
	მადლობას ყურადღებისათვის!	მოგახსენებთ ოფიციალური
	გმადლობთ, რომ მობრძანდით!	ოფიციალური
	მადლობა ყურადღებისათვის!	ოფიციალური

4. მადლიერება

მადლობა ადამიანის ცხოვრებაში ნებისმიერი საკომუნიკაციო სიტუაციის განუყოფელი ნაწილია; ძალიან რთულია, ზუსტად განისაზღვროს და გაივლოს საზღვრები მადლობის გამოყენების ცხოვრებისეულ სიტუაციათა შორის. მადლობა ისმის საჩუქრის მიღებისას, დახმარების გაწევისას, თანადგომისას, მილოცვისას, საჯარო ლექციებისა და მოხსენებების მოსმენა/მოხსენებისას და ასე შემდეგ. სიტყვა მადლობა საკომუნიკაციო სივრცეს ხდის წარმატებულს და ამასთანავე ფატიკურს.

ქართველები სიკეთის დამფასებელი ხალხია. უმნიშვნელო გარჯისთვისაც გულუბრუნად მადლობას იხდებიან, თითქოს სიტყვების საშუალებით ცდილობენ სამაგიეროს გადახდას.

ქართულში მადლიერების გამოხატველი ძირითადი სიტყვაა *მადლობა*. „როდესაც ის მიემართება მეორე პირს, უჩნდება მეორე ობიექტური პირის ნიშანი გ- : გ-მადლობ. თავაზიან საუბარში - გ - თ , მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი: გმადლობ-თ. იგი ლექსიკურად იხამებს სიტყვებს დიდი, უღრმესი: დიდი მადლობა; უღრმესი მადლობა“ (აფრიდონიძე 2003).

ქართულ რეალობაში მადლობას გამოხატავს ფრაზები: *ღმერთმა დაგლოცოს; ღმერთმა გაგახაროს; ღმერთმა გამრავლოს; შენს მარჯვენას ვენაცვალე (ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ხელით შესრულებული სამუშაოს გამო მადლობის გამოხატვას), გაიზარდე [დიდი გოგო/ ბიჭი], წყლის ძალა მოგცეს ღმერთმა*. ეს ბოლო ფრაზა, როგორც წესი, გავრცელებულია ასაკით უფროსთა წრეში, და მადლობის ეს ფორმა გამოიყენება უშუალოდ წყლის მიწოდებისას.

ქართულ ენაში მადლიერების გამომხატველი ძირითადი სიტყვაა *მადლობა*. იგი ლექსიკურად იხამებს სიტყვებს *დიდი*, *ულრმესი*:

დიდი მადლობა;

ულრმესი მადლობა;

საჩუქრის მიღების დროს, ეტიკეტი მოითხოვს საჩუქრის მიმღებისაგან გულუხვი მადლობების და ფატიკური ხასიათის საყვედურის თქმას (ამ საყვედურს მადლიერების ელფერი აქვს), რაც შემდეგი ფრაზებით შეიძლება გადმოვცეთ: *დიდი გმადლობ, რატომ წუხდებოდით; რად გინდოდათ; ულმრესი მადლობა; ძალიან დამავალეთ; ასე რატომ დაიხარჯეთ*; კიდევ უფრო ამაფრებს საჩუქრით გამოწყვეულ ემოციას გამოთქმები: *სწორედ ამაზე ვოცნებობდი; რა იცოდი რომ (ამ ნივთზე, წიგნზე, სამკაულზე ...) ვოცნებობდი; სწორედ ამას ვეძებდი და სხვა*.

ფრაზა „*გმადლობ(თ) ყურადღებისათვის*“, ძირითადად, ისმის საჯარო მოხსენებების, ლექციების, ტელე-რადიო გადაცემების დასრულებისას, რისი საშუალებითაც მომხსენებელი მადლობას უხდის ყველას მის მოსასმენად დროის გამონახვისა და ყურადღების გამოჩენისათვის.

მადლობას, შესაბამისი პასუხი უნდა გაეცეს. ქართულში ამ მიზნით იხმარება სიტყვა არაფრის, ასევე გამოთქმები: *არ ღირს სამადლობლად/მადლობად არ ღირს* - რომელიც გულისხმობს, რომ მოსაუბრეს მადლობის დასამსახურებლად ისეთი, ვითომდა, არაფერი გაუკეთებია.

მადლობის საპასუხოა ასევე: *რას ამბობ, რისი მადლობა! რაც შემეძლო, ის გავაკეთე!*

ასაკით ჩვენზე უფროსი მადლობის გამოსახატავად გვეტყვის: *გაიხარე! გაიზარდე! ღმერთმა გიშველოს! ღმერთმა სიკეთე მოგცეს!.. იცოცხლე და ა.შ.*

ქართულ რეალობაში, მადლობის გამომხატველი ფრაზები მადლიერებასთან ერთად მოიცავს დალოცვის ელემენტებს, ხოლო მადლობის პასუხებში ხაზგასმულია ადამიანის მოკრძალება და მორიდებულობა;

ცხრილი 5

№	ფორმულა	ხარისხი
	გმადლობ!	ნეიტრალური
	გმადლობთ!	ოფიციალური
	დიდი მადლობა!	ნეიტრალური/ოფიციალური
	ულრმესი მადლობა!	ნეიტრალური/ოფიციალური
	ძალიან დამავალეთ!	ნეიტრალური/ოფიციალური
	რატომ წუხდებოდით(თ)!	ნეიტრალური/ოფიციალური
	როგორ შეწუხებულხარ(თ)!	ნეიტრალური/ოფიციალური

5. ბოდიში/მოზოდინება

ბოდიშის მოხდა ალბათ ერთ-ერთი ყველაზე დადებითი ემოციების გამომწვევი მოვლენაა ადამიანთა ცხოვრებისეულ სიტუაციათა ლაბირინთში. მისი გამოყენების სიხშირე ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით, დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ასევე მრავალფეროვანია ბოდიშის გამომხატველი ფრაზები ქართულ ენაში: *უკაცრავად, მაპატიეთ, დიდი ბოდიში, ვწუხვარ, თუ შეიძლება მომიტყვეთ, მომიტყვეთ, მაპატიეთ, თუ შეიძლება მაპატიეთ, დიდ ბოდიშს მოგიხდით და ასე შემდეგ.*

ბოდიშის მოხდას გარკვეულ სიტუაციებში საკმაოდ დიდი ემოციური და შინაარსობრივი დატვირთვა აქვს. ძალიან ხშირად, ბოდიშის თქმა რთული, მაგრამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანურ ურთიერთობებში. ხანდახან გვიჭირს საკუთარი ქმედებების გამო მოზოდინება, თუმცა, როცა ამას ვახერხებთ, მას შინაგანი სიმშვიდე და სიმსუბუქე მოაქვს.

არსებობს ყოველდღიური ყოფითი ეპიზოდები, სადაც ადამიანები დაუფიქრებლად, ავტომატურად გამოხატავენ ბოდიშს. მაგალითად, თუკი ტრანსპორტში, ან ქუჩაში ვინმეს შემთხვევით ფეხი დავაბიჯეთ ან დავეჯახეთ, ან რისამე სახის ზიანი მივაყენეთ, აუცილებელია მოზოდინება: *უკაცრავად, შემთხვევით მოხდა; მაპატიეთ; ვწუხვარ* და სხვა. ბოდიშის ჯადოსნური ძალის

საშუალებით, ცვდილობთ გამოვისყიდოთ დაშვებული შეცდომები, რაც რეალობას სულაც არაა მოკლებული, ბოდიშის მოსმენის შემდეგ ურთიერთობის გაგრძელება შედარებით მარტივია, უფრო მეტიც, ბოდიშით, თითქოს, თავს ვიცავთ, დაშვებული შეცდომების საპასუხო მოსალოდნელ ემოციებს ვარბილებთ.

თავაზიანობა მოითხოვს ბოდიშზე საპასუხო ფატიკურ რეაქციას, როგორი ნაწყენი და გაბრაზებულიც არ უნდა იყოს ქართველი ბოდიშის მოსმენისას ამბობს: *არა უშავს; დიდი არაფერი; რას ამბობთ; ეს რა საბოდიშოა, როგორ გეკადრებათ; ეგ არაფერი და სხვა.*

ერთი შეხედვით, საბოდიშო ფრაზები ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით, ვარიაციებით არ გამოირჩევა, თუმცა ქართული რეალობის მაგალითზე შეიძლება დავასახელოთ ერთი ტრადიციული ფრაზა, რომელიც ითქმის უშუალოდ ჭურჭლის გატეხვის დროს ბოდიშის საპასუხოდ: *ბედნიერების ნიშანია/მომასწავებელია.* ქართულ რეალობაში, ეს ფრაზა ფატიკურობის კლასიკური მაგალითია; იგი, ნივთის უნებურად გამტეხს ამხნევებს და მთლიანად უქრობს დანაშაულის შეგრძნებას; მსგავსი გამოთქმის მოსმენის შემდეგ, რა თქმა უნდა, გრძელდება გულთბილი და მეგობრული ურთიერთობა; ამ და მსგავსი ტიპის ფორმულათა წყალობით ქართველი ადამიანი ადვილად ახერხებს ურთიერთობის ბოლომდე შენარჩუნებას.

ცალკე უნდა აღინიშნოს ბოდიშის გამომხატველი სიტყვის *უკაცრავად* გამოყენება ყურადღების მიპყრობის მიზნით. ამ ფორმულით შესაძლებელია სრულიად უცხო ადამიანსაც კი მივმართოთ და უხერხულობის განცდის გარეშე ვთხოვოთ რაიმე სახის დახმარების გაწევა: *უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვიტ რომელი საათია? უკაცრავად, უნივერსიტეტის გზას ხომ ვერ მიმასწავლით?* და ა.შ. ასეთ დროს, მობოდიშება, მხოლოდ მოხმობითი კონოტაციის მატარებელი არაა, გარკვეულწილად ერთი ადამიანი მეორეს ებოდიშება შეწუხებისათვის. იმ შემთხვევაში კი, მაგალითად ჩვენს წინ მიმავალ უცნობს რაიმე ნივთი დაუვარდა, მისი ყურადღების მიპყრობას აუცილებლად ვეცდებით აწეული ტონალობით წარმოთქმული ფრაზით - *უკაცრავად*, რომელიც შინაარსობრივად ფატიკურია, თავაზიანობის და მოწიწების გამომხატველია.

ქართულ ცოცხალ მეტყველებაში, ძალიან ხშირად ახალგაზრდების საუბარში მოისმენთ ბოდიშის უცხოურ ვარიანტებს, უმეტესად ინგლისურ „სორრი“ -ს, არც თუ შორეულ წარსულში ჭარბობდა ბოდიშის რუსული შესატყვისი „იზვინი“. რა თქმა უნდა, ასეთი სახის ბოდიშს აქვს ფამილარული ხასიათი და იგი უმეტესად სერიოზულად არ აღიქმება, უფრო მეტად ხუმრობის შინაარსს ატარებს.

ცხრილი 6

№	ფორმულა	ხარისხი
	ბოდიში!	ნეიტრალური/ოფიციალური
	მაპატიე!	ნეიტრალური
	მაპატიეთ!	ოფიციალური
	მომიტვეთ, გეთაყვა!	ოფიციალური
	უკაცრავად!	ნეიტრალური/ოფიციალური
	ბოდიშს გიხდით(თ)!	ნეიტრალური/ოფიციალური
	ვწუხვარ...	ნეიტრალური/ოფიციალური

6. დაპატიჟება (მიწვევა)

ქართული რეალობისათვის დაპატიჟება თავაზიანობისა და ეტიკეტის განუყოფელი ნაწილია. ქართულ ენაში არსებობს გამოთქმა: *სტუმარი ღვთისაა* - რაც ძალიან კარგად გამოხატავს ქართველი კაცის განწყობას სტუმრის მიმართ; ქართველი ყოველთვის მზადაა გულუხვად უმასპინძლოს მას ნებისმიერ დროს; მოიკლოს და მოაკლოს საკუთარ ოჯახს ლუკმა, მაგრამ მიიღოს სტუმარი, ისე როგორც წესი და რიგი მოითხოვს;

დაპატიჟება ზოგადად ორი სახისაა: ზეპირი და წერილობითი; წერილობითი დაპატიჟება უფრო ოფიციალურ ელფერს ატარებს, მასში ზუსტადაა მითითებული სტუმრობის დრო და ადგილი. წერილობითი დაპატიჟება ხდება ოფიციალური მიღებების, დიდი წვეულებების, ღონისძიებების, რიტუალების (ქორწილი, დღეობა, ნათლობა...) დროს; წერილობითი დაპატიჟების ფორმა ქართულ რეალობაში, გასულ წლებთან შედარებით, დღეს უფრო და უფრო პოპულარული ხდება;

გამრავალფეროვნდა მოსაწვევი ბარათების სახეობები. მოსაწვევი ბარათებით იწვევენ სტუმრებს ქორწილში, დაბადების დღეებზე, ნათლობებზე და სხვა. თუმცა, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, წერილობითი მიპატიჟების ტრადიცია საქართველოში სუსტია და ჩვენს საზოგადოებაში ეს ტრადიცია ნელ-ნელა მკვიდრდება და მასთან დაკავშირებული ყველა წესის ზედმიწევნით შესრულებას არ მოითხოვს. მაგალითად, ქართული ეტიკეტის წესები არ ავალდებულებს მასპინძელს, მაინცდამაინც, წერილობით დაპატიჟოს სტუმარი ქორწილსა თუ დაბადების დღეზე. მიპატიჟების ფორმის არჩევანში მასპინძელი თავისუფალია; ყველაფერი დამოკიდებულია მასპინძლის გემოვნებაზე: სურს დაარიგებს მოსაწვევებს, სურს ზეპირი გზით დაპატიჟებს სტუმარს. მოსაწვევ ბარათზე პასუხის გაცემაც, ქართული რეალობისათვის, სავალდებულო არ არის (მაგალითად ევროპის ქვეყნებში აუცილებელია მიწვევაზე წერილობითი პასუხი, განურჩევლად იმისა ეს პასუხი დადებითია თუ უარყოფითი, და პასუხი მასპინძელმა, აუცილებლად, წინასწარ უნდა მიიღოს, რათა წვეულებისათვის ეს ფაქტი გაითვალისწინოს). ეს ჩვეულება ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული არ არის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსაწვევ ბარათებზე პასუხის გაცემა დღითიდღე აქტუალური ხდება, არა მარტო ეტიკეტური ნორმების, არამედ მთელი რიგი პრაგმატული მიზეზების გამოც.

ფატიკურ კომუნიკაციაში დაპატიჟებაც ფატიკური ხასიათისაა. შემთხვევით ნაცნობთან ან მეგობართან შეხვედრისას, დამშვიდობების პროცესში, ხშირად ისმის დაპატიჟების ფორმები: *გამოგვიარე; გვესტუმრე აუცილებლად; ნუ დაიკარგები, გვესტუმრე, გაგვიხარდება შენი სტუმრობა* და სხვა მრავალი. ამ სახის დაპატიჟება არ არის ადეკვატური და ინფორმაციული, ამის შესახებ იცის საუბრის ორივე მხარემ, რეალურად არც ერთი არ აპირებს სტუმრობას და არც მეორე - მასპინძლობას. *დაპატიჟება* კეთლგანწყობის გადმოცემის ერთ-ერთი ლექსიკური საშუალებაა.

მიწვევა და მასზე პასუხის მიგება, გამონათქვამთა მეზობლურ წყვილს შეადგენს და განცალკევებით თითქმის არ იხმარება, ეტიკეტი მოითხოვს, რომ ნებისმიერი სახის დაპატიჟებას დადებითი პასუხი გაეცეს: *მოვალ, აბა რას ვიზამ?! აუცილებლად გინახულებთ; გამოვივლი... ვეცდები გინახულო(თ) ...*

ფატიკურ მიპატიჟებაზე უარყოფითი პასუხის გაცემა თავაზიანობის ნორმათა მიხედვით დაუშვებელია, რადგან, რეალურად, მასპინძელი სულაც არ აპირებს ჩვენს გამასპინძლებას საუბრის მომენტში და ამის გამო, არც ჩვენი პასუხის რეალობაა აუცილებელი; ფატიკური მიწვევა-დაპატიჟება ერთგვარ თამაშს ჰგავს, სადაც პასუხები წინასწარაა ცნობილი.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დაპატიჟების კიდევ ერთი საშუალება გაჩნდა, ეს არის ელექტრონული წერილები, იქნება ეს პირად ფოსტაზე გაგზავნილი, სოციალური ქსელების, სასაუბროების გზით, თუ უბრალოდ მოკლე ტექსტური შეტყობინებით. არსებობს ოფიციალური მიწვევის ფორმა, ე.წ. ელექტრონულ პირად ფოსტაზე გაგზავნილი მიწვევის წერილი. ამ სახის დაპატიჟება გავრცელებულია სამეცნიერო წრეებში სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სამუშაო შეხვედრებზე მისაწვევად. წერილის ფორმა მკაცრადაა დაცული, წერილი დაწერილია ორგანიზაციის თუ დაწესებულების ტიტულოვან ფურცელზე, შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ადრესატის სახელი, გვარი და ოფიციალური წოდება/თანამდებობა. ღონისძიების ჩატარების ზუსტი დრო: საათი, რიცხვი და მისამართი. წერილის ბოლოს მოწვევის ავტორის სახელი, გვარი, ოფიციალური წოდება ან თანამდებობა. ხელმოწერა და ორგანიზაციის ან დაწესებულების ბეჭედი.

ცხრილი 7

№	ფორმულა	ხარისხი
	გეპატიჟები/გეპატიჟებით!	ნეიტრალური/ოფიციალური
	გთხოვთ, მობრძანდეთ!	ოფიციალური
	გთხოვთ, გვეწვიოთ!	ოფიციალური
	გაგვიხარდება, თუ გვეწვევით/გვესტუმრებით!	ოფიციალური
	გამომიარე!	ფამილარული
	გელოდები!	ფამილარული
	მოდე!	ფამილარული
	მინახულე ხოლმე!	ფამილარული
	შემომიარე!	ფამილარული

7. შეთავაზება (1)

სტუმარმასპინძლობისა და დაპატიჟების რიტუალის განუყოფელი ნაწილია შეთავაზება.

სტუმრის მიღების პირველივე წუთიდან იწყება შეთავაზებათა კასკადი: შინ შემოსვლის, დასაჯდომი ადგილის, საჭმლის, გამაგრილებელი თუ ალკოჰოლური სასმლის და ასე შემდეგ. სტუმარი ვალდებულია მასპინძლის შეთავაზებანი მიიღოს, ან ძალიან თავაზიანად თქვას მასზე უარი. შეთავაზებაზე უარის თქმის დროს, დიდი სიფრთხილეს საჭირო, შეიძლება მასპინძლის გუნება ჩვენმა უარმა იმდენად გააფუჭოს, რომ დაძაბულობა გადაედოს სტუმრობის მთელ პროცესს და ფატიკური კომუნიკაციის ნორმებიც დაირღვეს. შეთავაზების დროს ქართულში იხმარება სიტყვები: *ინებეთ, მიირთვიეთ (საჭმელ-სასმელის შეთავაზება); მობრძანდით; დაბრძანდით; შემობრძანდით* და ა.შ. ამ სახის შეთავაზებისას, ძირითადად, გამოყენებულია თავაზიანობის შემცველი ზმნის ფორმები, რომელთა შესახებაც შემდგომ ვიმსჯელებთ.

შეთავაზებაზე, სტუმრის მხრიდან, ძალიან ხშირად ისმის ფატიკური უარი. უარობის პროცესს ეტიკეტური ნორმები არეგულირებს და იგი გარკვეულ წესებს ემორჩილება: მასპინძელი ვალდებულია, უარის საპასუხოდ შეთავაზება კიდევ ერთხელ გაიმეოროს და, თუ საჭირო გახდა, მეორედაც. საქართველოში ამ ტრადიციის თვალსაზრისით განსხვავდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კუთხეები. მაგალითად, იმერეთში (დასავლეთი საქართველო) სტუმარმა მასპინძლისაგან სამჯერ მაინც უნდა მიიღოს შეთავაზება, შესაბამისად, სამჯერ მაინც უნდა იუაროს, სანამ სტუმრობაზე ან შეთავაზების მიღებაზე, თანხმობას განაცხადებს. ამიტომაც, იმერელი მასპინძელი თავს არ ზოგავს და მზადაა დაუსრულებლად იმეოროს შეთავაზების გამომხატველი ფრაზები, რაც ხანდახან სტუმრისთვის შემაწუხებელიც კი ხდება. საპირისპიროდ ვითარდება სიტუაცია, მაგალითად კახეთსა და ქართლში (აღმოსავლეთ საქართველო), იქ მასპინძელი მხოლოდ ერთხელ სთავაზობს სტუმარს გამასპინძლებას, რადგან თვლის, რომ სტუმრის ზედმეტად შეწუხება უხერხულია. იქაურმა სტუმარმაც იცის, რომ

ფატიკური უარის თქმის შემთხვევაში მასპინძლისაგან შეთავაზება აღარ გამეორდება.

ცხრილი 8

№	ფორმულა	ხარისხი
	ინებეთ!	ფორმალური
	მიირთვით!	ფორმალური
	დაბრძანდით!	ფორმალური
	დაჯექი!	ფამილარული
	შემოდი!	ფამილარული
	მობრძანდი (თ)!	ნეიტრალური/ფორმალური
	გადაიღე, მიირთვი!	ნეიტრალური/ფორმალური
	აიღე!	ფამილარული

8. შეთავაზება (2)

სტუმარმასპინძლობისას გამოყენებული შეთავაზების გვერდით, უნდა განვიხილოთ შეთავაზების ერთ-ერთი ტიპი - დახმარების შეთავაზება. გაჭირვებაში მყოფ ადამიანს მეგობრები, ახლო ნათესავები ან თუნდაც სრულიად უცხონი სთავაზობენ დახმარებას ვერბალური ფორმით: *შემიძლია დაგეხმაროთ? რითი დაგეხმაროთ? რით შემიძლია დაგეხმაროთ? მზად ვარ დაგეხმაროთ; მზად ვარ გემსახუროთ; თქვენს სამსახურში მიგულეთ...*

დახმარების შეთავაზებისას რთულია განისაზღვროს, მართლაც შესძლებს თუ არა შემთავაზებელი დახმარების გაწევას, ან საერთოდ, მიმართავს კი მას მოუბარი რაიმე სახის სამსახურის გასაწევად, მაგრამ მსგავსი სახის შეთავაზება სრულფასოვნად ასრულებს დაკისრებულ ფუნქციას: ინარჩუნებს და უფრო სანდოს ხდის არსებულ ურთიერთობას.

შეთავაზების ფატიკურობა დარღვეულია მთელ რიგ სიტუაციებში, როდესაც დამხვდურის პროფესიაა შესთავაზოს სტუმარს დახმარება. მაგალითად: მაღაზიაში კლიენტს მომსახურე პერსონალი ხვდება ფრაზებით: *რით შემოდლია გემსახუროთ? ან რით შემოდლია დაგებმაროთ?* ამ ფრაზებს გავიგონებთ ბიბლიოთეკაში, სასტუმროში, რესტორანში და სხვ. შეთავაზებას მომსახურების სფეროში, ფატიკურს ვერ დავარქმევთ, რადგან იგი, უფრო მეტად ინფორმაციული ხასიათისაა. მსგავსი ფრაზებით პერსონალი აცხადებს სრულ მზადყოფნას, შეასრულოს კლიენტის ნებასურვილი დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებში.

ეტიკეტურ სხვა სიტუაციათა მსგავსად, შეთავაზების გამომხატველ ფრაზებს აქვს თავისი მეწყვილე, საპასუხო ფრაზები და ეს ფრაზები, უმეტესად, მაძლობის გამომხატველია:

დიდი მაძლობა! უღრმესი მაძლობა! უღმეს მაძლობას მოგახსენებთ! დიდად გმაძლობთ!

ნუ შეწუხდებით!

ასე როგორ შეგაწუხოთ!

როგორ გაისარჯეთ!

შეთავაზების საპასუხოდ გამოიყენება ასევე დალოცვის ფორმულები: *ღმერთმა დაგლოცოს/გაგახაროს; გაიზარდე დიდი [ბიჭი/გოგო], გაიხარე, იბედნიერე, გამრავლდი.*

წესისამებრ, დალოცვის ფრაზების გამოყენება ახასიათებს ასაკით უფროს თაობას. თანატოლების მიერ ერთმანეთისათვის ნათქვამი დალოცვის ფორმულები ხუმრობის საგანია.

ცხრილი 9

№	ფორმულა	ხარისხი
	თქვენს სამსახურში მიგულეთ!	ოფიციალური
	შენს სამსახურში მიგულე!	ნეიტრალური
	შემიძლია დაგეხმარო(თ)?	ნეიტრალური/ოფიციალური
	რითი დაგეხმარო(თ)?	ნეიტრალური/ოფიციალური
	რით შემიძლია დაგეხმარო(თ)?	ნეიტრალური/ოფიციალური
	მზად ვარ დაგეხმარო(თ)!	ნეიტრალური/ოფიციალური

9. დალოცვა და მილოცვა

ფატიკური კომუნიკაციის ჟანრთა ერთ-ერთი მეტად საინტერესო ტიპია დალოცვისა და მილოცვის ფორმულები;

დალოცვა, ასაკით უფროსი ადამიანებისაგან ისმის. დალოცვა შეიძლება მოსდევდეს პასუხად მისალმებას, მადლობას, შეთავაზებას, მილოცვას; სიტუაციურად განსხვავდება დალოცვის ფორმულებიც.

გაიხარე;

გაიზარდე;

იმრავლე;

იბედნიერე;

ღმერთმა დაგლოცოს;

ღმერთმა გახაროს;

ღმერთმა გამრვალოთ;

ღმერთი შეგეწიოს;

როგორც ვხედავთ, დალოცვის ფორმულებში დომინირებს სიტყვა ღმერთი/უფალი, რაც მიუთითებს, რომ ადამიანები სიკეთეს, უსაფრთხოებას და უკეთეს მომავალს ღვთისაგან ელოდებიან.

შორ გზაზე დამდგარ ადამიანს გზას დაულოცავენ:

კეთილი მგ ზავრობა;

გზა მშვიდობისა;

ბედნიერად;

მშვიდობით მგ ზავრობა;

ღმერთმა კეთილად გატაროთ;

უფალი იყოს თქვენი შემწე/მფარველი;

მილოცვები, თითქმის ყველა კულტურულ საზოგადოებაში, უკავშირდება საეკლესიო და საერო დღესასწაულებს. ამ დროს, ტრადიციად ქცეული მისალოცი ფორმულების გვერდით, ისმის საკუთარი, ინტერპრეტირებული მილოცვის ფორმებიც. ამიტომ, მისალოცი ფრაზები მრავალფეროვანია: *ახალ წელს გილოცავ, მრავალს დაესწარი; მრავალ ბედნიერ წელს მოსწრებოდე; დაბადების დღეს გილოცავ; გილოცავ პატარის დაბადებას (ამ ქვეყნად მოვლინებას) და სხვა მრავალი.*

საეკლესიო დღესასწაულების მისალოცი ფორმულები უფრო მეტად კანონიზირებულია: აღდგომა და შობა ქრისტიანობაში ორი მთავარი დღესასწაულია; ამ დროს გამოიყენება ტრაფარეტული ფრაზები, აღდგომისას ყველა ქრისტიანი ერთმანეთს ესალმება ფრაზით - *ქრისტე აღსდგა* და პასუხად აუცილებლად უნდა ისმოდეს - *ჰეშმარიტად აღსდგა* (იმეორებენ სამჯერ), ხოლო შობის დროს ერთმანეთს ულოცავენ ასეთი გამოთქმებით: *ქრისტეშობას გილოცავ! შობა-ახალ წელს გილოცავთ! ღმერთი იშვა ჩვენს გულებში.*

მილოცვის და დალოცვის გამომხატველი ფრაზები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მილოცვის ფორმულებს, მოსდევს დალოცვის გამომხატველი ფრაზები.

შესაძლოა, მილოცვა-დალოცვის ვარიანტი საკმაოდ სიტყვაუხვიც იყოს. მილოცვა-დალოცვა ორი სახისაა: ზეპირი და წერილობითი. ბოლო დროს, საქართველოში საკმაოდ გავრცელდა და პოპულარული გახდა, მილოცვის წერილობითი ფორმა სოციალური ქსელების საშუალებით. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მისალოცი ბარათების გამოყენებაც სხვადასხვა საერო თუ საეკლესიო დღესასწაულებისა და განსაკუთრებული დღეების დროს. ოფიციალურ წრეებში ასევე მიღებულია წერილობითი მილოცვები უფროსსა და მასზე დაქვემდებარებულ პირთა შორის. თანამდებობრივად ზემდგომი უმეტესწილად აგზავნის ერთ, საერთო მილოცვას უკლებლივ ყველა თანამშრომლის ელექტრონულ ფოსტაზე. სასურველია, თუმცა არა სავალდებულო, მსგავს ერთობლივ მილოცვაზე, ასევე წერილობითი პასუხის გაცემა, დაბრუნება.

დალოცვის ერთგვარი ვარიანტია ქართული სადღეგრძელო, რომელიც დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ქართულ წეს-ჩვეულებათა მნიშვნელოვანი ნაწილია თამაძობის ინსტიტუტი, რომელიც აწესრიგებს სუფრის ეტიკეტსა და სადღეგრძელოების ტიპებს, რაც საკმაოდ კანონზომიერი პროცესია. სადღეგრძელოებს დაწვრილებით არ განვიხილავთ.

ცხრილი 10

№	ფორმულა	ხარისხი
	მოგილოცავ(თ)/გილოცავ(თ)/ახალ წელს, დაბადების დღეს/ნათლობას/გაბედნიერებას....	ოფიციალური/ნეიტრალური
	გაიხარე!	ნეიტრალური
	იმრავლე!	ნეიტრალური
	გაიზარდე!	ნეიტრალური
	იბედნიერე!	ნეიტრალური
	ღმერთმა დაგლოცოს!	ნეიტრალური
	ღმერთმა გამრავლოთ!	ნეიტრალური/ოფიციალური
	გილოცავ(თ)!	ნეიტრალური/ოფიციალური

10. თანაგრძნობის გამოხატვა

თანაგრძნობა, სიტყვიერი გამხმევება ადამიანურ ურთიერთობებში ყველაზე უფრო მეტად მნიშვნელოვანი და სათუთი თემაა. გასაჭირში მყოფისათვის ერთი გამამხმევებელი სიტყვაც კი შეიძლება ფასდაუდებელი იყოს. იმის შეგრძნება რომ, გასაჭირში მართო არ ხარ და შენს გვერდით ვინმე გეგულეზა, გეხმარეზა ნებისმიერი სახის პრობლემას გაუმკლავდე. ქართული ტრადიციის მიხედვით, ლხინის და ჭირის გაზიარეზა გარდაუვალი აუცილებლობაა. შესაძლოა, ლხინში დაპატიჟებული სტუმარი ვერ გეწვიოთ, მაგრამ ჭირის დროს სამძიმრის უთქმელობა უპატიეებელია.

თანაგრძნობას გამოხატავენ ფრაზებით: *თანაგიგრძნობთ; ვიზიარებ; ვიზიარებ თქვენს მწუხარეზას (ამ გამოთქმით ადამიანი გამოხატავს სურვილს, გაინაწილოს ჭირისუფლის დარდი და თითქოს ეხიდეზა ტკივილის სიმძიმის ტარეზაში); ღმერთმა გაკმაროთ; უკანასკნელი ყოფილიყოს თქვენს ოჯახში; ვისამძიმრებთ; შენს გვერდით ვარ; შენს გვერდით მიგულე; იცოდე, მართო არ ხარ; ჩვენ შენს გვერდით ვართ; რითიც შემიძლია, დაგეხმარეზით....*

დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს ავადმყოფის გამხმევეზას და თანაგრძნობას: *იმედს ნუ დაკარგავ; ეგ არაფერია; ვის არ მოსვლია; მალე ჩიტივით იქნები; რა თქმა უნდა, გამოკეთდეზი; მერე ეს სასაცილოდ არ გეყოფა და სხვა;*

თანაგრძნობის გამოხატეველი ფრაზები, უმეტესად, გამოხატავს ოპტიმისტურ განწყობას და უკეთესი მომავლის იმედს.

ცხრილი 11

№	ფორმულა	ხარისხი
	ვიზიარებ/მოზიარე ვარ	ნეიტრალური/ფორმალური
	თანაგიგრძნობ(თ)!	ნეიტრალური/ფორმალური
	თქვენს/შენს გვერდით ვარ!	ნეიტრალური/ფორმალური
	თქვენს/შენს გვერდით მიგულე!	ნეიტრალური/ფორმალური
	მეწყინა!	ნეიტრალური/ფორმალური

11. ქათინაური

ქათინაური, ანუ მამებელი სიტყვა, ძალზე საინტერესო ფენომენია. სწორად შერჩეული ქათინაურის წყალობით ნებისმიერი დაძაბული თუ უხერხული სიტუაციის განმუხტვა შესაძლებელია.

ქათინაური ნახევრად სიმართლისა და ნახევრად შელამაზებული ტყუილის ნაზავია. ქათინაურის არარეალობა ყველასათვის კარგად ნაცნობია, თუმცა მისი მოსმენა ყოველთვის სასიამოვნოა. ი.ფორმანოვსკაიას თქმით, ქათინაური „გამამხნეველი კონოტაციის მატარებელი სამეტყველო აქტია“. (Формановская 2005), ზოგიერთი ლინგვისტის აზრით კი ქათინაური არის კეთილგანწყობის გამოხატულება (Тамнерг 2007) და პიროვნულ ნიშან-თვისებათა დადებითი მხარეების გაზვიადებით გადმოცემა, რომელთა შესახებაც ადამიანები ქვეცნობიერად ყოველთვის ოცნებობდნენ.

ქათინაურის იმდენი სახეობა არსებობს, რომ თავისუფლად შესაძლებელია პირობითად ქვეტიპების გამოყოფა:

1. ქათინაური, პიროვნების გონებრივი შესაძლებლობების შესახებ.

მაგ.: რა ჭკვიანი ხარ!

რა ნიჭიერი შვილი გყავს!

ძალიან გონიერი ხარ!

სხარტად აზროვნებ!....

2. ქათინაური, ქალის ან მამაკაცის გარეგნობის შესახებ:

როგორი მომხიბვლელი ხართ;

რა ლამაზი ხარ დღეს;

ლამაზი ღიმილი გაქვთ;

ულამაზესი სახე გაქვთ და ა.შ.

3. ქათინაური, რომელიც მოხდენილ სამოსს ეხება:

როგორ გიხდება ეს კაბა/ეს ფერი;

ძალიან ლამაზი ჩანთა გაქვს/ფეხსაცმელი გაცვია(თ);

ეს ფერი ძალიან გიხდება(თ);

4. ქათინაური კულინარიულ მიღწევებზე:

ძალიან გემრიელია,

რა მადისაღმძვრელად გამოიყურება თქვენი ნამცხვარი/ღვეზელი;

როგორი სურნელოვანი კერძია და მრავალი სხვა.

5. ქათინაური გემოვნებიანი ინტერიერისათვის:

რა ლამაზი სახლი გქონიათ;

ეს თქვენი გემოვნებით მოაწყვეთ?;

როგორი დახვეწილი ფერებია და ასე შემდეგ.

დაუსრულებლად შეიძლება ქათინაურების ტიპთა ჩამოთვლა, რადგან ისინი დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა; ქართულ ყოფაში ქათინაურის პასუხია, მადლობები ან უბრალოდ ღიმილი, რაც იმის მანიშნებელია რომ ქათინაური ადრესატს ეამა.

ქათინაურის თქმისას, აუცილებელია დავიცვათ გარკვეული ქცევითი და კინეტიკური ნორმები, რათა ჩვენ მიერ ნათქვამი კომპლიმენტი არ შეიცავდეს ორაზროვნობას.

ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენ ეტიკეტურ სიტუაციას, ქათინაურსაც ახასიათებს დადგენილი ნორმები. სად, როდის და ვისი მისამართით შეიძლება ვთქვათ კომპლიმენტი, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ურთიერთობის სასიამოვნოდ გაგრძელებას და არა პირიქით. არასწორად შერჩეულმა ქათინაურმა შეიძლება ადამიანს ატკინოს გული და არსებული მეგობრული ურთიერთობა შეცვალოს რადიკალურად.

ქათინაურს თან უნდა ერთოდეს ღიმილი, თავაზიანი მზერა და ინტონაცია, ტონი.

ქათინაური საუკეთესო საშუალებაა ვისიმე წასახალისებლად.

12. საჩუქარი

ეტიკეტურ სიტუაციათა მრავალფეროვნების ერთ-ერთი ნაწილია საჩუქარი, საჩუქრის ბოძებისა და მიღებისა რიტუალი, თავისი შერჩევის, მირთმევის, მიღებისა და მაღლიერების გამოხატვის ნორმებით და მასთან დაკავშირებული თავაზიანი ფორმულებით.

არ არსებობს ქვეყნად ადამიანი, რომელიც გულგრილი რჩება საჩუქრის მიმართ. ადამიანთა ყოფაში არსებობს გარკვეული სიტუაციები, სადაც საჩუქარი სავალდებულო ატრიბუტია. ეს სიტუაციებია: დაბადების დღე, ქორწილი და ახალი წელი. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ამ სამი რიტუალის განუყოფელი და სავალდებულო მოვლენაა საჩუქარი.

საჩუქრის შერჩევა მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეა. უნდა გვახსოვდეს, რომ საჩუქარი ავლენს მჩუქებლის ხასიათს, გემოვნებას და იმ ადამიანისადმი დამოკიდებულებას, ვისთვისაც საჩუქარს ვარჩევთ.

გასათვალისწინებელია, რომ არ არის აუცილებელი ძვირფასი საჩუქრის შერჩევა. ხშირად, ძვირად ღირებული საჩუქარი უხერხულ სიტუაციაში აყენებს საჩუქრის ადრესატსაც და დამსწრე საზოგადოებასაც. ამიტომ საჩუქრის შეძენისას ჯობს, გავითვალისწინოთ არა მარტო ჩვენი ფინანსური შესაძლებლობები, არამედ საჩუქრის ადრესატის მატერიალური მდგომარეობაც.

საჩუქრის მიღებასაც თავისი ეტიკეტური ნორმები აქვს. ისევე, როგორც ყოველი ერისათვის დამახასიათებელია სამეტყველო ეტიკეტის სპეციფიკური ქცევის წესები და ნორმები, საჩუქრის მიღებაც, განსხვავებულ კულტურებში, სხვადასხვა ნორმებითაა განსაზღვრული.

თუკი დასავლური ეტიკეტის მიხედვით, სავალდებულოა საჩუქრის მიღებისთანავე, მჩუქებლის თანდასწრებით მისი გახსნა, აღფრთოვანებისა და სიხარულის გამოხატვა, და ამით მჩუქებლისადმი მაღლიერებისა და თავაზიანობის ჩვენება, აღმოსავლეთში ეს პროცესი უფრო მოკრძალებულია გრძნობათა გამოხატვის მიხედვით, აქ საჩუქარს გაუხსნელად ტოვებენ წვეულების

დასრულებამდე, სამაგიეროდ უხვად და ხანგრძლივად ისმის, მადლობების გამომხატველი სიტყვები და ფრაზები. მაგალითად, ინგლისში საჩუქრის გაუხსნელად დატოვება, წვეულების ბოლომდე, არათავაზიანი საქციელია, გარდა ამისა, მჩუქებელი შეიძლება გავანაწყენოთ, ასევე ხდება საქართველოშიც. სავარაუდებელია, რომ ეს დასავლური გავლენა უფროა ვიდრე - ბუნებრივი, რადგან ამ წესმა თავი იჩინა ბოლო წლებში, სულ რამდენიმე ათეული წლის წინ საჩუქრის მაშინვე გახსნა უტაქტობად მიიჩნეოდა), საჩუქარს თან ახლავს მადლიერების გამოხატვა მრავალფეროვანი თავაზიანი ფორმულებით: *რა ლამაზია, საუკეთესო საჩუქარია, სწორედ ამაზე ვოცნებობდი, რატომ დაიხარჯე? რატომ შეწუხდით; არ ღირდა ასე შეწუხებად და სხვა მრავალი.*

ქართული ყოფის მიხედვით, განსაზღვრულია საჩუქრის ტიპები სიტუაციის მიხედვით; მაგალითად, საქორწინო რიტუალის დროს საჩუქრის მისაღები ფორმებია: საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთები, ჭურჭელი, ძვირფასი სამკაული და ფულიც კი. თუმცა ბოლო დროს საქართველოში ნელ-ნელა მკვიდრდება საჩუქრის ჩუქების განსხვავებული ტრადიციაც, ახლად დაქორწინებული წყვილი, წინასწარ აკეთებს სასურველი საჩუქრების სიას, რომელსაც აცნობს დაპატიჟებულ სტუმრებს; ამით თითქოს უფრო მსუბუქდება მჩუქებლის მდგომარეობა, საჩუქრის შესარჩევად არ უწევს ზედმეტი ფიქრი და ზრუნვა. ეს ტრადიციაც დასავლური კულტურის გავლენაა.

13. საალერსო და კნინობითი ფორმულები

საალერსო-მოფერებითი ლექსიკა-ფრაზეოლოგია თუ შესაბამისი დერივაციული საშუალებები, მეტ-ნაკლებად ყველა ენაში არსებობს. ქართული ზმნა თავისი დამახასიათებელი მრავალპირიანობისა და წარმოების თვალსაზრისით დიდ როლს თამაშობს ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებით ენის გამდიდრებაში.

ქართულში გავრცელებული საალერსო ფრაზებია: *შენი ჭირიმე! გენაცვალე! შენ გენაცვალე; შემოგეცლე; შენ შემოგეცლოს ჩემი სიცოცხლე; შენ გენაცვალოს ჩემი თავი და სხვ.*

საალერსო ფორმულები, ზოგადად, მიღებულია წარმოითქვას ასაკით უფროსი ადამიანის მიერ ასაკით უმცროსის მისამართით.

საალერსო ფორმულებში შეიძლება განვიხილოთ კნინობით-მოფერებითი სახელებიც. ქართულში კნინობით ფორმას აწარმოებს სუფიქსები: -უკ/ -ა/ -კა/ -იკ/ -ილ/-უნ-ა, რომლებიც ერთვის სახელს:

1. -ა: დედოფალ-ა; ქალ-ა
2. -უკ: ან-უკ-ა;
3. -იკ: მა-იკ-ო; ალ-იკ-ო;
4. -ილ: მამ-ილ-ო; დედ-ილ-ო;
5. -უნ-ა: ბიჭ-უნა;
6. -ონ-ა: გოგ-ონა. . . .

ქართულ ენაში კნინობითი ფორმა შეიძლება გამოვიყენოთ ერთი მხრით ალერსის გამოსახატავად (ალერსობითი სახელი) და მეორე მხრით დამცირების მიზნით (დამცირებითი სახელი) (შანიძე 1980, 120).

კნინობით-ალერსობითი ფორმები თავაზიანობის ხარისხებს არ განარჩევს.

2.3 ფატიკური კომუნიკაციის ტიპები სპარსულში (ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით)

ირანი ტრადიციული ქვეყანაა. ირანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ყურადღება ეთმობა ისლამურ ადათებსა და წესებს. თითქმის ყველა ეტიკეტური სიტუაცია დატვირთულია რიტუალიზირებული ქცევის ნორმებითა და ფრაზებით. ქართულის მსგავსად სპარსულშიც, გამოვყავით ეტიკეტური სიტუაციები და მივუსადაგეთ ენაში არსებული თავაზიანი სიტყვა-თქმანი. ყოველდღიური კომუნიკაციის ტიპთა თავაზიანობის ხარისხი ირანელთა ყოფაში მთავარ ადგილზეა; მათ მეტყველებაში ყველაზე კარგადაა ასახული ამ ერის შინაგანი კულტურა, თავაზიანობა, ადამიანურ ურთიერთობათა პატივისცემა და მოწიწება;

თითქმის ყველა ენაში, და კონკრეტულად კი სპარსულ ენაში, ფატიკური კომუნიკაციის რამდენიმე დონე გამოიყოფა: ნეიტრალური (ვერბალური კომუნიკაცია მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, ნაცნობებთან), ფამილარული (უახლოესი მეგობრებისა და ოჯახის წევრთა ურთიერთობა), ოფიციალური (ოფიციალურ პირთა და სოციალური იერარქიის მაღალი საფეხურის წარმომადგენლებთან კონტაქტი), და ე.წ. „სამეფო“ საუბარი, სადაც თავაზიანობის ხარისხი უმაღლეს წერტილს აღწევს. ფამილარული და ნეიტრალური საუბროს დროს, „სამეფო“ მეტყველების ფორმები ირონიზაციისა და გამარჯების ფუნქციით გამოიყენება.

სპარსულ ენას დიდი პოტენციალი აქვს თავაზიანობის გამოსახატავად, როგორც ლექსიკურ, ასევე გრამატიკულ დონეზე; ირანში, შესაფერისი ლექსიკის შერჩევის საფუძველზე სათქმელმა შეიძლება შეიძინოს „თავაზიანობის სხვადასხვა დონის“ ელფერი. ავიღოთ ზმნა „თქმა - goftan“, და განვიხილოთ წინადადების - *შენ თქვი*, - რამდენიმე ვარიანტი სპარსულ ენაზე, რომლებიც შინაარსით იდენტურია, განსხვავებაა მხოლოდ თავაზიანობის ხარისხში:

საყრდენი სიტყვები: goftan ‘თქმა, ლაპარაკი’; farmudan ‘ბრძანება’; janab-e ali ‘თქვენი/მათი უმაღლესობა’; sarkar-e ali ‘თქვენი/მათი უდიდებულესობა’; hazrat ali ‘თქვენი/მათი კეთილშობილება’

ცხრილი 12

	სპარსული	თარგმანი	მნიშვნელობა	თავაზიანობის ხარისხი
	to goft-i	შენ თქვი	თქვი	ფამილარული
	shomā goft-id	თქვენ თქვით	თქვით	ნეიტრალური
	shomā farmud-id	თქვენ ბრძანეთ	ბრძანეთ	თავაზიანი
	īšān farmud-and	მათ ბრძანეს	ბრძანეს	თავაზიანი

janab-e ali farmud-id (M)	თქვენმა უდიდებულებობამ ბრძანეთ	ბრძანეთ	თავაზიანი
janab-e ali farmud-and	მათმა უდიდებულებობამ ბრძანეს	ბრძანეს	თავაზიანი
sarkar-e ali farmud-id (F)	თქვენმა უდიდებულებობამ ბრძანეთ	ბძანეთ	თავაზიანი
sarkar-e ali farmud-and (F)	მათმა უდიდებულებობამ ბრძანეს	ბძანეს	თავაზიანი
hazrat-e ali farmud-id	თქვენმა კეთილშობილებამ ბრძანეთ	ბრძანეთ	თავაზიანი
hazrat-e ali farmud-and	მათმა კეთილშობილებამ ბრძანეს	ბრძანეს	თავაზიანი
ali hazrat farmud-and (M) ali hazrat farmud-and (F)	მათმა უდიდებულებობამ ბრძანეს	ბრძანეთ	სამეფო

მოყვანილი მაგალითებიდანაც ნათელია, რაოდენ მრავალფეროვნადაა შესაძლებელი, სპარსულად გამოიხატოს თავაზიანობა მოსაუბრისადმი სოციალური თუ ასაკობრივი დისტანციების გათვალისწინებით.

ირანში თავაზიანობისა და ტაქტის ინსტიტუტს, სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს ხანგრძლივი ისტორია აქვს, და ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია წარმოდგენელია თავაზიანობის ფორმულების გარეშე. ირანელები მზად არიან დაუსრულებლად წარმოთქვან ზრდილობის გამომხატველი ფრაზები, რაც, შეიძლება სხვა ერის წარმომადგენელს გადაჭარბებულადაც მოეჩვენოს.

სპარსულში მრავლად გვხვდება ფატიკური კომუნიკაციის ნიმუშები. თითოეული ყოფითი სიტუაციის შესაბამისად, ირანელი არჩევს შესაფერის გამონათქვამს და ავტომატურად, დაფიქრების გარეშე სვამს მას ამა თუ იმ კონტექსტში.

ირანელი ხალხი ძალიან კომუნიკაბელურია. თბილი, მეგობრული ატმოსფეროს შექმნაში ფატიკურ კომუნიკაციას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი. ირანელი ხშირად, სრულიად უცნობ ადამიანსაც კი გაუბამს საუბარს და ეს ურთიერთობა იმდენად კეთილგანწყობილი და გულთბილია, რომ ზოგჯერ, კომუნიკაციის ბოლოსათვის უცნობები მეგობრებად შორდებიან.

ირანული ყოფითი თავისებურებების გათვალისწინებით გამოყვავით ეტიკეტური სიტუაციები, მათი რაოდენობა ემთხვევა, წინა ქვეთავში, ქართულისათვის გამოყოფილ სიტუაციათა ჩამონათვალს. ყოველი ეტიკეტური *ჟანრის* დახასიათებას მოსდევს ძირითადი ფრაზეოლოგიის ჩამონათვალი თავაზიანობის ხარისხის გათვალისწინებით.

1. მისალმება (sal m kardan)

ადამიანთა შორის ვერბალური კომუნიკაცია მისალმებით იწყება. მისალმებაზეა დამოკიდებული საუბრის გაგრძელების და დასრულების ხასიათიც. მისალმებას, ირანში, დიდ ყურადღებას აქცევენ. ირანელი „გამარჯობას“ ამბობს დღეში

იმდენჯერ, რამდენჯერაც შეგხვდებათ. მისალმება მუსლიმური წესების მიხედვით ევალება ყველას, თუმცა ასაკით უმცროსი ვალდებულია პირველი მიესალმოს ასაკით უფროსს, გამარჯობა უნდა ითქვას მკაფიოდ, ხმამაღლა, რათა მისი გაგონება მოახერხოს ადრესატმა და არ მოეჩვენოს, რომ შემხვდურმა გამარჯობა არ უთხრა (adab 1, 1968/1387).

სპარსულში მისასალმებლად გამოიყენება არაბული გამოთქმა, sal m 'aleikom, რომელიც ჩვეულებრივ მიღებულია მუსლიმთა შორის, და სიტყვასიტყვით ნიშნავს "მშვიდობა თქვენდა". შედარებით ვიწრო წრეში ხმარობენ უბრალოდ sal m, ხოლო ოფიციალური მისალმების დროს იხმარება არაბული გამოთქმა ssal m-o-'leikom, და მისი პასუხია 'aleikom assal m. მისალმების არაბულ სრულ ფორმას ssal m-o-'aleiqom-va-rahmat ul-lah-va-barakatoh წარმოთქვამენ რელიგიურ წრეებში.

მისალმების ფორმულას sal m 'aleikom და მასზე პასუხს ssal m-o-'leikom, სპარსულში განსხვავებული წარმოთქმა აქვს, რაც დამოკიდებულია მთქმელის ასაკზე, სქესზე, განათლებასა და სოციალურ სტატუსზე. დაბალი ფენის წარმომადგენლები უმეტესად ხმარობენ მისალმების ფორმებს: sal malekom, sal maleyk, samo'aleykom (Saber, 2017).

ბავშვები და მოზარდები, როგორც თანატოლების, ისე ასაკით უფროსთა მისამართით, იყენებენ უბრალოდ sal m- ს. მოზარდები ასაკით უმცროსებს ესალმებიან მისალმების გარიტმული ფორმებით: sal m-o-s d-sal m/ sal m-o-s dt - sal m, უფროსები მოზარდებსა და ბავშვებს ესალმებიან ფორმით: sal m + NP. მაგალითად:

sal m azizam - გამარჯობა, ჩემო ძვირფასო/საყვარელო!

sal m doxtaram - გამარჯობა, ჩემო გოგონავ!

sal m pesaram - გამარჯობა, ჩემო ბიჭუნავ!

ხშირად ისმის: sal m be ru-ye mahet - სალამი შენს მთავრესავით ლამაზ პირისახეს!

მსგავსი მისაღმების ფორმებით ხაზი ესმება კეთილგანწყობასა და სიყვარულს (adab-e eslami, 1968/1387);

სპარსული sal m გულისხმობს, რომ თანამოსაუბრე თქვენი კარგად ყოფნის მოსურნეა, და არა ავისმზრახველი. ეტიმოლოგიურად ეს სიტყვა უკავშირდება ჯანმრთელობასა და კეთილად ყოფნას: sal m-sal mat-sal mati - მშვიდობა, ჯანმრთელობა. იმავე ფუძიდანაა ნაწარმოები გამოთქმა: be sal mati-ye šom - თქვენ გაგიმარჯოთ, იდღეგრძელო!

სპარსულში საუბრის ოფიციალურ დონეზე გამოიყენება ფორმულა:

Sal m arz mikonam - მოგესალმებით/ სალამს მოგახსენებთ.

სიტყვით გამოსვლისას მისაღმებას მოსდევს ღვთის სადიდებელი ფორმულები ყურანიდან .

salam-ის საკუთრივ სპარსული შესატყვისია dorud 'დიდება, ქება'. ამ სახის მისაღმება ისმის ტელე- და რადიოგადაცემებში, როდესაც წამყვანი ესაღმება მაყურებელს. უმეტესად dorud-ს წინ უძღვის წინდებული bā და მოსდევს პირის ნაცვალსახელი: b dorud – dorud bar šom . ხანდახან ვხვდებით მისაღმების კომბინირებულ ვარიაციას:

b sal m o dorud - 'მშვიდობა და დიდება'. დღის სხვადასხვა მონაკვეთში *გამარჯობას* ამბობენ ფრაზებით:

sobh bexeir – 'დილა მშვიდობისა'. სასაუბრო ენაში იკარგება ბოლოკიდური თანხმოვანი h და ისმის როგორც sob bexeir. ირანში მისაღმების ეს ფორმულა მისაღებია შუადღემდე. იგი გამოიყენება, როგორც ფორმალურ ისე შინაურულ გარემოში;

თავაზიანობის ხარისხის მარკირება ხდება პირის ნაცვალსახელის ან ნაცვალსახელური ენკლიტიკის საშუალებით.

საყრდენი სიტყვები: *sobh* 'დილა'; *xeir* 'კეთილი, სიკეთე'

ცხრილი 13

	ფორმულა	თარგმანი	თავაზიანობის ხარისხი
	<i>sobh bexeir/ sob bexeir</i>	დილა მშვიდობისა	ნეიტრალური
	<i>sob-e šom bexeir</i>	დილა მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	<i>sobetun bexeir</i>	დილა მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	<i>sob-e to bexeir</i>	დილა მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
	<i>sobet bexeir</i>	დილა მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
საპასუხო მისალმება:			
	<i>sobh bexeir/ sob bexeir</i>	დილა მშვიდობისა	ნეიტრალური
	<i>sobh /sob-e šom bexeir</i>	დილა მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	<i>sobh /sob-e šom ham bexeir</i>	დილა მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	<i>sobh /sobe-tun bexeir</i>	დილა მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	<i>sobh /sob-e to bexeir</i>	დილა მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
	<i>sobh sob - et bexeir</i>	დილა მშვიდობისა შენდა	არაფორმალური

შუადღეს მისასალმებელი ფორმულაა: *zohr bexeir*, რომელიც სასაუბრო ენაში დიდი პოპულარობით არ სარგებლობს, უფრო მეტად ისმის ტელე - და რადიოგადაცემებში. გამოიყენება კონკრეტულად შუადღით და მსგავსად

მისაღმებისა: sobh bexeir თავაზიანობის მარკერი აქაც პირის ნაცვალსახელი ან ნაცვალსახელური ენკლიტიკებია:

საყრდენი სიტყვები: zohr 'შუადღე' ; xeir 'კეთილი, სიკეთე'

ცხრილი 14

	ფორმულა	თარგმანი	ხარისხი
	zohr bexeir	შუადღე მშვიდობისა	ნეიტრალური
	zohr-e šom bexeir	შუადღე მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	zohre-tun bexeir	შუადღე მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	zohr-e to bexeir	შუადღე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
	zohre-t bexeir	შუადღე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
საპასუხო მისაღმება:			
	zohr bexeir	შუადღე მშვიდობისა	ნეიტრალური
	zohr-e šom bexeir	შუადღე მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	zohr-e šom ham bexeir	შუადღე მშვიდობისა თქვენც	-
	zohre-tun bexeir	შუადღე მშვიდობისა	ფორმალური
	zohr-e to bexeir	შუადღე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
	zohret bexeir	შუადღე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური

დღის კონკრეტულ მონაკვეთზე დამოკიდებული მისაღმების ფორმულა: 'asr bexeir - შეესაბამება ქართულ ფრაზას: *საღამო მშვიდობისა*; ამ მისაღმებას იყენებენ ირანში მზის ჩასვლამდე, დაახლოებით 5-6 საათამდე. უმეტესად ისმის ტელე- და

რადიოგადაცემებში, სხვადასხვა მისასალმებელ ფორმებთან კომბინაციაში, ან ცალკე. თავაზიანობის მარკერი პირის ნაცვალსახელი ან ნაცვალსახელური ენკლიტიკაა:

საყრდენი სიტყვები: ‘asr ‘სალამო’ ; xeir ‘კეთილი, სიკეთე’

ცხრილი 15

	ფორმულა	თარგმანი	ხარისხი
	‘asr bexeir	სალამო მშვიდობისა	ნეიტრალური
	‘asr-e šom bexeir	სალამო მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	‘asre-tun bexeir	სალამო მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	‘asr-e to bexeir	სალამო მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
	‘asre-t bexeir	სალამო მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
საპასუხო მისალმებაა:			
	‘asr bexeir	სალამო მშვიდობისა	ნეიტრალური
	‘asr-e šom bexeir	სალამო მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	‘asr-e šom ham bexeir	სალამო მშვიდობისა - თქვენც	-
	‘asre-tun bexeir	სალამო მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	‘asr-e to bexeir	სალამო მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
	‘asre-t bexeir	სალამო მშვიდობისა შენდა	არაფორმალური

šab bexeir - შეესატყვისება ქართულ - *საღამო მშვიდობისა და ღამე მშვიდობისა* (ეს გამოთქმა იხმარება დამშვიდობების დროსაც); ეს მისალმებაც გამოიყენება დღის ბოლოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ხშირად ისმის რადიო- და ტელეგადაცემებში, ასევე სასაუბრო ენაშიც, თავაზიანობის მარკერი - პირის ნაცვალსახელი ან ნაცვალსახელური ენკლიტიკაა:

საყრდენი სიტყვები: šab 'ღამე' ; xeir 'კეთილი, სიკეთე'

ცხრილი 16

ფორმულა	თარგმანი	ხარისხი
šab bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა	ნეიტრალური
šab-e šom bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
šabe-tun bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
šabe-t bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
šab-e to bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
საკასუხო მისალმებაა:		
šab bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა	ნეიტრალური
šab-e šom bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
‘šab-e šom ham bexeir	საღამო მშვიდობისა/ღამე მშვიდობისა	-

		თქვენდა	
	šabetun bexeir	სალამო მშვიდობისა/ლამე მშვიდობისა თქვენდა	ფორმალური
	šab-e to bexeir	სალამო მშვიდობისა/ლამე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური
	šabet bexeir	სალამო მშვიდობისა/ლამე მშვიდობისა შენდა	არაფორმალური

შედარებით ნეიტრალურია მისალმების ფორმა - ruz/vaqt bexeir ‘დღე მშვიდობისა’ - რომლის თქმა შესაძლებელია დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ირანის რეალობაში, მისალმების ამ ფორმას იყენებენ საჯარო მოხელეები და სხვადასხვა დაწესებულების მომსახურე პერსონალი. მაგალითად: ბანკში მისული უცხო ადამიანი, ოპერატორს ესალმება: sal m x num, ruz be xeir ‘გამარჯობა ქალბატონო, დღე მშვიდობისა!’. პასუხად ისმის: ruz be xeir x num/aqa ‘დღე მშვიდობისა ქალბატონო/ბატონო’. თავაზიანობის მარკირება ამ შემთხვევაშიც პირის ნაცვალსახელისა და ნაცვალსახელური ენკლიტიკებით ხდება.

რაიმე საქმეში გართულ ადამიანს ირანელები ესალმებიან: xaste nab šid- გამარჯობა, სიტყვასიტყვით ‘არ დაიღალოთ/ნუ დაიღლებით’, მისი პასუხია: sal mat b šid ანდა xoda y r t, რაც შეესატყვისება ქართულ გამოთქმებს: ჯანი მოგეცეს, იდღეგრძელე, ღმერთმა გიშველოს...

სტუმარი და მისი მიღება-გამასპინძლება ირანში საპასუხისმგებლო ამბავია. სტუმრის მიღების ცერემონიალი, *მისალმებების* მრავალფეროვანი ფორმულებით ხდება. მისალმებებში სტუმარმასპინძლის სოციალური სტატუსის გარჩევაც კია შესაძლებელი:

საყრდენი სიტყვები: xoš 'კარგი, კეთილი'; madan 'მოსვლა'; ešm 'თვალი'; rowšan 'ნათელი'; residan 'მიღწევა, მოსვლა';

ცხრილი 17

ფორმულა	თარგმანი	ხარისხი
xoš madid	კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!	ნეიტრალური
xoš madid safa v rdid	კეთილი იყოს თქვენი მობრძანება/ გაგვაბედნიერეთ თქვენი სტუმრობით	ფორმალური
ešme m rowšan	სასიამოვნოა/მიხარია თქვენი ხილვა. პირდაპირი თარგმანი იქნება: ჩვენი თვალი განათდა	ფორმალური
xeili xoš madid qadamet n ru-ye ašm	კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. პირდაპირი თარგმანი: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, (თქვენი ნაბიჯები ჩვენს თვალზე)	ფორმალური
residan bexeir	მშვიდობით მოსვლა(მობრძანება)!	ნეიტრალური
z did r- e šom xeil xošh lam	თქვენთან შეხვედრით ძალიან ბედნიერი ვარ!	ფორმალური
z did re-tun xeil xošh lam	თქვენთან შეხვედრით ძალიან ბედნიერი ვარ!	ფორმალური
z did r-e to xeil xošh lam	შენთან შეხვედრით ძალიან ბედნიერი ვარ!	არაფორმალური
z did ret xeil xošh lam	შენთან შეხვედრით ბედნიერი ვარ!	არაფორმალური

	b tašrif farm -y xod masruram kardid	თქვენი მობრძანებით გამახარეთ	ფორმალური
	asb be massarat bande ra far hom vardid	თქვენი მონა-მორჩილს სიხარულის მიზეზი მოუტანეთ	ფორმალური
	b tašrif farm iy hezrat-e li xeili xošvaqtam (xošhalam)	ბედნიერი ვარ თქვენი კეთილშობილების მობრძანებით	ფორმალური
	sare afraz farmudid	თქვენი მოსვლით გამაბედნიერეთ	ფორმალური

ყოველდღიურ ყოფაში, სიტუაციათა მიხედვით, იცვლება მისასალმებელი ფრაზებიც.

დიდი ხნის უნახავი მეგობრის მისამართით სიტყვა *გამარჯობის* ნაცვლად შეიძლება გამოიყენონ:

საყრდენი სიტყვები: kojā 'სად'; ĩnjā 'აქ'; sm n 'ცა'; zamin 'მიწა';

ცხრილი 18

№	ფორმულა	თარგმანი	ხარისხი
	šomā kojā ĩnjā kojā?	საიდან სადაო?! სად შენ და სად აქაურობა?!	ნეიტრალური/ ფორმალური
	dar sm n migaštam ruye zamin šom r peid kardam	ცაში გეძებდით და მიწაზე გიპოვეთ, შეესაბამება ქართული გამოთქმა: აქ საიდან?!	ნეიტრალური/ ფორმალური

	koja'I (aqa)/ koja'i? nisti?	სად ხარ? (დაკარგული)	არაფორმალური
	āz in taraf/vara?	ამ მხარეში საიდან?	არაფორმალური
	kam peyda'i?	არ ჩანხარ!ნაკლებად ჩანხარ!	არაფორმალური
	xabari āzat nist	შენგან არაფერი ისმის	არაფორმალური
	kodum vara'o?	საიდან? (საიდან სადაო?)	არაფორმალური
	nemibinimit/nemibinamet	ვერ გხედავდი (შენ) (არ ჩანდი)	არაფორმალური

მისაღმებას მოსდევს მოკითხვა, რის გარეშეც მისაღმების ეტიკეტური სიტუაცია არაა სრულყოფილი. ქართულში გვაქვს ასეთი სიტყვათშეხამებაა: მისაღმება-მოკითხვა, რასაც სპარსულად ahvalporsi kardan შეესატყვისება.

მისაღმება და მოკითხვა იმდენად ერთმანეთისაგან ორი განუყოფელი კონცეპტია, რომ რთულია, დადგინდეს წესი: მისაღმება უსწრებს მოკითხვას თუ პირიქით. მისაღმება-მოკითხვის წარმართვა დამოკიდებულია გარემოზე, ასევე ინტერაქციის მონაწილეთა ასაკზე, სქესზე, სოციალურ მდგომარეობასა და განათლების დონეზე.

საუბარი (1):

P1: Sal m 'aleikom [გამარჯობა]

P2. Salam 'aleikom [გამარჯობა]

P1. hale šom etourin? [როგორ ბრძანდებით]

P2. xubam, šom etourin? befarma d [კარგად, თქვენ როგორ ბრძანდებით?
მობრძანდით!]

P1. qorbun-e šom , šom befarma d [გმადლობთ! თქვენ მიბრძანდით]

საუბარი (2):

P1: etori azizam? [როგორ ხარ, ძვირფასო?]

P2: hastim, migzare [ვცოცხლობთ, ნელ-ნელა]

(1) საუბრის მონაწილეები P1 და P2 შეიძლება ითქვას, რომ ნაცნობები არიან, შესაძლოა, მეზობლები ან თანამშრომლები, რადგან მიდიან ერთი მიმართულებით. მათ შორის თანაბარი სოციალური ფონია, თუმცა, შესაძლოა, P2 თანამდებობრივად ან ასაკით უფროსი იყოს. ამ საუბარს შეგვიძლია ვუწოდოთ საშუალოდ თავაზიანი, ფორმალური.

მისაღმება-მოკითხვა (2) აშკარად ფამილარული, მეგობრულია. თანამოუბარნი ასაკითაც და სოციალური სტატუსითაც თანაბარ სიმაღლეზე დგანან, ახლო მეგობრები არიან.

საყრდენი სიტყვები: h l 'მდგომარეობა'; xub 'კარგი'; sal mati 'ჯანმრთელობა' xos 'სასიამოვნო, კარგი'

ცხრილი 19

	ფორმულები	თარგმანი	ხარისხი
	h l-e šom etowre? ahv l-e šom etowre? h l-o ahv l-e šom etowre?	თქვენი მდგომარეობა როგორ არის? (როგორ ბრძანდებით?)	ფორმალური
	h letun etowre? ahv letun etowre? h l-o ahv letun etowre?	თქვენი მდგომარეობა როგორ არის? (როგორ ბრძანდებით?)	ფორმალური
	etowrin etowrid? etowrin šom ?	როგორ ბრძანდებით?	ფორმალური

	etowri šom ?	როგორ(ა) ხარ (თ)?	ნეიტრალური
	h let etowre? h l-o ahv let etowre? ahv let etowre?	როგორ(ა) ხარ?	არაფორმალური
	etowri? etowri to?	როგორ ხარ?	არაფორმალური
	h l-e šom xube? ahv l-e šom xube? h l-o ahv l-e šom xube? xub hastin? xubin? xubi šom ?	ხომ კარგად ბრძანდებით?	ნეიტრალური, ფორმალური
	xubi? h let xube?	ხომ კარგად ხარ?//ხომ ხარ კარგად?	არაფორმალური
	sal matin? sal mati šom ?	ხომ ჯანმრთელად ბრძანდებით? ხომ კარგად ბრძანდებით?	ფორმალური
	sal mati (hasti)?	ხომ ხარ ჯანმრთელად? ხომ ხარ კარგად?	არაფორმალური
	xoš migzare?	კარგად ატარებ დროს?	არაფორმალური ჟარგონული

	xoši?	მაგრად?	არაფორმალური
	sar h li?	ამბავში ხარ?	ქარგონული
	damaqet aqe?	კარგად ხარ?	არაფორმალური
	ruberahi?	კარგად ხარ?	ქარგონული
	barqar ri?	კარგად ხარ?	არაფორმალური
	mizuni?	კარგად ხარ?	ქარგონული
	radifi?	ჯანზე ხარ? კარგად ხარ?	არაფორმალური ქარგონული

მისალმება-მოკითხვის დროს ირანელები ძალიან ხშირად ხმარობენ სხვადასხვა გამოთქმას, რომელთა დანიშნულებაც მხოლოდ საუბრის შენარჩუნება და გახანგრძლივებაა:

მაგალითად: e xabar?/ dige e xabar? - რა არის ახალი? კიდევ რა ხდება? ეს ფრაზა კლასიკური ფატიკურობით ხასიათდება. ადრესატი ამ გამოთქმას იყენებს არა ნამდვილად რაიმე ამბის გასაგებად, არამედ, უბრალოდ, საუბრის გასახანგრძლივებლად და უნებურად შექმნილი პაუზის შესავსებად. პასუხიც, შესაბამისად, ძალზე ფატიკურია, არაფრის მოქმელი:

hi i valla [არც არაფერი],

sal mati/salam ti šom [თქვენი კარგად ყოფნა];

šom e xabar? [თქვენთან რა ხდება?];

xabari nist [არაფერია ახალი] და ასე შემდეგ.

საყრდენი სიტყვები: xabar 'ამბავი'; h l 'მდგომარეობა'; salam ti 'ჯანმრთელობა'; ruzeg r 'ყოველდღიურობა'

ცხრილი 20

	ფორმულები	თარგმანი	საკვასუხო ფორმულები	თარგმანი
	e xabar?/ dige e xabar?	რა ხდება?	sal mati/salam ti šom	არც არაფერი! თქვენი კარგად ყოფნა!
	e h l?	რა ამბავია?	sal mati/salam ti šom	თქვენი კარგად ყოფნა! თქვენ, კარგად იყავით!
			hi i valla	არც არაფერი! ღმერთმანი!
	(z) ruzeg r e xabar?	ახალი რა არის? ცხოვრებაში რა ხდება?	xabari nist	არც არაფერი!
			šom e xabar?	თქვენთან რა ხდება?
			xabar-e xoš	კარგი ამბები
			xabar-e piše šom st	კარგი ამბები შენთან!
	owza' ahv l etowre?	როგორ მიდის საქმეები?	sal mati/salam ti/ xube + მადლობის გამომხატველი ფრაზები	კარგად, დიდი მადლობა ...

2. გაცნობა - წარდგენა (mo'arrefi)

მისაღმების ეტიკეტურ სიტუაციას მოსდევს გაცნობა-წარდგენის ყოფითი ჟანრი. გაცნობა-წარდგენა უცნობთა შორის კომუნიკაციის წამოწყების პირველი ეტაპია. როგორც წესი, გაცნობის პროცესში ჩართულია მესამე პირი, რომელიც საკუთარ თავზე იღებს ორი, ერთმანეთისათვის უცნობი პირის გაცნობის ვალდებულებას. გაცნობა-წარდგენის ინიციატორი იცნობს ორივე მხარეს და გარკვეული გარემოებების გამო იმყოფება მედიატორის როლში. ეს გარემოება შეიძლება იყოს: სხვადასხვა სადღესასწაულო წვეულება, მიღებები, ღონისძიებები, სადაც ერთმანეთს ხვდებიან სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენლები, ასეთ ადგილებში აუცილებლად შეხვდებით მეგობრებს ან, უბრალოდ, ნაცნობებს, რომლებსაც თქვენი ნაცნობობა აერთიანებთ. მსგავსი შეკრებებისას, ეტიკეტის ზოგადი წესების თანახმად, საერთო ნაცნობი ვალდებულია ერთმანეთს გააცნოს და წაურდგინოს მოსაუბრეები.

გაცნობა-წარდგენას ირანულ ყოფაშიც იგივე მახასიათებლები აქვს, რაც ქართულ რეალობაშია:

1. მამაკაცს წარადგენენ ქალბატონის წინაშე;
2. უმცროსს წარადგენენ უფროსის წინაშე;
3. შეკრებილი საზოგადოების წინაშე მასპინძელი წარადგენს მოსულ სტუმარს;

თანამედროვე ირანში, ვისიმე გაცნობა-წარდგენის დროს, სავიზიტო ბარათები დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს არის საუკეთესო საშუალება, საკუთარი თავი წარუდგინო საზოგადოებას საჭირო ინფორმაციის ლაკონიურად მიწოდებით.

საყრდენი სიტყვები: ejaze 'ნებართვა, ნება'; mo'arrefi 'წარდგენა, გაცნობა';

ცხრილი 21

	ფორმულები	თარგმანი	საპასუხო ფორმულები	თარგმანი

	ejaze bedehid (befārmaiid) xod ra mo'refi konam	ნება მომეცით (მიბოძეთ), თავი წარმოგიდგინოთ	z šnay-e šom xeili xošvaqtam	მოხარული ვარ თქვენი გაცნობით
	ejaze bedehid (befārmaiid) mo'refi konam	ნება მიბოძეთ (მიბოძეთ) გაგაცნოთ	z in piš mad xeili xošvaqtam	ბედნიერი ვარ ამ შემთხვევის გამო
	xedmatet n mo'refi mikonam	წარმოგიდგენთ (ვინმეს)	besi r masrum šodam	ძალიან გამიხარდა

3. დამშვიდობება (xod hafez kardan)

დამშვიდობება ადამიანთა ვერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და საგულისხმო მოვლენაა. გარდა იმისა, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში დამშვიდობების პროცესს გარკვეული წეს-ჩვეულებები ახასიათებს, იგი უნივერსალურია და სავალდებულო საუბრის ყველა მონაწილისათვის. ჯერ კიდევ მშობლები მცირეწლოვან შვილებს ასწავლიან დამშვიდობებისას ხელის დაქნევას, ასწავლიან დამშვიდობების გამომხატველ მოკლე ფრაზებს. დამშვიდობებით სრულდება ნებისმიერი სახის კონტაქტი, იქნება ეს ოფიციალური მიღება, ოჯახის წევრების სტუმრობა, შინ შესვლა, თუ ნაცნობების უცაბედი, წამიერი შეხვედრა ქუჩაში, ტრანსპორტში, მაღაზიაში... როდესაც ხანგრძლივი მისალმება-მოკითხვის დრო არაა, თუმცა აუცილებლად გავიგონებთ დამშვიდობების აღმნიშვნელ ფრაზებს.

სამეტყველო ეტიკეტში *დამშვიდობებასაც* საკმაოდ საინტერესო წესები და კანონები აქვს ყველა კულტურულ საზოგადოებაში. უპირველეს ყოვლისა, ფატიკური ნორმების მიხედვით, *დამშვიდობება* არ უნდა იყოს ცივი, უხეში და პირდაპირი. დასამშვიდობებელი ფრაზების წარმოთქმას, წინ უნდა უძლოდეს შეფარვითი, თავაზიანობით გაჯერებული გამოთქმები, რაც მიგვანიშნებს, რომ დროა საუბარი შევწყვიტოთ და თანამოუბარს დავემშვიდობოთ (Голдин 1983,50-52).

დამშვიდობების პროცესის მახასიათებლებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- დამშვიდობების მოახლოების წინასწარი განაცხადი;
- საუბრის გაგრძელების სურვილის გამოხატვა;
- დამშვიდობების გადავადება, კვლავ შეხვედრის იმედის გამოხატვა;
- ბოდიშის მოხდა შეწყობისათვის, დროის დახარჯვისათვის;
- ერთად გატარებული დროის გამო სიამოვნებისა და მადლიერების გამოხატვა;
- შეხვედრით/სტუმრობით გამოწვეული სიხარულის გამოხატვა;
- აღფრთოვანებისა და მადლიერების გამოხატვა, რომ მასპინძელმა გამონახა დრო შესახვედრად;
- მოკითხვის დაბარება ოჯახის წევრებთან/საერთო ნაცნობებთან

არსებობს რამდენიმე ვერბალური და არავერბალური მარკერი, რითაც თანამოუბარნი ერთმანეთს ანიშნებენ დამშვიდობების მოახლოებას. სპარსულ ენობრივ გარემოში, ერთ-ერთი ასეთი ვერბალური მანიშნებელია სიტყვა *xub/xob* 'კარგი', რომელიც წარმოითქმის აწეული ან გაწეილი ტონით, რითაც ირანელი საუბარში თითქოს ძახილის ნიშანს აჩენს, ნიშნად იმისა, რომ დასრულდა საუბრის ერთი ნაწილი და დროა, საუბარმა შეიცვალოს მიმართულება, ან დროა დამშვიდობებისა. *xub/xob* -ს შეიძლება მოსდევდეს მსგავსი ფუნქციის სიტყვა *pas* (*xub/xob pas ...*) 'შემდეგ (კარგი შემდეგ...)' ან წინ უსწრებდეს სიტყვა *xeili* (*xeili xub/xob ...*) 'ძალიან (ძალიან კარგი...)'. ირანში *დამშვიდობების* ვერბალურ მანიშნებლებს თან ერთვის არავერბალური მარკერები: ჩახველება, ხელების მუხლებზე დადება (თუ ადამიანი ზის, წამოდგომის ნიშნად), ხელების მტევნების გადაჯვარედინება და სხვა. მას შემდეგ, რაც თანამოსაუბრენი გამოხატავენ დამშვიდობების სურვილს, დგება დრო, ვერბალური გზით ზემოთ მოყვანილი დამშვიდობების პროცესის მახასიათებელთა გამოხატვისა.

სპარსული სამეტყველო ეტიკეტის მიხედვით, დამშვიდობებას მუდამ დანაწიების ელფერი უნდა ახლდეს. ირანელი ყველანაირად ცდილობს, არ გაგრძნობინოთ, რომ მას წასვლა სურს, არ სცალია და ა.შ., იგი მორჩილად ისმენს

თქვენს საუბარს და მხოლოდ უამრავი მობოდიშებისა და დამშვიდობების გამომხატველი ფრაზების წარმოთქმის შემდეგ, თუ შეწყვეტს საუბარს.

დამშვიდობების სურვილის გამომხატველი ფრაზები

საყრდენი სიტყვები: majbur 'იძულებული'; moraxxas 'განთავისუფლებული, გაშვებული'; ejaze 'ნებართვა';

ცხრილი 22

№	ფორმულები	თარგმანი	საკვასუხო ფორმულები	თავაზიანობის ხარისხი
	majburam moraxxas šavam, xeili ma'zerat mix ham	სამწუხაროდ, უნდა დაგტოვოთ! იძულებული ვარ დაგტოვოთ, მომიტევეთ!	ზოგადად, გამოსამშვიდობებელი ფრაზები	ფორმალური/ ნეიტრალური
	b iad moraxas šavam	წასვლის ნება უნდა დამრთოთ (უნდა გამიშვათ!)		ფორმალური/ ნეიტრალური
	digar zahmat r kam mikonam, z hezratet n moraxas mišavam	ადარ შეგაწუხებთ, უნდა დაგტოვოთ		ფორმალური
	b ejaze šom moraxas mišavam	თქვენი ნებართვით, დაგტოვებთ		ფორმალური/ ნეიტრალური

	ejaze moraxas hast?	ნებას დამრთავთ, დაგტოვოთ?		ფორმალური
	qorb n, bande ra moraxas mifarmaiid?	ბატონო, თქვენს მონა-მორჩილს წასვლის ნებას ხომ დართავთ?		ფორმალური
	majburam moraxas šavam, xeili ma'zerat mixaham	იძულებული ვარ დაგტოვოთ, დიდ ბოდიშს გიხდით		ფორმალური
	ejaze-ye moraxasi be bande mifarmaiin?	თქვენს მონა-მორჩილს წასვლის ნებას დართავთ (უბრძანებთ)?		ფორმალური
	age ejaze befarmaiin, bande dige yav š-yav š zahmato kam konam	თუ ნებას დამრთავთ, თქვენი მონა-მორჩილი აღარ შეგაწუხებთ (თანდათან შევამცირებ თქვენს შეწუხებას)		ფორმალური
	bebaxšid dige, hes bi	მაპატიეთ, ძალიან	xaheš mikonam -	ფორმალური

zahmat d dim	შეგაწუხეთ	არაფრის, e zahmati - რა შეწუხებაა	
bebaxšid dige, hes bi vaqtetun ro gereftim	გვაპატიეთ (რაღა!), დიდი დრო წაგართვით	xaheš mikonam, არაფრის	ფორმალური
bebaxšid dige age bad gozašt	ბოდიში თუ კარგი დრო ვერ გაატარეთ (თუ დრო გაგიცუდდათ)	xaheš mikonam, in harfh ie? - რას ბრძანებთ? ეს რა თქმაა?	ნეიტრალური/არაფორმალური
xeili xoš gozašt	ძალიან კარგი დრო გავატარე	xaheš mikonam - არაფრის	ნეიტრალური/არაფორმალური

სპარსულში დამშვიდობების ყველაზე გავრცელებული ფორმაა *xod hafez* — რაც **დამშვიდობებას** აღნიშნავს და ითარგმნება: ღმერთი გფარავდეს/ღმერთს ებარებოდეთ; *xod* - სპარსული სიტყვაა და **ღმერთს** ნიშნავს, ხოლო *hafez* - არის არაბული სიტყვა (ფუძე *hfz*) და ნიშნავს მფარველობას, დაცვას. *xod hafez*- ის სპარსული ალტერნატივაა *xod negahd r* (ღმერთი გფარავდეს!/ღმერთს ებარებოდე!). *xod hafez* უნივერსალური ფორმულაა, რომელიც გამოიყენება დამშვიდობებისას, როგორც ოფიციალურ ასევე არაოფიციალურ სიტუაციებში, ამ ფრაზით შესაძლებელია, დაემშვიდობო ოჯახის წევრებს, მეგობრებს, სტატუსითა და ასაკით უფროსებს, უცნობსაც კი. ცოცხალ მეტყველებაში გავრცელებულია ფრაზა: *xod hafez-e šom* 'ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!'

დამშვიდობების გამომხატველი ფრაზები:

საყრდენი სიტყვები: xod 'ღმერთი'; lotf 'სიკეთე, წყალობა, განწყობა, კეთილგანწყობა, კეთილმოსურნეობა'; s ie 'ჩრდილი'; hefz 'მფარველობა, დაცვა'; pen h 'თავშესაფარი; დაცვა; მფარველობა'; sepordan 'ჩაბარება, მიბარება';

ცხრილი 23

	ფორმულები	თარგმანი	საპასუხო ფორმულები
	xod hafez	ნახვამდის, ღმერთი გფარავდეს!	საპასუხო ფორმულები, ფაქტობრივად, იმეორებენ ძირითად ფორმულებს
	dar pen h-e xod -	ღვთის მფარველობით, ღმერთი გფარავდეს;	
	be xoda sepordame-tun	ღვთისთვის ჩამიბარებიხარ(თ)!	
	fe'lan xod hafez	დროებით! ნახვამდის!	
	xod negahd r	ღმერთი გფარავდეს!	
	b ejaze	თქვენის ნებართვით! (ნახვამდის)	
	be m n-e xod	ღმერთი გფარავდეს!	
	marhamat-e li (zi d)	დიდია წყალობა ბატონისა! (გამოიყენება დამშვიდობებისას)	
	marhamat-e sark r zi d	დიდია წყალობა ბატონისა! (გამოიყენება დამშვიდობებისას)	
	marhamat-e šoma zi d	დიდია თქვენი წყალობა/სიკეთე/გულმოწყალება (გამოიყენება დამშვიდობებისას)	

eltef t-e šoma zi d	ნახვამდის; დიდია თქვენი სიკეთე/ყურადღება!
lotfe šoma zi d	ნახვამდის; დიდია თქვენი სიკეთე/წყალობა!
s ie t n kam našavad	თქვენი წყალობა არ მომშლოდეს (თქვენს ჩრდილქვეშ, თქვენი მფარველობის ქვეშ მამყოფოს ღმერთმა)
s ie-ye mobarak mostadam	ნახვამდის; მარადიული იყოს თქვენი მფარველობა (ჩრდილი)!
s ie-ye li mostadam	ნახვამდის; მარადიული იყოს თქვენი მფარველობა/შეწევნა (მაღალი ჩრდილი)
be sal mat	ბედნიერად, ჯანმრთელად, კარგად იყავით!
šab bexeir	ღამე მშვიდობისა!
šab-e šoma xoš	ღამე მშვიდობისა/სასიამოვნო ღამეს გისურვებთ!

ირანში სტუმართან გამომშვიდობების ფორმულები:

საყრდენი სიტყვები: qadam 'ნაბიჯი'; xedmat 'სამსახური, მსახურება'; tašrif 'პატივი';

ცხრილი 24

ფორმულები	თარგმანი	საპასუხო ფორმულები
xeili xoš madid	გამახარეთ თქვენი სტუმრობით (ეს ფრაზა	საპასუხოდ

		გამოიყენება როგორც მისალმების ასევე დამშვიდობების დროს)	იხმარება <i>მადლობისა</i> და დამშვიდობების გამომხატველი ფრაზები
	qadam ranje farmudid	შეწუხდით, რომ მობრძანდით!	
	zud-zud tašrif bi varid	ხშირად მობრძანდით ხოლმე!	
	xeili xošhal šodim tašrif vordin	ძალიან გაგვახარეთ, რომ გვესტუმრეთ!	
	xeili lotf kardin ke tašrif vordin	პატივი დაგვდეთ (წყალობა მოიღეთ), რომ მობრძანდით!	
	dar xedmatetun hastim	თქვენს სამსახურში გვიგულეთ!	

დამშვიდობების დროს ხშირია მომავალი შეხვედრის სურვილის ხაზგასმა, რომელსაც ირანელები გამოხატავენ ფრაზებით:

საყრდენი სიტყვები: *omid* 'იმედი'; *didār* 'შეხვედრა მონახულება,';

ცხრილი 25

ფორმულები	თარგმანი	საპასუხო ფორმულები
be <i>omid-e didār</i>	მომავალ შეხვედრამდე!/მომავალი შეხვედრის იმედით	დამშვიდობების გამომხატველი ფრაზები (ხანდახან მადლიერებისა და მომავალი შეხვედრის იმედის გამოხატვა
<i>omidvāram bāz ham xedmatetān beresam</i>	იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით ერთმანეთს/გვახლებით! (თავაზიანობის ხარისხი მაღალია)	
<i>omidvāram bāz ham yekdigar rā bebinim</i>	იმედი მაქვს, ერთმანეთს კიდევ შევხვდებით!	

omid bedidāretān gardam	vāram nā'l	იმედია, კვლავ შევხვდებით/ მაღე გიხილავთ!	
-------------------------------	---------------	---	--

ბოლოს ცალკე გამოვყავით ის ძირითადი ფორმულები, რომლებიც გამოიყენება დამშვიდობების სხვადასხვა ფორმებზე საპასუხოდ:

ცხრილი 26

ფორმულები	თარგმანი	მნიშვნელობა
be sal mat	ჯანმრთელად/კარგად!	ნახვამდის
xod be hamr t	ღმერთი [იყოს] შენთან! [ღმერთი იყოს შენი მფარველი]!	ნახვამდის
dast-e li be hamr t	აღიმ ხელი მოგიმართოს!	ნახვამდის
dar pen h-e xod	ღვთის წყალობით!	ნახვამდის
dar pen h-e haq	ღვთის მფარველობით!	ნახვამდის
xeirpiš	კარგი ამბები!	ნახვამდის
be omid-e did r	ნახვის იმედით!	ნახვამდის
qorbunet	გენაცვალე! შემოგეველე!	ნახვამდის

4. მადლობის გამომხატველი ფრაზები (tašakkor va sep s goftan/nemudan)

მადლიერების გამოხატვა, თითქმის ყველა ეტიკეტური სიტუაციის ძირითადი ნაწილია. **მადლობა** მეტად დიდ როლს თამაშობს სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გამყარებაში. მადლობის გამოხატვა ატარებს დადებით ემოციას,

რის სამუალებითაც ნებისმიერი სახის კომუნიკაცია მიმდინარეობს კეთილგანწყობილ ვითარებაში.

მადლობის გამოხატვა უშუალო კონტაქტშია თითქმის ყველა ეტიკეტურ სიტუაციასთან: მადლობა გაწეული სამსახურისათვის, მადლობა საჩუქრისათვის, მადლობა დაპატიჟებისათვის, მადლობა ქათინაურის მიღებისას და ა.შ.

გავრცელებული სამადლობელი ფორმები

საყრდენი სიტყვები: tašakkor ‘მადლიერება’; sep s ‘მადლობა,მადლიერება’; sep sgoz r ‘ მადლობელი, მადლიერი’; dard ‘ტკივილი, სატკივარი’; zende ‘ცოცხალი’; samim ‘გულწრფელი’; eltefat ‘სიქველე, მოწყალება’; s ye ‘ჩრდილი’; čäker ‘შსახური, ლაქია; ეპისტ. თქვენი მონა-მორჩილი; მე’; moxles ‘გულწრფელი,ერთგული; ეპისტ. მე’

ცხრილი 27

	ფორმულა	თარგმანი	თავაზიანობის ხარისხი
	tašakkor	მადლობა, მადლიერება	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური
	motašakker	მადლობელი, მადლიერი	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური
	mamnun	მადლობელი, მადლიერი	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური
	sepās	მადლობა,მადლიერება	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური
	sep sgoz r	მადლობელი, მადლიერი	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური
	sep sgoz ram	მადლობელი ვარ, გმადლობთ!	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური
	kamele tašakkor, sep s	დიდი/უღრმესი მადლობა!	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური
	az mar hem-e šom	თქვენი გულისხმიერების	ფორმალური/ნეიტრალური

sep sgoz ram	გამო მადლობელი ვარ!	
dast-e šom dard nakone	გმადლობთ! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!	ფორმალური/არაფორმალური/ნეიტრალური
qorbunet	გენაცვალე (გმადლობთ)!	არაფორმალური/ნეიტრალური
lotf kardin	მწყალობთ (გმადლობთ)!	ფორმალური
zende b ši	იცოცხლე (გმადლობთ)!	არაფორმალური
damet garm	იდღეგრძელე (გმადლობთ)!	არაფორმალური/ნეიტრალური
keram	თქვენი მონა-მორჩილი (გმადლობთ)!	არაფორმალური
moxlesam	თქვენი მონა-მორჩილი (გმადლობთ)!	ფორმალური/არაფორმალური/ნეიტრალური
besi r/xeili/ bi ndaze – tašakor mikonam	დიდად/მალიან/უზომოდ გმადლობთ!	ნეიტრალური/ფორმალური
z samime qalb z šom tašakor mikonam	გულწრფელად გიხდით მადლობას! გულითადად გმადლობთ!	ნეიტრალური/ფორმალური
nemid nam etowr z šom tašakor konam	არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ!	ნეიტრალური/ფორმალური
šom b mohabat-h ye xod mar (bande ra) šarmande kardid	თქვენი კეთილშობილებით თქვენი მონა-მორჩილი შეარცხვინეთ!	ფორმალური
eltefat-e šom zi d	დიდია თქვენი კეთილგანწყობა!	ფორმალური
mowjeb-e kamal-e emten n va tašakor ast	დიდი პატივისცემასა და მადლიერებას იმსახურებს (თქვენი ქმედება)!	ფორმალური

		ულრმეს მაღლობას მოგახსენებთ!	
	s ye-ye šom z sar-e m kam našavad	თქვენი წყალობა არ მომაკლდეს (თქვენი ჩრდილი არ შემცირდეს ჩვენს თავზე)	ფორმალური
	xod s ye-t n r z sar-e m n kam nakonad	ღმერთმა თქვენი წყალობა არ მომაკლოს! (ღმერთმა თქვენს ჩრდილქვეშ მამყოფოს)	ფორმალური
	lotf-e šom zi d	დიდია წყალობა თქვენი!	ფორმალური
	mersi	გმადლობ(თ)!	ფორმალური/არაფორმალური/ ნეიტრალური

სამადლობელი სიტყვა tašakkor ‘მადლიერება’ არაბული სიტყვაა, ნაწარმოებია ფუჰე škr-იდან. ძირითადად, დამახასიათებელია ფორმალურ სიტუაციებში მამაკაცების მეტყველებისათვის. იმავე ფუჰიდანაა ნაწარმოები სპარსული სამადლობელი ფორმულა - motašakker ‘მადლობელი’, რომელიც ცოცხალ მეტყველებაში გამოითქმის, როგორც moččakker.

გავრცელებულია მადლიერების გამომხატველი სიტყვა mersi. იგი ფრანგული ენიდან შევიდა სპარსულში და საკმაოდ მყარი ადგილი დაიმკვიდრა სასაუბრო ენაში. თანამედროვე ირანში სამადლობელი სიტყვა mersi დიდი პოპულარობით სარგებლობს, განსაკუთრებით ბავშვებისა და მოზარდების მეტყველებაში, თუმცა იგი გარკვეული დოზით ნებისმიერი ასაკის ადამიანთა მეტყველებაშიც არის წარმოდგენილი.

მადლიერების გამომხატველი ფორმა sep sgoz r ‘მადლიერი’ გამოიყენება, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ვითარებაში. სასაუბრო ენაში გვხვდება მისი სხვადასხვა ვარიანტები.

საყრდენი სიტყვები: sep s 'მადლიერება'; far v n 'უთვალავი'

ცხრილი 28

ფორმულა	თარგმანი	თავაზიანობის ხარისხი
sep s	მადლიერება	ნეიტრალური
be sep s	გმადლობთ!	ნეიტრალური
b sep s-e far v n	ურიცხვი (უთვალავი) მადლობა!	ფორმალური
b sep s-e far v n az šom	ურიცხვი მადლობა!	ფორმალური

თუ *მადლობის* ადრესატის რანგი და წოდება მადლობის მთქმელის წოდებასთან შედარებით მაღალია, ამ დროს გამოიყენება შემდეგი ფრაზები:

s ye-ye šom az sar-e m kam našavad

‘თქვენი წყალობა ნუ მომაკლდეს (თქვენს ჩრდილქვეშ მამყოფოს ღმერთმა)’

xod s ye-t n r az sar-e m n kam nakonad

‘ღმერთმა თქვენი წყალობა არ მომაკლოს (ღმერთმა ჩემს თავს თქვენი ჩრდილი არ შეუმციროს)’

xod s ye-ye hezrat ‘ li r az sar-e bande kam nakonad

‘ღმერთმა თქვენი აღმატებულობის წყალობა (მფარველობა) თქვენს მონა-მორჩილს არ მოაკლოს’

lotf-e šom zi d

‘დიდია წყალობა თქვენი’

სპარსულში არის მადლობის გამომხატველი „უცნაური“ ორი ფორმულა:

dast-e šom dard nakonad

და

sar-e šom dard nakonad - ორივე ფრაზის მნიშვნელობა არის - 'გმადლობთ'

თუმცა მათი პირდაპირი თარგმანი ასე ჟღერს: "ხელი ნუ გეტკინება /არ გეტკინოს", და „თავი არ აგტკივდეთ“. ამ ფრაზების თარგმანი, ერთი შეხედვით, არაფრით არ უკავშირდება *მადლიერების* გამოხატვას. უცხო ადამიანმა, ვისთვისაც სპარსული მშობლიური ენა არ არის, ასეთი გამოთქმა, შეიძლება, სიტუაციისათვის არაადეკვატურად აღიქვას.

ეს ფრაზა გამოიყენება გაწეული სამსახურის — ხელის გამართვის, ხელშეწყობისათვის *მადლობის* გამოსახატავად.

სამადლობელ ფრაზებს ემოციის გასაძლიერებლად ხშირად წინ უძღვის სიტყვები: xeili, besy r, v qan, hes bi, jeddan, bi and ze, ye donya, farav n. ხშირია სამადლობელი სიტყვებისა და ფრაზების კომბინირება; საალერსო ფორმების გამოყენება და სხვა.

მაგ.:

xeili mamnun, dast-e šoma dard nakone (1)

'დიდი მადლობა, ღმერთმა ხელი მოგიმართო!'

xeili mamnun, jeddan lotf farmudid, xeili motšakker (2)

'დიდი მადლობა, მართლაც რომ მოწყალება გაიღეთ, დიდად გმადლობთ!'

xeili mamnun azizam/dustam/ junam (3)

'დიდი მადლობა, ჩემო ძვირფასო/ჩემო მეგობარო/სულიკო'

ვერბალური კომუნიკაციისას, თავაზიანობის, კეთილგანწყობისა და სითბოს გამოხატვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მადლობების საპასუხო ვერბალური რეაქციები, ან პასუხები მადლობის გამომხატველ სიტყვასა და ფრაზებზე. მადლობას, შესაბამისი, პასუხი უნდა გაეცეს. ირანელისათვის მადლობა და მასზე შესაბამისი პასუხი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ითვლება, რომ რაც უფრო სიტყვაუხვები

იქნებია, მით უფრო მეტად გაუსვამენ ხაზს საკუთარ თავმდაბლობასა და მადლიერებას თანამოსაუბრის მიმართ.

სპარსულ ენაში გავრცელებული მადლობის გამომხატველ ფრაზათა ძირითადი საპასუხო ფორმულებია:

ფორმულა	თარგმანი
xaheš mikonam	არაფრის, რას ამბობთ, რას ბრძანებთ!
q beli nad rad	მადლობად არ ღირს/ არაფრად ღირს!
rzeši nad rad	მადლობად არ ღირს/ არაფრად ღირს!
nemi rzad	არაფრის, არ ღირს!
xod bešom ‘arz bedehad	ღმერთი გადაგიხდით!
xod bešom ‘amr bedehad	ღმერთი გაცოცხლებთ/ ღმერთი გაგახარებთ/ იცოცხლე!
xod dar n doni bešom jr bedehad	ღმერთი იმ ქვეყნად დაგაჯილდოებთ!
exti r d rid	ამეტებთ/აჭარებთ!
mar (bande r) šarmande mikonid	მე (თქვენს მონა-მორჩილს) მარცხვენთ!

5. ბოდიში/ მობოდიშება (ma'zerat xastan)

მობოდიშება, ბოდიშის მოხდა ერთ-ერთი ყველაზე დადებითი ემოციების მატარებელი ფორმულებია ყველა ენაში. ბოდიშის მოხდა მუდამ კეთილგანწყობას და კარგ ურთიერთდამოკიდებულებას იწვევს. თუკი ერთი ადამიანი მეორეს უნებურად შეაწუხებს, დაძაბული ატმოსფეროს განმუხტვა ხერხდება ბოდიშის

მოხდით. რა სახის შეცდომაც უნდა იყოს, მოზოდისებებს შეუძლია შეარბილოს მოპასუხის მოსალოდნელი რეაქცია და შედეგები.

ძირითადი საბოდიშო ფორმულები

საყრდენი სიტყვები: *baxšidan* 'ჩუქება; პატიება'; *zamin* 'მიწა'; *mota'sef* 'წუხილი'; *šarmande* 'შერცხვნილი';

ცხრილი 29

ფორმულები	თარგმანი	საპასუხო ფორმულები	თავაზიანობის ხარისხი
<i>bebaxšid</i>	ბოდიში/მაპატიეთ	<i>to ro xod bebaxšid</i> - ღმერთი გაპატიებს	ფორმალური/არაფორმალური/ნეიტრალური
<i>m r bebaxšid</i>	გვაპატიეთ!		
<i>b iad bebaxšid</i>	უნდა მაპატიოთ!		
<i>man ro bebaxšid</i>	მაპატიეთ!	-	ფამილარული
<i>bande ro bebaxšid</i>	თქვენს მონა- მორჩილს აპატიეთ	-	ფორმალური
<i>in bande-ye haqir ro bebaxšid</i>	თქვენს უღირს მონა-მორჩილს აპატიეთ!	-	ფორმალური
<i>ma'zerat mix m</i>	ბოდიშს გიხდით! მოგიბოდიშებთ!	-	ფორმალური
<i>z šom ma'zerat mix m</i>	თქვენგან პატიებას ვითხოვ!	-	ფორმალური
<i>bande z šom ma'zerat mix m</i>	თქვენი მონა- მორჩილი თქვენს პატიებას ვითხოვ!	-	ფორმალური

z (bande) ma'zeratxahi konid	აპატიეთ თქვენს მონა-მორჩილს		ფორმალური
nemidunam etori azatun ma'zeratxahi konam	არ ვიცი, ბოდიში როგორ მოგიხადოთ! როგორ მოგიბოდიშოთ!	-	
nemidunam be e zabuni azatun ma'zeratxahi konam	არ ვიცი, რა სიტყვებით მოგიხადოთ ბოდიში!	-	
k š zamin dehan b z mikard va man- o/bande ro mibal'id	მირჩევნია მიწა გამისკდეს/ მირჩევნია მიწამ ჩამყლაპოს/მიწამ პირი მიყოს!	-	
'ozr mix m	პატიებას ვითხოვ!	-	ფორმალური/არაფორმა ლური/ნეიტრალური
puzeš mikonam	უკაცრავად! ბოდიშს გიხდით!	-	ფორმალური. ცოცხალ მეტყველებაში იშვიათად გამოიყენება. ისმის ძირითადად ოფიციალური მიღებების, ტელე- და რადიოგადაცემების დროს.

mota'sefam	ვწუხვარ!	-	ფორმალური/ნეიტრალური
šarmande/ šarmandam	მრცხვენია!	-	ფორმალური/არაფორმალური/ნეიტრალური
xej latam	მრცხვენია!	-	არაფორმალური/ნეიტრალური
rum si h/ rusi m/ ruš si h	პირშავადა ვარ/ პირშავად არის (ის ვინმეს წინაშე)	-	არაფორმალური (მომველებული ფორმა)

მოცემული ცხრილიდან რამდენიმე ფრაზა საჭიროებს განმარტებას:

- xej latam განეკუთვნება არაფორმალურ და მომველებული მობოდიშების ფორმებს და მას, უფრო მეტად, ქალბატონების საუბარში შეხვდებით.
- šarmande მობოდიშების ამ ფორმის რამდენიმე ვარიანტია გავრცელებული სპარსულ ენაში: šarmandetunam და šarmandetam, რომლებიც აძლიერებენ ექსპრესიას. იმავე ფუნქციას ასრულებს სიტყვა: xej latam (შერცხვენილი) ვარ; მისი გამოყენება უკვე მომველებულია და ძირითადად ქალების მეტყველებაში ისმის.
- rum si h - ზუსტად შეესატყვისება ქართული გამოთქმა: პირშავადა(ა) ვარ. ბოდიშის გამოხატვის ეს ფორმა ქართულ თანამედროვე მეტყველებაში უკვე თითქმის აღარ გვხვდება. rum si h სპარსულ ენაში გამოიყენება, როცა მომბოდიშებელს ძლიერი დანაშაულის და სირცხვილის გრძნობა აწუხებს და სურს სიტყვებით გადმოსცეს საკუთარი ემოცია. ირანულ კულტურაში თეთრი და შავი ფერი სიკეთისა და ბოროტების კონოტაციის მატარებელია. სპარსულში გვხვდება გამოთქმები, რომლებიც ამ ორი ფერის გამოყენებით გამოხატავს დადებით ან უარყოფით ემოციას. მაგალითად ru si h šodan - სახის

გაშავება (ქართ: პირშაობა), შერცხვენა და ru sepid šodan – სახის გათეთრება, გაცისკროვნება, რაც ნიშნავს დალოცვასა და სიკეთეს.

- rusi ham/ rum si he /rusi m/ ruš si h ეს არის ამ გამოთქმის 'პირშავად ყოფნის' ვარიანტები პირთა მიხედვით. ფრაზა ruš si h გამოიყენება, როდესაც ადამიანი მეორე ადამიანის გამო იხდის ბოდიშს. მაგალითად, დედა მეზობელს, ვისაც მისმა შვილმა გაუტეხა ფანჯარა, ბოდიშს მოუხდის ფრაზით: ruš si h, რითაც დედა ხაზს უსვამს შვილის დანაშაულს და იმას, რომ შვილი განიცდის და ინანიებს ჩადენილს.

ადამიანები ბოდიშს არა მხოლოდ რაიმე შეცდომისა და უნებურად ჩადენილი „დანაშაულის“ გამო იხდიან, არამედ მათ უხდებათ საბოდიშო ფრაზების გამოყენება სხვადასხვა ეტიკეტურ სიტუაციებშიც, სხვადასხვა ემოციებისა და სურვილების გამოსახატავად. ყოველდღიურობაში არსებობს გარკვეული სიტუაციები, როდესაც საბოდიშო სიტყვების გამოყენება აუცილებელია. სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ ბოდიშის მოხდის ორ ფორმას:

1. როდესაც ბოდიში არის რეალური, ანუ არსებობს საბოდიშო „შეცდომა“, „დანაშაული“ ანუ ბოდიშის ობიექტი
2. ე.წ. რიტუალური ბოდიში, რომელიც არ გამოხატავს მთქმელის ემოციას, და არ არსებობს ბოდიშის ობიექტი, რის გამოც ბოდიშს იხდის ადამიანი (Fraser 1990,57-72).

ერთი დღის განმავლობაში შესაძლოა რამდენიმეჯერ მოგვიხდეს ბოდიშის მოხდა არა რაიმე, ჩვენ მიერ ჩადენილი „დანაშაულის“ გამოსყიდვის მიზნით, არამედ - უბრალოდ, მეორე ადამიანის ყურადღების მისაქცევად. მაგალითად: როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ეკითხება, ვთქვათ, უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზას, შეკითხვის დასმამდე მისასვლელი საუკეთესო გზაა საბოდიშო სიტყვების წარმოთქმა: უკაცრავად; დიდი ბოდიში, თუ შეიძლება ... ეს ფრაზები არის ერთგვარი სიგნალი, რომელსაც უგზავნის ადრესანტი ადრესატს; სიგნალი მანიშნებელია იმისა, რომ ერთი ადამიანი მეორისაგან, რომელიც ამ შემთხვევაში უცხოა, (არა ნაცნობი) ითხოვს ყურადღებას. სიგნალზე რეაგირებას (ადრესატის შეჩერება, დაყოვნება, გამოხედვა) ებმის ძირითადი სათქმელი, - შეკითხვა.

ყურადღების მისაქცევად გამოსაყენებელი ფრაზები

საყრდენი სიტყვები: **baxšidan** 'ჩუქება'

ცხრილი 30

	ფორმულა	მნიშვნელობა	თავაზიანობის ხარისი
	momkene befarm d	თუ შეიძლება, მითხრათ (მიბრძანეთ)!	ფორმალური/ ნეიტრალური
	ma'zerat mix m	ბოდიშს გიხდით!	ფორმალური/ ნეიტრალური
	bebaxšid	უკაცრავად, მაპატიეთ!	ფორმალური/ ნეიტრალური
	bebaxšid, momkene befarm d	ბოდიში, თუ შეიძლება მითხრათ (მიბრძანეთ)!	ფორმალური/ ნეიტრალური

სპარსულში რიტუალური **ბოდიშები** გამოიხატება, როგორც ძირითადი საბოდიშო სიტყვებითა და ფრაზებით, ასევე უშუალოდ კონკრეტულ ცხოვრებისეულ მომენტებთან დაკავშირებული გამოთქმებით.

როდესაც ირანელი აწყვეტინებს თანამოსაუბრეს სიტყვას, ან სურს, რომ ჩაებას დისკუსიაში, იყენებს სხვადასხვა ფრაზას.

საყრდენი სიტყვები: kal m 'სიტყვა'; šekar 'შაქარი'; mi n 'შუა, შორის'; vasat 'შუა, შორის';

ცხრილი 31

	ფორმულა	პირდაპირი თარგმანი	მნიშვნელობა	თავაზიანობის ხარისხი

	mi n-e kal m-e šom šekar	თქვენს სიტყვებს შორის შაქარი	ბოდიშს გიხდით	ფორმალური/ ნეიტრალური
	vasat-e kal metun šekar	თქვენს სიტყვებს შორის შაქარი	უკაცრავად, თუ შეიძლება, საუბარში ჩაგერთვებით	ფორმალური/ ნეიტრალური
	šekar be kal mat	შაქარი თქვენს სიტყვებს	მომიტყვეთ, სიტყვას გაწყვეტინებთ	ფორმალური/ ნეიტრალური

ირანის ყოველდღიურობაში ე.წ. რიტუალური მოზოდინება ფართოდაა გავრცელებული; ირანელს შეუძლია ნებისმიერ სიტუაციაში მოიხადოს ბოდიში, რათა ხაზი გაუსვას თანამოებრისადმი პატივისცემას და საკუთარ თავმდაბლობას. სპარსული ენობრივი ეტიკეტის მიხედვით, ბოდიშს იხდის სტუმარი დამშვიდობებისას, რომ შეაწუხა მასპინძელი, ხოლო მასპინძელი უბრუნებს საპასუხო ბოდიშს, რომ ისე ვერ უმასპინძლა, როგორც სტუმარს ეკადრებოდა.

ბოდიში ისმის საჩუქრის მიღებისას, იმის აღსანიშნავად, რომ მჩუქებელი შეწუხდა და დაიხარჯა, აქაც საპასუხოდ ისევ რიტუალური ბოდიში ისმის, ღირსეული საჩუქარი რომ ვერ მიართვეს და ა.შ.

ცხრილი 32

ფორმულა	თარგმანი	საპასუხო ფორმულა	თარგმანი
	<i>სტუმარი</i>		<i>მასპინძელი</i>
bebaxšid ke b yes zahmat šodim		bebaxšid dige, age, qaza bad bud	ბოდიში, თუ საჭმელი უგემური იყო

	ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის	bebaxšid dige, age bad gozašt	ბოდიში თუ კარგი დრო ვერ გაატარეთ
		bebaxšid dige, qabele šom ro nad re	ბოდიში, თქვენი შესაფერისი ვერ იყო... (მასპინძლობა)

სპარსულში *მობოდიშების* საპასუხო ფრაზებია:

	ფორმულა	თარგმანი
	xahēš mikonam	არაფრის, რაა საბოდიშო!
	extiar darin	არაფრის, რაა საბოდიშო!
	eškal nad re	არაფრის, არ არის პრობლემა!
	qorbunet	შემოგევლე, გენაცვალე!
	fed t bešam	შემოგევლე!
	moxlesim	მიმსახურეთ!
	akerim	მიმსახურეთ!
	nowkaretim	მზად ვარ, გემსახუროთ!

ბოდიშის გამომხატველი ფრაზის - šarmande საპასუხოდ, სპარსულში არსებობს რამდენიმე მყარი ფორმულა, რომლებიც კონკრეტულად ამ საბოდიშო ფრაზის პასუხად იხმარება:

1. došmanet šarmande b še/ došmanet სიტყვასიტყვით ითარგმნება 'შენი მტერი იყოს შერცხვენილი'.
2. dur az jun – 'შორს (შენგან)!'.
3. xoda nakone – 'ღმერთმა ნუ ქნას (შენი შერცხვენა)!'.

6. დაპატიჟება (da'vat kardan)

ზოგადად, დაპატიჟება ორი სახისაა: 1. *ზეპირი და წერილობითი* მიწვევა, სადაც ზუსტადაა მინიშნებული სტუმრობის დრო. ეს არის ეგრეთ წოდებული ინფორმაციული მიწვევა, მაგრამ არსებობს მეორე — წმინდა ფატიკური მიპატიჟება, როდესაც მოსაუბრეს წვეულების გადახდა არა აქვს დაგეგმილი და იგი, უბრალოდ, თავაზიანობის გამოხატვის მიზნით, ფატიკურად ეპატიჟება მეგობარსა თუ ნაცნობს: *გამოგვიარე; მოგვინახულე; შემოიარე ხოლმე; როცა დრო გქონდეს, გვნახე და ა.შ.*

მიწვევა და მასზე პასუხის მიღება, გამონათქვამთა მეზობლურ წყვილს შეადგენს და განცალკევებით თითქმის არ იხმარება, ეტიკეტი მოითხოვს, რომ დაპატიჟებას, რომელსაც ფატიკურობა ახასიათებს, დადებითი და ასევე ფატიკური ელფერის პასუხი გაეცეს: *მოვალ, აბა რას ვიზამ?! აუცილებლად გინახულებთ; გამოვივლი. . .*

დღევანდელ ირანში წერილობითი ფორმით სტუმრის დაპატიჟება დიდი პოპულარობით სარგებლობს. სავარაუდებელია, რომ ეს დასავლური კულტურის გავლენა უფრო არის, თუმცა, დასავლეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც წერილობით მიწვევაზე ასევე წერილობითი პასუხია სავალდებულო, ირანში ეს ტრადიცია არ დამკვიდრებულა.

მოსაწვევი ბარათები მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ძირითადად დამოკიდებულია მასპინძლის გემოვნებაზე, თუ როგორი გაფორმების ბარათს შეარჩევს. მოსაწვევი ბარათის ძირითადი სტრუქტურა ასეთია:

- მოსაწვევის თავში იწერება სტუმრის/სტუმრების სახელი
- დაპატიჟების მიზეზი და მასპინძლის სახელი
- დღესასწაულის დღე
- დრო და საათი

შესაძლოა, მოსაწვევი გაფორმებული იყოს პოეტური ნიმუშით. ამ სახის მოსაწვევი ძალიან პოპულარულია ირანში პოეზიის მიმართ ირანელთა განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო.

ოფიციალურ ღონისძიებებზე დასასწრები მოსაწვევის დიზაინი და გაფორმება უფრო მოკრძალებულია, ვიდრე საქორწილო ან დაბადების დღის მოსაწვევები, ტექსტი არის გაბმული, ღონისძიების ჩატარების თარიღი და საათი ტექსტშია გაფანტული. მოსაწვევი იწყება სტუმრისადმი თავაზიანი მისალმებით, ღონისძიების მოკლე მიმოხილვით და სრულდება ღონისძიების ოფიციალური სახელწოდების, მისამართისა და საათის მითითებით.





دانشگاه فنی و حرفه‌ای

بسمه تعالی



وزارت علوم، تحقیقات و فناوری
دانشگاه فنی و حرفه‌ای
آموزشکده فنی و حرفه‌ای پسران همدان

دعوتنامه

استاد فرهیخته سرکار خانم / جناب آقای

با سلام و احترام

به استحضار می‌رساند به مناسبت هفته آموزش جلسه‌ای در تاریخ ۱۳۹۵/۲/۱۳ از ساعت ۱۵ لغایت ۱۹ در محل سالن اجتماعات آموزشکده شهید مفتاح برگزار می‌گردد. شایان ذکر است بخشی از این مراسم به دوره آموزش ضمن خدمت اختصاص دارد که گواهینامه آن برای حاضرین صادر خواهد شد. لذا از جنابعالی دعوت بعمل می‌آید رأس ساعت مقرر در این مراسم حضور به هم رسانید. قدوم مشرف شما و چشمان منتظر ما.

نام دوره: راهکارهای جستجوی منابع الکترونیکی در پژوهش

مدرس: دکتر حسن بشیری عضو هیئت علمی دانشگاه صنعتی همدان

ساعت دوره: ۴ ساعت

دکتر شهاب کاظمی

رئیس آموزشکده فنی پسران همدان

სპარსული ზმნა: da'vat kardan ქართულად ითარგმნება - მიპატიჟება, მიწვევა;

სპარსულ ენაში დაპატიჟება/მიპატიჟების ფრაზები ემთხვევა მისალმების ეტიკეტური სიტუაციის გარკვეულ ფორმულებს. (იხ. მისალმება)

7. შეთავაზება (1) (Farm yeš d štan)

ადამიანის ცხოვრებაში თითქმის ყოველდღიურად ხდება სხვადასხვა სახის შეთავაზებათა ინტერაქცია: მომსახურების, ინფორმაციის გადაცემის, დახმარების გაწევის, მიპატიჟების, სტუმრისათვის მირთმეული ტკბილეულისა თუ სხვა სახის საჭმლის და ასე შემდეგ. სტუმრის პატივისცემა ირანში ხელოვნების დონეზეა აყვანილი. ირანში სტუმრის გამასპინძლება გულუხვი სუფრით წმინდა საქმეა. ირანელი მასპინძელი მაქსიმალურად ცდილობს აამოს სტუმარს. რამდენჯერმე სთავაზობს საჭმელს ან ტკბილეულს, ხილს; არ იღლება სუფრაზე ახალ-ახალი კერძების შემოტანით და შეთავაზებათა გამეორებით. უცხოოსათვის (დასავლელისათვის) ირანელი მასპინძლის ქცევა შესაძლოა გადამეტებულიც კი იყოს.

ქვემოთ ცალკეა გამოყოფილი ის გამოთქმები, რომელიც უშუალოდ გამოიყენება შეთავაზების გამოსახატავად.

საყრდენი სიტყვები: xedmat 'სამსახური'; farm yeš 'ბრძანება, განკარგულება'; farmudan 'ბრძანების გაცემა';

ცხრილი 33

	ფორმულა	თარგმანი	თავაზიანობის ხარისი
	farm yeš d rid?	რაიმე ბრძანება გაქვთ? მიბრძანებთ რამეს?	ფორმალური/ნეიტრალური
	e farm yeš d rid?	რას მიბრძანებთ?რას ინებებთ?	ფორმალური/ნეიტრალური

dar xedmat-e šom hastam	თქვენს სამსახურში ვარ/ მიგულეთ თქვენს სამსახურში!	ფორმალური/ნეიტრალური
befarm d	მობრძანდით, დაბრძანდით; მიირთვით, ინებეთ!	ფორმალური/ნეიტრალური
i meil d rid?	რას ინებებთ? რას ისურვებთ?	ფორმალური/ნეიტრალური
manzel xod šom	თქვენი სახლია! იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სახლში!	ფორმალური/ნეიტრალური

8. შეთავაზება(2) (dar xedmat budan)

დახმარების შეთავაზება და გასაჭირში მყოფი მეგობრისათვის დახმარების ხელის გაწვდენა, ირანელთათვისაც ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილია. ირანელი ყოველთვის მზადაა დაეხმაროს ნაცნობსაც და უცნობსაც.

ცხრილი 34

ფორმულა	თარგმანი	თავაზიანობის ხარისხი
dar xedmat-e šom hastam	თქვენს სამსახურში ვარ (მიგულეთ)!	ნეიტრალური/ფორმალური
hamiše hazeram	მუდამ [ყოველთვის] მზად ვარ გემსახუროთ!	ნეიტრალური/ფორმალური

9. დალოცვა-მილოცვა (tabrik/ barakat)

დალოცვა, უმეტესწილად, ახასიათებს ასაკით უფროსთა მეტყველებას. ახალგაზრდები დალოცვის ფორმულებს ირონიისა და ხუმრობის მიზნით იყენებენ. ირანის ცოცხალ მეტყველებაში დალოცვის ფრაზები ისმის, როგორც მამაკაცების,

ასევე ასაკოვანი ქალბატონების საუბარში. დალოცვის შემცველი ფრაზები სხვადასხვა ეტიკეტური სიტუაციის შემადგენელი ნაწილია. უმეტესად დალოცვა მოსდევს ხოლმე მადლიერების გამოხატვას.

დალოცვის გამომხატველი ფრაზები

საყრდენი სიტყვები: **mob rak** ‘დალოცვილი’; **s l** ‘წელიწადი’; **xeir** ‘სიკეთე, ქველმოქმედება’; **bad** ‘ცუდი’; **došman** ‘მტერი’;

ცხრილი 35

	ფორმულა	თარგმანი
	mob rak b šid	დალოცვილ ყოფილიყავით!
	mob rake	მშვიდობაში მოგეხმაროს/ სიხარულში!
	sad s l be in s lh	მრავალჯამიერ!
	j y-e došman-e šom x l y	მტერი არ გყოლოდეთ! მტერი დაგეცალოთ!
	ešmetun ruz-e bad nabin d	თქვენს თვალს ავი არ ენახოს!
	safar bexeir	მშვიდობით მგზავრობა! კეთილი მგზავრობა!
	n zem š ll	თვალი არ ეცეს! არ გაითვალოს!
	d r az j n-e šom	შორს თქვენგან!
	gol b be r yet n	ვარდის წყალი თქვენს პირისახეს! (კარგად ყოფნას გისურვებთ)
	asm-e bad d r	ავი თვალი გაშოროთ (ღმერთმა)!
	asm-e došman k r	თქვენს მტერს დაუბრმავდეს თვალი!

მილოცვის გამომხატველი ფრაზები

საყრდენი სიტყვები: jašn 'დღესასწაული, ზეიმი, ლხინი'; sāl 'წელიწადი'; tabrik 'მილოცვა'; mobārak 'დალოცვილი, ბედნიერი';

ცხრილი 36

	ფორმულა	თარგმანი
	'eid-e šomā mobārak (bāšad)	დღესასწაულს გილოცავთ!
	sāl-e now šomā mobārak	ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!
	jašn-e tavālode šomā rā tabrik miguyam	დაბადების დღეს გილოცავთ!
	jašn-e nāmzadi-ye ('arusi-ye) šomā rā tabrik miguyam	გილოცავთ ნიშნობას (ქორწინებას)!
	barāyat sa'ādat va šādkami ārezu mikonam	ბედნიერებასა და სიხარულს გისურვებთ

სპარსულ ენაში დალოცვის ფორმულებში ხშირად ფიგურირებს *ღმერთი და ღვთის კეთილი ნება*. ფრაზები, რომლებიც დამშვიდობების დროს გამოიყენება, პირდაპირი თარგმანით დალოცვის შინაარსს შეიცავს.

სიტყვა ღმერთი დალოცვის გამომხატველ ფრაზებში

ცხრილი 37

	ფორმულა	თარგმანი
	xod barakat bedhead	ღმერთმა ბარაქა მოგცეთ!
	xod naxaste	ღმერთმა არ ქნას! / ღმერთმა დაიფაროს!

	xod hafez	ღმერთი გფარავდეთ!ნახვამდის!
	dar pen h-e xod	მფარველობის ქვეშ (გამყოფოთ ღმერთმა)!
	be xoda sepordametun	ღვთისთვის ჩამიბარებიხარ!
	xod negahd r	ღმერთი გფარავდეს!
	xod bebaxše	ღმერთმა შეგინდოს/გაპატიოს!

10. თანაგრძნობის გამომხატველი გამოთქმები (tasliat goftan/nemudan)

თანაგრძნობის გამოხატვა გასაჭირში მყოფი ადამიანის ნუგეში და გამხნეება ადამიანური ყოფის ნაწილია. რაოდენ მძიმეც უნდა იყოს ადამიანის გასაჭირი, მეგობრის, ახლობლის ნათქვამი თანაგრძნობის გამომხატველი ერთი სიტყვაც კი უძვირფასესია. ნუგეშის მიღებას უმძიმეს სიტუაციებში ემოციური თერაპიის მნიშვნელობაც კი ენიჭება.

თანაგრძნობისა და ნუგეშის გამოხატვის ძირითადი ფორმულები

საყრდენი სიტყვები: afsus 'შებრალება, დანაწევა'; hez r 'ათასი'; 'omr 'სიცოცხლე'; omid

'იმედი'; x k 'შიწა'; ცხრილი 38

	ფორმულა	თარგმანი
	afsus	ვწუხვარ!
	hez r heif va sad afsus	ათასი მწუხარება და ასი წუხილი!
	har e x k-e ust 'omre šom b šad	რაც მას დააკლდა, თქვენს სიცოცხლეს შეემატოს!
	m šarik-e gam-e šom hastam	თქვენი მწუხარების მოზიარე ვარ!
	omidv rim gam xer-e šom b šad	უკანასკნელი ყოფილიყოს ეს მწუხარება/ იმედი გვაქვს, ეს დარდი უკანასკნელი იქნება თქვენთვის!
	omraš r be šom d d	მისი სიცოცხლე თქვენ მოგცემოდეთ!
	tasliat 'arz mikonim, m ro dar gam-e xod šarik bed nid	თანაგრძნობით! ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას!
	v i beh l (to)	ვწუხვარ შენ გამო!
	dariq/ dariq	სამწუხაროა, ვწუხვარ!
	v i be j n-e man	ვაი ჩემს თავს!
	x k be saram	მიწამც დამყროდეს თავზე!
	i lah	ო, ღმერთო!
	mota'sef ne	სამწუხაროა!
	keyli mota'sefam ke	ძალიან ვწუხვარ, რომ...
	j i t 'sof ast ke	ვწუხვარ, რომ...
	keyl tasl yat m gam be šom va x nev de-t n	ღრმა მწუხარებას გიცხადებთ თქვენ და თქვენს ოჯახს!
	r h-aš š d va qar n-e rahmat	ღმერთმა გაანათლოს მისი სული!
	xod rahmat-eš(n) kone	ღმერთმა აცხოვნოს!

მწუხარების დროს წარმოსათქმელი ფრაზები

საყრდენი სიტყვები: xod 'ღმერთი'; ašm 'თვალი';

ცხრილი 39

	ფორმულა	თარგმანი
	xod nakonad	ღმერთმა არ ქნას (დაიფაროს)!
	xoda naxaste	ღმერთმა არ ინებოს!
	xod onin ruzii nai varad	ღმერთმა ეს დღე არ დაგვიყენოს!
	ašmet n ruz-e bad nabinad	თქვენს თვალს ავი არ ენახოს!
	dur z j n-e šom	შორს თქვენგან!
	tor bexod	ღმერთმა გიშველოთ!
	šom r bexod	ღმერთმა დაგიფაროთ!

თანაგრძნობის გამოხატველი ფრაზეოლოგია მრავალფეროვანია, ამ ფრაზების გამოყენება და ხასიათი დამოკიდებულია ამა თუ იმ სიტუაციაზე. ამდენად, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ რა სახის წარუმატებლობის თუ უბედურების შემთხვევაში, როგორ უნდა ვანუგეშოთ გასაჭირში მყოფი ახლობელი, რადგან არასწორად შერჩეული გამოთქმა ისე არავის აღიზიანებს, როგორც დამწუხრებულ ადამიანს. თანამედროვე ირანში გავრცელებულია თანაგრძნობისა და სამძიმრის გამოხატვა საგაზეთო ე.წ. ნეკროლოგების საშუალებით. თითქმის ყველა ტიპის გაზეთშია გამოყოფილი რამდენიმე გვერდი მსგავსი სახის განცხადებებისათვის. ნეკროლოგების ტექსტი საკმაოდ მრავალფეროვანია. მისამძიმრების გამოხატვასთან ერთად, ყურადღება გამახვილებულია გარდაცვლილის პიროვნულ დადებით ნიშან-თვისებებზე.

11. ქათინაური (ta'rif kardan)

ქათინაური მშვენიერი საშუალებაა თანამოსაუბრის გულისა და ნდობის მოსაპოვებლად. ნებისმიერ ადამიანს სიამოვნებს, თუკი დაუფასებენ გარჯას, კულინარიულ მიღწევებს, ჩაცმულობას, შეუქებენ შვილს, ოჯახის წევრებს.

ქათინაური განიმარტება, როგორც „ტკბილად და ტყუილად მოუბნება“; პირფერული ქება; კომპლიმენტი (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>).

ქათინაური: *რა კარგად გამოიყურები?! როგორ გიხდება ეს სამოსი?! დღეს არაჩვეულებრივი ხარ და ა.შ.*

ირანელი თანამოსაუბრეს ხშირად და გულუხვად ანებივრებს ქათინაურით. ზოგჯერ ზომიერებას ვერ იცავს და დაუსრულებლად იმეორებს ერთსა და იმავეს.

ცხრილი 40

	ფორმულა	თარგმანი
	‘ajeb	საოცარია, საკვირველია!
	e ‘ajeb	რა საოცარია!
	‘ajb	რა საკვირველია!
	bah bah	ბაჰ, ბაჰ!
	vah	ვაჰ!
	vah vah	ვაჰ, ვაჰ!
	šegoft	შესანიშნავია!
	b rak lah	ბარაქალა!
	rasti?	ნუთუ?! მართლა?!
	farin	ყოჩად!
	ehsan	მშვენიერია!
	xoš	სასიამოვნოა!

	m š ll	შესანიშნავია, ბარაქალა!
	e xub	რა კარგია!
	xeili behet mi d	გშვენის/ გიხდება!
	osul n b saliqei	მართლაც, რომ გემოვნებიანია!

ქათინაურზე საპასუხოდ იყენებენ მადლობის გამომხატველ ფორმულებს, თუმცა სპარსულში არის ერთი მეტად საინტერესო ფრაზა, რომლის გამოყენებაც მკაცრად განსაზღვრულია, ხმარობენ მხოლოდ ქათინაურის საპასუხოდ: ešmetun qašang mibine და ნიშნავს - 'თქვენი თვალი ხედავს ლამაზად'.

ამ ფატიკური ბუნების ფრაზაში ჩაქსოვილია მადლიერებაც, მოკრძალებაც, რიდიც, თავმდაბლობაც და თანამოუბრისადმი პატივისცემაც.

12. საჩუქარი (hedie)

მრავალფეროვან ეტიკეტურ სიტუაციათა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საჩუქარი. იგი, როგორც ეტიკეტური სიტუაციის განმაპირობებელი მოვლენა, რამდენიმე საკითხს მოიცავს. ესენია: საჩუქრის შერჩევა-მირთმევისა და მიღება-გამორთმევის წესები, თავაზიანობისა და მადლიერების გამომხატველი ვერბალური ფორმულები, რიტუალური ბოდიშის შემცველი ფრაზები და სხვა.

საჩუქარი შეიძლება იყოს დაბადების დღის, საქორწილო, საახალწლო ან რაიმე სახის გამორჩეული დღის მისალოცი და აღსანიშნი. საჩუქარი შეიძლება იყოს ზედმიწევნით პირადი ხასიათისაც.

საჩუქრის შერჩევისას მრავალი ფაქტორია გასათვალისწინებელი: საჩუქრის ადრესატის როლი მჩუქებლის ცხოვრებაში, ასაკი, სქესი და სოციალური სტატუსი. სწორად შერჩეული საჩუქარი ურთიერთობების შემდგომი განვითარების ინდიკატორია.

საჩუქრის მიღებასაც თავისი ეტიკეტური ნორმები აქვს. თუკი დასავლეთში მიღებულია საჩუქრის მაშინვე გახსნა და ემოციების ღიად გამოხატვა, ირანში ეს

პროცესი უფრო მოკრძალებულია, ურჩევნიათ, საჩუქარი წვეულების დასრულებამდე გვერდით გადადონ და დღის ბოლოს, ოჯახის წევრებთან ერთად დაათვალიერონ. სამაგიეროდ, ემოციების ჭარბად გამოხატვა ვერბალური საშუალებებითაა დასაშვები. ირანელი ადამიანი იღვრება მადლობებით, ფატიკური საყვედურებით და ბოდიშებით, რასაც დასასრული არა აქვს. თითქოს ცდილობს, სიტყვის ძალით დააბრუნოს მაგიერი საჩუქარი.

ირანში არსებობს საჩუქრის სახეობა ე.წ. „სოუყათ“. ესაა საჩუქარი, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნიდან დაბრუნებულს ჩამოაქვს ახლობელი ადამიანებისათვის. იგი სიმბოლური ხასიათისაა და უმეტესად მცირე სუვენირია, თუმცა „სოუყათ“-ის ჩამოტანა აუცილებლობაა.

13. საალერსო ფორმულები (aziz kardan/ger mi d štan)

საალერსო-მოფერებითი ლექსიკა ყველა ენაშია, ამ სახის სიტყვები და ფრაზები, უფრო მეტად არაოფიციალური სიტუაციებისთვისაა დამახასიათებელი. თანამედროვე ირანში, მოფერებით-საალერსო სიტყვები მიმართვის ფუნქციითაც გამოიყენება. ასეთი მიმართვით ირანელი მეტ სიტბოსა და ნდობას გამოხატავს.

მეგობარს ირანელი მიმართავს rafiq-e aziz – ‘შვირფასო მეგობარო’. მეტყველებაში კი ყველაზე ხშირად ისმის სიტყვა qorb n/qorbun – ‘გენაცვალე’; შემოგვევლე; ბატონო; (მსხვერპლადამც შეგეწირები)’. იგი შეიძლება წარმოითქვას ნებისმიერი ადამიანის მიმართ, განურჩევლად სქესისა და ასაკისა, ნაცნობის, მეგობრისა და უცნობის მიმართაც კი. ხოლო კონტექსტის მიხედვით შეიძლება მნიშვნელობა შეიცვალოს, მაგალითად, ფორმულა შეიძლება qorbun-e šom ‘შემოგვევლე, შენი მსხვერპლი ვიყო’ გამოყენებული იყოს მისალმებისას, დამშვიდობებისას, მადლობის გამოსახატავად. რთული ზმნა qorbune kasi raftan ითარგმნება: ‘თხოვნა, მუდარა’.

სპარსულში საალერსო მიმართვებია:

ცხრილი 41

	ფორმულა	თარგმანი
	qorbun-e šom beram	შენი ჭირიმე/ მსხვერპლადმც შეგეწირები
	qorbunet šavam	თავს შემოგვევლე/შენი მსხვერპლი ვიყო
	qorbune mohabat-e sarqar	მსხვერპლად შეგეწიროთ
	qa ku ulu	პატარა ბატონო; ვაჟბატონო (ირონიის გარეშე)
	doxtar x nom	გოგონა/პატარა ქალბატონო
	junam	სულიკო/საყვარელო

ცალკე გამოვყოფთ სიტყვას j n (დიალექტური ფორმა jun). იგი მოფერებით მნიშვნელობას იძენს, როდესაც დაერთვის ადამიანის საკუთარ სახელს: li-jun, nasrin-jun ან მიმართვის სხვა ფორმებს: doxtar-jun, pesar-jun, qa-jun და ა.შ. ქართულად მას შეესატყვისება კნინობითი სუფიქსებით წარმოებული სახელები.

2.4 ეტიკეტურ სიტუაციათა შეპირისპირებითი ანალიზი (ქართული და სპარსული ენების მასალაზე დაყრდნობით)

წინა თავში საუბარი გვქონდა სპარსული და ქართული სამეტყველო ეტიკეტის შესახებ. ცალ-ცალკე დავახასიათეთ ქართულსა და ირანულ ყოფაში გავრცელებული ეტიკეტური სიტუაციები თანდართული ენობრივი მასალით.

ქართული ყოფის მაგალითზე გამოვყავით ცამეტი ეტიკეტური სიტუაცია:

1. მისალმება
2. გაცნობა-წარდგენა
3. დამშვიდობება

4. მადლიერება
5. ბოდიში/მობოდიშება
6. დაპატიჟება/მიწვევა
7. შეთავაზება (1)
8. შეთავაზება (2)
9. დალოცვა და მილოცვა
10. თანაგრძნობის გამოხატვა
11. ქათინაური
12. საჩუქარი
13. საალერსო და კნინობითი ფორმულები

ირანული ყოფის მაგალითზეც ცამეტი ეტიკეტური სიტუაცია გამოიყო:

1. მისალმება
2. გაცნობა-წარდგენა
3. დამშვიდობება
4. მადლობის გამომხატველი ფრაზები
5. ბოდიში/მობოდიშება
6. დაპატიჟება
7. შეთავაზება (1)
8. შეთავაზება (2)
9. დალოცვა/მილოცვა
10. თანაგრძნობის გამომხატველი ფრაზები

11. ქათინაური

12. საჩუქარი

13. საალერსო ფორმულები

ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განვიხილეთ ყველა ეტიკეტური სიტუაცია და მათთან დაკავშირებული ენობრივი ფორმულები ქართულსა და სპარსულში. ემპირიულ მასალაზე მუშაობამ, ნათლად დაგვანახვა, თუ რა მსგავსება-განსხვავებანია ქართულ და ირანულ ყოფასა და მეტყველებაში ვერბალური ეტიკეტის გამოყენების თვალსაზრისით.

ცნობილია, რომ ენა პიროვნების სოციალური და ეროვნული ვინაობის გამომხატველია (ჯორბენაძე, 1997). ენა ანარეკლია ერის სულიერი ცხოვრების, მენტალობისა და ღირებულებებისა.

ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურის მატარებელი საზოგადოება, განსხვავებულად აღწერს საკუთარ შეხედულებებს ადამიანური ურთიერთობებისა და გარესამყაროს შესახებ. ის, რაც ნაცნობი და მიღებულია ერთ რომელიმე სოციუმში, შეიძლება უცხო და მიუღებელი აღმოჩნდეს მეორისათვის.

კულტურული და ყოფითი განსხვავებანი თვალსაჩინოა ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ენობრივი და რელიგიური კუთვნილების ერების, — ქართველებისა და ირანელების სამეტყველო ეტიკეტის დონეზე.

ენობრივ ეტიკეტში ყველაზე ზუსტად და კარგადაა ასახული, ამა თუ იმ ერის შინაგანი კულტურა და წარმოდგენები გარესამყაროზე, ადამიანურ ურთიერთობებზე. ადამიანი ბავშვობიდანვე სწავლობს და ითვისებს იმ საზოგადოებაში მიღებულ და მართებულად მიჩნეულ თავაზიანობის ნორმებს, რომელშიაც დაიბადა და იზრდება. ჩამოყალიბებული შეხედულებების გამო, უცხო კულტურულ გარემოში მოხვედრისას ან უცხო სოციუმის წარმომადგენელთან კონტაქტის დროს წარმოქმნილი შესაძლო ურთიერთგაუგებრობა უმეტესად თავს

იჩენს ხოლმე ისეთ მარტივ საკომუნიკაციო სივრცეში, როგორცაა *მისაღმება, მოკითხვა, შეთავაზება, დამშვიდობება* და ა.შ.

თანამედროვე ცხოვრებაში კომუნიკაციის გამარტივებულმა საშუალებებმა წინ წამოსწია საკომუნიკაციო კომპეტენციის შესწავლა უცხო ენის სწავლების დროს. დღეს ნებისმიერ მსურველს საშუალება აქვს, უცხო ენის შესწავლის დაწყების დღიდანვე დაამყაროს ცოცხალი კონტაქტი ამ ენის მატარებელთან დისტანციურად, ინტერნეტის საშუალებით. სწორედ ამის გამო უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიაში გაჩნდა საჭიროება, სწავლების დაწყებითი ეტაპიდანვე მსურველს გავაცნოთ და შევასწავლოთ მარტივი ფრაზები და გამონათქვამები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა ეტიკეტური სიტუაციის დროს. საჭიროა სამეტყველო ეტიკეტის ნორმებისა და ფრაზეოლოგიის სწორად გამოყენების ცოდნისა და უნარის შეთვისება.

დღეს უკვე, უცხო ენის სასწავლო ნებისმიერი დონისათვის განკუთვნილი კურსი, აღჭურვილია სასაუბრო თემატიკის მიხედვით დალაგებული ფატიკური გამონათქვამებით, მათი ცოდნა დიდად ეხმარება უცხო ენის შემსწავლელს, ისწავლოს არა მარტო ენა, არამედ გაეცნოს ამ ენაზე მოსაუბრეთა შინაგან სამყაროს, კულტურისა და ყოფის ტრადიციულ თავისებურებებს. კომუნიკაციის სწორად წარმართვა რთული პროცესია. ხშირად ერთი საზოგადოების წარმომადგენლებსაც კი უჭირთ ფატიკური კომუნიკაციის ნორმების სრული დაცვით წარმართული ურთიერთობების წამოწყება, ეშლებათ ამა თუ იმ საკომუნიკაციო სიტუაციისათვის განკუთვნილი სწორი ფრაზებისა და გამოთქმების შერჩევა-მისადაგება.

სპარსულ ენაში მრავალი ფრაზა და გამოთქმაა, რომელთა სიტყვასიტყვითი თარგმანი და გამოყენების სფეროები, ერთმანეთისაგან ძალზე განსხვავდება. ასეთი ფრაზების არსებობა სპარსული თააროფის თავისებურებაა. ხშირად სპარსული თააროფი თავისი სპეციფიკური სიტყვებითა და ფრაზებით, ქცევისა და კულტურული ნორმებით „უცნაური“ და გაუგებარია სხვა კულტურის წარმომადგენელთათვის.

წინა თავებში შევხეთ სპარსული თააროფის, ანუ ქცევის, მეტყველების, თავაზიანობის ნორმათა ერთობლიობას ირანულ ყოფაში. განვიხილეთ, როგორც ირანულ, ასევე არაირანულ მკვლევართა და მეცნიერთა მოსაზრებები თააროფის ინსტიტუტის შესახებ, რის შემდეგაც გამოიკვეთა საჭიროება, რომ სპარსული ენის სწავლებისას აუცილებელია თააროფის, როგორც მოვლენის საგანგებოდ შესწავლა. ენის ცოდნა ნიშნავს მისი გამოყენების ცოდნას. ის, რომ თითოეულ სიტუაციაში შესაბამისი ფრაზა წარმოთქვა, არის ენობრივი საშუალებების გამოყენების ძირითადი მეტრი. ამა თუ იმ ენაზე მოსაუბრის მთავარი მიზანია საუბარი წარმართოს გრამატიკულად გამართული კონსტრუქციებით, ასე სწორად, შეცდომების გარეშე შერჩეული სიტუაციისათვის შესაფერისი გამონათქვამების გამოყენებით, რათა შემლოს წამოიწყოს, განავრცოს და წარმატებით დაასრულოს ვერბალური კომუნიკაცია.

თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ნაწყვეტს ერთ-ერთი ირანული სერიალიდან. სიუჟეტი ვითარდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის სადარბაზოში:

დიალოგი (1)

-Salam aqa

- Salam, Salam

- dombale kasi migardid?

-xaste nabashid, dombale xaneyeye Hoseini migardam

- xoš madid, befarmaid, befarmaid

-xeili mamnun, salamat bašid

- befarmai, ina bedi be man

- na, xob, šarmandege

- taarof nakon

- mersi, xodam beram

- ‘- გამარჯობა, ბატონო!
- გამარჯობა, გამარჯობა!
- ვინმეს ეძებთ?
- გამარჯობა, ჰოსეინის სახლს ვეძებ!
- კეთილი იყოს თქვენი მოზრძანება, მოზრძანდით, მოზრძანდით!
- დიდი მადლობა, გაიხარეთ!
- მოზრძანდით, ეს მე მიზოძეთ!
- არა, იყოს, მარცხვენთ!
- ნუ მოგერიდებთ!
- გმადლობთ, თავად წავალ...’

ამ მოკლე დიალოგის მონაწილეები ერთმანეთისათვის უცხონი არიან, შეხვდნენ მრავალსართულიანი საცხოვრებლის კიბეზე, მათ შორის გაიმართა ფატიკური საუბარი, რომელმაც დადებითად იმოქმედა მოსულ სტუმარზე. მართალია, მან ვერ იპოვა ბინა, რომელსაც ეძებდა, თუმცა ფატიკური კომუნიკაციის წყალობით თავი უხერხულად არ უგრძნია, თანამოსაუბრე ფაქტობრივი შინაარსისგან დაცლილი, მაამებელი ფრაზებით შეეცადა გაემხნევებინა გზააბნეული უცნობი. მათი საუბარი რამდენიმე წამს გაგრძელდა, ის არ შეიცავდა რაიმე კონკრეტული შინაარსის ინფორმაციას, უბრალოდ, ერთი შეხედვით, არაფრისმთქმელმა ფრაზებმა უცხო ადგილას მოხვედრილ სტუმარს კომფორტული სივრცე შეუქმნა, რადგან კომუნიკანტებმა შეძლეს არსებული სიტუაციისათვის მორგებული სწორი ფრაზების გამოყენება.

ეს მცირე მოცულობის დიალოგი ნათელი მაგალითი იმისა, საკომუნიკაციო კომპეტენციის ცოდნისა და სწორად გამოყენების შემთხვევაში რამდენად მარტივად

მიმდინარეობს და წარმატებით სრულდება უცნობი ადამიანების საუბარიც კი. უცხო ენის, ჩვენს შემთხვევაში სპარსული ენის სწავლების დროს საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს სასაუბრო ფრაზეოლოგიის შესწავლას. სასწავლო გეგმაში ცალკე პუნქტად უნდა იყოს გამოტანილი საუბრისა და მეტყველების ნორმები, სადაც განხილული იქნება სპარსული თააროფის რაობა, არსი. შედარებული იქნება აღმოსავლური ეტიკეტი დასავლურ ეტიკეტის ნორმებთან, გამოიკვეთება მსგავსება-განსხვავებანი. სწავლების მსგავსი მიდგომის საშუალებით, ენის მასწავლებელი შეძლებს შეასწავლოს სტუდენტს არა მარტო ენის გრამატიკული და სინტაქსური სირთულეები, არამედ დაეხმაროს ენის შემსწავლელს, მარტივად და ეფექტურად გამოიყენოს პრაქტიკაში თეორიული ცოდნა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული და სპარსული ენები განსხვავებულ ენათა ოჯახებს მიეკუთვნებიან, თუმცა გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამ ორ ენას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა საუკუნეების მანძილზე. ქართული ენა განიცდიდა სპარსული ენის გავლენას. ქართული საზოგადოება იღებდა და ითავისებდა სპარსული კულტურის ელემენტებს.

წინამდებარე თავში შევეცდებით, ეტიკეტური თვალსაზრისით ქართულ და ირანულ ყოფით ელემენტებში მოვიძიოთ ტიპოლოგიური მსგავსება-განსხვავებანი. უნდა ითქვას, რომ ენათა შეპირისპირებისას განმსაზღვრელია რამდენიმე ასპექტი: ენათა ნათესაობა, ენობრივი ურთიერთობები, გეოგრაფიულ-არეალური გავლენა და სოციალურ-კულტურული ურთიერთობების ფაქტორი (ანთაძე-მაღაშხია 2016).

საზოგადოდ ცნობილია, რომ სამეტყველო ეტიკეტის ფორმულებში განსაკუთრებით ნათლადაა ასახული ამა თუ იმ კულტურაში დამკვიდრებული ცნობიერებისა და სამყაროს შეცნობის მარკერები. ამიტომაც სამეტყველო ეტიკეტი ენობრივ და არაენობრივ დონეზე განსხვავებულია ყოფითი სიტუაციების, ენებისა და კულტურების მიხედვით (დემეტრაძე, 1996).

სამეტყველო ეტიკეტის ენობრივი ფორმულები, ზოგადად, აგებულია გარკვეულ ცნებებზე, და ეს ცნებები აუცილებლად არიან დადებითი კონოტაციის მატარებელი ლექსემები (დემეტრაძე, 1996).

ამ ზოგადი მოვლენის ფონზე, ქართული და სპარსული სამეტყველო ეტიკეტის ანალიზის შედეგად მოგვეცა საშუალება, გამოგვეყო გარკვეული ცნებები (დადებითი კონოტაციის მატარებელი ლექსემები), რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ორივე ენაში დაფიქსირებული ფრაზებისა და თავაზიან სიტყვა-თქმათა კონსტრუირებაში:

- ღმერთი
- ჯანმრთელობა/ ჯანის სიმრთელე
- მშვიდობა
- სიკეთე
- სიხარული
- ბედნიერება
- იმედი
- მაღლიერება
- თხოვნა

ასევე სომატური ერთეულები:

- ხელი
- ფეხი
- გული
- სახე/პირი

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენაში, ქართულსა და სპარსულში, სამეტყველო ეტიკეტის ერთეულთა ძირითადი ფორმულების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო ცნებებზეა დამყარებული. ამასთანავე, გამოიკვეთა განსხვავებანი გარკვეულ ცნებათა უპირატესობის მინიჭების

თვალსაზრისით. მაგალითად, ქართულ ენაში განსაკუთრებით აქტუალურია გამარჯვების და მშვიდობის ცნებათა წარმოჩენა, ხოლო სპარსულში ჭარბობს ღვთის სახელთან დაკავშირებული ფორმულები, ასევე მადლობის გამოხატვისას სომატურ ერთეულთა (ხელისა და ფეხის) წინ წამოწევა. რაც შეეხება ეტიკეტურ სიტუაციებს, ორსავე კულტურაში დაახლოებით ერთნაირი დატვირთვა აქვს ყოველდღიურად, ნებისმიერი სიტუაციის გათვალსწინებით თავაზიანობის გამოხატვას.

მისაღმების ეტიკეტური სიტუაცია ბევრ მსგავსებას ამჟღავნებს:

- ორივე კულტურაში მისაღმებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. საქართველოშიც და ირანშიც მიღებულია სალმის თქმა ნებისმიერი ხასიათის საუბრის წამოწყებისათვის. ამ შემთხვევაში ერთმანთს ესაღმებიან უცხონიც კი. თავაზიანობის წესების მიხედვით, განსაზღვრულია მისაღმების ტონალობა (გამარჯობა უნდა წარმოითქვას ხმამაღლა და გარკვევით), სასურველია, გამარჯობა ითქვას პირველად ასაკით უმცროსის მხრიდან.
- რაც შეეხება მისაღმების ენობრივ ფორმულებს - ქართულში ძირითადი მისასაღმებელი სიტყვაა გამარჯობა, რაც ეტიმოლოგიურად გამარჯვებას უკავშირდება და გამოიყენება დღის ნებისმიერ მონაკვეთში. ცოცხალ მეტყველებაში სიტყვა გამარჯობით გამოხატული მისაღმების საპასუხო სიტყვებია: გაგიმარჯოს, კაი გამარჯობა; ცალკე უნდა გამოიყოს ფრაზა: მშვიდობა მოგცეს(თ) ღმერთმა ; აქა მშვიდობა;

სპარსულში ძირითადი მისასაღმებელი სიტყვაა - salam - ეტიმოლოგიურად ჯანმრთელობას და მშვიდობას უკავშირდება, ასევე გამოიყენება დღის ნებისმიერ მონაკვეთში. თავაზიანობის რეგისტრის მიხედვით თანამედროვე მეტყველებაში განირჩევა სიტყვა salam-ით შედგენილი ფორმულები:

Sal m arz mikonam - მოგესაღმებით/ სალამს მოგახსენებთ.

b sal m- მოგესაღმებით

sal m b šom - მოგესაღმებით; მშვიდობა თქვენდა!

მისაღმების ფორმულები ქართულში, ძირითადად, უკავშირდება მშვიდობასა და გამარჯვებას.

სპარსულში მისაღმების დროს ხაზი აქვს გასმული კარგად ყოფნასა და ჯანმრთელობას.

თავაზიანობის ნორმათა მიხედვით ირანშიც და საქართველოშიც სასურველია გამარჯობა ითქვას ხმამაღლა, თანმხლები კინესიკით (უმეტესად თავის დაკვრა საქართველოში, თავის დაკვრა და მარცხენა ხელის მკერდზე დადება - ირანში). ორივე ენაში არის გამოთქმები, რომელთაც იყენებენ მისაღმების დროს დღის კონკრეტულ მონაკვეთში:

ცხრილი 42

ქართული	სპარსული
დილა მშვიდობის	sobh bexeir/ sob bexeir
სადამო მშვიდობის	'asr bexeir
შუადღე შვიდობის	zohr bexeir
დღე მშვიდობისა	ruz/vaqt bexeir

მისაღმებას ყოველთვის მოსდევს მოკითხვა, რომელიც ძირითადად ფატიკური ხასიათისაა. ქართულშიც და სპარსულშიც იძებნება მოკითხვაზე მეტ-ნაკლებად რეალობის გამომხატველი, თუმცა მაინც ფატიკური ელფერის პასუხი:

არა მიშავს/ნელ-ნელა - ქართულში

bad nistam 'ცუდად არა ვარ' - სპარსულში

ეს პასუხი, შინაარსის მიხედვით, ერთი შეხედვით, უფრო ინფორმაციულია ვიდრე ფატიკური, მაგრამ დღეს უკვე ორსავე საზოგადოებაში დაკარგული აქვს ძირითადი მნიშვნელობა და აღიქმება ფატიკურ ფრაზად. საქართველოშიც და

ირანშიც, შეხვედრისას, ახლობელი ადამიანებიც კი, ე.წ. პირველად მოკითხვაზე პასუხობენ: არა მიშავს/ნელ-ნელა; bad nistam 'ცუდად არა ვარ', და ამის შემდეგ უზიარებენ ერთმანეთს ამბავს რეალური მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში მიღებულია ნაცნობების შეხვედრისას ოჯახის წევრების, საერთო ნაცნობების მოკითხვა, იგივე შეიძლება ითქვას ირანზეც. თუმცა რამდენიმე ათეული წლის წინ, ირანულ საზოგადოებაში ტაბუირებული იყო მეუღლის (ცოლის) მოკითხვა მამაკაცების მხრიდან (Sahragard 2003). ეს შეზღუდვა დღეს მეგობრულ, თავაზიან ურთიერთობებში უკვე დაშვებულია, თუმცა კომუნიკანტთა სოციალური და ასაკობრივი სტატუსების მიხედვით გარკვეულ სიტუაციებში ისევ მიუღებლადაა მიჩნეული (Этикет у народов... 1988).

დამშვიდობების ეტიკეტური სიტუაცია ქართულ და ირანულ ყოფაში თითქმის იდენტურია ფრაზეოლოგიისა და კინესიკის მიხედვით. განსხვავებაში უნდა ჩაითვალოს დამშვიდობების პროცესის გახანგრძლივების, როგორც ეტიკეტური ნორმის არსებობა ირანულ საზოგადოებაში. ირანელ ადამიანს ძალიანაც რომ ეჩქარებოდეს თავაზიანობა აიძულებს დიდი დრო დაუთმოს დამშვიდობების მომენტს. ამისათვის გარდა კომუნიკაციის ვერბალური მხარისა, იყენებენ ხელის ჩამორთმევას - რაც უფრო დიდი ხნით უჭირავთ კომუნიკანტებს ერთმანეთის ხელი, მით მეტია თავაზიანობისა და კეთილგანწყობის ხარისხი (Этикет у народов... 1988).

მოზოდშიება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ადამიანური ურთიერთობების შენარჩუნების, დამაბული ატმოსფეროს განეიტრალების, სხვაზე შთაბეჭდილების მოხდენისა და საკუთარი თვითშეფასების ასამაღლებლად. მოზოდშიების ეტიკეტური სიტუაციის განხილვისას ქართულ და სპარსულ ენებში, ვნახეთ, რომ ორივე ენაში მრავლადაა საზოდშიო სიტყვები და ფრაზები და თითქმის ერთნაირია ყველა იმ სიტუაციის ხასიათი, სადაც ადამიანები ბოდშის იხდიან. ცალკე უნდა გამოვყოთ ირანელთა, ჩვენი აზრით, ერთ-ერთ დადებით თვისებად ბოდშიის მოხდის/თქმის უნარი კონფლიქტურ სიტუაციებში.

მადლობის გადახდა ქართულ და ირანულ რეალობაში სიტყვაუხვია. ორივე ენაში საკმაოდ ბევრი სიტყვა და ფრაზაა მადლობის გამომხატველი. ყურადღებას

გავამახვილებთ სპარსულ გამოთქმაზე: dast-e šom dard nakone - სიტყვასიტყვით ითარგმნება *‘ხელი არ გეტკინოს; დაგელოცოს მარჯვენა!’* და არის მაღლიერების გამოხატვის ერთ-ერთი ვერბალური საშუალება და ქართული ფრაზა: *„შენი მარჯვენის ჭირიმე/ შენს მარჯვენას ვენაცვალე“*. ორივე ეს გამოთქმა, ქართულიც და სპარსულიც, მაღლობას გამოხატავს და იხმარება რაიმე სამსახურის გაწევის სამადლობლად. ამ ფრაზათა ეტიმოლოგია ერთმანეთის მსგავსია; ორივე მათგანში აქცენტი ადამიანის ხელზე (მარჯვენაზე) არის გაკეთებული.

დაპატიჟება - შეთავაზება: სტუმარი და სტუმრის გამასპინძლება ორივე ქვეყანაში საპასუხისმგებლო საქმედაა მიჩნეული. მასპინძელი, ირანშიც და საქართველოშიც, ყველა ღონეს ხმარობს, რომ სტუმარი პატივნიცემი და კმაყოფილი დარჩეს. ირანში, სტუმრის განუზომელი პრივილეგიების გამომხატველი შინაარსი შემონახულია ირანულ თააროფში არსებულ ფატიკურ ფრაზაში: mehmane ma hastid/basid – *‘ჩვენი/ჩემი სტუმარი ბრძანდებით’*. ეს ფრაზა სპარსული ფატიკურობის კლასიკური მაგალითია, მისი გამოყენებითი ფუნქცია ირანში საერთოდ არ ეხმაურება მის შინაარსს. ამ ფრაზას იყენებენ, როდესაც რაიმეს ყიდულობთ და თანხის გადახდას აპირებთ, გესმით - mehmane ma hastid/basid, ანუ: *‘ჩვენი სტუმარი ბრძანდებით’* და, რა თქმა უნდა, თუკი არ იცნობთ ირანულ თააროფს, ეს ფრაზა ცოტათი დამაბნეველია და იფიქრებთ, რომ სტუმრის სტატუსის გამო შენაძენს გჩუქნიან, მაგრამ ეს ასე სულაც არ არის, ეს არის ფრაზა, რომელიც აღნიშნულ ეტიკეტურ სიტუაციაში, სპარსული *თააროფის* ნორმების მიხედვით, მისაღები და აუცილებელია. მიუხედავად ამისა, ამ ფრაზის ეტიმოლოგია უდაოდ უკავშირდება მასპინძლისა და სტუმრის ურთიერთდამოკიდებულებას.

პირადად ვყოფილვარ მოწმე, არაირანელთა მიერ ამ ფრაზის გაგონებისას მაღაზიაში თუ კაფე-რესტორნებში, ერთი შეხედვით სწორი რეაქციისა (იფიქრეს, როგორც სტუმარს აჩუქეს ნივთი, გაუმასპინძლდნენ უფასოდ). ირანში უცხოელთათვის განკუთვნილი სასწავლო კურსების გავლისას არაერთხელ გადამირჩენია ჩემი თანაკურსელები უხერხული სიტუაციისაგან. მე, ჯერ კიდევ თბილისის უნივერსიტეტში სწავლისას, ჩემი პედაგოგებისაგან მქონდა გარკვეული ინფორმაცია და ცოდნა სპარსული *თააროფის* შესახებ, მაშინ როცა, დასავლეთისა თუ

აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ირანში სასწავლად ჩასული ბევრი სტუდენტისათვის *თააროფი* უცხო მოვლენა იყო.

საქართველოში ტრადიციულად სტუმარი ღვთის საჩუქარია და მასპინძელი ყველა საშუალებას მიმართავს, რათა ღირსეულად უმასპინძლოს მობრძანებულს. ქართველისათვის „*სტუმარი ღვთისაა*“.

ირანში სიტყვაუხვი და ინტენსიურად განმეორებადია შეპატიჟება/მიპატიჟება შინ, სუფრასთან, კერძისა თუ ტკბილეულის მირთმევისას მასპინძელი ასევე სიტყვაუხვია, არ სჯერდება ერთხელ და ორჯერ შეთავაზების გამეორებას და აგრძელებს ამ შინაარსის ფრაზების ინტენსიურად გამეორებას მაშინაც კი, როდესაც სტუმარი უკვე შეექცევა შეთავაზებულ საკვებს ან ტკბილეულს. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს შესახებ, თუმცა ეს წესი დამახასიათებელია უფრო მეტად დასავლეთ საქართველოსათვის, აღმოსავლეთ საქართველოში შეთავაზება უფრო თავმეკავებული და ნორმირებულია, აქ ერთხელ მიპატიჟების შემდეგ, განმეორებითი პატიჟი სტუმრის შეწუხებად მიიჩნევა.

დალოცვა და მილოცვა, თანაგრძნობის გამოხატვა, ქათინაური, საჩუქრის მიღება და მასზე პასუხი, საალერსო ფორმულები, ორივე ენაში, ქართულშიც და სპარსულშიც, ფორმულათა მრავალფეროვნებით აღინიშნება. ძალზე მრავალფეროვანია ასეთი ფრაზების ინტერპრეტაცია სიტუაციათა და ამ სიტუაციაში მონაწილეთა ასაკობრივი, სქესობრივი, სოციალური სტატუსისა და რელიგიური კუთვნილებების მიხედვით. თუმცა ამ ეტიკეტურ სიტუაციათა ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ირანელები ქართველებთან შედარებით უფრო სიტყვაუხვები არიან, თანამოსაუბრეზე შთაბეჭდილების მოხდენისა და სათქმელისათვის ექსპრესიის შემატების მიზნით, დაუსრულებლად იმეორებენ ერთისა და იმავე შინაარსის ფრაზებს. ამის გამო, ირანული *თააროფი*, ხშირად სხვა კულტურის წარმომადგენლებისაგან კრიტიკისა და განსჯის საგანი ხდება ხოლმე.

გარდა სიტყვაუხვობისა ირანულ და ქართულ ეტიკეტურ ნორმებს განასხვავებს საუბარში ტაქტისა და ჯერობის დაცვა.

ტაქტი — ლათინური სიტყვაა (tactus) და ნიშნავს - შეხებას. განიმარტება როგორც „თავის დაჭერის უნარი, ზომიერების გრძობა“ (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>). საუბარში ტაქტიანობად ითვლება იმის ცოდნა თუ სად, ვის, როგორ და როდის მივმართოთ, ვესაუბროთ. ფატიკური კომუნიკაციის დროს, ტაქტის განცდა წინაპირობაა ურთიერთობების სწორად წარმართვისთვის (Longman 1982). გარდა ტაქტისა, დიალოგურ მეტყველებაში დიდი როლი აქვს საუბრის ჯერობას. ჯერი - ქართული ენის განმარტებით ლექსინკონში განიმარტება, როგორც „ვისამე ან რისამე დრო, რიგი“ (<https://www.ice.ge/liv/liv/ganmartebiti.php>). კომუნიკაციის ჭრილში საუბრის ჯერობაში მოიაზრება კომუნიკანტთა მიერ საუბრის რიგობითობის დაცვა. ჯერობის დარღვევა, ანუ საუბრის გადაფარვა გამოიწვევს კომუნიკაციის შეწყვეტას, ზოგადი ეტიკეტური ნორმების მიხედვით, მიუღებელია, კომუნიკანტებმა ერთდროულად ისაუბრონ და, ამასთანავე, შეინარჩუნონ კომუნიკაციის გაგრძელების საშუალება (Земская, 1983). ქართული სამეტყველო ეტიკეტის ნორმების მიხედვით, ტაქტის განცდა ეხმარება თანამოსაუბრეებს ავტომატურად, ძალდატანების გარეშე განსაზღვრონ საუბრის წამომწყებისა და მოპასუხის როლები. სპარსულ თააროფში საუბრის ჯერობა — კომუნიკაციის დაწყებისა და დამთავრების პროცესში, მისაღმებისას და დამშვიდობებისას — უგულვებელყოფილია, მის დაცვას არავინ ცდილობს და არც არავის ევალება, პირიქით, თააროფის ნორმების თანახმად, კომუნიკანტებს უფლება აქვთ, ერთდროულად იმეორონ მისასაღმებელი ან დამშვიდობების გამომხატველი ფრაზები. ეს პროცესი იმდენად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რომ ადრესატსა და ადრესანტს არც კი აინტერესებთ ერთმანეთის მიერ წარმოთქმული ფრაზების შინაარსი. ვფიქრობთ, ქართული და ირანული სამეტყველო ეტიკეტის ნორმების ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი ჯერობის დაცვისა და გადაფარვის არსებობაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკომუნიკაციო სივრცეში არსებობს კომუნიკანტთა წყვილები, რომელთა საუბრის ჯერობა წინასწარ გაწერილი და განსაზღვრულია. მაგალითად, ასეთი წყვილებია: რესპონდენტი და ჟურნალისტი ინტერვიუს დროს, მოსწავლე და მასწავლებელი სკოლაში, ლექტორი

და სტუდენტი აუდიტორიაში; მოწმე და დამკითხველი სასამართლო სხდომაზე და ასე შემდეგ.

თავი მესამე: თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული გზები და მიმართვის ფორმები

ქართულ და სპარსულ სამეტყველო ეტიკეტში

3.1 პირის ნაცვალსახელები და თავაზიანი მეტყველება სპარსულსა და ქართულში

ტერმინი *ნაცვალსახელი* მისი ბერძნული სახელწოდებიდან მომდინარეობს (ἀντασυσμία - antonymia) და სახელის ნაცვალს ნიშნავს. იგი ორი სიტყვისაგან შედგება: ἀντί- 'ნაცვლად, მაგიერ' და ασυσμα- 'სახელი, სახელწოდება' (მარტიროსოვი 1964). სხვა ენებზე ნაცვალსახელი ბერძნული ἀντασυσμία – antonymia-ს სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენს, რომელიც ჯერ ლათინურად ითარგმნა, შემდეგ, მცირეოდენი სახეცვლილებით, გავრცელდა ევროპულ გრამატიკებში. პირველად, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნეში დიონისე თრაკიელმა ასე განმარტა *ნაცვალსახელი*: სიტყვა, რომელიც იხმარება სახელის ნაცვლად. *ნაცვალსახელის* ასეთი გაგება დღემდე ცოცხლობს გრამატიკულ ლიტერატურაში (მარტიროსოვი 1964).

ნაცვალსახელი სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით, ყველაზე უფრო რთული და თავისებურია როგორც ფუნქციის, ისე შედგენილობის თვალსაზრისით. თუ ისტორიას გადავავლებთ თვალს, *ნაცვალსახელი* ადრევე გაჩნდა გრამატიკულ ტრაქტატებში, როგორც მეტყველების ნაწილი. იგი პანინის თანამედროვე იასკამ გამოყო და დაასახელა ხუთ მეტყველების ნაწილთაგან ერთ-ერთ ცალკე მდგომ ერთეულად: *სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, წინდებული და ნაწილაკი*. მიუხედავად ამისა, *ნაცვალსახელის* შესახებ მეცნიერები პრინციპულად განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ენის გრამატიკა, მთლიანობაში, უნდა დაემყაროს ორი შესაკრებლის ჯამს: არანაცვალსახელთა გრამატიკა და ნაცვალსახელთა გრამატიკა. ამ მოსაზრების პარალელურად

არსებობდა აზრი იმის შესახებ, რომ ნაცვალსახელი ცალკე მეტყველების ნაწილი არც არის (Майтинская, 1969). *ნაცვალსახელებს* ხშირად, განიხილავდნენ და ამჟამად განიხილავენ, როგორც სემანტიკურად დაცლილ სიტყვებს, ან კიდევ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობაც სიტუაციურად ცვალებადია (შანიძე 1980).

ქართველი გრამატიკოსები: ანტონ I, გ. ფირალოვი, დ. ყიფიანი, ი. ქართველიშვილი, და სხვანი *ნაცვალსახელს* უწოდებენ სიტყვას, რომელიც იხმარება სახელის ნაცვლად. ზოგ ავტორთან დამატებულია: „ნაცვალსახელი გამოიყენება წინადადებაში ნაცვლად „სახელისა, პირისა ანუ ნივთისა აღმნიშვნელისა, განსალტოლველად ხშირისა განმეორებისა ერთისა და მისივე სახელისა“ (პლატონ ეგნატისა-ძე და იოსელიანი 1851).

თანამედროვე ქართული ენის გრამატიკებში *ნაცვალსახელი* ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითისა, ზედსართავისა, რიცხვითისა): საგანს ან საგნის ნიშანს ის წარმოადგენს არა მისი ჩვეულებრივი სახელით, რომელიც ყოველთვის და ყველასათვის ერთი და იგივეა ამ საგნის ან მისი ნიშნის ერთსა და იმავე ვითარებაში, არამედ ისეთი სახელით, რომელიც მხოლოდ დასახელების მომენტისათვის არის გამოსადეგი (მარტიროსოვი 1964). *ნაცვალსახელი* ერთგვარ მაგივრობას, ანუ ნაცვლობას ეწევა სახელებისას. ამიტომ დაერქვა მას “ნაცვალსახელი” (უფრო სწორი იქნებოდა “სახელთნაცვალი”), შემოკლებით - “ნაცვალი” (შანიძე 1980).

სპარსული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებში ნაცვალსახელი ასე განიმარტება: ნაცვალსახელი არის სიტყვა, რომელიც გამოიყენება სხვა მეტყველების ნაწილების მაგივრად, მათი გამეორების თავიდან ასაცილებლად (محمد جوداشريعت, 1972; حسن گيوي 1971).

სპარსულ ენაში *ნაცვალსახელი* აღინიშნება არაბული ტერმინით ضمير (zamīr) (სიტყვის მნიშვნელობები: 1.სინდისი, ნამუსი; 2.გონება; 3.გრამ. ნაცვალსახელი).

შინაარსის მიხედვით ნაცვალსახელებში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი:

1. პირისა

2. ჩვენებითი
3. კითხვითი
4. კუთვნილებითი
5. კითხვით-კუთვნილებითი
6. მიმართებითი
7. ურთიერთობითი
8. განსაზღვრებითი
9. განუსაზღვრელობითი
10. უარყოფითი

სპარსული ენის გრამატიკებში, ნაცვალსახელის ჯგუფთა რაოდენობა მერყეობს. ტრადიციულად, შინაარსის მიხედვით, გამოიყოფა ექვსი ჯგუფი:

1. šaxsī - პირისა
2. eš re - ჩვენებითი
3. porsešī - კითხვითი
4. ta'jobī - გაოცების
5. mobham - განუსაზღვრელობითი
6. moštarek – უკუქცევითი

(იხ. აბულაძე 1937; თუშიშვილი 2012; محمد جواد شريعت, 1972; حسن گيوي 1971)

თავაზიანი მეტყველებისა და სამეტყველო ეტიკეტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პირის ნაცვალსახელთა სემანტიკური და ფუნქციური თავისებურებანი. თითქმის ყველა კულტურულ საზოგადოებაში თავაზიანობის გამოსახატავად, მიღებულია *პირის ნაცვალსახელთა* მრავლობითი რიცხვის ფორმათა გამოყენება ერთი პირით წარმოდგენილი ადრესატის მისამართით.

პირის ნაცვალსახელებს გრამატიკულ ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, ახასიათებენ, როგორც პირის აღმნიშვნელ სახელებს, თუმცა ასეთი განსაზღვრა მართებულად არ მიაჩნია ა.შანიძეს, რადგანაც „პირზე შეიძლება მიუთითებდეს სხვა

ნაცვალსახელიც, როგორცაა, მაგალითად, კითხვითი - ვინ? განუსაზღვრელობითი - ვინმე; უარყოფითი - არავინ, ჩვენებითი - ის და ა.შ.“ (შანიძე, 1980)

ა. შანიძე იქვე წერს: „პირის ნაცვალსახელი აღნიშნავს პირებს მოლაპარაკის თვალსაზრისით და მოლაპარაკესთან მიმართების საფუძველზე. ეს მიმართება გვიჩვენებს, რომ ესა თუ ის პირი ან მოლაპარაკეა, ან თანამოსაუბრე, ან კიდევ ის პირი, რომლის შესახებაც არის საუბარი. ამ ურთიერთობაში ამოსავალია მოლაპარაკე ანუ პირველი პირი; ვისაც იგი უშუალოდ მიმართავს - მეორე პირია, ხოლო ის, ვინც ამ ორი პირის გარეშეა, მესამე პირად ითვლება“ (შანიძე, 1980). ეს განმარტება სრულად ასახავს პირის ნაცვალსახელთა ფორმისა და გამომსახველობის ურთიერთმიმართებას.

პირის ნაცვალსახელებს სპარსულ ენაში აქვთ შემდეგი ფორმები:

ცხრილი 43

№	მხოლოებითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი	
	1 P	man	მე	m
2P	to	შენ	šom	თქვენ
3P	ū/vey	ის	nh / š n	ისინი

სპარსულში მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი ფორმოზრივ თავისებურებას იჩენს. სასაუბრო ენაში მრავლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელი ზოგჯერ ირთავს მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსს: **ha** და ვიღებთ ასეთ ფორმას:

m + h = m -h

šom + h = šom -h

მათი მნიშვნელობებია: ‘ჩვენ ყველანი’ და ‘თქვენ ყველანი’.

„მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელთა ასეთ ფორმებს მეორადი მრავლობითის ფორმები ეწოდება. ეს ფორმები იშვიათად, მაგრამ, მაინც გვხვდება ლიტერატურაში“ (თუშიშვილი, 2012).

ცხრილი 44

პირი	ფორმა
------	-------

I	m h
II	šom h
III	š n h

არის შემთხვევები, როცა მესამე პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელის **u-ს** 'ის, იგი' ნაცვლად იხმარება **vey** 'ის', რომელიც, ძირითადად, სალიტერატურო ენისთვისაა დამახასიათებელი. მესამე პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობით, ხშირად, გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელები: **n** და **n**, ეს ნაცვალსახელები იხმარება მოქმედი პირის აღსანიშნად.

მაგალითად:

in miravad 'ეს მიდის'

n miravad 'ის მიდის'

როგორც ითქვა, პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმების გამოყენება ერთი პირის მიმართ, თითქმის ყველა ენის სამეტყველო ეტიკეტისთვისაა დამახასიათებელი. თანამოსაუბრისადმი კრძალვა-მოწიწების გრძნობა მოლაპარაკეს აიძულებს ერთი პირის სახით წარმოდგენილი ობიექტი კრებითი ადრესატის რანგში აიყვანოს, ამისათვის იგი იყენებს პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმას, რომელიც მოცემულ სიტუაციაში გულისხმობს არა რამდენიმე პირს, არამედ – ერთს. ნაცვალსახელის ასეთ ფორმას, რომელიც გამოიყენება თავაზიანი მეტყველების დროს *თქვენობითი* საუბრისას ზ. კიკვიძემ *სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელები* უწოდა (კიკვიძე 1999), ასეთი სახის ნაცვალსახელებს, რომლებიც თავაზიანი მიმართვის ფორმებად ჩამოყალიბდა, *პრონომინალურ მიმართვასაც უწოდებენ* (Miller, Reachel, Vinson, Brugman 2014).

ქართულ ენაში *სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელებად* (სშნ) პორტირდება **პირველი** და **მეორე** პირის ნაცვალსახელები. მათი გამოყენების სფერო რამდენადმე განსხვავდება.

➤ ქართულ ენაში პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმაა: *ჩვენ*. იგი თავის თავში მოიცავს პირველ პირთან ერთად მეორე და მესამე პირსაც. ამ ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურის აუცილებელი პირობაა, რომ

მასში ჩართული იყოს *მე* პირველი პირი, ხოლო მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელთა არსებობა კონტექსტობრივად ცვლადია, არჩევითია.

ქართული ენა განარჩევს *ჩვენ* ნაცვალსახელის ორ სახეს:

ინკლუზიურსა და ექსკლუზიურს.

1. ინკლუზიური *ჩვენ*, ანუ, როდესაც მოლაპარაკე ადამიანი აღნიშნავს თავის თავს და იმას (ან იმათ), ვისთანაც საუბარი აქვს, ე.ი. *ჩვენ* მნიშვნელობით იგივეა რაც : *მე და შენ (მე და თქვენ)* (შანიძე 1980).

ინკლუზიული *ჩვენ* ფორმულაში გამოისახება ასე:

მე/თქვენ + შენ = ჩვენ (ინკლუზიური)

2. ექსკლუზიურია *ჩვენ*, როდესაც მოლაპარაკე ადამიანი აღნიშნავს თავის თავს და სხვას (ან სხვებს), იმის (ან იმათი) გამოკლებით ვისაც ესაუბრება, ე.ი. *ჩვენ* იგივეა რაც: *მე და ის (მე და ისინი)* (შანიძე 1980).

ექსკლუზიური *ჩვენ* ფორმულაში გამოისახება ასე:

მე + ის/ისინი = ჩვენ (ექსკლუზიური)

არც ფორმისა და არც შინაარსის მიხედვით *ჩვენ* არ წარმოადგენს *მე*-ს მრავლობით რიცხვს. ცხადია, რომ მიმართება *მე-ჩვენ* არ უდრის მიმართებას *კაცი-კაცები*, თუმცა *მე* მხოლოდობითი რიცხვია, *ჩვენ* – მრავლობითი. ამ საკითხზე სპეციალისტები საგანგებოდ მსჯელობენ და სხვადასხვა მოსაზრებებსაც გამოთქვამენ. ერთი რამ კი ცხადია, რომ *ჩვენ* არ არის მრავლობითი რიცხვის ფორმა, ოღონდ მრავლობითი რიცხვის გამომხატველ სიტყვათა შორის მას ადგილს ვერ წავართმევთ. ასე რომ, განსაზღვრა “პირველი პირის მრავლობითი რიცხვი” ნამდვილად შეესაბამება *ჩვენ* ნაცვალსახელს არა მარტო იმიტომ, რომ იგი მოსახერხებელია, არამედ, პირველ ყოვლისა, იმიტომაც, რომ იგი რეალობას ასახავს (შანიძე 1980, 16-18).

მაგრამ, როდესაც *ჩვენ* ნაცვალსახელი გადადის *სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა* თანრიგში, იგი კარგავს თავის პირველადს მნიშვნელობას, აღარ გამოხატავს მრავლობით რიცხვს, სადაც პირველ პირთან ერთად მეორე ან მესამე პირებიც იგულისხმება, და უთანაბრდება მხოლოდობითი რიცხვის პირველი პირის *მე* ნაცვალსახელს. ეს არის ე.წ. *მეორეული ჩვენ*, რომლის გამოყენება შემოიფარგლება

ფუნქციურ სტილთა საზღვრების დაცვით და განპირობებულია ავტორის მოკრძალებულობით, მას ავტორისეულ ჩვენ ნაცვალსახელსაც უწოდებენ (კიკვიძე, 1999). სავსებით შესაძლებელია მისი ჩანაცვლება მე ნაცვალსახელითაც, მაგრამ ეტიკეტი და თავაზიანობა განაპირობებს ჩვენ ნაცვალსახელის დომინანტობას.

ჩვენ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობით ხმარება, ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებშიცაა დადასტურებული — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, თუკი თანამედროვე ქართულში მეორეული ჩვენ ნაცვალსახელის ხმარება შეპირობებულია ავტორის თავმდაბლობით, ძველ და საშუალო ქართულში იგი გვხვდება მეფეთა საბუთებში სიდიადის, აღმატების გამოხატვის მიზნით, მას შეიძლება “სამეფო ჩვენ” ვუწოდოთ. ისტორიულ წარწერებსა და საბუთებში იგი გვევლინება ერთი პირის აღსანიშნავად, თუ ეს პირი მაღალი საერო ან სასულიერო წოდების წარმომადგენელია. ასეთი ტიპის ჩვენ ნაცვალსახელი ზმნას შეიწყობს მხოლოდობითიც და მრავლობით რიცხვშიც (შანიძე 1980). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეტყველებაში სულ უფრო იშვიათადაა მეორეული და ავტორისეული ჩვენ ნაცვალსახელის ხმარების შემთხვევები. მისმა გამოყენებამ თანამედროვე ყოფაში აქტუალურობა დაკარგა.

იგივე შეიძლება ითქვას სპარსულ ენაში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის m –‘ჩვენ’, ნაცვალსახელის შესახებაც. საზოგადოდ ცნობილია, რომ სხვადასხვა სისტემის ენებში ზოგიერთი ნაცვალსახელი ერთმანეთის მსგავსია. გარდა წარმოების ტიპის იდენტურობისა, ხშირად ფუნქციათა ერთგვარობაც ხელშესახებია (Miller, Reachel, Vinson, Brugman 2014). სპარსული m –‘ჩვენ’, არ ავლენს ფორმათა მიხედვით სხვაობას, თავისი ექსკლუზიური თუ ინკლუზიური ვარიანტებით. ქართულს ემთხვევა მხოლოდობითი და მრავლობითი ფორმების მიმართების თვალსაზრისითაც: მე – ჩვენ არ უდრის კაცი –კაცები, ასევე man - m არ უდრის mard – mard-h მიმართებას.

სპარსულ ენაში ავტორისეული m –‘ჩვენ’ ნაცვალსახელი თანამედროვე მეტყველებაში საკმაო სიხშირით გამოიყენება. ხოლო, რაც შეეხება განდიდების, ე.წ. “სამეფო ჩვენ” (Miller, Reachel, Vinson, Brugman 2014) ნაცვალსახელი ირანის მეფეთა

მიმოწერაში არ დასტურდება. მეფის მოხსენიება ხდებოდა განაცვალსახელებული სხვა მეტყველების ნაწილთა საშუალებით.

➤ მეორე პირის ნაცვალსახელის მხოლოობითი (შენ) და მრავლობითი (თქვენ) რიცხვის ფორმათა ურთიერთობის საკითხი ქართულ ენაში, ეხმიანება პირველი პირის ნაცვალსახელის საკითხს. უნდა შევნიშნოთ, რომ მეორე პირის ნაცვალსახელის მრავლობითი ფორმის გამოყენება, პირველ პირთან შედარებით უფრო პროდუქტიული და გავრცელებულია როგორც ქართულ, ასევე სპარსულ ყოფასა და მეტყველებაში.

თანამედროვე ქართულ სამეტყველო ეტიკეტში *თქვენ*-ობით მიმართავენ ასაკით ან სტატუსით უფროსს - ამით გამოხატულია პატივისცემა და მოწიწება, ხოლო, როდესაც *თქვენ*-ობითი მიმართვის ფორმა გამოყენებულია ასაკითა და სტატუსით უმცროსის მისამართით უფროსების მხრიდან (მაგალითად, ლექტორი მიმართავს სტუდენტს: *თქვენ*) ხაზგასმულია სოციალური დისტანცია. თქვენობით საუბრისას ზმნაში ჩნდება მრავლობითი რიცხვის პირის ნიშნები, უფრო ხშირად კი თქვენობით საუბრისას იხმარება ზმნის თავაზიანი ფორმები.

აქვე დავძენთ, რომ ძველი ქართულისათვის ე.წ. *თქვენობითი* საუბარი დამახასიათებელი არ ყოფილა. უძველეს ძეგლებში თითქმის არ ფიქსირდება ამის დამადასტურებელი მაგალითები, *თქვენ/თქვენი* ნაცვალსახელთა მეორეული მნიშვნელობა განსაკუთრებულად თავს იჩენს გვიანფეოდალურ ხანაში. საერო ლიტერატურის ძეგლებში. მათი, როგორც მოკრძალებული მიმართვის ფორმებად გამოყენების მაგალითები უკვე გვხვდება (“ვისრამიანი”, “ვეფხისტყაოსანი”, “შაჰნამეს ქართული ვერსიები”...). (იხ. შანიძე 1980, 63).

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მიმართვის თავაზიანი ფორმები ევროპულ ენებში გავრცელდა ლათინურის გავლენით. თვით ამ ენაში კი ნაცვალსახელთა განსაკუთრებული მნიშვნელობით ხმარების წესი დამკვიდრდა რომის კეისართა მეშვეობით. ეს ჩვეულება დროთა განმავლობაში ფართოდ გავრცელდა ევროპულ ხალხებში ფეოდალური წყობის დროს და, ამის საფუძველზე შეიქმნა ისეთი მიმართვის ფორმები, როგორიცაა: *თქვენო აღმატებულებავ! თქვენო უდიდებულესობავ! თქვენო კეთილშობილებავ!*

“კრძალვა-პატივისცემით ხმარებული მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმას წინ უნდა უსწრებდეს ამავე მნიშვნელობით გამოყენებული *ჩვენ*, რომელსაც ხმარობდნენ საკუთარ თავზე საუბრისას უმაღლესი საერო და სასულიერო წოდების წარმომადგენლები. ქართულ ენაში თავაზიანობის მრავლობითის *თქვენ* ნაცვალსახელის ფუნქციონირების კვალიფიკაციისას მიიჩნევენ, რომ მის ხმარებას ხელოვნურობის დალი ატყვია და საამისო არგუმენტად დასახელებულია ზმნა-შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა *თქვენ* ნაცვალსახელთან“ (აფრიდონიძე 2003, 257). სპარსულისათვის *თქვენობით* საუბარი იმდენად ბუნებრივია, რომ შეიძლება ითქვას, მეტყველებაში მიმართვის ფორმად *to* –[შენ], მეორე პირის მხოლოდობითი რიცხვის ნაცვალსახელი, იხმარება ძირითადად ასაკით უმცროსთა მიმართ; ასეთ დროს საუბარი შინაურულია.

სპარსულში თავაზიანი მეტყველების დროს *სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელები* ზმნა-შემასმენელში აჩენენ მრავლობითი რიცხვის პირის ნიშნებს, ან მოითხოვენ ზმნათა თავაზიან ფორმებს:

- (1) *šom and s l d rid? va hle koja hastid?*
‘რამდენი წლის ბრძანდებით? და საიდან ბრძანდებით?’
- (2) *qa-ye Taheri, koja budid?*
‘ბატონო თაჰერი! სად ბრძანდებოდით?’
- (3) *hazrat-e qa-ye ostad etela’ d rid ke bande še’r nemis zam...*
‘(თქვენო) უდიდებულესობავ, მასწავლებელო, მოგეხსენებათ, რომ (თქვენი) მონა-მორჩილი ლექსებს არ ვთხოვავ’

მოხმობილ მაგალითებში მოცემულ ზმნებში: *d rid, hastid, budid* ჩანს მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი: **id**.

- (1)**d rid** - *šom*
- (1)**hastid** –*šom*
- (2)**budid** - *qa-ye Taheri*
- (3)**d rid** –*hazrat-e qa-ye ostad*

(1) წინადადებაში მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელით შინაარსობრივად გამოხატულია ერთი პირი, თუმცა ზმნაში ის იწვევს მრავლობითი პირის ნიშანს, (2) წინადადებაში მხოლოდობითი პირი (მეორე) აღნიშნულია მიმართვის თავაზიანი ფორმით qa-ye+PN და ამ შემთხვევაშიც ზმნაში ჩნდება მრავლობითი რიცხვის ნიშანი. ხოლო (3) წინადადებაში მხოლოდობითი სათანადო პირი გამოხატულია განაცვალსახელებული მიმართვის ფორმით hezrat qa + PN და, მსგავსად წინა ორი წინადადებისა, ზმნაში ასახულია მრავლობითი პირის ნიშნით.

➤ სპარსულ ენაში, გარდა პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებისა, სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელად გამოიყენება მესამე პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ძველი ფორმა īš n- 'ისინი'. თანამედროვე სპარსულ მეტყველებაში ნაცვალსახელის ეს ფორმა დაცლილია სემანტიკური სტრუქტურის ყველა კომპონენტისაგან და მხოლოდ სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს (Miller, Reachel, Vinson, Brugman 2014). īš n- 'ისინი' სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი ზმნას პირში ითანხმებს.

(1) lotfān befarmāid in āqā ki **bāšand**?

(2) ‘ajab, **īšān** rā nemišenāsid? ejāze bedehid mo’arefi konam...

‘ მითხარით გეთაყვა, ის ბატონი ვინ **ბრძანდებიან?**

‘საოცარია, **მათ** არ იცნობთ? ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ ...’

(1) წინადადებაში ზმნა, რომელიც მიემართება მესამე პირს, წარმოდგენილია მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნით - **bāš +and= bāšand** (bāš — აწმყო დროის ფუძე, and — მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ნიშანი) ‘**არიან**’ . ხოლო (2) წინადადებაში მესამე პირი მოხსენიებულია ამავე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ძველი ფორმით **īšān ‘ისინი’**. სასაუბრო ენაში īš n- ‘ისინი’ განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას, მასში შემავალი გრძელი ‘ა’ ხმოვანი გამოითქმის u ‘უ’-დ:

š n → šun

სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა(სშნ) რიგებში ზ. კიკვიძე განიხილავს პრონომინალიზაციის პროცესის შედეგად განაცვალსახელებულ სხვა მეტყველების ნაწილებსაც. იგი, სხვადასხვა ტიპის ენათა შესაბამისი მონაცემების ანალიზის შედეგად, გამოყოფს სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა მიღების რამდენიმე წესს და დასძენს, რომ ენათა მიხედვით შესაძლებელია ზოგიერთი ამ წესის კომბინირება. ეს წესებია:

1. მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის გამოყენება იმავე პირის მხოლოდობითი რიცხვის ნაცვალსახელის ნაცვლად;
2. მესამე პირის ნაცვალსახელის გამოყენება მეორე პირის ნაცვალსახელის ნაცვლად;
3. მრავლობითი რიცხვის ძველი ნაცვალსახელის გამოყენება;
4. ნაცვალსახელურ ფორმაზე მრავლობითობის სუფიქსის დართვა;
5. სხვა ჯგუფების ნაცვალსახელთა გამოყენება;
6. პრონომინალიზაცია (კიკვიძე 1999, 28);

დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ქართულ და სპარსულ ენებში, სამეტყველო ეტიკეტის ნორმათა გათვალისწინებით, თავაზიანი საუბრის დროს, საკუთარ თავს ხშირად მოიხსენიებენ პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმით (ჩვენ - mā), მეორე პირს მიმართავენ ამავე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით (თქვენ - šom), რაც შეეხება მესამე პირს $\bar{i}\check{s} \ n$ –‘ისინი’, განსხვავდება, ქართული ენა სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელს *ისინი* არ ხმარობს.

3.2 პრონომინალიზაცია სპარსულსა და ქართულში

კომუნიკანტთა შორის არსებული სოციალური დისტანცია და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი მარკირებულია საუბრისათვის შერჩეულ ენობრივ ელემენტებში.

სპარსულ ენაში არსებობს სიტყვათა მთელი რიგი, რომელთა გამოყენებაც დამოკიდებულია თანამოსაუბრეთა სოციალურ სტატუსზე, ასაკზე, სქესზე... მყარ

ფორმათა გამოყენება, გარდა იმისა, რომ გამოხატავს თავაზიანობასა და მოწიწებას, სრულფასოვნად იძლევა პირის გაგებას და იწვევს ზმნაში შესაბამისი პირის ნიშნებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მყარი ფორმები ითავსებენ პირის ნაცვალსახელთა ფუნქციას. ასეთი სახის ერთეულები ენაში აღინიშნება, როგორც **პრონომინალიზაციის** პროცესის შედეგად განაცვალსახელებული სიტყვები.

ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში სიტყვა *პრონომინალიზაცია* განმარტებული ასეა: პრონომინალიზაცია (ლათინური pronomen – ნაცვალსახელი) არის პროცესი, რომლის დროსაც ესა თუ ის მეტყველების ნაწილი კარგავს ნაწილობრივ ან მთლიანად ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას და გადადის ნაცვალსახელთა ჯგუფში. ასეთ მეტყველების ნაწილად შეიძლება მოგვევლინოს: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და სხვ. (Ярцева 1990; Розенталь..., 1976).

უ. ჩეიფი პრონომინალიზაციას განმარტავს, როგორც: “ლექსიკური ერთეულის წაშლას”. თუკი არსებითი სახელი გადმოგვცემს ძველ ინფორმაციას, მაშინ მოქმელს აღარ სჭირდება მისი მთლიანად გამეორება (Чейф 1975). ზ. კიკვიძე კი იძლევა ამ ტერმინის ასეთ გაგებას: “პრონომინალიზაცია არის რომელიმე არანაცვალსახელური სიტყვის ნაცვალსახელთა თანრიგში გადასვლა” (კიკვიძე 1999).

პრონომინალიზაციის შედეგად განაცვალსახელებული ფორმების გამოყენება სპარსულ ენაში თავაზიანობის გამოხატვის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. ემპირიული მასალის გათვალისწინებით, ამგვარი ფორმების კლასიფიცირება შესაძლებელია პირთა მიხედვით:

ცხრილი 45

<i>პირველი პირის ნაცვალსახელი (man 'მე')</i>	
bande	(თქვენ) მონა-მორჩილი.
ker	(თქვენ) მსახური.
hagir	(თქვენ) უღირსი, გლაზა, უპოვარი, მდაბალი, ღატაკი, მცირე, უმნიშვნელო.
moxles	(თქვენ) გულწრფელი, პატიოსანი,

	ერთგული.
nowkar	(თქვენი) მსახური, ლაქია.
j nsep r	(თქვენი) ერთგული (თქვენთვის) თავდადებული

ცხრილი 46

<i>მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები (to 'შენ'; u 'ის')</i>	
šarif	(თქვენო) კეთილშობილება (მათი) კეთილშობილება
hazrat	(თქვენო) უმაღლესობავ, აღმატებულება (მათი) უმაღლესობა, აღმატებულება
hazrat-e aga	(თქვენო) უმაღლესობავ, ბატონო
hazrat-e ali	(თქვენო) უმაღლესობავ მათი უმაღლესობა
janab-e aga	(თქვენო) უმაღლესობავ, (ჩემო) ბატონო მათი უმაღლესობა
janab-e ali	(თქვენო) უმაღლესობავ მათი უმაღლესობა
sark r (F)	ბატონი, ქალბატონი (გამოიყენება ქალბატონების მისამართით)

42-ე ცხრილში მოცემულია სიტყვები, რომლებიც სპარსულ ენაში გვევლინება პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის ნაცვალსახელის man 'მე'-ს თავაზიან ეკვივალენტებად. ამ შემთხვევაში თავაზიანობა გამოხატულია საკუთარი თავის დამცრობა-დაკნინების საშუალებით, რაც გამოხატავს კომუნიკანტთა შორის სოციალური დისტანციისა და პატივისცემის მაღალი ხარისხის არსებობას, ან მთქმელის მხრიდან, ყოველივე ამის ხაზგასმის სურვილს.

ირანელი ადამიანის ყოველდღიურ მეტყველებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განაცვალსახელებულ, პრონომინალურ ერთეულებს, ისინი საუკეთესო საშუალებაა საკუთარი თავმდაბლობისა და თანამოსაუბრისადმი პატივისცემის გადმოსაცემად.

აქვე შევნიშნავთ, რომ გამოყენების სიხშირის თვალსაზრისით ცალკე დგას bande '(თქვენი) მონა-მორჩილი'. იგი სპარსული თააროფისა და სამეტყველო ეტიკეტის განუყოფელი ნაწილია. რესპონდენტებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ სიტყვა bande-ს, გამოყენების სიხშირის გამო გარკვეულწილად დაკარგული აქვს დამცრობა-დაკნინების კონოტაცია: იგი ნეიტრალური ხასიათის თავაზიან ფორმულადაა გადაქცეული, შენარჩუნებული აქვს პირის მინიშნების ფუნქცია და მისი გამოყენება ფატიკურ ხასიათს ატარებს.

bande, ker, hagir, moxles, nowkar, j nsep r - თითოეული მათგანი, ფუნქციურად, იმდენად იდენტურია პირველი პირის ნაცვალსახელისა, რომ ისინი, პირის ნაცვალსახელის მსგავსად, იზაფეთურ კონსტრუქციებში ტრანსფორმირდებიან კუთვნილებით ნაცვალსახელებად. მაგალითისათვის განვიხილოთ მარტივი წინადადება:

(1)

a) xane-ye dust-e bande

'(თქვენი) მონა-მორჩილის მეგობრის სახლი.'

b) Salam az bande ast hezrat-e gha.

'სალამი (თქვენი) მონა-მორჩილისაგან (გეკუთვნით) (თქვენო) კეთილშობილებავ!'

(1a) და (1b) წინადადებებში თუ bande-ს ამოვიღებთ და მას შევანაცვლებთ პირის ნაცვალსახელით: man -'მე', წინადადებათა მნიშვნელობები უცვლელი დარჩება:

x ne-ye dust-e man

'ჩემი მეგობრის სახლი'

Salam az man ast hezrat-e gha

'სალამი ჩემგან (გეკუთვნით), (თქვენო) კეთილშობილებავ'

(1a) წინადადებაში, იზაფეთურ კონსტრუქციაში სიტყვა *bande* ნახმარია კუთვნილებითი ნაცვალსახელის (ჩემი) ფუნქციით. შევნიშნავთ, რომ სპარსულ ენაში, პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები ფორმობრივად ერთმანეთს ემთხვევა.

მოყვანილ მაგალითებში: *bande* '(თქვენი) მონა-მორჩილი' = *man* 'მე'

რაოდენობრივი კვლევის შედეგების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე სპარსულში გამოყენების სიხშირით ლიდერობს - *bande*, მას მოსდევს *aker* და *moxles*, შედარებით იშვიათად ისმის - *nowkar* და *j nsep r*. პროცენტულობის მიხედვით ასე გადანაწილდა: *bande* – *aker* – *moxles* 80%; *nowkar*- *j nsep r* – 20%.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ირანელი თავაზიანობის, თავმდაბლობის გამოხატვის მიზნით თავს არიდებს, როგორც თანამოსაუბრისადმი პირდაპირ პირის ნაცვალსახელით მიმართვას, ასევე საკუთარი თავის მოხსენიებას პირის ნაცვალსახელით. ამაში მას ეხმარება განაცვალსახელებული სიტყვები, რითაც სპარსული ენა მეტად მდიდარია. ეს ფრაზები ისმის ნებისმიერი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანთა საუბარში სხვადასხვა ეტიკეტური სიტუაციის გათვალისწინებით. ზოგიერთი გამოთქმის გამოყენების სფერო მკაცრადაა განსაზღვრული. მაგალითად: *hezratoalla* გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მეფისა და უფლისწულის მიმართ (Узина 1976).

ოფიციალურ მიმოწერაში ირანელი საკუთარი თავის აღსანიშნავად იყენებს შესიტყვებას – *in j neb* 'ეს მხარე', ხოლო მოპასუხე მხარის მისათითებლად - *n j neb* 'ის მხარე'.

სპარსულ ენაში მიმართვა-მოხსენიების ფუნქციით იხმარება პრონომინალიზაციის შედეგად მიღებული განაცვალსახელებული სიტყვები:

šarif - 'თქვენო კეთილშობილებავ'; 'მათი კეთილშობილება'

hazrat – 'თქვენო უმაღლესობავ'; 'მათი უმაღლესობა'

ამავე ფუნქციით იხმარება შესიტყვებანი:

hazrat(e) q ; თქვენო უდიდებულესობავ, მათი უდიდებულესობა (მამაკაცის მიმართ)

hazrat(e) ‘ li; თქვენო უდიდებულესობავ, მათი უდიდებულესობა (მამაკაცის მიმართ)

(jan b)jen b(e) q ; ‘თქვენო უმაღლესობავ’; მათი უმაღლესობა;

(jan b)jen b(e) ‘ l – ‘თქვენო უმაღლესობავ’; მათი უმაღლესობა;

sark r – ‘თქვენო უდიდებულესობავ’; მათი უდიდებულესობა. იხმარება, ძირითადად მანდილოსნის მიმართ.

პრონომინალიზაციის შედეგად მიღებული თავაზიანი ფორმებით მიმართავენ მოსაუბრეს, მეორე პირს, და მოიხსენიებენ მესამე პირსაც. როდესაც წინადადებაში ეს სიტყვები და გამოთქმებია, მათ გვერდით პირის ნაცვალსახელი აღარ იხმარება. მაგალითად:

(2)

(a) h l-e šar f etour st?

‘როგორ ბრძანდებით’; ‘(თქვენი) კეთილშობილება როგორ ბრძანდება?’

(b) xod s ye-ye hazrat(e) ‘ li r sar-e bande kam nakonad.

‘ღმერთმა (თქვენი) აღმატებულესობის წყალობა ნუ მოაკლოს (თქვენს) მონა-მორჩილს (მონა-მორჩილის თავს)’.

(c) z lotf-e sark r bad nistam

‘(თქვენი) კეთილშობილების წყალობით არა მიშავს!’

მოყვანილ მაგალითებში პირის ნაცვალსახელთა ნაცვლად გამოყენებულია მათი ზრდილობიანი ეკვივალენტები.

განვიხილოთ (2b) წინადადება. მასში გამოყენებულია პრონომინალიზაციის შედეგად განაცვალსახელებული ფორმა hazrat(e) ‘ li ‘(თქვენი) აღმატებულესობა’ - მეორე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით, ხოლო პირველ პირს გამოხატავს სიტყვა - bande ‘(თქვენი) მონა-მორჩილი’. შევცვალოთ (2b) წინადადება, და მასში ჩავსვათ პირის ნაცვალსახელები:

xod s ye-ye šom r sar-e man kam nakonad ‘ღმერთმა თქვენი წყალობა ნუ მოაკლოს ჩემს თავს’

რის შედეგადაც, (2b) წინადადების შინაარსი უცვლელი დარჩა. განსხვავებაა თავაზიანობის ხარისხში.

ირანის ყოფაში მიმართვისა და მოხსენიების პრონომინალური ფორმები იხმარება ფაქტობრივად ყველა სოციალური სტატუსის მქონე ადამიანთა მეტყველებაში.

რაც შეეხება პრონომინალიზაციას ქართულ ენაში, იგი სუსტადაა გამოხატული. ამ პროცესის შედეგად განაცვალსახელებულ სიტყვად მიჩნეულია - *თავად* (აფრიდონიძე 2003). იგი არის არსებითი სახელი (*თავი*), შემდეგ გადავიდა ნაცვალსახელთა თანრიგში და მიიღო პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობა (*თავი*), ვითარებითი ბრუნვის ნიშნიანი *თავი-თავად*, ასრულებს განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციას და, ბოლოს, იგი გამოიყენება თავაზიან საუბარში, როგორც სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი (*თავად*). მაგალითად: *თავად როგორ ბრძანდებით? თავად როგორ გიკითხოთ?*” და ა.შ. (აფრიდონიძე 2003).

3.3 მიმართვის ლექსიკური ფორმები ქართულსა და სპარსულში

ფატიკური კომუნიკაციისა და ენის სამეტყველო ეტიკეტის ერთ-ერთი ძირითადი ენობრივი ერთეულია *მიმართვა*. იგი დიდ როლს თამაშობს ინტერპერსონალურ ურთიერთობებში, არეგულირებს ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთდამოკიდებულებას და ეხმარება მათ, რათა შექმნან თავისებური კომუნიკაციური ველი, რომელიც ემორჩილება ფატიკური კომუნიკაციის ნორმებს. მიმართვას ახასიათებს მეტყველებაში გამოყენების სიხშირე და წარმატებული კონტაქტის დამყარების მაქსიმალური ეფექტის მიღწევის ინტენცია.

ჯეფრი ლიჩი მიმართვის ფორმებს განიხილავდა ისეთი სიტყვებისა და შესიტყვებების რიგში, რომლებიც მაქსიმალური საკომუნიკაციო დამოუკიდებლობით ხასიათდებიან, მაგრამ წინადადების სხვა წევრებთან არა აქვთ სინტაქსური ბმა. ლიჩისათვის მიმართვის ფორმებს აქვთ მთავარი დანიშნულება: კომუნიკაციური იმპულსი, ბიძგის მიცემა ურთიერთობის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად. ლიჩი მიმართვის ფორმებს C-unit-ად მოიხსენიებს. (Leech 1981, 83).

მიმართვის სისტემა ერთ ენაში არსებულ ყველა ფორმას და მათ შორის არსებულ ურთიერთობებს მოიცავს. ყველა ენას მიმართვის ფორმების განსხვავებული ბაზა აქვს. მიმართვის ვარიანტების მრავალფეროვნება ამარტივებს არათანაზიარი ფორმების გამოყენებას და საშუალებას გვაძლევს, უფრო მარტივად მოხდეს ურთიერთობის დაწყებიდანვე სხვაობებზე მინიშნება - ასაკში, სქესში, სოციალურ თუ პროფესიულ სტატუსებში.

სამეტყველო ეტიკეტის წესებს ემყარება ენაში მიმართვისა და მოხსენიების თავაზიანი ფორმების არსებობა.

წინა თავში განხილული იყო მიმართვისა და მოხსენიების გრამატიკული საშუალებანი, კერძოდ მიმართვის თავაზიანი ფორმები, რომელთა ფუნქციასაც ასრულებს მრავლობითი რიცხვის პირის ნაცვალსახელები და ასევე, იმავე სიბრტყეზე განხილული იყო *პრონომინალიზაციის* პროცესის შედეგად განაცვალსახელებული სიტყვები და პრონომინალური მიმართვის ფორმები. ისინი, როგორც კვლევამ გვიჩვენა, სპარსულ ენაში მთლიანად ითავსებენ პირის გამომხატველობას წინადადებაში. აგრეთვე ყურადღება გავამახვილეთ სპარსულ და ქართულ ენებში თავაზიანობის გამოხატვაზე ზმნის ფორმებით და დავასახელეთ ზმნათა თავაზიანი ალტერნატივები ორივე ენის მაგალითზე.

ზოგადად, გარდა გრამატიკული საშუალებებისა, თავაზიანობის გამოხატვა ენაში შესაძლოა ლექსიკური ერთეულების საშუალებით. მოცემულ თავში ვისაუბრებთ სპარსულსა და ქართულში მიმართვის ფორმებად გამოყენებულ წმინდა ლექსიკურ საშუალებათა შესახებ.

ირანის ცოცხალ მეტყველებაში მამაკაცების მიმართ, ყველაზე ხშირად ისმის ნეიტრალური სოციალური დანიშნულების სიტყვა q – 'ბატონი'.

სპარსელი ამ სიტყვით მიმართავს ყველა მამაკაცს:

1. ასაკით თავისზე უფროსს, ამ შემთხვევაში q – 'ბატონი', ერთვის სახელს ან გვარს. საკუთარი სახელის წინ მდგომი მიმართვა q – 'ბატონი' სახელთან კავშირს ამყარებს იზაფეთის საშუალებით:

mohamad q – 'ბატონო მოჰამად'

q –ye keš varz – 'ბატონო ქეშავარზ'

(1)mohamad q , ba eh farda sobh-e ruz b yad bezan madrese!

მოჰამად ბატონო, ხვალ დილით ბავშვები უნდა წავიდნენ სკოლაში'

2. ასაკით თავისზე უმცროსს:

q ku ulu – 'პატარა ბიჭო/ბიჭუნავ/ვაჟბატონო/ყმაწვილო'

q pesar – 'პატარა ბიჭო/ბიჭუნავ/ყმაწვილო/ვაჟბატონო' (ეს უკანასკნელი, არა ირონიის, არამედ მოფერების და სიყვარულის გამოსახატავად).

(1) q pesar and salete?

'რამდენი წლის ხარ, ბიჭუნავ?'

3. ახლო მეგობრებში – შერქმეულ სახელსაც.

4. q დაერთვის ასევე ხელობის, წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელ სიტყვებს. როგორც წესი, მიმართვის ფორმა q – 'ბატონი' წინ უსწრებს და უკავშირდება მათ იზაფეთის საშუალებით.

q -ye doktor – 'ბატონო დოქტორო'

q -ye rayis – 'ბატონი დირექტორი'

(1) q -ye doktor az šn y b šom xeili xošvaqtam!

'ბატონო დოქტორო, თქვენი გაცნობით ბედნიერი ვარ!'

თავაზიანი მიმართვა-მოხსენიება ირანული სინამდვილისათვის ჩვეულებრივია ასაკით უმცროსთა მიმართაც, ეს ზრდილობასთან ერთად შეიცავს მოფერება-მიაღერების ელფერს.

სპარსულ ენაში, როდესაც q – 'ბატონი', წინ უძღვის სახელს, მას აუცილებლად დაერთვის იზაფეთი:

sal m q -ye karimi, xoš madid saf ovordid

'გამარჯობა, ბატონო ქარიმი, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!'

ამ წინადადებაში საკუთარი სახელი მოსდევს მიმართვის ფორმას q +PN.

თუ ვინმეს მოიხსენიებენ უბრალოდ q -[ბატონო]-თი, გულისხმობენ სასულიერო წოდების წარმომადგენელს, ძირითადად იმამს (Амирьянц 1988). ამ მიმართვით ოჯახში მიმართავენ საკუთარ მამას, მიმართავენ და მოიხსენიებენ მეუღლესაც. ოჯახის წევრის მისამართით ნახმარ q -ს, საანალიზო მასალის

მიხედვით, ხშირად ურთავენ სიტყვას jun 'სულიკო'. ასეთ მიმართვას უფრო თბილი, უშუალო და საალერსო შინაარსი აქვს.

q jun, diruz kei umadi?

'ბატონო, გუშინ როდის მოხვედი?'

ცალკე დგას მიმართვის ფორმები:

h ji

h j q

kerb l i

mešhedi

mešti

ამ სიტყვებით მიმართავენ ქალს ან მამაკაცს, რომელიც ნამყოფია წმინდა ქალაქებში: მექაში, ქერბალაში და მეშჰედში. ამ ფორმებს, ხანდახან უბრალოდ ასაკით უფროსთა მისამართითაც იყენებენ.

h j- q tu otaqan?

'ჰაჯ აყა ოთახში ბრძანდებიან?' (საუბარია მოხუც ბატონზე)

სპარსული q –'ბატონი', ქართული სიტყვა-ფორმისაგან ბატონო განსხვავებულია. ქართულში ეს სიტყვა პოლიფუნქციური ლექსემაა. თავის თავში შეიცავს საკომუნიკაციო პროცესის ორსავე კომპონენტს: მიმართვასაც და პასუხსაც მიმართვაზე.

თანამედროვე ქართულში ბატონო იხმარება ცალკეც და სიტყვა-შეხამებაშიც. შ. აფრიდონიძის მოსაზრებით „ბატონი გამოიყენება წმინდა მოხმობის ფუნქციით უცნობი მამაკაცის (ზოგჯერ ქალის) სახელთან, პროფესია-ხელობის ან წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელ აპელატივთან (ბატონო მინისტრო! ბატონო პროფესორო!), იშვიათად გვართან, უპირატესად – არაქართულ, უცხოურ გვართან.

მიმართვის ეს ფორმა ქართულში იხმარება მრავლობით რიცხვში, შეკრებილი საზოგადოების მიმართ უკლებლივ, განურჩევლად სქესისა (ბატონებო), რაც, ქართულში, ევროპული ენების მიხედვით დაინერგა; მეორე მხრივ, ბატონო შეიძლება იყოს ჩვეულებრივი სიტყვიერი რეაქცია, პასუხი მიმართვაზე და არა აუცილებლად ოფიციალური, თავაზიანი, ე. ი. ფორმალურად გამოსაყენებელი

მიმართვა. იგი ფართოდ გამოიყენება ოჯახში და მეგობრულ საუბარში” (აფრიდონიძე, 2002).

მიმართვის ფორმა rb b – ‘ბატონო, მასწავლებლო’, მას გარკვეული სოციალური დატვირთვა აქვს. ამ სიტყვით მოსამსახურე მიმართავს თავის ბატონს.

(1) xahēš mikonam, rb b!

‘უკაცრავად, ბატონო!’

(2) rb b Karimi, išun q -ye B b k hastan

‘ოსტატო ქარიმი, ეს ბატონი ბაბაქი ბრძანდება (სიტყვასიტყვით: ისინი ბატონი ბაბაქი ბრძანდებიან)’.

სიტყვა x n გამოიყენება, ძირითადად, მაღალი წრის წარმომადგენელთა მიმართ, თუნდაც იგი არამუსლიმური სახელის მატარებელი იყოს. მაგალითად, jamšid x n. მაგრამ თუ x n მოსდევს საკუთარ სახელს, მნიშვნელობით უტოლდება q – ‘ბატონოს’ და სოციალურ დატვირთვასაც კარგავს.

(1) xod h fex, Mehdi x n!

‘ნახვამდის, მეჰდი ხან!’

უცხოელს ირანში წინათ მიმართავდნენ სიტყვით s heb ‘პატრონი’ (Амирьянц, 1988). სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ამ მნიშვნელობით, იყენებდნენ ფრანგულ ტერმინს “მესიე//მუსიე” (განსაკუთრებით რევოლუციამდელ პერიოდში), დღეს თანამედროვე მეტყველებაში დომინირებს მიმართვა q (Daneshgar 1962).

ქალებს ასაკის განურჩევლად მიმართავენ უნივერსალური ტერმინით x nom – ‘ქალბატონო’. ახალგაზრდა გოგონების მიმართ ისმის doxtar x nom – ‘ქალიშვილო, პატარა ქალბატონო’. dušize x nom - შინაურული წრეში თანატოლი დედაკაცები ერთმანეთს bji უხმობენ (Асатрян, Геворгян 1988). სოფლად გავრცელებულია მიმართვები:

h j x nom

h j q

mašti x nom

ამ სიტყვებით მიმართავენ ასაკოვან ქალს ან მამაკაცს.

სიტყვები: maš, mašti იმავე დანიშნულებით იხმარება ასევე სოფლად და ქალაქის ზოგიერთ უბანშიც, მათ დაერთვის საკუთარი სახელი. (Ахмади, 2014)

მიმართვა b nu სოციალური დატვირთვით უტოლდება მიმართვას x nom.

რევოლუციამდელ ირანში ქალბატონების მიმართ ზოგჯერ ისმოდა “მადამ”, დღევანდელ ირანში უპირატესობა ენიჭება მიმართვას x nom –[ქალბატონო] (Асатрян, Геворгян 1988).

სპარსულ ენაში ოჯახურ სიტუაციაში, მეუღლეები ერთმანეთის მისამართით იყენებენ მეუღლის აღმნიშვნელ ნეიტრალური მნიშვნელობის სიტყვას hamsar [მეუღლე], თუმცა უმეტესად მეუღლეები ერთმანეთს მიმართავენ მიმართვის თავაზიანი ფორმებით: x nom (ცოლის მისამართით) და q (ქმრის მისამართით).

მაგ.: q -ye man

‘ჩემი ბატონი, ანუ ჩემი მეუღლე (მამაკაცი)’

x nom-e man

‘ჩემი ქალბატონი, ანუ ჩემი მეუღლე (ქალი)’

როდესაც ირანელი ცოლობას სთხოვს გოგონას, ეს ხდება ძალიან მოკრძალებულად და დელიკატურად (Ахмади 2014). ხელის თხოვნის გამომხატველი ფრაზაა:

(1) xanom-e man ba

‘გახდი ჩემი ქალბატონი’

(2) xanom-e xane-yam ba

‘გახდი ჩემი სახლის ქალბატონი.’

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ თავაზიანი მიმართვა-მოხსენიება ირანული სინამდვილისათვის ჩვეულებრივია ასაკით უმცროსთა მიმართაც, ეს თავაზიანობასთან ერთად შეიცავს მოფერება-მიალერსებას.

სპარსულ ენაში მიმართვის ნებისმიერი ფორმის პასუხად ისმის სიტყვა: bale – ‘დიახ’. რომლის შემდეგაც შესაძლებელია საუბრის გაგრძელება.

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, მიმართვაში უპირობოდ ლიდერობს მამაკაცების მიმართ, მიმართვა - q – ‘ბატონი’, ხოლო ქალბატონების მიმართ -

x nom –‘ქალბატონო’; დანარჩენი მიმართვის ფორმები მეტ-ნაკლები სიხშირით გამოიყენება ცოცხალ მეტყველებაში.

საქართველოში ქალბატონების მიმართ მორიდებულ საუბარში მიმართვის ფორმად იხმარება: **ქალბატონო**, და მას შეიძლება მოჰყვეს საკუთარი სახელი (ქალბატონო+PN). არაფორმალურ, მეგობრულ საუბრებში მიღებულია მიმართვა საკუთარი სახელით.

ქართულ და სპარსულ მეტყველებაში მიმართვის ფორმად საკუთარი გვარ-სახელები საკმაო სიხშირით გამოიყენება. თუმცა სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვით ორივე ენობრივ სოციუმში, არსებობს სიტუაციები, როდესაც მხოლოდ საკუთარი სახელით მიმართვა დაუშვებელია. საკუთარი სახელით მიმართვა, ძირითადად, ფიქსირდება მოლაპარაკეთა ასაკობრივი და სოციალური მდგომარეობის იდენტურობის დროს; სახელით მიმართავს ასაკით ან სოციალური სტატუსით უფროსი უმცროსს, ხელქვეითს:

Esmail, Esmail! zud b š, bi borou b z r!

‘ისმაილ, ისმაილ, ჩქარა, მოდი, ბაზარში წადი!’

საქართველოშიც და ირანშიც მიღებულია ოჯახის წევრებსა და ნათესავებთან ურთიერთობისას, ოჯახურ გარემოში, ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვებით მიმართვა. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ნათესაობის გამომხატველი მიმართვის ფორმები გამოიყენება უცნობი ადამიანების მისამართითაც:

სპარსული	ქართული
madar, maman	დედა!
pedar, baba, aqa	მამა!
doxtar	შვილო (ქალიშვილო)
pesar	შვილო (ვაჟო)
baradar, dash	ძმაო
xahar	დაო/დაიკო
amu	ბიძა (მამის ძმა)

da'i	ზიდა (დედის ძმა)
xale	დეიდა
ame	მამიდა
zan amu	ზიცოლა
pesar (doxtar) amu	ზიდაშვილი (გოგო/ზიჭი)
pedar bozorg	პაპა
madar bozorg	ბებო

3.4 ზმნის თავაზიანი ფორმები სპარსულსა და ქართულში

ე.წ. *თქვენობით საუბარი* დამახასიათებელია ყველა კულტურული საზოგადოებისათვის. როგორც წესი, თქვენობით საუბარში, იგულისხმება საუბრის თავაზიანი ფორმა, სადაც თავაზიანობასა და სამეტყველო ეტიკეტზე მიგვითითებს ერთი პირით წარმოდგენილი პირის აღნიშვნა შესაბამისი პირის *ნაცვალსახელის* მრავლობითი რიცხვის ფორმებით, ასევე ზმნაში - პირის ნიშანთა მრავლობითი რიცხვის ფორმათა გაჩენა, ან ზმნათა თავაზიანი ალტერნატივების გამოყენება (აფრიდონიძე 2003). მაგალითად:

- (1) ბატონო ირაკლი, მიხარია რომ *მოზრძანდით!*
- (2) ქალბატონო ქეთევან, გთხოვთ, *დაბრძანდეთ!*
- (3) *თქვენ* ბრძანეთ, რომ ოთახში სხვა არავინ იმყოფებოდა!?
- (4) რა კარგად *გამოიყურებით!*

მოცემულ მაგალითებში გამოყენებულია ზმნების: (1)მოსვლა, (2)დაჯდომა, (3) თქმა - *ბრძან* ფუძისაგან ნაწარმოები თავაზიანი ალტერნატივები: (1) მოზრძანდით. (2)დაბრძანდით და (3) ბრძანეთ.

(4) წინადადებაში გვაქვს მხოლოდ ზმნის ფორმა მრავლობითი რიცხვის პირის ნიშნებით. ქართული ზმნის ხასიათიდან გამომდინარე, პირის გამოსახატავად ნაცვალსახელი საჭირო აღარაა (აფრიდონიძე 2003).

შ. აფრიდონიძის კლასიფიკაციით, სხვადასხვა მოქმედების აღმნიშვნელ ზმნათა თავაზიანი ალტერნატივებია:

ბრძანე(თ)	თქვი (თ) (თქმა, ლაპარაკი)
ბრძანდები(თ)	ხარ(თ) (ყოფნა)

მოზრძანდი(თ)	მოდით(თ)(მოსვლა)
მიირთვი(თ)	ჭამე(თ) (ჭამა)
მიირთვი(თ)	დალიე(თ)(დალევა, სმა)
ინებე(თ)	აილე(თ), მიილე(თ) (ალება, მილება)
დაზრძანდი(თ)	დაჯექი(თ)(დაჯდომა)
მიზრძანდი(თ)/წაზრძანდი(თ)	წადი(თ) (წასვლა)

ქართულ ენაში განსხვავდება პირველი და მეორე პირის გაგების შემცველი ფორმები:

გეახელით	მოვედი (მოსვლა)	მოზრძანდით	მოდით(თ)(მოსვლა)
გახლავართ	ვარ(ყოფნა)	ზრძანდებით	ხარ(თ) (ყოფნა)
გეახელით	ვჭამე/დავლიე (ჭამა/სმა)	მიირთვით	ჭამე/დალიე(ჭამა/სმა)
მიბოძეთ	მომეცი (მიცემა/მილება)	ინებეთ	აილე(თ)/მიილე(თ) (ალება/მილება)

(იხ. აფრიდონიძე 2003)

როგორც ვხედავთ, ზმნებს: თქმა, ყოფნა, მოსვლა, დაჯდომა და წასვლა შეესატყვისება ფუძე „ზრძან“-ით წარმოებული თავაზიანი ფორმები: **ზრძანეთ**, **ზრძანდებით**, **მოზრძანდით**, **დაზრძანდით**, **მიზრძანდით**. ყველა ეს ზმნა იხმარება მეორე პირის მისამართით პატივისცემის გამოსახატავად.

ხოლო პირველი პირის მიერ გამოყენებულ ზმნათა უმრავლესობის ამოსავალია ზმნა - „ხლება“: გეახელით, გახლავართ, ა. შანიძე წერს: „ახლ (ახელ) ფუძისგან ნაწარმოებია სამი სხვადასხვა ზმნა, სამივე მორიდებულ საუბარში სახმარებელი: გახლავს, გეახლები (გეახელ[ი], გხლებივარ), გაიხლებ“ (შანიძე 1973). ა. შანიძემ ამ ზმნათა გამოყენების სპეციფიკაც გამოყო და ხაზი გაუსვა, რომ კრძალვა-მოწიწების გრძნობა აიძულებს მოლაპარაკეს, მორიდების გამოსახატავად გამოიყენოს ზმნათა თავაზიანი ფორმები.

თანამედროვე მეტყველებაში ხშირად *გეახლები* ნაცვლად ამბობენ: *გეახლებით*, ერთმანეთს ენაცვლება ე და ი ხმოვნები (იხ. აფრიდონიძე 2009; ზექალაშვილი 2014).

სპარსულ ენაში თავაზიანობის საკმაოდ მწყობრი სისტემაა. აქ ადრესატისადმი პატივისცემის გამოხატვას ახერხებენ არა მხოლოდ მისი მისამართით გამოყენებული თავაზიანი ფორმულებით, არამედ პირველი პირის დამდაბლება-დაკნინებითაც. თავაზიან ზმნათა არჩევანისათვის, ძირითადად, მნიშვნელოვანია მოსაუბრისა და ადრესატის სოციალური სტატუსი, მათი ურთიერთდამოკიდებულება და საკომუნიკაციო სიტუაცია.

სპარსულში გამოიკვეთა ზმნა *farmudan – farm* ‘ბრძანება’. იგი სპარსული ენის სამეტყველო ეტიკეტში მეტად თავისებური და ფუნქციურად უნივერსალური ზმნაა. *farmudan – farm* ‘ბრძანება’ იხმარება სიტუაციის მიხედვით, მრავალნაირი მნიშვნელობით: *befarmaid* - მობრძანდით, დაბრძანდით, ბრძანეთ, მიბრძანდით; *ინებეთ*, მიირთვით... გარდა ამისა, *farmudan – farm* ‘ბრძანება’ შესაძლოა გამოვიყენოთ პასუხად: შეთავაზებაზე, ქათინაურზე, მისალმებისას, დამშვიდობებისას და ასე შემდეგ; ზმნათა თავაზიანი ეკვივალენტების ნაწილი წარმოდგენილია რთული ზმნის სახით. რთულ ზმნის სახელად ნაწილებში ფიგურირებს სიტყვები: *tašrif* ‘პატივისცემა’, *xedmat* ‘მსახურება’, *lotf* ‘წყალობა’ და ა.შ.

პირველი პირის დამამცრობელი კონოტაციის ზმნები მთლიანად მოცემულია რთული ზმნის ფორმებით. ამ ზმნათა სახელად ნაწილად გამოყენებულია სიტყვები: *zi rat* ‘zi rat ‘მოლოცვა/თავყვანისცემა’; *xedmat* ‘მსახურება/სამსახური’; ‘*arz* ‘მოხსენება’; *taqdim* ‘მირთმევა’; *meyl* ‘სურვილი/წადილი’; ხოლო ზმნურ ნაწილად - მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები: *kardan* ‘კეთება’; *residan* ‘მისვლა/მიღწევა/მიღება’; *budan* ‘ყოფნა’; *d štan* ‘ქონა/ყოლა’.

შეიძლება ითქვას, რომ სპარსულსა და ქართულში თავაზიანობის გამოსახატავად ხშირად მიმართავენ ზმნათა თავაზიან ალტერნატივათა გამოყენებას. ორივე ენაში პირთა მიხედვით დიფერენცირებულია მოქმელის კრძალვა-მოწიწება და საუბრის ობიექტის განდიდების შემცველი ზმნების ფორმები და, რაც ყველაზე საინტერესოა, ზმნათა თავაზიანი ფორმების ძირითად მაწარმოებლად გამოიყო

ქართულში ფუძე -„**ბრძან**“, ხოლო სპარსულში - ზმნა farmudan – farm ‘ბრძანება’.
მათი მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა: *თქმა, საუბარი, ლაპარაკი*. განსხვავება
მათი გამოყენების სიხშირეშია.

დასკვნა

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის საკვლევი თემაა ფატიკური კომუნიკაციისა და სამეტყველო ეტიკეტის საკითხთა განხილვა თანამედროვე სპარსულ და ქართულ ენებში.

ენის, როგორც კომუნიკაციის ძირითადი იარაღის, კვლევამ ლინგვისტები ფატიკური კომუნიკაციის საწყისებთან მიიყვანა. თუ უწინ ითვლებოდა, რომ კომუნიკაცია არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემა, გაცვლა, ბოლო დროის შრომებით ნათელი გახდა, რომ კომუნიკაციას უფრო მეტი დატვირთვა აქვს ადამიანთა ცხოვრებაში, ვიდრე მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა-მიღებაა.

კომუნიკაციის პროცესში აისახება კომუნიკანტთა შორის არსებული სოციალური ურთიერთობები. ადამიანი ოფიციალურ თუ არაოფიციალურ კონტექსტში გამოყენებული ენობრივი და არაენობრივი საშუალებებით გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას ადრესატისადმი: თავაზიანობა-მორიდებას, კრძალვა-პატივისცემას, მეგობრულ-ფამილარულ ან ნეიტრალურ დამოკიდებულებას. ამა თუ იმ საზოგადოებაში თავაზიანობისა და ეტიკეტურ ნორმათა განსხვავებული წესები და კანონები მოქმედებს. განსხვავებულია ენობრივ და არაენობრივ საშუალებათა ერთობლიობა, რაც ენის სამეტყველო ეტიკეტს ქმნის.

ნაშრომის შესავალ ნაწილში შევხებით შესასწავლ საკითხთა ისტორიას, დავსახეთ კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები, განვსაზღვრეთ საკითხთა შესწავლის მეთოდოლოგია.

პირველ თავში ფატიკური კომუნიკაცია, თავაზიანობის კონცეპტი და სამეტყველო ეტიკეტის ურთიერთმიმართებები განვიხილეთ ზოგადად, საერთო საკომუნიკაციო სივრცეში, ხოლო კონკრეტულად - ქართულ და ირანულ ყოფასა და მეტყველებაში. წარმოვაჩინეთ ფატიკური კომუნიკაციის ადგილი და როლი ორ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ენობრივ და კულტურულ სამყაროში.

კომუნიკაციის ფატიკური ტიპი მეტად მნიშვნელოვანი და ღირებულია ქართულ და ირანულ ყოფით სივრცეში. იგი აწესრიგებს ადამიანთა ურთიერთობებს სამეტყველო ეტიკეტის დონეზე. ირანულ საკომუნიკაციო სივრცეში ფატიკური კომუნიკაციისა და სპარსული *თააროფის* კვეთამ მეტად საინტერესო სურათი გვიჩვენა. წარმოდგენილ ნაშრომში, ფაქტობრივად, პირველად განიხილება ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხები.

თააროფი, ირანული კულტურის განუყოფელი ნაწილია, მოიცავს ადამიანთა ცხოვრების სოციალურ ელემენტთა კრებულს. ფატიკური კომუნიკაციისა და თავაზიანობის პრინციპების გათვალისწინებით, იგი აწესრიგებს ყოველდღიურ ურთიერთობათა მრავალფეროვან სპექტრს, რომელშიც დიდი ადგილი უჭირავს ვერბალური და არავერბალური თავაზიანობის წესებს. **თააროფი** ნაირმნიშვნელოვანი და სპეციფიკური მოვლენაა ირანელთა ცხოვრებაში. იგი მთლიანად განაგებს მათს ყოველდღიურობას.

ფატიკური კომუნიკაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია *გულწრფელობის* ხარისხი. ტყუილის, როგორც მოვლენის, ფსიქოლოგიური და ლინგვისტური ანალიზის გათვალისწინებით, გამოიკვეთა, რომ ე.წ. *თეთრი ტყუილი* აუცილებელი პირობაა ფატიკური კომუნიკაციის სრულფასოვნად წარმართვისათვის. აღნიშნულ საკითხზე მუშაობამ გვიჩვენა, რომ ფაქტობრივად ყველა კულტურულ საზოგადოებაში მრავლად გამოიყოფა ყოფით სიტუაციათა ტიპები, სადაც სოციალურად გამართლებული ტყუილის არსებობა სასურველიც კია ფატიკური კომუნიკაციის ნორმათა მიხედვით.

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავში განხილული და გამიჯნულია ეტიკეტურ სიტუაციათა მრავალფეროვნება ქართული და სპარსული ყოფისა და მეტყველების გათვალისწინებით. ჩვენ მიერ შეგროვილი ემპირიული მასალა დაჯგუფებულია გამოყენების კონტექსტთა გათვალისწინებით. თითოეულ ეტიკეტურ სიტუაციას მისადაგებული აქვს შესაფერისი ენობრივი მასალა, დაძებნილია შესატყვისები. სულ ჩამოთვლილი და გაანალიზებულია *ცამეტი* ეტიკეტური ჟანრი: *მისალმება-მოკითხვა, გაცნობა-წარდგენა, დამშვიდობება,*

მადლიერება, მოზოდშიება, დაპატიჟება, შეთავაზება (ორი ტიპი), დალოცვა-მილოცვა, თანაგრძნობის გამოხატვა, ქათინაური, საჩუქრის გადაცემა-მიღება და საალერსო ფორმულები.

შევეცადეთ, ქართული და ირანული ყოფისა და მეტყველების მაგალითზე, გამოგვეყო ტიპოლოგიური მსგავსება-განსხვავებანი. როგორც ცნობილია, ქართული ენა მიეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ქართველური ენების ჯგუფს, ხოლო სპარსული — ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ენათა ჯგუფს. მასალის ანალიზმა მეტად საინტერესო სურათი გვიჩვენა. გამოიკვეთა ტიპოლოგიური მსგავსებები ისეთ ეტიკეტურ სიტუაციებში, როგორცაა მისალმება-მოკითხვა, დამშვიდობება, წარდგენა-გაცნობა, მადლიერება, შეთავაზება, დალოცვა/მილოცვა და ა.შ.

ქართული და სპარსული სამეტყველო ეტიკეტის ანალიზის შედეგად დავალაგეთ გარკვეული ცნებები - დადებითი კონოტაციის მატარებელი ლექსემები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ ორივე ენაში დაფიქსირებული ფრაზებისა და თავაზიან სიტყვა-თქმათა კონსტრუირებაში: *ღმერთი; ჯანმრთელობა/ჯანის სიმრთელე; მშვიდობა; სიკეთე; სიხარული; ბედნიერება; იმედი; მადლიერება; თხოვნა*; ასევე სომატური ერთეულები: *გული; სახე/პირი; ხელი; ფეხი.*

ქართულსა და სპარსულში, სამეტყველო ეტიკეტის ერთეულთა ძირითადი ფორმულების მნიშვნელოვანი ნაწილი საერთო ცნებებზეა დამყარებული, თუმცა გამოიკვეთა განსხვავებანი გარკვეულ ცნებათა უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით. ქართულ ენაში დადებითი კონოტაციის გადმოსაცემად მისალმება-დამშვიდობებისას აქტუალურია სიტყვები: *გამარჯვება, მშვიდობა*. სპარსულში ჭარბობს: *ღმერთი, ღვთის ნება*.

კვლევის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ორივე კულტურის წარმომადგენელთათვის მეტად მნიშვნელოვანია თავაზიანობა საკუთარი იმიჯის შესაქმნელად, თანამოუბარზე შთაბეჭდილების მოსახდენად. ირანულ და ქართულ სამეტყველო ეტიკეტებს შორის ძირითად განმასხვავებლად მივიჩნიეთ ირანელთა

სიტყვაუხვობა და სიტყვაჭარბობა, *თააროფის* სპეციფიკური ნიუანსები, ასევე დიალოგური საუბრისას ჯერობის/რიგობითობის დაცვა-დარღვევის საკითხი.

ეტიკეტურ სიტუაციათა და მათთან დაკავშირებული ენობრივი ფორმულების საკითხებს სპარსულსა და ქართულში უშუალოდ უკავშირდება თავაზიანობის გამოხატვის ენობრივ პოტენციალთა გაანალიზება.

ნაშრომის მესამე თავში დავაჯგუფეთ და განვიხილეთ თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებანი სპარსულსა და ქართულში. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია პირის ნაცვალსახელთა ფუნქციაზე სამეტყველო ეტიკეტის კონტექსტში. ორსავე ენაში დადასტურდა *სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა* გამოყენება, როგორც თავაზიანობის გამოხატვის საშუალება. სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი, არის პირის ნაცვალსახელთა ფორმა, როდესაც ერთი პირით წარმოდგენილ ადრესატს მიმართავენ ან მოიხსენიებენ შესაბამისი პირის ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებით.

ემპირიული მასალის დამუშავებამ ასეთი სურათი მოგვცა: ქართულსა და სპარსულში ერთმანეთს ემთხვევა სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა ფუნქციით პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების გამოყენება (*ჩვენ- თქვენ/mā - šomā*). რაც შეეხება მესამე პირის ნაცვალსახელს, ქართულ ენაში მესამე პირის მრავლობითი რიცხვის „ისინი“ ფორმის გამოყენება, როგორც სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი არ დასტურდება. ხოლო სპარსულში მესამე პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა „īšān“ აქტიურად გამოიყენება მორიდებულ საუბარში, იგი წინადადებაში ზმნას ითანხმებს რიცხვში.

თავაზიანობის გამოხატვის ფუნქციებთან დაკავშირებით გავაანალიზეთ *პრონომინალიზაციის* პროცესი, ანუ სხვა მეტყველების ნაწილთა ნაცვალსახელების თანრიგში გადასვლა. პრონომინალიზაციის შედეგად განაცვალსახელებული სიტყვები, სპარსული ენის მასალაზე დაყრდნობით, შევისწავლეთ ფუნქციათა მიხედვით. პირის გამოხატვის თვალსაზრისით გამოიკვეთა პრონომინალურ ფორმათა ორი ტიპი. დავალაგეთ, ერთი მხრივ, პირველი პირის დამცრობა-დაკნინების, მეორე მხრივ, მეორე და მესამე პირთა მიმართ გამოყენებული კრძალვა-

პატივისცემის გამომხატველი ფრაზები. ქართულ ენაში პრონომინალიზაცია სუსტადაა გამოხატული, ამ პროცესის შედეგად ნაცვალსახელთა თანრიგში გადასულ ფორმად ერთი მაგალითი სახელდება: *თავი - თავად: თავად როგორ გიკითხოთ? თავად როგორ ბრძანდებით? მე თვითონ გეახლებით;*

პრონომინალიზაციისა და სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა გამოყენება თავაზიან საუბარში მოითხოვს ზმნაში თავაზიანობის მარკერთა საკითხის ცალკე გამოყოფას.

ყველა ფატიკური ხასიათის ფრაზისა და ფორმულის გამოყენება ორსავე ენაში მოითხოვს ზმნის პირთა მრავლობითი რიცხვის ნიშნებს, ან ამა თუ იმ მოქმედების ზმნათა ე.წ. თავაზიანი შესატყვისი ფორმების გამოყენებას. ჩვენს ნაშრომში თავი მოვუყარეთ და გავაანალიზეთ ზმნათა თავაზიანი ალტერნატივები ქართულ და სპარსულ ენათა მასალის მიხედვით. ვნახეთ, რომ ამ სახის ზმნები განირჩევა პირთა მიმართების თვალსაზრისით. გამოვყავით:

ა) ადრესატისადმი პატივისცემისა და კრძალვის ამსახველ ზმნათა მთელი რიგი სპარსულშიც და ქართულშიც.

ბ) იმ ზმნათა ჩამონათვალი, რომლებიც გამოხატავენ პირველი პირის, მთქმელის თავმდაბლობის, დამცრობა-დაკნინების სურვილს თანამოსაუბრისადმი მეტი პატივისცემის მიმანიშნებლად.

ქართულ ენაში ზმნათა თავაზიანი ეკვივალენტების დიდი ნაწილი ნაწარმოებია „ბრძან“ ფუძისაგან: *მობრძანდი(თ), მიბრძანდი(თ), დაბრძანდი(თ), ბრძანეთ...* ეს ზმნები მიემართება მეორე ან მესამე პირს. ხოლო პირველი პირის კონოტაციის შემცველი ზმნები ნაწარმოებია ზმნისაგან „ხლება“: *გეახლებით (მისვლა), მოგეახლებით; გეახელით (ჭამა/სმა), გახლავართ (ყოფნა);*

სპარსული ენა მდიდარია რთული ზმნებით. ფატიკური მეტყველებისას ამ ტიპის ზმნათა სახელად ნაწილში, ძირითადად, გამოყენებულია სიტყვები: *tašrif* ‘პატივისცემა’, *xedmat* ‘მსახური’, *lotf* ‘წყალობა’ *zi rat* ‘მოლოცვა/თაყვანისცემა’; *arz* ‘თქმა/მოხსენება’; *taqdim* ‘მირთმევა’; *meyl* ‘სურვილი/წადილი’; ხოლო ზმნურ

ნაწილად — მოქმედების აღმნიშნელი ზმნები: kardan ‘კეთება’; residan ‘მისვლა/მიღწევა/მიღება’; budan ‘ყოფნა’; d štan ‘ქონა/ყოლა’ და სხვა. სპარსულში ზმნათა თავაზიანი ალტერნატივების ერთი ნაწილი ნაწარმოებია ზმნისაგან: farmudan – farm ‘ზრძანება’. ეს უკანასკნელი აძლიერებს თავაზიანობის ხარისხს.

სადისერტაციო ნაშრომის მესამე თავში ყურადღება გავამახვილეთ *მიმართვის* ფუნქციებზე სამეტყველო ეტიკეტში. განვიხილეთ სპარსულსა და ქართულში მიმართვის ძირითადი ლექსიკური ერთეულები; დავაჯგუფეთ ისინი გენდერული, ასაკობრივი და სოციალური კუთვნილების თვალსაზრისით.

ჩვენმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ:

1. ფატიკური კომუნიკაცია მნიშვნელოვანი მოვლენაა ადამიანთა ცხოვრებაში.
2. სპარსული და ქართული ენები ხასიათდება თავაზიანობის გამომხატველი ლექსიკა-ფრაზეოლოგიის მრავალფეროვანი ფონდით. ამ ფონდის ასევე მრავალფეროვანი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა ორივე ენის შიდაენობრივი რესურსი.
3. სპარსული და ქართული სამეტყველო ეტიკეტი გამდიდრებულია ორივე კულტურისათვის დამახასიათებელი ნაციონალურ-სპეციფიკური თავისებურებებით.
4. ფატიკური კომუნიკაციის იმანენტური ხასიათი და ფუნქციური მხარე, ემთხვევა სპარსული თააროფის ზოგად კანონებს.
5. ზოგადი წესების კლასიფიცირებამ დაგვანახვა სიმართლისა და სიცრუის ფენომენტთა დატვირთვა ფატიკური კომუნიკაციის პროცესში.
6. ფატიკური კომუნიკაციის განსაზღვრამ გვიჩვენა, ზოგადსაკომუნიკაციო უნარების განვითარების მნიშვნელობა უცხო ენის სწავლებაში.
7. სპარსულ ენაში დაძებნილი და ტიპოლოგიურად თავმოყრილი ემპირიული მასალა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მცირე კორპუსული ტიპის მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, რაც განავრცობს ჩვენ მიერ მოძიებულ მასალათა შემდგომ მეცნიერულ კვლევას.

8. პრაქტიკული ღირებულების თვალსაზრისით, დამუშავებული მასალისა და მიღებული დასკვნების გამოყენება, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება ლინგვისტებისათვის; სასარგებლო იქნება იგი ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურს, უკეთ გაეცნოს სპარსულ და ქართულ ფატიკურ კომუნიკაციასა და სამეტყველო ეტიკეტს. დამუშავებული მასალა შესაძლებელია ასევე გამოყენებულ იქნეს სოციოლინგვისტიკის, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ზოგად კურსებში. საინტერესო იქნება დიპლომატიური ურთიერთობებისა და ბიზნესკომუნიკაციის წარმართვის სწორად დაგეგმვისა და განხორციელებისათვის.
9. დიგიტალური ჰუმანიტარიის მეთოდების მიხედვით სამომავლო გეგმად გვესახება მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც მოხდება ეტიკეტურ სიტუაციათა კლასიფიცირება და თითოეული ეტიკეტური სიტუაციისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიის მითითება ქართულ და სპარსულ ენებზე. შექმნილ ბაზაში მონიშნება გარკვეული იდიომატური გამოთქმები, რომელთა აზრობრივი მნიშვნელობა და დანიშნულება არ ემთხვევა ფრაზაში მოცემულ ლექსიკურ ერთეულთა ჯამს.
10. ვიმედოვნებთ, ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების გამოყენება შესაძლებელი იქნება თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით.

კვლევის პროცესში დაგროვდა დიდძალი მასალა სამეტყველო ეტიკეტის, ფატიკური კომუნიკაციისა და თააროფის შესახებ, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დაგვაყენა. ვფიქრობთ, *თააროფის*, როგორც მოვლენის განხილვა ინტერკულტურული ურთიერთობების თვალსაზრისით სამომავლო კვლევის საგანია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე იუსტინე. *ირანული ენის გრამატიკა*. ტფილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1937
2. ანდრონიკაშვილი მზია. *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1966
3. ანთაძე-მალაშხია ფატმან. „სპარსულისა და ქართულის მიმართებისათვის ლინგვოდიდაქტიკაში“, *აღმოსავლეთმცოდნეობა*, №5, 2016, 175-196
4. ----, „ახალი სპარსულიდან ქართულში შემოსულ კომუნიკაციურ ნასესხობათათვის“, *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათაშორისი დიალოგები“ III*, თელავი, 2015, 8-13
5. ----, „მრავლობითის ფორმათა ლექსიკალიზაციისათვის სპარსულში“ *აღმოსავლეთმცოდნეობა*, №4, 2015, 127-136
6. ---- სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობების საკითხები, თბილისი: acad.ge, 2018
7. აფაქიძე ილონა. *სტუმარ-მასპინძლობის ეტიკეტი და მისი ვერბალური გამოხატულება ინგლისურსა და ქართულში*, სადოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008
8. აფრიდონიძე შუქია. *მიმართვის ფორმათა სტრუქტურა და ფუნქციონირება ახალ ქართულში*, სადოქტორო დისერტაცია, საქ. მეც. აკად., ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2003
9. ---- *სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში*, (XIX-XX საუკუნის პროზის მიხედვით, მარტივი წინადადება), თბილისი: მეცნიერება, 1986
10. ---- „აპელატიური მიმართვის ფორმების გამოყენებისათვის ქართულში“, იკე XXIX, 1990
11. --- *ბრძანებითი როგორც მიმართვის ზმნური ფორმა*, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. IV, 1995.
12. --- *ცოლ-ქმრის ურთიერთმიმართვისა და ერთმანეთის მოხსენიების ქართული ტრადიციები*, საენათმეცნიერო ძიებანი XIII, 2002.
13. ---- *ჩვენი ენა ქართული*, მე-3 გამოცემა, თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2009
14. ბართაია ნომადი. *საქართველო და ირანი უპრეცედენტო ურთიერთობათა 20 წელი*, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013
15. ---- *ქართულ-ირანული ლიტერატურულ-ენობრივი ურთიერთობანი*, თბილისი: „უნივერსალი“, 2014
16. ---- *თავრიზის მზე (ჩანახატები)*, ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016
17. ბოჭორიშვილი ანა. *ეტიკეტის პრაგმატული სტრუქტურა ინგლისურსა და ქართულში*, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008
18. გამყრელიძე თამაზ, კიკნაძე ზაზა, შადური ინგა, შენგელაია ნანა. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

19. გიუნაშვილი ჯემშიდ. სპარსული ენის სახელმძღვანელო, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1987
20. გოქსაძე ლილი, დემეტრაძე ირინა. *ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებანი*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1996
21. დემეტრაძე ირინა, *ფატიკური კომუნიკაცია და ბრიტანულ-ქართული ყოფითი განსხვავებანი (თანამედროვე ქართული და ინგლისური ენების მასალაზე)*, დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1997
22. ზეჟალაშვილი რუსუდან. *ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები)*. თბილისი: უნივერსალი, 2012
23. ---- „ახლავს ზმნის გამოყენების ისტორიისა და მართლწერისათვის ქართულში“, ჰუმანიტარული კვლევები წელიწადული III, თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014
24. თუშიშვილი ლეილა. *კლასიკური სპარსული ენის ელემენტარული გრამატიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012, 131
25. პლატონ ეგნატისა-ძე და იოსელიანი. შემდგ. *პირუჭულ-დაწყებითი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა*, თფილისი, 1851
26. კამიჩევი იან. *ყოველდღიური ზრდილობა*. თბილისი: საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნა“, 1979, 59
27. კვარაცხელია გუჩა. *ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1990
28. ---- *მხატვრული ენის შესწავლის ლინგვისტური ასპექტები*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1995
29. კვაჭაძე ლეო. *თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი*. თბილისი: განათლება, 1977
30. კვაჭაძე მანანა. *„ექსტრალინგვისტურ ფაქტორთა მნიშვნელობის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს“*, თსუ შრომები, ტ. 327, სერია „ადმოსავლეთმცოდნეობა“, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, 37-46
31. ---- „*სამეტყველო ეტიკეტის შესახებ მრავალეთნიკურ საზოგადოებაში*“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაქარობა“ (2010 წლის მაისი): 173-175, რეზიუმე კრებულში „დიდაქარობა“, 2010
32. ---- „*ეტიკეტური სიტუაციისა და ლიტერატურული ეტიკეტის შესახებ (ნიზამი, „ლეილი და მაჯნუნი“)*“, საიუბილეო კრებული მიძღვნილი დავით კობიძის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, 113-120.
33. ---- „*საკარო და სალიტერატურო ეტიკეტის შესახებ შირვანშაჰთა სასახლეში*“, XIII საფაკულტეტო კონფერენცია, მიძღვნილი ალექსანდრე გვახარიას დაბადებიდან 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2019
34. ---- „*ლინგვოკულტურული ინტერფერენციის შესახებ ენობრივი კონტაქტების დროს*“, პროფ. ჯ. გიუნაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული „ენათმეცნიერების საკითხები“, თბილისი, 2011, 151-159

35. ---- „ეთნოლინგვისტური სიტუაციის შესახებ სოფელ გომბორში (ინგ. ენაზე)“, კრებ. „აღმოსავლეთმცოდნეობა“, №1, 2012, 55-63
36. კიკვიძე ზაალ. თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტური ასპექტები). თბილისი, 1999
37. ლევიძე მარინე. კომუნიკაციის ეთნოსტილი და მიმართვის საალერსო ფორმები ქართულსა და ინგლისურში, სადოქტორო დისერტაცია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2017
38. მარტიროსოვი არ. ნაცვალსახელი ქართველურ ენებში: ისტორიულ შედარებითი ანალიზი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1964
39. მჭედლიშვილი მეგი. ფატიკური კომუნიკაციის ლინგვოკულტურული ასპექტები /ფრანგული, ესპანური და ქართული ენების მასალაზე/, სადოქტორო დისერტაცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011
40. ნებიერიძე გივი. ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი: გამომცემლობა ნეკრესი, 1991
41. რუსიეშვილი მანანა. მიმართვის ფორმები აკადემიურ დისკურსში, თბილისი: ინტელექტუალი #5, საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი აკადემია, 2007
42. რუსიეშვილი მანანა. ინფერენციული კომუნიკაციის თაობაზე. ენათმეცნიერების საკითხები I, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2008
43. სარჯველაძე ზურაბ. მრავლობითი რიცხვის გამოყენება მხოლობითის ნაცვლად, თბილისი: ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, ტ.3, 1997 (3-10)
44. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი: ერთტომეული, რედაქტორები: ჩიქობავა არნ., ჭაბაშვილი მ. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ქართული ენციკლოპედია, 1990
45. შანიძე აკაკი. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980
46. შანიძე აკაკი. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია), თბილისი, 1973
47. შურღაია თეა. „სამეტყველო ქმედებათა სახეობები თანამედროვე ქართულ რეკლამაში“, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი №7, თბილისი, 2007, 45-53
48. ----, „სპარსული “დიალოგური ანდაზების” სტრუქტურა“, კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები, XVIII, 2004, 255-263
49. ---- ანდაზები და ანტიანდაზები პოლიტიკაში (ქართული მასალების მიხედვით), ქართველოლოგია (ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი), თბილისი, #6, 2008, გვ. 46-52.
50. --- “Regional Dialogue through Proverbs (According to Persian, Georgian and Armenian Proverbs), ახლო აღმოსავლეთი და საქართველო (The Near East and Georgia), VIII, თბილისი, 2014, გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გვ.133-140.

51. ჩიქობავა არნოლდ, *ენათმეცნიერების შესავალი*, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1952
52. ჩიქობავა არნოლდ. *ენათმეცნიერების შესავალი*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008
53. ჩიქობავა არნოლდ. რედ. *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. III, თბილისი, 1953
54. ცაგურია თეა. *სამეტყველო აქტები და სამეტყველო სტრატეგიები ხელოვნების დისკურსში*, ბათუმი: შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი, 2018
55. ცერცვაძე ნინო. *ფატიკური კომუნიკაცია და ფატიკური ყოფითი ფორმების მსგავსება-განსხვავებანი იტალიურ და ქართულ ენებში*, თბილისი: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 334(1), 1999
56. ჭუმბურიძე ზურაბ. *ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები*, თბილისი: 1956
57. ჯაში მარინა. *კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტრადიციულ ლინგვისტურ ცნებათა გადააზრება, ენა, თარგმანი, კულტურა*. თბილისი: ენა და კულტურა, 1999, 140-151
58. ჯორბენაძე ბესარიონ. *ენა და კულტურა*. თბილისი: 1997, 159
59. ჯოლია გურამ. ბიზნეს-ეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება. თბილისი: 2006, 544
60. Austin J.L. How to do things with words, second edition, editing by Urmson J.O and Sbisa M., Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 1975, 168
61. Beeman O. William. *Emotion and Sincerity in Persian Discourse: Accomplishing the representation of inner states*, Int'l.J.Social Language (1480), 2001, 31-57
62. Brown Penelope and Levinson Stephen C. *Politeness : Some Universals in Language Usage*, Cambridge University Press, Feb 27, 1987
63. Bulher Karl. *Theory of Language, The representational Function of Language*, Amsterdam/Philadelphia: John Benjamin Publishing company, 2011 გვ: 93
64. Carnie A. *Syntax: A generative introduction*, third edition, Wiley-Blackwell: A John and Sons, Ltd. publication, 2013
65. Coupland J., Coupland N. and Robinson J. D. *"How Are You?": Negotiating Phatic Communion*, Source: Language in Society, Vol. 21, No. 2 (Jun., 1992), pp. 207-230 Published by: Cambridge University Press Stable URL: <http://www.jstor.org/stable/4168343> Accessed: 22-10-2015
66. Coleman Linda and Kay Paul. *Prototype semantics: the English word Lie*, Language, vol.57,#1, Linguistic Society of America, 1981, 26-44 <http://www.jstor.org/stable/414285> (09/12/2011)
67. Edward G., Brown M.A. *A year amongst the Persians*, London: Adam and Charles Black, 1893
68. Fernandes L. P. *Grounding Politeness*, Journal of English Studies, I, 1999, 209-236
69. Fraser, B. *Perspective on politeness*. Journal of Pragmatics, 14, 1990, 219-236
70. Fukushima Saeko and Maria Sifianou. *Conceptualizing politeness in Japanese and Greek*, Intercultural pragmatics, 2017, 14(4): 525-555, URL: <http://doi.org/10.1515/ip> (12/07/2018)
71. Goffman E. *Forms of talk*, Philadelphia: university of Pennsylvania press, 1981, 5-76

72. Gunter S. *Bronislaw Malinowski and linguistic pragmatics*, Nijmegen: Max Planck institute for psycholinguistics, 2005
73. Gunter S. *Phatic communion*, Nijmegen: Max Planck institute for psycholinguistics, 2009, URL: https://pure.mpg.de/rest/items/item_68366_5/component/file_468107/content (01.08.2019)
74. Hebart L. The functions of language, URL: <http://www.signosemio.com/jakobson/functions-of-language.asp> (01/08/2019)
75. Holland Dorothy and Quinn Naomi. *Cultural models in Language and Thought*, Cambridge University Press, 1987
76. Jakobson R. *Language in Literature* edited by Krystyna Pomorska and Stephen Rudy, Massachusetts, London, England: The Belknap Press of Harvard University press Cambridge, 1987, chapter 7, pg. 66 (548)
77. Jakobson R. *Verbal art, verbal sign, verbal time*, Minneapolis: University of Minnesota press, 1985
78. John Lyons. *Language and Linguistics – An Introduction*, Cambridge University Press, 1981 URL: https://books.google.ge/books?id=8Wg57a3DdYYC&printsec=frontcover&source=gbs_atb#v=onepage&q&f=false (01/07/2019)
79. Karimnia A., Afghari A. “*Compliments in English and Persian Interaction: A cross-cultural perspective*”, *Jezikoslovlje*, 12-1, 2011, 27-50
80. Kitamura Noriko. *Adapting Brown and Levinson’s “politeness” theory to the analysis of casual conversation*, proceedings of ALS2K, the 2000 conference of the Australian linguistic society, 2000
81. Kourish Saberi. *Routine Politeness Formulae in Persian: A Socio-Lexical Analysis of Greetings, Leave-taking, Apologizing, Thanking and Requesting*, Dissertation paper, 2017
82. Koutlaki S.A. *Partners in Joy and Sorrow: Interpersonal aspects of Tehrani marriage and mourning rituals*, 15th International Pragmatics Association Conference, Belfast, 2017
83. Koutlaki S.A. *The Persian system of politeness and the concept of face in Iranian culture*, based on the writer’s doctoral thesis at the University of Wales, College of Cardiff, 1997, 172
84. Kuparadze G., Lortkipanidze K. „Analysis of Formal and Informal address in western and eastern cultures: on the material of English and Turkish languages“, 2015, URL: https://www.researchgate.net/publication/286468190_Analysis_of_formal_and_informal_addresses_in_western_and_eastern_cultures_on_the_material_of_English_and_Turkish_languages (01/08/2019)
85. Leech G., Savrtvik J. *A communicative Grammar of English*, Moscow, 1983, 134-141
86. Leech Geoffrey. *Semantics –the Study of Meaning*, Harmondsworth: Penguin Book, 1981
87. Longman, New Universal Dictionary, 1982 1-1158: 996
88. Malinowski B. *Phatic communion//communication in face-to-face interaction*: text book, Harmondsworth: Penguin Book, 1972, 146
89. Malinowski B. *The Problem of Meaning in Primitive Languages* (1923), in C.K. Ogden, *The Meaning of Meaning, a Study of the Influence of Language upon Thought and of the Science of Symbolism*, Edited by C. George Sandulescu, Contemporary Literature Press, Bucuresti, 2013

90. Miller C., Reachel S., Vinson M., Brugman C.M. *Ritualized indirectness in Persian: taarof and related strategies of interpersonal management*, University of Maryland, 2014
91. Daneshgar M. *Taarof va farhange an nazd-e irāniān*, bāme ye pārsī, 1381/1962 h.š.
92. Nanbakhsh Golnaz. *Politeness and address forms in contemporary Persian: thirty years on*, California Linguistic notes, vol. XXXVII, #2, 2012, 2-26
93. Ogden C.K. *The meaning of meaning*, edited by C. George Sandulescu, Bucharest: contemporary literature press, 2013, 339
94. Pepp J. *Truth serum, liar serum, and some problems about saying what you think is false*, Uppsala University, URL: https://www.academia.edu/7869181/Truth_Serum_Liar_Serum_and_Some_Problems_about_Saying_what_You_Think_is_False (31/07/2019)
95. Rossi Patricia, *Everyday Etiquette: How to navigate 101 common and uncommon social situations*, St. Martin's Griffin, September 2011, URL: (<https://www.strandbooks.com/etiquette/everyday-etiquette-how-to-navigate-101-common-and-uncommon-social-situations>) (31/07/2019)
96. Sahragard R. *A cultural script analysis of a politeness feature in Persian*, 2003, URL: <http://paaljapan.org/resources/proceedings/2003/sahragard.pdf> (03/08/2019)
97. Stanley E., Jones C. Lebaron D. "Research on the Relationship Between Verbal and Nonverbal Communication: Emerging Integrations", *Journal of Communication*, September 2002; 499-521
98. Sundus Muhsin Ali AL-Ubaidy, Abdul-Hassan Sherif Jebur. "Functions of phatic sommunion expressions in multilingual speech community of Basra ports", *Journal Al-Adab* # 118, 2016, 57-72
99. Sweetser E.E. *The definition of lie: an examination of the folk models underlying a semantic prototype*, Cambridge: Cambridge university press, 1987
100. 1968/1387, - درسیکتبتدوینواحد, چاپخانه- (2)
101. 1968/1387, - درسیکتبتدوینواحد, چاپخانه- (1)
102. 1961/1380
103. حسن کشاورز، رابطه متقابل زبان و جامعه مروری بر نقش اجتماعی ضمائر شخصی صورت‌های خطاب، مجله 0 1373/1954/
104. 1971/1390 احمدی گیوی، حسن انوری، دستور زبان فارسی، فاطمی
105. 1972/1391 زهرآیت الهی، اخلاق خانوادگی قم:
106. 1374/1955/ زینالعابدین قربانی، اخلاق و تعلیم و تربیت اسلامی،
107. 1350/1932 محمد جوداشریعت، دستور زبان فارسی، چاپ دوم،
108. 1973/1392 نصیریان جلال، آداب معاشرت و الگوهای رفتاری در صنعت گردشگری، تهران: انتشارات مهکامه،
109. ایران گرافیک. 1378 سید حامد رضینی. فارسی نوشتاری-گفتاری. ویژه دانشجویان فرانسه زبان. چاپخانه
110. « »، 1978
111. « »، 1988
112. « »، 1962
113. « »، 1988
114. « »، 2014

143. . . , , 10, 2013, 108-114
144. . . : « », 2007
145. (), : 1976
146. : « », 2002
147. . . : , 1989, 2005
148. , URL: <http://www.lomonosov-fund.ru/enc/ru/encyclopedia:0128384> (ნაწახია 31/07/2019)
149. . . : « », 1975 5-430: 296
150. (), URL: <https://cyberleninka.ru/article/n/faticheskaya-rech-kak-sotsialnyy-simvol-kommunikatsii-na-materiale-tekstov-pechatnyh-smi> (ნაწახია 2018), 46-51
151. . . , , 10, 2015, 114-132
152. . . (14-15 2007 .) « », 4, , 2007, . 181-185
153. , : « », 1988
154. , URL: http://www.langust.ru/review/lang_h03.shtml (ნაწახია 01.08.2019)
155. : « », 1985, 460
156. : " ", 198

ლექსიკონები:

157. Almaani dictionary, URL: <https://www.almaany.com/fa/dict/faar/%D8%AA%D8%B9%D8%A7%D8%B1%D9%81/> (01/08/2019)
158. The free dictionary, URL: <https://www.thefreedictionary.com/phatic> (01/08/2019)
159. The Concise Oxford Dictionary of English Etymology, URL: <https://www.oxfordreference.com/view/10.1093/acref/9780192830982.001.0001/acref-9780192830982-e-5272?rkey=Kalqvt&result=5261> (01/08/2019)
160. Oxford Advanced Learner's Dictionary of Current English , გვ, 427, 2005-2006
161. VajeiabDictionary, URL: <https://www.vajehyab.com/moein/%D8%AA%D8%B9%D8%A7%D8%B1%D9%81%20> (01.08.2019)
162. Wordsense.eu – dictionary: Synonyms, word origin & meanings, URL: <http://www.wordsense.eu> (01/08/2019)
163. სპარსულ-ქართული ლექსიკონი, შემდგ. ალექსანდრე ელერდამვილი, თბილისი: უნივერსალი, 2012

189. გაბეჩავა რ., ხვედელიძე მ. ჩვენ ვსწავლობთ ქართულს: სახელმძღვანელო აზერბაიჯანულენოვანთათვის, თბილისი: გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2011
190. შარაშენიძე ნ. მიდამო: სიტუაციები და გრამატიკა კომუნიკაციისთვის, თბილისი: გამომცემლობა „საიმედო“, 2011
191. შარაშენიძე ნ. ქართული ენის გრამატიკა: მორფოლოგია, თბილისი: „დიოგენე“, 2011
192. Moghadam A.S. A general course in Persian: Basic structures, council for promotion of Persian Language and Literature, 1999
193. Pontia, URL: <https://www.mypersiancorner.com/8-taarof-phrases-sound-polite-persian/> (ნანახია 01.08.19)
194. Purnamdariani T. Persian lessons for foreigners: an elementary course, Tehran: Institute for Humanities and cultural studies, 1999
195. . . . (), : 2000
196. . . . : « », 1972
197. خواندن و درک مطلب متون فارسی برای فارسی آموزان سطح میانی، محمدباقر میرزانی حصاریا، دانشگاه نین المللی امام خمینی، 261/1390/1971
198. فرهنگ اصطلاحات محاوره ای، مترجم فریدون حاجتی، چا پخانه حیدری، انتشارات اکباتان 1953/1372
199. URL: <http://daydreamer.ir/1389/06/%D8%AF%D8%B1%D9%88%D8%AF-%DB%8C%D8%A7-%D8%B3%D9%84%D8%A7%D9%85/>(03/08/2019)
200. URL: <http://www.iranproud2.net/index.html?NbAZCcrMXXPHD6TCV1gr> (03/08/2019)